


# გორაკი



თელავი

1

2015

ISSN 0134-3459



9 770134 345001

15001



>

# ჭოროხი

გამოცემის 57-ე წელი

ინფორმაცი-თეორეტიკული

№1

2015 წელი

სალიტერატურულ-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე  
**დავით თედორაძე**

სარედაქციო საბჭო

**ცისანა ანთაძე**

**როინ აბუსალოძე**

**გიორგი (იური) ბიბილაძე**

**ბენდი დოლიძე**

**ანა დუნდუა**

**რამაზ სურმანიძე**

**პალა ქაბუაძე**

**ვასტანგ ლლონტი**

**თინა შიოშვილი**

**მალხაზ ჩოხრაძე**

**ამირან ხაბაზი**

**ნანა ხახუთაძე**

მთავარი რედაქტორი  
**სანდრო ბერიძე**

რედაქტორი  
**ლალი კონცელიძე**

პროზისა და პოეზიის  
განყოფილების გამგე

**ანზორ კუდაბა**

კრიტიკის, თარგმანისა და  
პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე

**ბენიამინ ქუთათიაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა

**მალხაზ ფაღაზი**

გამომცემელი

საქართველოს მწერალთა  
კავშირის აჭარის ორგანიზაცია

ჟურნალი გამოდის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

დაარსებულია 1958 წელს  
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2015

რედაქციის მისამართი:  
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ.: (422) 27-15-30

ჟურნალი დაიბეჭდა  
ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“  
პოლიგრაფიულ ცენტრში,  
ბათუმი, კლდიაშვილის, 27

**ავტორთა საყურადღებოდ:**

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები ანეობილი უნდა იყოს  
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)).  
ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

## შინაარსი

### ყოფიან, ჩრთხ

მარია მკლაური – ლექსები .....	3
ნათია რუსთიაშვილი – მოთხრობები .....	10
იზა ოსაფიაშვილი – მოთხრობები .....	27
დაჩი მუჯიდი – მოთხრობები .....	33
იამზა პარიძე – ლექსები .....	35

### ჩრითიან, ქულუსილთიან

გიორგი (იური) ბიბილაიშვილი – ცხოვრების გაკვეთილები .....	39
ნანი გუბუნავა – თეთრი ანგელოსი .....	52

### ქნოჯჩი-ქთქიქ-ქულტუქული ისტორიან

ტარიელ ფუტყარაძე – ჰენიოხები, სანები, ქანები, ლაზები, აფხაზები, აფშილები, აფსარები, აფსუები, სვანები, სვანოკოლხები, ამარანტები, დვალები, ტუსკები/თუშები... ..	57
იამზა თანდილავა – საერთოქართველური ლაზური ზმნების პარადიგმა .....	73

### ქულან იოსელიანი – 100

ილია აბულაძე – პოეტი შალვა იოსელიანი .....	85
--	----

### თქალსქნისი

მენ დავითაძე – ერთი პოპულარული ქართული ხალხური ლექს-სიმღერის ერთი პოპულარული რეფრენის გამო და ორიგინალურობა-ინდივიდუალურობის პრინციპი ხალხურ საგანძურში .....	90
რამაზ სურმანიძე – ვინ იყო ოსმან მაკრიალელი? .....	96

### ქნილქი

სიმონ გოგიტიძე – ტერმინების — „ხაიასას“ და „აცის“ წარმომავლობა და მათი ურთიერთმიმართება .....	99
აკაკი ზოიძე – მოძღვართმოდღვარი .....	105



## მარიაშ მეცლაური

### ისუნთქე!

ჩაპირქვავებულ პირამიდებში გროვდება სხივის ნაჟური ადამიანურ ძიების. ცის იქით ალბათ აღარფერი მოხდება, იყვავილებენ ქარისფერული იები. ლობე მზის სხივის შემოევლება ჩვენს ეზოს, მთვარის შამბნარში დრო იხმაურებს \_ ჭრიჭინა. ცის იქით, ალბათ, აღარფერი მოხდება, გაგვშორდა ღმერთი და თავი გადაირჩინა. გაიძრო კვართი და მისეულეებს მოგვიგდო ვჯიჯგნით წამებს და ვჯიჯგნით სივრცეთა ნაოჭებს. ცის იქით, ალბათ, აღარფერი მოხდება, ჩვენც ახლა უკვე ეს არაფერი გვაოცებს ამ არაფერმა აგვაღაღავა, ვგუმანობთ, რომ არაფერი შიმშილზე მეტად გვაყმუვლებს. ცის იქით, ალბათ, აღარაფერი მოხდება მარადისობა გადაეწვინება სამუმებს ჩაპირქვავებულ პირამიდებში ნანვეთი საკუთარ თვალებს ჩახედავ, სიზმრის ნიშანით, ყველა თავისთავს მხეცური გეშით მოძებნის, შეკრებს სანმისზე ოქროს, მდინარის ქვიშაში. აღარაფერი, აღარაფერი მოხდება, ადგები, ახალ დილის საძებნად აისხამ თავს, ოდესღაც რომ შეაგუნდავე სივრცისგან, თავს, ოდესღაც რომ ამოიკვერე აღისგან. ხელმოცარული დარჩა სამყარო შენს გამო,

ისევ ეცდება თავის ზვირთებში მოგხელოს, რამდენი რამე გამოაირე, ადამო, უკან ნურავის და ნულაფერს მოჰხედავ. წინ სხვა აღდგომა და სხვა მინები გელიან, დამშეულები, შენი ძვლის გემოს ნატრულნი, ცის იქით უკვე აღაფერი მოხდება, ღმერთი თავისი ბავშვობითაა გართული. წადი, ადამო, წადი შენივე თავისკენ, უნდა იძლიო შენითვე, იქცე ადამად. ცის იქით უკვე აღაფერი მოხდება, დიდი ხანია, დაღლილი დღე რომ დაღამდა. ფრთით სივრცესა ვჭრით უსამართლობის უფსკრულზე, დიდი ხანია, სიზმარს ვუცქერით მღვიძარნი, წამი თუ მთელი საღვთო დრო გაგვიხარჯია, სანამ ყველაში ჩვენივე თავი ვიცანით? ცის იქით უკვე აღაფერი მოხდება, მარტონი დავრჩით, ქარის და სიტყვის ამარა. ნუ გეშინია, მას მუდამ ვემახსოვრებით, სიცოცხლისათვის სხვა დროში ვინც გადაგვმალა. ვინც გადაგვმალა ჩვენივე გულის ლენჯოში, ვინც მოგვისროლა მიწაში, ხნარცვის სისრულედ, ნუ გეშინია, მას მუდამ ვემახსოვრებით, ჰა, მიდი, ეგრე, თამამად, ადამ, ისუნთქე!

**ალილუია**

შენ, ყველას ღმერთო, სამყაროს ღმერთო, მისმინე, რა გჭირს, ცის ცვილით რად ივსებ თვალებს და ყურებს? ნუთუ ვერ ხედავ ამ გახელებულ სახლეულს, ნუთუ მოგებზრდით და ზედ ბნელეთი დაგვხურე? ამდენ ომს და კვლას, ამდენ სიცოცხლეს რატომ თმობ,

რატომ აღზევდა შენს მამულებში ბოროტი,  
 ნუთუ არა და აღარ დასრულდა ნამება,  
 აზრი აღარ აქვს შენი სამართლის მოლოდინს?  
 შენ ყველას ღმერთო, ღმერთების ღმერთო,  
 მისმინე,  
 რატომ ახარებ ავის თესლს დედამინაზე?  
 ნუთუ ამისთვის გაიფხვარცმულე სიცოცხლე,  
 ნუთუ ამისთვის გამოგყევით და გინამეთ?  
 რატომ არ ისახმას შენი ვენახი მზის მტევნებს,  
 რატომ ფუტფუტებს ან შენს მარილში მაცილი?  
 კმარა ამდენი გამწარებული სიცოცხლე,  
 ამდენი ტყვია, ჯალათის ხელი აწვდილი.

შეგვატკბო ეგებ ამ ნუთისოფლის მშვენიება,  
 ხომ ყველაფერი შენს ხელთ არისო უკუნით?!  
 ნუ, ნუ გვაქციე ომად, სანგარად, სამსალად,  
 ნუ ააღზევე ერთად ოქრო და უგნური.  
 ნუთუ ეშმაკით უნდა ვიძლიოთ ყველანი?  
 აღარც ერთგული, მოუსყიდველი სულელები?  
 ნუ, ნუ იქნება შენთვის უფალო, ამას გთხოვ,  
 დედამინაზე ჩვენი მყოფობა სულერთი.

ნუ იზამ ამას, ჩვენ დაგვემსგავსო, უძლურებს,  
 ნუ იზამ, ყველას თავი ეგონოს მართალი,  
 შეაკონინე ჩვენი სული და სიმშვიდე,  
 თავის მცირობის შენში განმქვერვეის ამტანი.  
 გამოაცალე პირიდან ქარი სიცრუის,  
 გამოაცალე ძალის შეგრძნება თავისი,  
 შენ ყველასი ხარ, და უნდა შეძლო, უფალო,  
 გვამხილო, კერპად თავები რატომ დავისვით?

აქ ყველა ღმერთი ქადაგებს უკვე სხვადასხვას,  
 ჭრიან ტყვიებს და დგამენ ოქროს ხბოს ზოდების,  
 სხვადასხვა არის მათი ჯვარცმაც და აღდგომაც,  
 მრევლობენ მათთვის სხვადასხვა ჯიშის ზომბები.  
 და არ თავდება ნაკიდებული ღმერთების  
 ჩხუბი, ომები, კვლა, სისხლიანი წირვები.  
 გვიშველე ღმერთო და მოგვაცილე ყველანი,  
 ვინც შენ გკლავს ჩვენში, და რითაც გავინირენით!

ალილუია, ალილუია, უფალო,  
 ცის ცვილს დაადნობს მოსინანულე ცრემლები.

ადამიანთა ნამდვილო ღმერთო, მოგვხედე  
 და დედამინას მოხვიე შენი ხელები.  
 თორემ აეშვა ყველაში ამირანი და  
 ძალას ვერ თოკავს, ააზანზარა დღე-ღამე.  
 ხვალ რა იქნება, არავინ იცის უფალო,  
 რა დაერქმევა ამგვარი ძალის მეხთამტეხს?

დამმარცხებელი უფრო სასტიკი იქნება,  
 უფრო საშიშიც, რადგან მეტ ძალას იმედობს.  
 მხოლოდ შენ ღმერთო, შეგიძლია რომ სიმშვიდით  
 მოხვიდე, ჩვენი გადარჩენისთვის იმეფო!  
 მარტო მკვდრებს არა, მოდი, მოგვხედე  
 ცოცხლებსაც,  
 უბრალო ღმერთო, ადამიანთა გულების,  
 მოდი, იცხოვრე, ჩვენს გვერდით, ხილულ იმედად,  
 თუნდ ჯვარზე ვეცვათ ერთ დღეს ყველანი  
 უკლებლივ...

ალილუია, ალილუია, უფალო...

აღარ აქვს რწმენას ფესვი იობის ჯიშისა.  
 და სატანჯველი თუკია ნუთისოფელი,  
 შემინდე, ღმერთო, რაც სულმა აქ ივიშვიმა.  
 მე არა შიშით, სიყვარულით მსურს, გინამო!  
 სიმშვიდე მინდა შენს სადიდებლად, გალობად,  
 მაგრამ გარშემო უსისხლო თუ სისხლიანი  
 ომია მხოლოდ, და არც ტანჯვა მსურს წყალობად!

შემატკბო მინდა, აქაურობაც, უფალო,  
 და სიყვარულის ნამდვილი გემო გავიგო,  
 რაა სამყარო მარტოდენ ბნელის ამარა?!  
 ნუთუ შენ არ ხარ შენივ არჩევნის გამრიგე?  
 რით ვერ გვპატიობ ჩვენსავ თავს შენგან შეზელილს,  
 ეშმაკეულის გაქრობა რით ვერ შეძელი?  
 რა, რა შეგვქმენი ასეთი მიუტევები,  
 რით არ გასრულდა ეს გზა სამოთხის მძებნელი?

ალილუია, ალილუია უფალო,  
 დავსხდეთ მარტონი, გამოვიტიროთ ერთურთი,  
 თუ, შენც გსურს ჩვენგან რომ თავი გადაირჩინო,  
 საერთმანეთო გულებში როგორ შევბუდდეთ?  
 თუ, გადავცვივდეთ ყველანი დედამინიდან  
 სივრცის ამღვრეულ და აბორგებულ ზვირთებში?

და დარჩეს მთვარე, მაღლიდან რომ  
დაგვიტიროს,  
ან ამბადა გვთქვას სხვა ღმერთის ახალ მითებში...  
ალილუია, ალილუია, უფალო...  
სულს სიხარული უნდა შენთანაზიარი  
ჩემში რომ ჩემზე ბევრად მეტი ხარ, უფალო,  
იმიტომამა ამ ტკივილშიც რომ ვმზიანობ.  
მაშ, მომეშველე, ნუ მიქცევ ომად სამყაროს,  
ნუ განმარისხებ, ნუ მძლევ ბოროტით, მინყალე!  
ნუ გეშინია, ცრემლით მოგირწყავ უდაბნოს,  
რომლშიც ვდგავართ, ოღონდ ღვთიურად  
იმძლავრე!

ნუ გეშინია... ნუ გეშინია, უფალო!

## მოვიდა ყვითელი მებაღე

მოვიდა ყვითელი მებაღე  
ყვითელი სარწყავით ხელში,  
სინათლით დანამა მინდვრები,  
ყვითელი, წითელი, მრეში.  
მოისმის სიჩუმის სიმღერა,  
უნაბისფერი და ჟღალი,  
მოვიდა ყვითელი მებაღე –  
მზექალი ღვინისფერ ხარით.  
ზაფრანის ფარჩა და ჩითები,  
დიბა და ატლასი ქარვის.  
ასკილის წითელი მძივები,  
ნარინჯი-თურინჯი, ლალი.  
ძონები, ალისფრად მნათი და  
მსუყე და თბილ-თბილი ოხრა.  
ცეცხლის ყვავილები ეღვრება  
ტყეების მღვიმეს და უღრანს.  
ქარვისფრად,  
ღვინისფრად,  
თაფლისფრად,  
კალთა უღვივის და ეწვის.  
ჩალისფერ ღერებად მოუჩანს  
უდაბურ სივრცეთა ძეძვი.  
დახლიჩავს ბრონეულს საცაა  
უნველი კოცონთა სევდა,

და ღნავის მუცელში ზამთარი,  
სიშიშველ ტკივდება დედას.  
მოჟონავს მკერდიდან მზის ხსენი,  
ნეკერჩხალს ეძახის თრიმლი:  
რა ხდება, შეხედე, სისხლი მდის,  
რა ვუთხრა ჩემს მწვანე ივლისს?  
ცირცელი, ძახველი, იფანი,  
თამბაქოსფერია ჯოგი,  
ინყება ლოცვა და სიკვდილი  
ჟანგისფერ ფოთოლთა ჩოქვით.  
მზეს ხელში ჩარჩება ზაფხულის  
ღამეთა ერთგულად მთევი,  
თეთრ წიგნში ჩაშლილი სანიშნე \_  
დათოვლილ ხურმათა ტევრი.  
ბურანში ეხვევა ქედები,  
ცვივა და იბნევა ყვითლად  
რაც უკვე იყო და დასრულდა,  
რაც ერთხელ უფლისგან ითქვა.

## ზამთრისპირი

ისევ მოდგება ზამთარი,  
როგორც მომდგარა ადრე.  
შემოდგომის ცეცხლს ჩააქრობს,  
მზეს გასხლავს, დარგავს ავდრებს.  
გახედავს მთვარის ნაბეჭარს \_  
ღამის ბაკმიან სამხრეს,  
ცას დაიმონებს, დაღრუბლავს  
სინათლეს, ბნელით ნამღვრევს.  
მე და ობოლი ბალახი,  
ვგავართ სიკვდილის ნამღერს,  
ვითმენთ. ჩვენც ჩვენი ღვთისა ვართ \_  
მიწისპირს გადავარღვევთ,  
თოვლს გულისპირზე დაგვიდნობს,  
მზის გეში ყველგან გვაგნებს.  
შემოვიცილებთ გვამიდან  
ქვესკნელის ქერქს და სახვევს.  
ღვთის სტუმარივით მოვდგებით  
კაცის და ჩიტის სახვენელს.  
ამოვალთ მწვანედ მოვსკდებით,  
დროს სახელს გადავარქმევთ.

შენამც იხარე ზამთარო,  
თეთრად ურწიე აკვნებს,  
ჩვენ არაფერი გაგვაქრობს –  
მინაზე ქრისტედ ნაგებს.

## მიკიბ-მოკიბვის გარეშე

მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვი,  
რა ხანია, ჩავაბერდით ერთმანეთს გულში,  
რა ხანია ჩავაბერდით თვალებშიც, უკვე...  
დღე იყო ერთი დიდი, უძალო, ათას დღედ მდენი.  
როგორ გვირტყამდა ქარი სახეში, ნვიმა ზურგში,  
სეტყვა კეფაზე თეთრი ცეცხლის ალს  
გვიკიდებდა.  
ჰაერის მჭვირვალ ხნულებში ჩაფლულს,  
ვარსკვალვების ტავარნები  
გვეკრობოდა ფრთიან ტერფებზე.  
დროის ლტოლვილს, ჟამის ვერმცნობელს,  
მინაც აღარ დაგვრჩენოდა  
ერთმანეთისკენ სავალ ნაბიჯს რომ დაიმჩნევდა.  
სადღაც, უხილავ, უნახავ მამულს  
ვულაგებდით ერთმანეთს და  
დღესასწაულებს ვუწყობდით მწიფე  
არაფრობის ჭირნახულისგან.  
აღარაფერი გვიკვირდა, თითქოს...  
მთავარი იყო, ერთმანეთი გვეყოლოდა და  
გვეგულვებოდა!  
მთავარზეც მეტი, მთავარზეც ბევრად  
უპირველესი!  
მერე რა, რომ არც პური გვქონდა,  
არც სახლი და არც უხრწნელი უიმედობა!  
სად იყო სისხლი?! მთელი ქვეყანა ეზიარა და  
გათავდაო...  
გმირებიც გაქრნენ. მომღერლებიც,  
ვისი ჩონგურის ნალვლიან სიმებს  
ჭრილობები უნდა ეკერათ დროთა გულელებზე.  
ერთმანეთი გვყავდა მხოლოდ,  
ერთმანეთზე უფრო ბევრი,  
უფრო მეტი, უფრო ტანჯული.  
ვაბერდებოდით ერთმანეთს გულში.  
ვაბერდებოდით იმ თვალებში,

ერთმანეთს რომ ვერ ვუსწორებდით  
ერთმანეთის შიშითვე დაღლილს – ვაი, თუ  
აღარ გინდა ჩემთან?  
ვაი, თუ ახლა, აი, ამ წამს უნდა მითხრა  
სათქმელი რამე:  
მე გცადე და აღარ გენდობი, არა ხარ ჩემი!  
ჰა, წადი, შობე, იტანჯე, მოკვდი და მიხვდი,  
რომ არაფრობის მიწით შექმნილმა  
ჩემი სული ვერ შეირგე, ვერ შემიყვარე...  
გალახულივით შეგაქცევდი ზურგს და ყველა  
გზას  
ჩემშივე რომ ჩავიბრუნებდი,  
შურისძიების ავი ცეცხლი რომ დამრევდა ხელს,  
იქნებ მეთქვა, ან მეყვირა, ან მესლუკუნა,  
მიკიბ-მოკიბვის გარეშე მეთქვა,  
ლმერთო, ისევ თავიდან ვინყებთ?  
გველი, ტალახი, ტანჯვა, დევნა, სიკვდილის შობა?  
ერთგულ ძალღივით მოგყვები გზებზე,  
ადამიანად ყოფნა უკვე არ შემიძლია.  
ჩავაბერდით ერთმანეთს გულში...  
ამდენი რამე, უთვალავი სასწაული შექმენი და,  
განა რა იყო, სამართალიც მოგეზილა ამ მიწიდან...  
განა მზეზე უფრო მწველი და  
თვალის ჩინის წამრთმეველი იქნებოდა იგი  
კაცთათვის?

## ნაბოლარა

ღრმად ეძინა. მკვდარივით, თუმცა  
ან სიკვდილისა რა იცოდა, ან სიცოცხლისა.  
მარტოობის სევდით ნახელთი  
ღმერთისერთა, ნებიერი, სრული, უკვდავი.  
არვინ იყო იმის მოწმეც, მისი ცოლი  
რისგან იშვა და რისთვის იშვა.  
მინისგან არა, კაცისგანო.  
სინამდვილე კი არავინ იცის,  
ღმერთი თავს ხომ არასდროს გათქვამს,  
ადამიანი კი ამ ამბავს არ დასწრებია.  
ღრმად ეძინაო.  
არც ნეკნი აკლდა, არც ნახევარი.  
ყველაფერი მერე იქნება, მერე მოვა, მერე

მოხდება.

ახლა კი აი, აქ არიან,  
 თვალებს იფშენეტენ,  
 და სამყაროს თავხეებში მზის სხივების  
 აბლაბუდებს  
 შეჰყურებენ დიდი თვალებით.  
 მზე ჰგონიათ თავისი ღმერთი,  
 მზის შვილები ჰგონიათ თავი,  
 და მზეებად ეჩვენებათ, იგიც, ვინც შობეს.  
 გვიან მიხვდნენ, და არც არასდროს ეჯერებოდათ,  
 რომ მზე შორს იყო, ცაშორს იყო  
 და რაც მიეცათ, ისე ცოტა და უსუსური,  
 რომ არასდროს ეყოფოდათ ბედნიერებად.  
 რასაც ხელი ნაატანეს,  
 ყველაფერი თავდებოდა და იხრნებოდა.  
 ხოლო მინა თავდვე იყვნენ.  
 მხოლოდ ერთი – იდგა მუდამ მამასა და იმათ  
 შორის,  
 ვინც მეტი იყო,  
 მუდმივი იყო,  
 არც თავდებოდა,  
 არც ჩნდებოდა,  
 და ყველაფერს ადგა ჩრდილივით, მაგრამ ძალა  
 მეტი ჰქონდა ვიდრე ქარებს, ვიდრე ზვირთებს,  
 ვიდრე ცეცხლს და ადამიანებს.  
 სულ ცოტა ხანში დღევანდელიც გაუთენდებათ.  
 დღევანდლობის დიდი ამბავით –  
 არაფრობის გაჩენის დილა.  
 არც ძილი და არც ორსულობა –  
 შიშა და ღვიძილს ნეკნს აცლის ვიღაც,  
 მეორდება არყოფილი და იბადება  
 არაფრობა – ნაბოლარა, ბოლო იმედი.  
 და ესაა სიხარულიც, ტანჯვაც, წყალობაც.  
 ახლა ის უნდა ვზარდოთ პატივით.  
 ახლა მისთვის ვხარშოთ უნდა  
 დამურკლული სივრცეების წყალ-წყალა ფაფა,  
 ახლა მისთვის უნდა ვაცხოთ ბოლოკუდა დროის  
 კვერები.  
 ახლა ის უნდა ვიხსნათ მხეცთაგან  
 და ჩავათბუნოთ ღმერთის თვალეებში,  
 ახლა ის ვზარდოთ  
 უფრო დიდი საიდუმლოს ამომხსნელად,

ვიდრე ედემის, ვიდრე წარღვნის, ვიდრე მესიის.  
 ახლა ეგება, მას ვასწავლოთ, როგორმე შეძლოს  
 ადამიანმა თავის თავზე მეტად ყოფნა  
 თავის თავზე მეტად დამცრობა.  
 ახლა ის ვგეშოთ სამართალზე, სიმხნევეზე,  
 ახლა იმას ვაზუთხინოთ ბედნიერების ყველა  
 კანონი!  
 ეგებ შეძლოს რაც ვერავინ შეიძლო დღემდე –  
 ჩრდილის ბორკილი აინყვიტოს –  
 ბედისწერიდან დაიხსნას თავი,  
 და იქცეს კაცი სიყვარულად,  
 თავისუფლებად,  
 გამარჯვებად,  
 გამარჯვებად – სიკეთის ღმერთის  
 გადამრჩენად.  
 მზისათვის თვალის გასწორებაც შეიძლოს ეგებ...

## თეთრი ხბორები

სადი ნიმარს – ჩემ უსაყვარლეს პოეტს

სასუფეველის წნული ღობეა შენი  
 წამწამები.  
 მოვადგები დაღლილი და ვიყურები  
 გადამიდან,  
 აყვავებული ვაშლის ხესავით.  
 მწვანეანზე თეთრი ხბორები დაკუნტრუმობენ,  
 მცნობენ უკვე და რომ დამლანდავენ,  
 ღობეს ერთბაშად მოაწყდებიან.  
 მომაშტერებენ ნისლიან თვალეებს.  
 იმათ დრუნჩებს კი,  
 სულ ახლახან მოძოვილი ბალახის სუნით  
 და ცვრიან ცურის გეშით მოსვრილებს,  
 მოეკითხებათ განა, სხვა სიბრძნე,  
 ზმუილის გარდა – დედა, დედაო?  
 ასე მიმზერ, შენც, მეგობარო.  
 აღარც მიკვირს, რატომ მომენდე.  
 ერთმანეთის საიდუმლოთა ლოცვანის  
 ფურცლებს  
 ისე ფრთხილად ვშლით, ისე რიდით,



თითქოს ვშიშობთ,  
 ზედმეტი დილა ანდა ღამე არ გადავფურცლოთ,  
 ღმერთს რომ ჯერაც არ შეუქმნია ამ სამყაროში.  
 მე კი მეგონა,  
 ადამიანს თუ ცეცხლი არ სდის თმის ძირებიდან,  
 არც ნაჭრილობევ ტუჩით მელანს არ ენაფება,  
 არ შეიძლება მისი ნდობა, როგორც პოეტის!  
 მე ხომ არასდროს ჩამიბნევია ღილაკილოში ალის  
 მიხაკიც.  
 არც გრძელ ყალიონს ვაბოლებდი,  
 ჩემს სამოსსაც არასოდეს შერჩენია ღვინის  
 სურნელი.  
 მანიფესტებიც არ შემიქმნია.  
 რატომ მომენდე?  
 ვერსად მიპოვნი დასერილ ვენებს,  
 არც რევოლვერი, არც მარყუჭი, არც ქარვის  
 მძივი,  
 ჩემს მენამულ მოსასხამზე დაცვენილი ხმელი  
 ფოთოლი,  
 დიდიხნის წინათ,  
 მენამულ ზღვის მენამულ ფსკერზე რომ  
 გადავმაღე  
 და პალატების გასაღებთა მთელი აცმაც იქვე  
 ჩავფალი,  
 შეურაცხადებს კარი ფართოდ რომ გავუხსენი  
 და მერცხლებივით გავყარე გარეთ,  
 სად დაინახე?  
 სასუფევლის კარის ძეხნაში დღესაც ასე  
 უღამდებათ ხრამის პირზე  
 თამაშით გართულ იმ დიდ ბავშვებს.  
 სად დაინახე ან ის ცეცხლი, ის კოცონი,  
 ზედ რომ არავის დაფუნვივარ?  
 გამოვისყიდე ჩემი თავი შენს გაჩენამდე.  
 ხშირად ჩემი მარტოობის ფსალმუნებს ვმღერი,  
 ცხვრის ფარასავით მიუწყებები საკუთარ თავს,  
 როცა ბიბლიურ ხრიოკ მინდვრებს ჩავუვლი  
 ხოლმე,  
 სულ მახსენდება ტყვია, რომელიც დაიჭირე  
 პეპლის საჭერით  
 და ბავშვური, მიამიტური ფოკუსებით  
 გვირილებად გადამიქციე,  
 გადააპნიე მერე ჩემს მინდვრებს და

ბედნიერი შეექცევი ტკბილ „მამალოს“,  
 მე რომ ღამეებს მითენებდა  
 და ყვილით ზეცის კიდეს ბათქაშს ამსხვრევდა.  
 რა პატარა იყავი მაშინ, ან როგორ მენდე?  
 ჩვენ ორიდან ერთ-ერთი ხომ მერე გავჩნდით,  
 ამ ამბების უხნესად მერე.  
 მაგრამ სიბრძნე დაგვყვა მამიდან,  
 რომ გვერწმუნა სრულად სოფელი.  
 ორთავე მხარე ჩვენთვის ისე მშობლიურია,  
 როგორც ფურცლის ორივე გვერდი, როცა  
 ვკითხულობთ  
 და ყდა როცა ზეცასავით გვახურავს თავზე.  
 ზღვის ზვირთების მწყემსებივით –  
 ან ვის უნახავს დაბადება ჩვენი ამქვეყნად?  
 დედ-მამისათვის ჩვენ ყოველთვის  
 ვარსებობდით და ვიარსებებთ,  
 სხვებისთვის კი ხვალინდელი ამინდივით ვართ –  
 ან გავამართლებთ ან გავწვიმდებით და  
 ლაფით მოვთხვრით მაღალ ქუსლზე შემდგარ  
 ცხოვრებას.  
 მაინც მენდობი, მეგობარო,  
 მე კი ჩემი ბასკი დედაც ვერ გაგაცანი.  
 გაუჩენელი შვილებივით,  
 ვერც ზანდუკები გაგიხსენი ფურცლებით სავსე.  
 იმ ქალღმერთების ცოცხალი კლიტე,  
 სიტყვები რომ აღებდნენ მხოლოდ,  
 შემეშინდა ჩემზე არავის მოერგო და ისიც  
 დავმაღე.  
 თეთრ კაბაზე აფარებულ სადაგობის დიდ  
 ჯიბეებში  
 გადამალული სუფთა ფურცლის  
 ნახევილა გინილაღე თამბაქოსავით,  
 რომ შენს ჩიბუხში, აკვანს რომ ჰგავდა,  
 ნვალეზ-ნვალეზით ამოგენვა მარტოობის  
 დღესასწაული,  
 შენ კი მაინც ბოლომდე მენდე,  
 და ისე თქვი „ღმერთით, ღმერთითო“,  
 გათენების მაუნყებელი  
 ყივყივი გედგა რტოებში, ხეო!  
 გაყურადები და ვიცოდი,  
 რომ ჩიტები არ ჟღერდნენ,  
 ეს, ხე გალობდა, ხე გალობდა,

ფრთოსნები კი, ანგელოზები იყვნენ ამ ხისა.  
 სიზმრების ხაოს ხელს რომ უსვამ,  
 ხავერდების კვლებს რომ მიჰყვები,  
 შიგ რომ თესავ მტრედების ლულუნს,  
 ნეტა თუ გრძნობ, უკან რომ მოგდევ,  
 რომ არ წამოკრა ფეხი ნისლის ბელტს, არ დაეცე,  
 ფრთებით მიჭირავს შენი ნაბიჯი.  
 შენ კი ამ დროს ატატებული გყავარ თურმე  
 აღმაფრენებით.  
 რა ერთნაირად გვიყვარს ხოლმე  
 სევდის ჭის ფსკერზე ყურება და  
 როცა ერთად მივადგებით ჭის ოქროვან გვიმს,  
 გვეშინია, არ ჩაიქცეს და  
 ერთდროულად ერთმანეთის კიბეც ვხდებით,  
 ფრთებიც გვესხმება,  
 ერთმანეთის სტრიქონს ვებმებით  
 და ნუგემ-ნუგემ სიყვარულს ვმღერით,  
 როგორც ღამეში, მარტოობას რომ მღერიან  
 შიშის მგზავრები.  
 მე ხომ არასდროს მინერია დღიურები  
 მომავლისათვის,  
 შენ კი სულ მფურცლავ,  
 მარჩიელობ ჩემს ვარსკვლავებზე,  
 წეროების გუნდებს მიჰყვები.  
 ამ უსასრულო გადაფრენაში

შემომიცივითე შფოთვაც თანდათან,  
 რადგან უკვე ზეპირად ვიციტ ჩვენი ფრთის  
 ძალაც.  
 ცის ბილიკებიც, როგორც მინისა, გაკვალულია.  
 ჩვენ გზებიც ვიციტ, უსახელო შესახვევებიც.  
 ყველა სტიქია მოვიცისმარეთ,  
 მოვიმზისნამეთ, მოვიქარიშხლეთ,  
 და უძირო მწვერვალებზე, თოვლი რომ ყვავის,  
 შენ ნაფეხურთა ედეღვაისებს,  
 ისე ვპოულობ, არც კი გითქვამს, რომ  
 მსტუმრებიხარ.  
 ალბათ მეძინა, ჩათვლემილს, მშვიდად,  
 შენ კი ისე გეძვირფასება ჩემი სიმშვიდე,  
 ფეხაკრეფით მოგივლია ჩემი შინ  
 და წასულხარ შენთან.  
 ჰოდა, ახლა ამ სიზმრიდან როცა ავდგები  
 და მოვადგები სასუფეველის წნულ ღობეს ისევ,  
 სადაც ჩემი თეთრი ხბორები მეგულებიან,  
 სადაც სინრფელე სუფთა ფურცლის ისე  
 გაღელვებს,  
 თითქოს ბილილებს გადათელავს შენი ნაწერი,  
 მოვალ და გკითხავ, როგორ მენდე და  
 დამემგზავრე?  
 შენ კი თეთრ ხბორებს ხელს აუქნევ და ჩაიციინებ –  
 „ღმერთით, ღმერთითო“...



# ნათია როსცინაშვილი

## ღმერთს მგე დარჩა ჩართული

მზე აჭერს უბედურად. დღისითაც და ღამითაც. თუმცა, სადღაა ღამე?..

გაუნძრევლად წვანან. თემო გვერდზეა გადატრიალებული. მის ზურგსუკან სიცხისგან მისავათებული თეო წევს გულაღმა. ოდნავ განზე განეული ხელებიც გულაღმა უწყვია, ანუ ხელის-გულებით ზემოთ. შუშის თვალებით მისჩერებია ჭალს, რომელზეც თეოს თვალებისფერი შუშის მძივებია ჩამოკონწიალებული.

– რა გახდა ერთი ხეირიანი ასტროლოგი ან ღმერთი?! ან, რა ვიცი, ვინმე ციურ სხეულთა სპეციალისტი? – ჩუმად თქვა თემო.

– ციურ სხეულთა სპეციალისტი არა, მეიხტი-ოზავრე...

თემო სანოლიდან ადგა, მიხურული სარკმლის ღრიჭოში გარჭობილი სიგარეტი ფრთხლად გამოაცურა, დახედა და ისევ ღრიჭოში დააბრუნა.

– მოეკიდა?

ჭალისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე ჰკითხა თეომ.

– ნნ... იცი, როგორი რამეა?

– რა, სიგარეტი?

– ოოო... მზეზე ვამბობ.

– ...

– აი, შენ რომ გაზზე ქვაბს დგამ და მეზობლებში გადიხარ...

– მილიონი წელია მეზობელთან არ გავსულვარ.

– ასაკის დაკონკრეტება საჭირო არ იყო.

– შენზე ათასერთი ღამით ახალგაზრდა მაინც ვარ.

– შენ არ გესმის... პრობლემის ანალიზი გვეხმარება. შეიძლება პრობლემის მოგვარებაში არა, მაგრამ რალაცაში გვეხმარება, ხვდები? შიშის დაძლევაში, დროის გაყვანაში... მოკლედ, შენთვის გასაგებად რომ ავხსნა, ასეა: როგორც შენ, პირობითად, მეზობელთან გადიხარ და ჩართულ გაზზე ქვაბი გრჩება, ეგრე გავიდა ღმერთი და მზე ჩართული დარჩა.

– ხვდები, რომ სისულელე თქვი?

თემომ არაფერი უპასუხა. ეს ჩხუბიც მოზეზრდა უკვე. რალაცნაირად აღარ გამოდის. ცოლად რომ მოიყვანა, ურთიერთობა კარგად აენწყოთ. ან იქნებ პირიქით, ურთიერთობა ისე კარგად აენწყოთ, რომ ცოლად მოიყვანა. მერე თითქოს ველარ უგებდნენ ერთმანეთს. ეგ კი ზუსტად ახსოვს, რომ ვერგაგების ამბავი მას შემდეგ იყო, რაც ცოლად მოიყვანა.

კონფლიქტსაც ისევე სჭირდება ორივე მხრიდან ხელშეწყობა, როგორც ურთიერთშეთანხმებას, – ფიქრობდა თემო, – თავიდან გამოგვდიოდა, ზუსტად ვიცოდით, როგორ შეგვეძლო ერთმანეთის გაცოფება. ახლა ველარ ვენყობით. ზუსტად არ ვიცი, რა არ გვესიამოვნება ერთმანეთისგან.

მზე ზღვარგადასულად ვარვარებს. რალაც ვერაა რიგზე. გარეთ მხოლოდ თვითმკვლელები გადიან.

სიყვარულით გართობა მოგვებზრდა, ჩხუბი აღარ გამოგვდის, ასანთი და ზაჟიგალკა გამოცალეთ. რა ვაკეთოთ? ახლა გაბუტვა სიგიჟეა. თუ არ ვილაპარაკე, გავგიჟდები, – თემო „ვენტილატორს“ უყურებს, თეო – ჭალს.

– უნდა დავმშვიდდეთ, თეო. ძალიან გავვიმართლა, რომ მეთექვსმეტეზე არ ვცხოვრობთ. ვინც მაღლაა, უფრო მაღე ჩადნება.

„რა კაია, რომ მეცხრეზე ვართ! არ ჩავდნე-

ბით!“ – მას მერე, რაც „ღმერთს მზე დარჩა ჩართული“, ეს პირველი პოზიტიური ფრაზა იყო, რომელიც თეომ გაიფიქრა.

– მეცხრეზეც ბლომად ჩადნებიან. – უთხრა თემომ „ვენტილატორს“.

თეო პირქვე გადატრიალდა, მოიკუნტა, ცხელი შუბლი გასაგრილებლად თბილ მუხლებს მიაჭირა.

– ვხუმრობ. უფრო სწორად, ვგონებამახვილობ. ცხრასართულიანები ვიგულისხმე. – თემომ ვენტილატორს მიწებებული თვალები აახლიჩა და თეოსკენ გადაბრუნდა. გაოფლილი თითი ხერხემლის მალეზე ხტუნვა-ხტუნვით ჩამოაყოლა. გამხდარი იყო თეო... თემომ ამ წუთას, ხერხემალზე „ჩამორბენის“ დროს იგრძნო, რომ თეო ისევ ძალიან უყვარს. შეიძლება იმაზე მეტადაც, როცა თვლიდა, რომ საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმით უყვარდა.

ადამიანის შესაძლებლობები ამოუნურავია. – გაიფიქრა.

რა კარგია, რომ მეცხრეზე ვართ. – თეომ მეორე წრეზე დაატრიალა პოზიტივი. – რა კარგია, რომ ცხრასართულიანის კი არა, თექვსმეტსართულიანის მეცხრეზე ვცხოვრობთ.

– ანო!

თეო უცებ სანოლიდან წამოხტა და ტელეფონს ეცა.

\* \* \*

...სახლის ყიდვა რომ გადაწყვიტეს, ამ სადარბაზოში ორი ოჯახი ყიდდა ბინას: მეცხრეზე და მეთექვსმეტეზე. თეომ მეთექვსმეტე აირჩია. სახურავზე სახელოსნოს გაკეთება უნდოდა.

– რალაცნაირად, შენთვისაც კარგია, – უთხრა თემოს. – აი, ძმაკაცები რომ მოვლენ და ეტყვი: ჩემი ცოლი სახელოსნოშია, მალლა, ხატავს. რალაცნაირად, ამაყად ჟღერს. რა, არა?

– ნუ სულელობ, – ჩაეხუტა თემო (მაშინ ურთიერთობა აწყობილი ჰქონდათ, ჩხუბის აწყობის საჭიროება არ იყო). – იმაზე დაფიქრდი, ანოს რომ დაიბარებ საჭორაოდ, სადარბაზოში შემოვა და ლიფტი გაფუჭებული დახვდება. ეგ თავისი

ასამოცდათვრამეტ სანტიმეტრიანი ქუსლებით მეთექვსმეტეზე ამოვა ფეხით? ეგრევე უკან გაბრუნდება!

– მეცხრე აქვია, უცებ ამოიბენს, არა? – გაიცინა თეომ.

ეგეთი პერიოდი იყო, თეო შეკამათების მაგივრად იცინოდა. თითქოს თვალებიც მაშინ უფრო ღია ცისფერი ჰქონდა. მერე ჩაუმუქდა ყველაფერი, თვალებიც, ხასიათიც...

ჰო, ბინა მეცხრეზე იყიდეს. მერე თემოს ძმაკაცმა ვანომ თეოს დაქალი ანო ცოლად შეირთო და ის ბინა იყიდეს, მეთექვსმეტეზე. ოროთახიანი ბინა და ორი წყვილიც დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, ანოსთვის.

\* \* \*

– ანო!

თეო უცებ სანოლიდან წამოხტა და ტელეფონს ეცა. ვიდრე ნომერს კრეფდა, თემო ნერვიულად ისრესდა გაოფლილ შუბლს:

რალაც ხდება. არა, რალაც რომ ხდება, გასაგები, მაგრამ პლუს პირადად ჩემს თავს ხდება რალაც. უფრო სწორად, „თავს“ კი არა – თავში. აზროვნებასა და მეხსიერებაში მერხევა. საერთოდ არ გამხსენებია ვანო და ანო. ვთქვი „მეთექვსმეტე სართული“ და საერთოდ არ გამხსენებია ეგენი.

– ზარი გადის, არ პასუხობენ... – შეშინებულმა თეომ თემოს გახედა. – ჩ... ჩადნენ?

მზე იყო შეუბრალებელი და ხარბი. მთელ ცაზე გადაფაშულიყო და არხეინად ვარვარებდა.

– რომ ჩამდნარიყვენ, ზარი არ გავიდოდა.

თემო ზანტად წამოდგა, „ფორთოქვის“ ღრიჭოდან სიგარეტი ნერვიულად გამოაცურა, დახედა და უკან შეაცურა.

რა ლოგიკა იყო ამ „რომ ჩამდნარიყვენ, ზარი არ გავიდოდაში“? იყო კი საერთოდ რამე ლოგიკა? ან ლოგიკური იყო კი ლოგიკით ხელმძღვანელობა, როცა მზე სრულიად ულოგიკოდ დამხობოდათ თავზე?

სანამ თემო ნერვიულობდა, თეო დამშვიდდა. აინონა-დაინონასავით ჰქონდათ ნერვები.

რა კარგია, რომ მეთექვსმეტეზე არ ვიყიდეთ. – გაიფიქრა თეომ და ორჯერ ზედიზედ შერცხვა: პირველად სინდისისა და ანოს, მეორედ კი – თემოს წინაშე.

ჩემი ყველა უთანხმოება თემოსთან, ქვეცნობიერად, იმის ბრალი იყო, რომ გულის სიღრმეში ვერ ვპატიობდი, ბოლო სართულის ყიდვა და სახელოსნოს გაკეთება რომ გადამაფიქრებინა. არადა, ფაქტობრივად, მისი დამსახურებაა, ამ წუთას გადარჩენის იმედი რომ მიბუყტავს გულში თუ ტვინში.

თეო თემოს გვერდით, მის გაშლილ მკლავზე წამოწვა და მშვიდად იკითხა:

– ნეტა, რამდენი დღეა, რაც გარეთ არ გავსულვართ? – თან ჭალს უყურებს. დაწოლისთანავე ჭალის ყურება რალაცნაირად, ბუნებრივ მოქმედებად ექცა. ისევე, როგორც ადგომისთანავე ფეხის ჩუსტში გაყოფა.

– დღეებს დაღამება-გათენების მიხედვით ითვლიან... – იმავე ჭალს ასრურჩულა თემომ.

– ესე იგი მხოლოდ ერთი დიდი დღეა, რაც სახლში ვართ. – გამშრალი ტუჩი გაღიმებისას გადაუსკდა და სისხლის წვეთი ამოეზარდა თეოს.

ორივენი ჭერს რომ უყურებთ, ამიტომაც დავინწყეთ ერთმანეთის გაგება. – გაიფიქრა თემომ. – ნელან რომ ამეხედა, ან თეოს ეყურებინა, ჩემსავით, ვენტილატორისთვის, „ღმერთს მზე დარჩა ჩართული“ სისულელეად არ მოეჩვენებოდა. იქნებ, სისულელეცაა, მაგრამ თეოს სისულელეად არ მოეჩვენებოდა.

მოგუდული ყმუილი შემოესმათ.

პაკოა. – თეო დაიძაბა. – როცა ძალღი ყმუის, მისი პატრონის სიკვდილს მოასწავებს. პაკო ქუჩისაა, მთელი კორპუსი მაგის პატრონები ვართ. ყველანი დავიხოცებით.

თვალის კუთხიდან ცრემლის წვეთი ამოუგორდა. ნელა, ზანტად. თითქოს მლაშე წყლის კი არა, – ჟელატინის წვეთი იყო. ტუჩზე ისევ ედო სისხლის წერტილი. არ ჩამოეღვარა, იქვე შედედა.

ორგანიზმიდან წყალი ამომეხაპა, ნერწყვიც გამისქელდა და ცრემლიც. – გამსკდარ ტუჩთან

შესქელებულ წვეთზე არაფერი იცოდა ჯერ. – თან პაკოც ყმუის. რატომ არ ვნერვიულობ? არა, კი ვნერვიულობ, მაგრამ ეს რა არის, ბევრად სერიოზულ იზმენაში უნდა ვიყო. რატომ არ ვარ?! ესე იგი რალაც ვერ მაქვს მწყობრში.

ეს „რატომ არ ვარ?“ აუცილებლად „დააიზმენებდა“ იმ დოზით, რამდენითაც, ასეთ სიტუაციაში (თეოს აზრით) უნდა იყოს ნორმალური ადამიანი, მაგრამ თემომ არ აცალა, ხმამაღლა წამოიყვირა:

– პაკოა! ხვდები ეს რას ნიშნავს?

თემომ მკლავი შემოხვია, თავზე აკოცა.

– მაგას კი ვხვდები, მაგრამ შენ რა გიხარია, ამას – ვერა.

– თეო, გადავრჩებით, თეო!

თემო ჩაეხუტა და ისე ძლიერად შეანჯღრია, თეოს წელანდელი ცრემლი მძიმედ, მაგრამ მაინც ჩამოუგორდა ლოყაზე.

– ყმუის, პაკო ყმუის! პაკო ცოცხალია. ყმუილი ცოცხლების თვისებაა, თეო! გარეთ სიცოცხლე არ ჩამკვდარა!

სანამ თემო ბოლო ხმით გაჰყვიროდა, მოგუდული ყმუილი მოთქმა-ტირილში გადაიზარდა.

გოდერძაა! – ზუსტად ერთდროულად გაიფიქრეს. მარტოხელა, მოხუცი მეზობელი გოდერძა... ამათი ჭერი იმის იატაკი იყო.

თეო აკანკალდა. შუბლიდან წარბებისკენ ხტუნვა-ხტუნვით დაიძრნენ ოფლის მკვრივი წვეთები.

– დამშვიდდი, აი, ხომ ხედავ, გოდერძაც ცოცხალია... – თქვა გაფითრებულმა თემომ.

– პაკო ალბათ სადმე გდია დაჩუტული... – თეომ წვალეებით ჩაიგდო ნერწყვის თანთალა მასა საყლაპავ მილში. – აი, რომ გადავრჩებით, თუ გადავრჩით... მოვლენ დასუფთავებიდან და გზებზე დაყრილი ძაღლების ჩენჩებს ნიჩბებით აკრეფენ, როგორც ბლინებს ცხელი ტაფიდან.

– თეო!

– არ ვნერვიულობ, პოეტურ რალაცას ვამბობ.

– რა არის პოეტური, დაჩუტული ძაღლების ტყავები?!

– არა, ეგ საშინელებაა. პოეტური ისაა, რაც მათგან დარჩება.

– დამშვიდდი-მეთქი!

თემომ თითები აათამაშა. ნერვიულად წამოხტა სანოლიდან, სქელი ფარდები ოდნავ გადასწია, გაიჭყიტა. მილიონი პროექტორის ეფექტით ანათებდა მზე. თეო აღარ კანკალებდა, მშვიდად განაგრძობდა:

– და იცი რა დარჩება პაკოს მეგობრებისგან? – ნახატები. მზისგან ჩამუქებულ, დაზაგრულ მინაზე თეთრად დარჩება მათი პორტრეტები, ადგილები, რომლებზეც მათი ტყავები ეყარა. ნეგატივივით გამოჩნდება ჩვენი აივნიდან. ეს უნდა დავხატო.

თემომ მუშტი დაარტყა კედელს.

– გაჩუმდი!.. მოდი, დავკონცენტრირდეთ პრობლემაზე. რადგან პრობლემა გლობალურია, დავიყვანოთ ის ჩვენთვის გასაგებ, გამარტივებულ მოდელზე.

– გასაგებია. მე გავედი მეზობელთან, ღმერთს მზე დარჩა ჩართული... მერე?

– ჰო... და ხდება ამ დროს? რა დღეში არიან ქვაბში მყოფი პროდუქტები? ჯერ არაფერი, მერე ცხელდებიან, დუღდებიან, წყალი შრება. მაგრამ მაქამდე საქმე არ მიდის ხოლმე. შენ, დიასახლისი პასუხს აგებ შენს ქვაბზე. ამიტომ დიდი ალბათობაა, გამოიქცე მეზობლისგან და გამოერთო.

– ჩვენ რა ეტაპზე ვართ, ვდუღვართ?

– არა, ჯერ მხოლოდ შევთბობთ, დრო გვაქვს...

– მეჩვენება, რომ სიკვდილის გეშინია, თემო...

თემოს სახეზე სინითლემ გადაუარა. იგრძნო, რომ თეო ვილაცაა. სხვა პლანეტიდანაა. არაფერი აკავშირებს ამ ქალთან, სულ გვერდით რომ უწევს და გვერდში არასდროს უდგას. ამ ქალს მისი არ ესმის, გარემოს ადეკვატურად ვერ აფასებს. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა მხოლოდ ჭალზე მზერამიყინულობისა და გესლის ნთხევის საშუალებას იძლევა. მას ფარული, ჩუმი ისტერიკა სჭირს.

ცოლოა! – დაასკვნა ბოლოს და სიბრაზემ გაუარა.

– კაი და, გავერთე მეზობელთან და სულ არ მახსოვს ეს ჩემი ქვაბი? მაშინ რა ხდება? დავშრებით, დავინვებით, გავიჭვარტლებით, დავიხრუკებით... ასეა?

– გეყო! იცი, რა განსხვავებაა ჩემსა და შენს შორის?

– არავითარი. უკვე არავითარი, თემო. ორივე ერთ ქვაბში ვიხრაკებით...

ისევ ყმუილი.

პაკოა, მოვკვდებით! – დაიძაბა თეო.

პაკოა, გადავრჩებით! – გაეხარდა თემოს.

ყმუილი შეწყდა და ზედა სართულზე რაღაც დაბრაახუნდა. ჭალი ოდნავ შეივსა.

– ჩვენი ჭერის ამოტრიალება რომ შეიძლებოდა. გიფიქრია, ამაზე, თემო? თეთრი ჭერის მაგივრად გოდერძას მოუხეხავი იატაკი რომ ჩაჯდეს... და ჩვენი ეს უბრალო ჭალი როგორ სამოთხის ჯადოსნურ ხესავით გამოჩნდება გოდერძას ხრიოკ ოთახში...

თემო უსიტყვოდ დანვა. თეოს ზურგი შეაქცია და ისევ „ვენტილატორს“ მიაშტერდა.

– მიყვარხარ. – ჩუმად თქვა თემომ და მოეჩვენა, რომ მისი პირიდან ამოსულ სიტყვას, მზეზე გახურებული ასფალტით, ბული აუვიდა.

– თემო, იცი, გამოსავალი მოვიფიქრე, ანუ საშველი, იმ შემთხვევაში, თუ მე და ღმერთი გამოსართავად არ მოვბრუნდებით.

თემო ხმას არ იღებს. „ვენტილატორის“ ერთფეროვან მოძრაობას მისჩერებია და ფიქრობს: ჩვენც ასე, წრეზე ვტრიალებთ მთელი ცხოვრება. ახლა, მითუმეტეს...

– აუცილებელი არაა ერთმანეთში ჩაშუშულები დავიხრუკოთ. მისმინე: როცა ქვაბი სავსეა (ჩვენი „ქვაბი“ კი ნამდვილად სავსეა. ჯერ მარტო ჩინელები რამდენნი არიან?!), დუღილისას წყალი ქვაბიდან გადმოდის და გაზს აქრობს. ჰოდა, მორჩა ხარშვა. ნავედით სამსახურებში.

ეს ვარიანტი როგორ ვერ მოვიფიქრე?! ღმერთის ნების გარდა, სამყარო ფიზიკაა, ქიმიაა, მექანიკა... საშველი ყოველთვის არის! – დამშვიდებულ-დაიმედებულმა თემომ ხმამაღლა სულ სხვა რამ თქვა:

– ეგ არაა გამოსავალი. მერე გაზის სუნი წავა.

რატომ ვუდგები ჯიბრში თეოს? რაღა აზრი აქვს? – თემო გულაღმა გადატრიალდა. ეს ორი მდგომარეობა ამოიჩემა: მარცხენა გვერდზე და გულაღმა. ჭერში ყურება უფრო ოპტიმისტურად

განაწყობდა, ვიდრე ბალიშში თავის ჩარგვა. გაცხელებული გამაგრილებლის, იგივე ვენტილატორის ყურებაც, ამკარად უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ხორცცხელი და გამომეტყველებადგაყინული ცოლისა.

– არ გინდა აღიარო, რომ გაჯობე და გამოსავალი მოვძებნე. განსხვავებას ვერ ხვდები? დამწვარი ცოლი გირჩენია თუ სუნიანი?

რატომ მიდგება ჯიბრში თეო, რალა აზრი აქვს?

– პირადად ჩემთვის ორივე ერთნაირი დისკომფორტია, ცოლო.

რამდენი ხანია წყალი არ მოდის. ორივენი სუნიანი ვართ... – გაიფიქრა თეომ. – და მალე ორივენი დავინვებით, ამხელა სიცხეს ვერ გავუძლებთ. – თემოს გახედა.

– რატომ არ გვწყურია, თემო? ან სიგარეტს რომ ვერ ვენვეით, რატომ არ გადავდივართ ჭკუიდან?

– მაგას თვითგადარჩენის ინსტიქტი ჰქვია. ჩვენმა ტვინმა იცის, რომ არჩევანი არ გვაქვს. ამიტომ, რომ დავგიცვას, მოთხოვნის სიგნალებს არ უგზავნის ჩვენს სხეულს. ჩვენს უიმედო „მინდას“ ბლოკავს. – თვალეები დახუჭა. – რა სისულელები ვილაპარაკე!

– მიყვარხარ. – თქვა თეომ და ისევ მოეჩვენა, რომ სიტყვას აღმური აუვიდა. ეს უკვე მეორედ და ისევ „მიყვარხარს“. ვითომ იმიტომ, რომ ყველაზე ცხელი სიტყვაა? იქნებ სხვა სიტყვებზეც ეგრეა და არ დაკვირვებია?

– თოვლი. – დაიჩურჩულა თეომ.

– რა?

– არაფერი.

არანაირი ბული, აღმური და ოხშივარი. ის კი არა, თითქოს ოდნავმა სიგრილემაც კი დაუარა ტუჩებზე.

შეთანხმებულებივით ერთდროულად დახუჭეს თვალები. ასეთ დროს თვალების გახელა-დახუჭვა ბევრს არაფერს ცვლის.

დამწვრის სუნი შეეზღაზნათ ცხელ ნესტოებში. სქელი ბოლი დახუჭული თვალებითაც იგრძნეს.

თემო წამოხტა და სიგარეტს ეცა. მერე ოთახს მოავლო თვალი.

– მოეკიდა? – შეშინებულმა იკითხა თეომ.

– ნნ... ვენტილატორი გადაინვა.

– კიდევ კარგი. – ამოისუნთქა თეომ.

– რა „კიდევ კარგი“?.. უვენტილატორობაც თითქმის იგივეა, როგორ ვერ ხვდები!

– შენი თეორია გვიშველის. ტვინი დაბლოკავს ჩვენს სურვილს „მინდა გაგრილება“.

„აინონა-დაინონა“ ძალაში რჩებოდა. თეოს მშვიდად დაწყობილი ნერვები თემოს ნერვების ყალყზე შედგომას მოითხოვდა.

– ეს კატასტროფაა! დასასრულია! კოსმოსი წყობიდან გამოვიდა და ჩვენი ვენტილატორით მალე ბოლს გაუშვებს. საშველი არაა!

– დამშვიდდი. – ჭალს უთხრა თეომ. – სიგარეტის ეგ ღერია ჩვენი საშველი. იფიქრე მასზე, როგორც მაშველ რგოლზე. რადგან არ ეკიდება, ესე იგი, გარეთ არც ისე უსაშველოდ ცხელა. იფიქრე ამაზე და დამშვიდდი. მოეკიდება თუ არ მოეკიდება, ეს ღერი ჩვენი იმედია, თემო.

– არ მოეკიდა, გვიხაროდეს და რომ მოეკიდოს, მაინც? – ასე ირონიული ჩაცინება მხოლოდ მაშინ იცოდა, როცა არ უნდოდა მისი სასონარკვეთა ვინმეს შეემჩნია.

– თუ მოეკიდება, მოვნევთ. არ თქვა, რომ ახლა ერთი ღერის მოწვევაში სიცოცხლეს არ დათმობდი.

თავის მოტყუება იყო ეს ჭერში ყურებით ყურით მოთრეული ოპტიმიზმი. თემო პირქვე ჩაემხო ბალიშში. თეოს უშფოთველი ტონი აღიზიანებდა. როდის გაცვალეს როლები? სიმშვიდის შენარჩუნება და გამოსავალის ძებნა ხომ თემოს „როლი“, თემოს უპირატესობა იყო?!

– იცი, შენგან რომელი ფრაზის მოსმენა მსიამოვნედა ყველაზე მეტად?.. – თეოს გამაღიზიანებლად მშვიდი ხმა ჰქონდა. – „ჩემი მზე ხარ“...

– უნდა ვილოცოთ. – საკუთარი თავისისთვისაც მოულოდნელად თქვა თემომ.

– ღმერთო, გამორთე მზე. ალღელუი... – თეოს ისტერიკული სიცილი აუვარდა. მშრალი ყელიდან სტვენისმაგვარი ხმა ამოსდოდა.

გალიზიანებული თემო მისკენ რომ გადაბრუნდა, თეო უკვე ტიროდა.

– დამშვიდდი. – თეოს თავი მკერდზე დაიდო თემომ. – თითქოს ისე აღარ ჩახჩახებს.

ღმერთო, გამორთე მზე. ალელუია. – გულში მექანიკურად გაიმეორა თეოს „ლოცვა“.

– მეც ეგრე მომეჩვენა, მაგრამ უბრალოდ თვალი შევაჩვიეთ. ამას აღარაფერი ეშველება, თემო. ისლა დაგვრჩენია ბოლო ფრაზა ვთქვათ. რამე ამ სტილში: სიგიჟემდე მომენატრები, მეგობარო...

თემო სანოლიდან წამოხტა. ფანჯრის ჩარჩოს მუშტი სთხლიდა.

„ღმერთო, გამორთე მზე! ალელუია“.

ხელი სარკმელისკენ გაიწოდა და გაქვავდა.

– მოეკიდა? – დაიჩურჩულა თემომ.

– მოეკიდა? – თქვა.

– მოეკიდა?! – იყვირა.

– გადავარდა. – დაიჩურჩულა თემომ.

თეო სანოლიდან წამოხტა.

– მოკიდებული იყო და გადააგდე, ჩემთვის რომ დაგემალა? – ხმა არ ამოუღია, გაფართოებული თვალებით ჰკითხა.

– დამშვიდდი. შეგნებულად არ მიქნია, მუშტი რომ დავარტყი, ეტყობა მაშინ გადავარდა. – დაძაბულმა უპასუხა თემომ.

თემომ არ დაიჯერა. – თვალს მარიდებს. დარწმუნებული ვარ, მოკიდებული იყო და გადააგდო, რომ არ შემშინებოდა. თუ შეგნებულად არ გადაუგდია და სიგარეტი გაქრა, ალბათ მოეკიდა და ჩაიწვა. ორივე შემთხვევაში, გარეთ ყველაფერი დულს და მალე ყველაფერი დამთავრდება.

თემომ ჩაიმუხლა. იდაყვებით ფეხებს დაეყრდნო, სახეზე ხელები აიფარა. წინ და უკან რწევას მონოტონური ხმა ააყოლა:

– ღმერთო, გამორთე მზე! ალელუია... ღმერთო, გამორთე მზე! ალელუია... ღმერთო, გამორთე მზე! ალელუია... ღმერთო, გამორთე მზე!..

სადარბაზოსთან დავარდნილ სიგარეტს რამდენჯერმე დაყნოსა, თათი გაჰკრა და თავი მიანება პაკომ.

## ერთრდილიანი ქალაქი

### 1.

#### დავითა

ახალი ამბების წამყვანს, ეველინას, ჟოლოსფერი პიჯაკი ეცვა – ტანზე ისეთნაირად მომდგარი, რომ იფიქრებდი, ერთი გულიანი ჩასუნთქვა ან წამოხველება და ღილებამწყდარი პიჯაკიდან მკერდი მაგიდაზე გადმოუფუფვდება.

„თუ ასტეროიდი დედამინას დაეჯახება...“ – ეველინა თვალბამღვრეულ დავითას თვალმოუცილებლად უყურებდა და გონებასაც უმღვრევდა. დავითამ ტელევიზორს ზურგი შეაქცია. ორ კაცზე გაშლილ ღარიბულ სუფრას მიუბრუნდა, პურს ყუა წაატეხა, მაგრამ პირთან მიტანილი ლუკმა ისევ საპურეზე დაახეთქა.

– აეგრე მიყურებს, ძმაო!.. მოვა, მიყურებს და მიდის. გეუბნები, ძმაო, გამორთულს ვტოვებ, აღარ მინდა გულის ნაკანრს მარილი ვაყარო. ყოველდამე გამორთულს ვტოვებ, მანაც ირთვება. თავისით ირთვება და მოდის... მოდის და აეგრე მიყურებს...

დავითამ ჭიქა არყით შეივსო, მეორე ჭიქაშიც ჩამოასხა. ერთი თვითონ დაიდგა, მეორე წინ გააჩოჩა. ძეხვი დაჭრა, ერთი ნაჭერი თავისთვის გადმოიღო, ერთიც მეორე თეფშზე გადადო და ისევ თავის ჭიქას მიუბრუნდა.

– მოდი, ძმაო, ამ ჭიქით სიყვარულს გაუმარჯოს. მაგის გარეშე ვინა ვართ? აი, მე ვინა ვარ? მე დავითა აღარა ვარ. დავითა, მაგასთან ერთად რომ ვიღვიძებდი, მაშინ ვიყავი. ეგ რომ კარს გამიღებდა და გამიღიმებდა, დავითა მაშინ ვიყავი. ეგ რომ ზევიდან საბანივით მეფარა და ისე მეძინა, დავითა მაშინ ვიყავი. დილით ჩაის რომ დამისხამდა, სამ კოვზ შაქარს ჩამიყრიდა, მოურევდა, დავითა მაშინ ვიყავი... სიყვარულს გაუმარჯოს, ძმაო!

ჭიქა ჭიქას მიუჯახუნა, ამოიხსრა. მოგონებები, დარდი, ვარამი და ასი გრამი არაყი თავის „ჯაჭვებიანად“ ერთ ყლუპში ჩაატია და გადაკრა. მეორე ჭიქასაც დასწვდა. ამ ყლუპით ყელში მობჯენილი ბურთი ჩააგორა და თავი მაგიდაზე ჩამოუვარდა.



– არ ნახვიდე, ძმაო, დავბრუნდები, – ამოილულულა და ხვრინვა ამოუშვა.

„მემთვრალეობა ცოდვილი სულის სნეულებაა, ღვთიშვილნოო...“ – ქუჩიდან ფანჯარაში ფოთლებივით შემოყარა ქარმა სიტყვები.

დრო იყო, დავითა არაყს მხოლოდ გაციების პირველი სიმპტომების აღმოჩენისას სვამდა. სვამდა კი არა, ჭამდა. ჩამოასხამდა ბროლის ჭიქაში ცოტას. ჩასუნავდა და „ფიიჰ!“ იმანჭებოდა. ეს ჩასუნვა ახლაც ჩვევად აქვს, მაგრამ ახლა ჰ-ს აღარ ამბობს და იმ ამოგდებული ჰ-დან უკუღმა მოდის: „იიფ!“

მოაყრიდა პილპილს, ჩაანურავდა ლიმონის ნაჭერს, ნერწყვმომდგარ პირს გაანკლაპუნებდა. მერე ჩაის კოვზით სიდედრის გაკეთებულ აჯიკასაც დაამატებდა, კარგად მიჭყლეტ-მოჭყლეტდა, მოურევდა, შეანჯღრევდა და დაფჩენილ პირში იპირქვავებდა. თან ჭიქის ძირს ნკიპურტს აშველებდა, რომ ბროლის კედლებზე მიმხრჩვალ ლიმონის ნარჩენები ვირუსთან ბრძოლაში დეზერტირებად არ დარჩენილიყვნენ.

მაშინ გაუთოებული პერანგები ეცვა, პატივსაცემ ადამიანთა რიგებში ეწერა. თავს უფლებას აძლევდა, ლექციის კითხვა შეენვიტა, სათვალის მინები აუჩქარებლად დაეორთქლა და გახამებული ცხვირსახოცით რამდენ ხანსაც უნდოდა, იმდენ ხანს ეპრიალებინა. ვინ რას გაუბედავდა? სტუდენტები მოთმინებით ელოდებოდნენ, თვალელებში შესცივინებდნენ... მაგრამ ეს ადრე იყო. მაშინ, როცა გვერდით ულამაზესი ცოლი ჰყავდა. ერთხელაც, როგორც ძმოსთვის იცოდა ხოლმე მოყოლა, ზედ ფაქტზე წაასწრო ცოლს და ცხოვრებაც იქ დამთავრდა.

– როგორც ქვიშის საათი ამოატრიალო, აეგრე ამოყირავდა ჩემი ცხოვრება, ძმაო. არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა, მაგრამ ძვლები მიგრძნობენ, სადაცაა ქვიშის ბოლო მარცვლებიც ჩამოიბერტყება და მორჩება ეს ძალღუერი ცხოვრება. კაცი რომ ცოლს ზედ ფაქტზე წაასწრებ, ის ცხოვრება მალე დასამთავრებელი ცხოვრებაა, ძმაო.

ჯერ თავისი წილი არაყი გადაკრა, მერე – ძმოსი და დაელოდა, როდის მოისმენდა იმას, რასაც, როგორც წესი, ორივე ჭიქიდან არაყის გადაყ-

ლურწვის შემდეგ ისმენდა ხოლმე ძმოსგან:

– დავით, არა ხარ მართალი. რა ფაქტი, რის ფაქტი?! ფაქტი არის, როცა საწოლში წაასწრებ, ან უსანოლოდ, მაგრამ მაინც ფაქტზე. შენ კიდევ კომპიუტერში წერილი ნახე, იქაც პირდაპირ არაფერი ეწერა...

ეველინასთან დაშორების მერე ლექტორობასაც დაანება თავი და სათვალის მინების გახამებული ცხვირსახოცით წმენდასაც. მთლად „დაანებაც“ არ ეთქმის – ლექციებზე სლოკინს და ფილტვებიდან ნახშირორჟანგის ნაცვლად ალკოჰოლის ამოსუნთქვას რომ მოუხშირა, ადგნენ და გამოაგდეს. სათვალის ამბავში კი სუფთაა, არავის გაუხდია იძულებული, თვითონ შეეშვა – ძმოსთან საუბრისას მინის წმენდის გამო გაკეთებულ პაუზას ის ხიბლი აღარ ჰქონდა...

სახლიდან თითქმის არ გადიოდა. არავის ეკარებოდა. ერთადერთი ადამიანი, ვისაც გულს უშლიდა, ვისაც მისი ესმოდა, ძმაო იყო. დავითამ თავისი გონების ჯერ კიდევ საღი ნაწილი გადაინახა, დააბანდა ძმაოში.

– ღმერთზე ვფიქრობ, ძმაო, ბოლო დროს. აი, შენი ღმერთი ხომ მე ვარ? ჩემმა ღმერთმა ტალახისგან შემთხაპნა, მე სუფთად გაგაკეთე. ტვინისგან, ფიქრებისგან, ჩემგან. ჩემი საუკეთესო თვისებები დაგითმე. ახლა მითხარი, ვინ უფრო ღმერთია – ის თუ მე?

ძმაო უსმენდა, გვერდიდან არ სცილდებოდა და საჭირო დროს იმას ეუბნებოდა, რისი მოსმენაც დავითას უნდოდა. დავითას ზოგჯერ ავინყდებოდა კიდევ, წარმოსახვის ამბავი რომ იყო. ეჩვენებოდა, თითქოს ძმაო მართლა, რეალურად, ხორციელად იჯდა ხოლმე მაგიდასთან.

## ესმა და ლანკა

„ასტეროიდის ზომა...“

– ესმ, ეს ეველინა როგორ გაიქაჩა, არა?.. საათის ისრის მიმართულებით უნდა ვატრიალო?

– აბაა, ქალო! ეგ ქმარს რატომაა გაშორებული, ხომ იცი? კი, საათის ისრის მიმართულებით...

– რავი, ვითომ, საყვარელი ჰყავდა, ქმარმა

სახლიდან გააგდო. არ მჯერა, ტყუილი იქნება. ეგეთი კარგი ქმარი როცა გყავს, რატომ უნდა უღალატო?

– შენმა გულუბრყვილობამ მომკლა, რაა, ლანკა... ეგ გოგო ბო-ზი-ა! საკუთარ საწოლში წაასწრო ქმარმა სხვა კაცთან! ძუკნაა ეგ შენი ეველინა! – ესმას შავად უელავდა თვალები. ლოყები აუწითლდა. „ძუკნა, ძუკნა!“ – გაიმეორა გულში და კმაყოფილმა გაიღიმა. – არადა, როგორი ძაან პატიოსანი და გულუბრყვილო გოგონას იმიჯი ჰქონდა ინსტიტუტში, ფუჰ!.. ნულარ ანჯღრევ.

– ესმ, იცი, ზოგჯერ ვფიქრობ, კარგია, ლამაზებად რომ არ დავიბადეთ. ვართ ჩვენთვის, არავინ არაფერს გვერჩის. ეველინასწაირებს კიდევ, რამდენი პრობლემა აქვთ... ცალი ფეხი ცოდვებში აქვთ ჩაყოფილი.

– დადე, – ლაპარაკისმოყვარე ესმასგან მხოლოდ ერთი სიტყვის გამომეტება კარგს არაფერს ნიშნავდა.

„ლამაზებად რომ არ დავიბადეთ...“

ლანკამ ყავის ჭიქა უსიტყვოდ გადმოამხო ლამბაქზე. ესმამაც ნერვიულად მიატრიალ-მოატრიალა თავისი ფინჯანი, გადმოაპირქვა და ლანკასას მიუდგა გვერდით. კი არ მიუდგა, მიაჯახა. ლანკას დამფრთხალმა ჭიქამ მაშინვე ჩაიჩოჩა, ადგილი დაუთმო.

– იცოდე, მარჯვენა ჩემია, შენ ისეთი ბატი ხარ, აგერევა.

„ლამაზებად არ დავიბადეთ-თ!“

– თუ მარცხენა? – შეჰბედა ლანკამ.

– ოოო... მართლა ბატი ხარ, რაა! – გაცხარდა ესმა. – შენგან მარცხენა ჩემგან მარჯვენა არაა, გოგო?!

„თ!!!“

ესმა და ლანკა ჯგუფელები იყვნენ. დავითა და ეველინაც – ჯგუფელები, ოღონდ ორი კურსით უფროსები. ის, რასაც ერთიანობაში ეველინა ერქვა (დიდი მკერდი, ვიწრო წელი, გრძელი ფეხები და პატარა ცხვირი, სქელი ტუჩები, მოკლე კაბები), დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბიჭებში. ლანკას გულში ოცნებად ჰქონდა, უშნო ესმას

ნაცვლად, მნიფე ეველინასთან ედაქალა. მასთან ერთად რომ ივლიდა, ეგებ თვითონაც მიექცია ყურადღება, იქნებ ისიც შეემჩნია ვინმეს... თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი სურვილს გამო ესმასთან თავს დამნაშავედ გრძნობდა – პატარა ღმერთად სინდისი ჰყავდა ლანკას.

ესმას კი აბსტრაქტული რამეების გაღმერთებისთვის არ ეცალა – დავითას ჰყვარობდა, ჰყვარობდა შორიდან და უიმედოდ. რამდენჯერ მთელი დღე მდგარა ინსტიტუტის ლიფტთან დავითას მოლოდინში. ისიც გამოჩენილა, ლიფტში ერთად შესულან... მაგრამ არც არაფერი. ზრდილობის გამო მაინც არასდროს გაუღიმა დავითას ესმასთვის.

დაბალი და განიერი იყო ესმა. მსუქანი არა, განიერი. ლანკა – აწონილი და მჭლე. იმდენად გამხდარი, რომ სიბრალულს იწვევდა. პლასტელინის სასაცილო თოჯინებივით იყვნენ. თითქოს ერთს თავსა და ფეხებში მოჰკიდეს ხელი და განელეს, მეორე კი მაგიდაზე დადეს და გაშლილი ხელისგული დააჭირესო.

სტუდენტობის წლები ისე გაილია, ამ ორი წყვილის შერევა არ მოხერხდა. როგორი კომბინაციითაც დალაგდნენ ინსტიტუტში, მერეც ისე წავიდნენ. ისინიც წყვილად (ცოლ-ქმარი), ესენიც (დაქალები). ლანკამ ეველინასთან დაქალობის სურვილი დაივიწყა, ესმამ დავითასთან დაქალების სურვილი – ვერა.

რაც ინსტიტუტი დაამთავრეს, თვალი არსად მოუკრავს ესმას დავითასთვის. ერთ დღეს დეიდას ესტუმრა. ცოტა ხანში მის დეიდაშვილს ძმაკაცი მოუვიდა. ხელკავით უცნობი შემოიყვანა, ოჯახს წარუდგინა:

– გაიცანით, ჩემი თანამშრომელი დავითა.

გაიშალა სუფრა.

ესმას თავი სიზმარში ეგონა. რას იფიქრებდა, რომ ოდესმე დავითასთან ერთად მოხვდებოდა სუფრასთან, თანაც – დეიდამისის ოჯახში? სიმხნევისთვის ცოტა დალია. მოეჩვენა, რომ თვითმეფასება აუმაღლდა. არა მხოლოდ თვითმეფასება. თავს ისე გრძნობდა, თითქოს რაც სიგანე ჰქონდა, სიმაღლეში წაუვიდა. მერე ადგა და ბევრი დალია,

მაგრამ „იცით, ჩვენ ერთად ვსწავლობდით“-ის თქმა მაინც ვერ შეძლო. დავითას არათითზე მბრჭყვინავი რგოლი ამუნჯებდა, გულწრფელობის ნაცვლად შურისძიების ხასიათზე აყენებდა. სძულდა ეველინა. შური და ბოღმა ახრჩობდა იმის გაფიქრებისას, რომ მისთვის მიუღწეველი ოცნება ეველინასთვის ყოველდღიური რეალობა იყო.

– გნებავთ, ყავაში ჩაგიხედოთ? – უცებ მოაფიქრდა.

– აჰ, ეგეთების არ მჯერა, – გაუღიმა დავითამ, მაგრამ ჭიქა მაინც მიანოდა.

– ე ასოს ვხედავ, ძალიან ახლობელი უნდა იყოს, გვერდით ამოგივიდათ... ნნ-ნნ... შეხედავ – ანგელოზსა ჰგავს, მაგრამ... ეუჰ, რამდენ ფიგურას მალავს! ძალიან მეძნელება, გითხრათ... ეს ადამიანი მოღალატეა, ანგელოზის ტყავში გახვეული ეშმაკია, არ ენდოთ, – ბოლო სიტყვები პროფესიონალი მკითხავით დაიწურულა ესმამ და პროფესიონალი ლოთივით ამოასლოკინა, – აი, ჩაიხედეთ, კუდს ხედავთ, ბატონო... მაპატიეთ, თქვენი სახელი დამავინწყდა...

– დავითი... – თქვა დავითამ და კუდგამობმული ცოლის წარმოდგენაზე გააჟრჟოლა.

– თავი შორს დაიჭირეთ მაგ ლურჯთვალა და ავხორცი ე-სგან, ბატონო დავით, – ენაზე იკბინა, თვალის ფერის დაკონკრეტება ნამეტანი მოუვიდა.

დავითა გაფითრდა. მერე ნაძალადევად გაიღიმა და უნდა დაგტოვოთ, შეხვედრაზე მაგვიანდებო, – ნავიდა.

თავი გამარჯვებულად იგრძნო ესმამ. ამსუბუქდა. თითქოს ერთ დიდ სიმძიმედ შეკონინებული დარდი, ფიქრი, ტკივილი ამოიღო გულიდან და დავითას აჰკიდა.

იმ საღამოს ესმა შეეცადა, დავითასთან შეხვედრა დაწვრილებით გაეხსენებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. ძალიან ბევრი დაელია საამისოდ. თან წლების ტრადიციის დარღვევაც არ იყო იოლი. ადრინდელი შეხვედრების გახსენება ჰქონდა ჩვევად. რიტუალივით იყო: ძილის წინ შუქს აქრობდა, სანოლში წვებოდა, საბანს თავზე იფარებდა და თვალეხს მაგრად ხუჭავდა. თვალეხის

დახუჭვა და განათების ჩართვა ერთი იყო. ნათურის ქვეშ სტუდენტი ესმა იდგა. ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა დავითა, ლიფტის ლილაკს თითს აჭერდა. შედიოდნენ ინსტიტუტის მონჯლრეულ ლიფტში. გვერდიგვერდ იდგნენ... ესმა დავითას სუნამოს სურნელს ახლაც, თვალდახუჭულიც გრძნობდა. გრძნობდა და მსუბუქად ალიგზნებოდა. მერე მის ხმას იხსენებდა და უცებ მოვარდნილი ტალღა მთელ სხეულს უწვავდა. ტექსტს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ტემბრი იყო:

„თქვენ რომელ სართულზე?“ – ეკითხებოდნენ დავითას ტუჩები. ყოველამ ამ ეპიზოდამდე ერთი მოძრაობა, სიტყვა ან გამოხედვაც არ იცვლებოდა მიზანსცენაში. თითქოს აკრძალული იყო. მერე კი ესმას ნებაზე გრძელდებოდა:

„თქვენ რომელ სართულზე?“ – ეკითხებოდნენ დავითას ტუჩები. მერე... ესმას ტუჩებისკენ იხრებოდნენ, ხელები მკერდისკენ მიცოცავდნენ, ქურთუკი ძირს ვარდებოდა... ზოგჯერ ისე იჭრებოდა როლში, სულ ავინყდებოდა, რომ ამ ფილმში მხოლოდ მონანილეობა კი არა, ფილმის რეჟისურაც მის იმედად იყო. საკუთარი თავის გარდა სხვა მაყურებელიც რომ ჰყოლოდა, ის სხვა აუცილებლად აღმოაჩენდა, რომ სინამდვილეში ერთი ქურთუკის გახდით ორი ჩაცმულ-დახურული ადამიანი ვერ გამიშვლდება... რომ ისიც არარეალურია, ლიფტს ამდენი დრო სჭირდებოდა მესამე სართულზე ასასვლელად... და კიდევ – სადაა ფინალი? რატომ არ იღება კარი?.. და მისთანები. ესმა თუ მოინდომებდა, ტანსაცმლის ეპიზოდის საკითხს უფრო დამაჯერებლად მოაკვარახებინებდა, მაგრამ აი, ფინალში კარის გაღება გამორიცხული იყო. ფაბულა მკაცრად ჰქონდა განსაზღვრული: ლიფტის კარი არ უნდა გაიღოს!

ახლაც რომ ახსენდებოდა, გული ეწურებოდა: მონჯლრეული ეძახე და... სანამ ესმა ერთ შეკავებულ ამოსუნთქვას მოასწრებდა, ლიფტის კარი უკვე მესამე სართულზე იღებოდა. იქ ეველინა იდგა. ვნებიანი, ლამაზი, ამაყი, ბედნიერი... დავითას აზრად არ მოსდიოდა, ჯერ ესმა გაეტარებინა. ნახევრადგახსნილ კარებში გაძვრებოდა ხოლმე, ეცემოდა ეველინას და კოცნიდა. ესმას ამ მომენტში

განსაკუთრებულად სძულდა ეველინა. შური და ბოლმა ყელში ენასკვებოდა. ყველა სტუდენტი გოგონა სძულდა, ლანკას გარდა. ლანკას არავინ ეხვეოდა და კოცნიდა. მარტოგოგო იყო ლანკა.

„ღვთიშვილნოო... როგორც ჟანგი ჭამს რკინას, ასევე შური – სულს, რომელშიც მკვიდრობს...“

– ლანკა... „ის“ გინდა ხოლმე? – ჰკითხა ერთხელ ესმამ.

– შვილი მინდა. ოღონდ ეგრევე. „იმის“ მეშინია, – უპასუხა ლანკამ.

რალაცნაირად... გამომშრალი, ხმელი იყო ლანკა.

– ეჰ, ბავშვსაც რამდენი ფული უნდა... – დააყოლა სევდიანად.

თავმდაბალი, კეთილი, გულწრფელი, სუფთაგულა იყო ლანკა, მაგრამ ერთი ზნე ჰქონდა: ფულის ხარჯვა არ უყვარდა. ფული უყვარდა, მაგრამ მხოლოდ დასაგროვებლად. მათხოვარს რომ ხედავდა, ისე ეცოდებოდა, გული უკვდებოდა, მაგრამ ფულს ვერ იმეტებდა. ღმერთო, ფულის მიმცემი ხალხი გამოუგზავნე ამ სანყალსო, – თავისებურად ლოცულობდა. მარტოკა ვარ, მომავლისთვის ვაგროვებო, – საკუთარ თავთან თავს იმართლებდა. ერჩინა, საჭმელი მოეკლო და ფული შეენახა. ერთ პაკეტ ჩაის იმდენჯერ ხმარობდა, სანამ ბოლო ფერად წვეთსაც არ გამოწურავდა.

„ღვთიშვილნოო... შეისმინეთ წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვები: ლითონის ჩხრიალი ვერცხლისმოყვარის სმენას იმდენად იპყრობს, რომ ამის გამო მისი ყური უფლის სიტყვას ვეღარ ისმენს“, – ისმოდა ლანკას ფანჯრებთან. ლანკას არ ესმოდა. ხურდებს ითვლიდა. იმ დღეს ფეხით იარა, რომ ტრანსპორტისა დაეზოგა...

## ირა

„ასტროლოგები ვარაუდობენ...“

ცარიელი ოთახის სივრცე ტელევიზორის ხმას ექოდ გამოსცემდა. ეკრანზე მუქი ქსოვილი, გამოღებულ ფანჯარაზე კი სქელი ფარდა იყო ჩამოფარებული. ოთახის კუთხეში, პირდაპირ იატაკზე ფეხმორთხმით მჯდარი ირა ამ ოთახივ-

ით გამოცარიელებული თვალებით მისჩერებოდა ტელევიზორს. ცალ ხელში მაკრატელი ეჭირა, მეორეში – თავისი გრძელი თმა, ჯერ ისევ თბილი, ახალდაკლული.

მთელი ღამის უძილო და ნახევარი დღის მშვიერ ირას დღის მეორე ნახევარიც, სავარაუდოდ, უძილო და უსაჭმლო ექნებოდა. ამის გაფიქრებამ კარგ განწყობაზე დააყენა. მკერდზე ჩამონოლილ თოკს ხელი ნაზად ჩამოუსვა. თითქოს თოკი კი არა, მისი საყვარელი ფისოს ზურგი ყოფილიყოს.

„შესაძლოა, ასტეროიდ...“

ეველინას ხმა ესმოდა, მაგრამ ვერ ხედავდა. ეკრანზე ჩამოფარებული ნაჭრიდან მხოლოდ მისი გამოსახულების კონტურის გარჩევა იყო შესაძლებელი. ჭამა და ძილი რა მოსატანი იყო ეველინას დანახვის სურვილთან... ირამ თოკს ფრჩხილები ჩაარჭო და ჩამოუსვა, ჩამოკანრა.

როდის გადაექცა ტანჯვა სიამოვნებად? რომელ ცხოვრებაში? ბავშვობაში წყნარი, ბაფთებიანი გოგონა იყო. შიშისგან რეიტუზს ასველებდა, როცა სკოლიდან დაბრუნებულს მამა მთვრალი ხვდებოდა. მერე ცხოვრებისგან გაავეებული დედის ძლიერი ხელები ჩქმეტდნენ, სწინკნიდნენ, სილას უტკაცუნებდნენ. უხეშად ხდიდნენ რეიტუზს და მასზე მიკრულ სველ ტრუსიკთან ერთად თვალებსა და ცხვირში სწრიდნენ. ირინას კარგა ხანს ეგონა, რომ ფსიტიის სუნი შარდიან საცვალს კი არა, სიტყვებს – „ამხელა გოგო“-ს ასდიოდა.

მერე მამა გაქრა. ირამ მესხიერებიდან ამოშალა ის მონაკვეთი, როცა სკოლიდან მომავალმა მამა ტალახის გუბეში პირქვე ჩამხობილი ნახა და დედის რისხვის ასაცილებლად სახლში კრინტი არ დაუძრავს. ამოშალა პანაშვიდები, მიხაკები და დედის „შე უბედუ-როოო!..“ დედის „ობოლს მიტო-ვეეებ!..“ დედის „რა მი-ყაავ, ბი-ჭოოო...“

ჰოდა, რაც ამოშლის მერე დარჩა, ეგაა – მამა გაქრა.

რომ შესძლებოდა, მთელი თავისი ბავშვობის პერიოდს ამოშლიდა, მაგრამ იოლი არ იყო: ხერხემალზე ჰქონდა აკრული, სისხლში ჰქონდა შერეული, კანქვეშ ჰქონდა ამოპოხილი... ერთადერთი გზით თუ ნაშლიდა...

ერთხელაც გადაწყვიტა და თოკის ყულფი გამონასკვა, კისერზე ჩამოიცვა, ემძიმა. ხესთან მივიდა, თვალთ ტოტის გამძლეობა მოსინჯა, თოკის სიგრძე აზომა და რომ დარწმუნდა, ყველაფერი ლოგიკურად შესატყვისი იყო, გადაიფიქრა. კი არ შეეშინდა, დაენანა. დაენანა, რომ უცებ დამთავრდებოდა ეს სიამოვნება. წარმოიდგინა, მთელი მისი ბავშვობა კაუჭზე ჩამოკიდებული დაკლული ცხვრის ტყავით როგორ ეცლება ხერხემლიდან. ირა ბავშვობამოშორებული და მსუბუქია, მაგრამ... ეს მეტჯერ ველარასდროს განმეორდება.

თოკის კუდი იქვე, მორზე გააწვინა და ცული დაჰკრა.

მას შემდეგ კისრით დააქვს. იჩვევს, იშინაურებს...

„ღვთიშვილნოო... თვითმკვლელობა მიუტევებელი ცოდვაა. ნუ ჩაიკეტებით, მარტო ნუ დარჩებით პრობლემასთან... ღმერთს გაენდეთ, ღმერთს ესაუბრეთ. ეკლესიაში იარეთ, ილოცეთ, ეზიარეთ... თვითმკვლელს შენდობა არა აქვს, შვილებოო...“

## შაკო

ღივანზე წამონოლილმა შაკომ საათს დახედა თუ არა, მაშინვე წამოხტა, პულტს ეცა და ტელევიზორი ჩართო.

ეველინას პიჯაკი მძიმედ სუნთქავდა.

„თუ ასტეროიდი დედამინას დაეჯახება, შესაძლოა, დედამინაზე სიცოცხლე შეწყდეს...“

– აუუუ... აუ-აუ ძაან მაგარი ნაშაა, რაა!

ეველინას დანახვაზე თავისი გასართობი გოგოების ჯარი მთლიანად ავიწყდებოდა შაკოს. სიგარეტის კოლოფს ოქროსფერი ლენტი შემოარღვია. ფოლგის ქალაქი ისეთი სიშმაგით შემოაცალა, თითქოს ფოლგის ქალაქი კი არა, ეველინას ფოლგისფერი პენუარი ყოფილიყოს. ერთი ღერი ამოიღო, ხელში ნერვიულად შეათამაშა და ცოლს გასძახა.

– ცეცხლი!

– ბებიამენისამ! – უპასუხა აივანზე გამავალ კარში თავშემოყოფილმა თათამ. – შენმა ბებერმა

„მაგარმა ნაშებმა“ მოგიკიდონ! – კარი მიიჯახუნა. მოწულ სკამზე დაჯდა, ფეხები მოაჯირს შემოანყო, სამი ღრმა ნაფაზი დაარტყა და სიგარეტის ნამწვი აივნიდან ნკიპურტით გადაისროლა.

„უნდა დავუპადიეზოდ“, – მტკიცედ გადაწყვიტა შაკომ.

„არათუ მრუშობა, ადამიანისთვის გულისთქმით შეხედვაც ცოდვაა, შვილებო... მრუშობის ცოდვას საწყისშივე უნდა შეეებრძოლოთ, სანამ პატარაა, ადვილად ამოსაძირკვი, თორემ მერე, ფესვებს რომ გაიდგამს...“

## ეველინა

– შემდეგ გამოშვებამდე გემშვიდობებით, – ეველინამ ყურსასმენი მოიძრო, მაგიდაზე დადო. მაგიდიდან ყვითელი ფანქარი აიღო. ეგ იყო, რომელიც ხელში მოხვდა. დახედა, გადადო, სხვა ამოარჩია. თმა ორივე ხელით აიწია, ყოლოსფერი ფანქრით დაიმაგრა.

– მდა... დედამინა გველუპება, ძია უშანგი, – ჭალარა თმანვერიან ოპერატორს ეშმაკურად გაუღიმა, თან სკამის საზურგეზე გადაწვა, გადაიჭიმა, გაიზმორა... რა მოსახიბლი კაცი ბებერი უშანგი იყო, მაგრამ ეგეთი კოდი იღო ეველინაში, ყველასთან უნდა ეკეკლუცა.

– რა ინფორმაციასაც გადმოსცემ, ყველაფერი კი არ უნდა დაიჯერო, კუკლა! – ეველინა დაამშვიდა და თვითონ აღელდა უშანგი. დედამინის გამო არა... არც ისეთი ბებერი იყო, როგორც ჩანდა...

საერთოდ, მამაკაცები სამ ტიპად იყოფოდნენ ეველინასთვის: 1. ახალგაზრდა-სიმპათიურები; 2. სხვა დანარჩენები და 3. დავითა. ახალგაზრდა, სიმპათიურ მამაკაცებს შეგნებულად ეპრანჭებოდა, სხვა დანარჩენებს – თავისდა უნებურად, დავითას – იშვიათად. ნოლით კი მხოლოდ დავითასთან იწვა.

კარგა ხანია, დავითა მხოლოდ ქმარი აღარ იყო ეველინას თვალში. ცოტათი მამაც გახდა, ცოტათი – ძმაც. სასიამოვნო იყო, რომ ქმრიდან ბონუსად მამა და ძმაც გამოდნა, სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ – კაცის შევიწროების ხარჯზე.

გაუმაძღარი იყო ნარცის-ეველინას ამპარტავნობა, ერთი და ორი წყვილი თვალის აღფრთოვანება არ ჰყოფნიდა. იმ ასაკში ჩარჩა, გოგონებისთვის ბედნიერება თაყვანისმცემელთა სიმრავლით რომ იზომება. მხოლოდ დავითას კი არა, ზედ დამატებულ ორივე ტიპის მამაკაცებსაც კი არა, – მთელ სამყაროს თვლიდა მოვალედ, ხელისგულზე ეტარებინათ. ის ხომ ასეთი მშვენიერია! ერთ დღესაც ყველა კუთხიდან რომ წამოეკრიფა სამყაროს თავისი წყალ-ხმელეთოვანი კალთა და ეველინას ხლებოდა, მის წინ წაჩოქილიყო, მისი სილამაზის წინაშე ქედი მოეხარა – არ გაიკვირებდა, ბუნებრივად მიიღებდა, შეიფერებდა. მიჩვეული იყო – ქუჩაში ფეხს გადგამდა თუ არა, ყველა თავი მისკენ ტრიალდებოდა. რახარუხით ცვიოდა ასფალტზე მამაკაცების ქვედა ყბები. იტბორებოდა ქუჩები მათ პირს მომდგარი ნერწყვით. აღფრთოვანებული მამრების გულის ნაფლეთები შემოდგომის ფოთლებივით მსუბუქად ეცემოდა ეველინას ფერხთით... ოღონდ ეველინას ყურადღება დაემსახურებინათ და ბოძიდან ბოძამდე გადაჭიმულ მავთულებზე ჯამბაზებივით ყირაზე დგებოდნენ უფლისწულები. ძვირფასი თვლებით სავსე ხურჯინები მოჰქონდა ქარავანს, „რა ლამაზი ხარ, ეველი!“ – გამონაბოლქვით ოკრობოკრო ასოები გამოჰყავდა ცაზე თვითმფრინავს... ხშირად იხსენებდა ამ თითქმის არმომხდარ, გაზვიადებულ ამბებს ეველინა. ძილის წინ იხსენებდა, ცხვრების მოსაწყენი დათვლის ნაცვლად. სალამობით სევდა იპყრობდა, ცალად ძილისთვის თავი არ ემეტებოდა. დავითა აკლდა. უყვარდა კიდევ, თავისებურად, როგორც შეეძლო. მიუხედავად თაყვანისმცემელთა სიმრავლისა, დავითას ვინმეთი ჩანაცვლებას არ ჩქარობდა. რალაც ისეთი აკლდა მისკენ მომართულ სხვების მზერას, დავითას რომ ჰქონდა.

ერთხელ ეველინას ინტერნეტით ვილაც გამოელაპარაკა. იკად ანუ ირაკლიდ გაეცნო. უცნაური ვინმე ჩანდა. ხიბლავდა ეველინას უცნაურობანი, თუმცა, რომ არა უცნობის კომპლიმენტების სიმრავლე და იმავე უცნობის ერთადერთი, მაგრამ უსიმპათიურესი ფოტო, დაეზარებოდა ამდენი

„სულელური“ ფილოსოფიური მსჯელობის მოსმენა. შეიძლება ითქვას, თბილ სიტყვებს ყიდულობდა. ორიგინალური კომპლიმენტები რომ მიელო, ამისათვის ჯერ უნდა გადაეხადა – იკას ფსიქო-ფილოსოფიური მსჯელობები უნდა აეტანა.

ერთხელ იკა სულისა და სხეულის კონფლიქტზე მსჯელობდა, ამბობდა, რომ შესაძლოა, ეს ორი ცნება ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდეს, უფრო მეტიც, ერთიმეორეს გაუუცხოვდეს. სიტყვა გაუგრძელდა. ეველინას ნებისყოფის სალაროში არც ისე ბევრი მოთმენა და მოთმინება მოიძვევებოდა, ამდენხნიანი ლოდინისთვის საკმარისი რომ ყოფილიყო. მაგიდაზე მონაცვლეობით ააკაკუნა თხელი თითების გრძელი ფრჩხილები:

ნეკი... არათითი... შუათითი... საჩვენებელი თითი...

ნეკი, არათითი, შუათითი, საჩვენებელი თითი.

ნეკი არათითი შუათითი საჩვენებელი თითი!

მისწერა: „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია, იკა!“

როგორც სარწყავ არხს პირს უზამენ სასურველი კალაპოტისკენ, ეგრე გადმოიყვანა იკას სიტყვები საკუთარი პატივმოყვარეობის დასარწყულელებლად. „ეგ მხოლოდ შენთან, ევა... შენ ჰარმონიაში ხარ საკუთარ თავთან და სამყაროსთან. ჩემი ყოველი დღე შენი ხატების გახსენებაა. სხვანაირ მედიტაციას არ ვცნობ“.

ეველინა ილიმოდა. აღარ აკაკუნებდა.

„შევხვდეთ. მეგობრულად“, – მისწერა. თან, მექანიკურად, კარადას გახედა. ახალი კაბა ჰქონდა, შოკოლადისფერი. უხდებოდა. შეხვედრის სურვილში არანაირი ქვეტექსტი არ იკითხებოდა. გარდა იმისა, რომ უნდოდა პირადად ენახა იკას, უნდოდა, მისი აღტაცებული თვალები დაენახა. მეტი არაფერი. მისი სხეული მხოლოდ დავითას ეკუთვნოდა. მისი ვნება მცირედსაც სჯერდებოდა. აი, მასში ჩასახლებული ნარცისი კი დიდი გაუმაძღარი ვინმე გახლდათ. უძირო ქვევრივით, რამდენი ხოტბა, ქება და აღტაცებაც არ უნდა მიელო, არ ივსებოდა.

იკამ იუარა. ის არ ვარ, ვინც შეიძლება აღ-  
გაფრთოვანოსო. შემთხვევით რომ შემხვდე სად-  
მე, ყურადღებას არც მომაქცევო.

სადმე რომ დაგინახო, აუცილებლად გიცნო-  
ბო, – ეველინამ. იცოდე, თუ დაგინახე და არ გა-  
გიღიმე, ესე იგი, განა ვერ გიცანი, უბრალოდ,  
ჩემს ღირსად არ ჩაგთვალეო, – წაიკეკლუცა, იც-  
ელქა.

იკა აღარ შეხმიაანებია. ერთი-ორჯერ დაესიზ-  
მრა, ეგ იყო და ეგ. ბევრი არაფერი, მხოლოდ ჩა-  
ხუტება. მერე ძილბურანში ცოტა ხელი წააშველა  
ეველინამ სიზმარს, კოცნამდე მიიყვანა.

ფლირტს ცოდვად არ უთვლიდა თავს. ლამა-  
ზი იყო, მიმზიდველი. თავი მხოლოდ ერთი კაცის-  
გან მიღებულ კომპლიმენტებისთვის არ  
ემეტებოდა. ეცოტავებოდა. სინდისი არაფერზე  
ქენჯნიდა, „იმნაირობას“ ვერავინ დასწამებდა.

იმ თარს საღამოს, ქმარი თანამშრომელთან  
რომ ეგულებოდა, იკამ მოსწერა:

„მოვედი. მომენატრე. გაკოცე...“

„მეც მომენატრე... უკვე მიდიხარ?“

„არა, მოვედი“.

„აბა, გაკოცეო?“

„ჰოდა, გაკოცე-მეთქი, ანუ მოვედი...“

– წადი.

ეველინამ მიიხედა, მის უკან გაფითრებული  
დავითა იდგა.

– წადი! – გაიმეორა დავითამ. – მოლაღატეს-  
თან ვერ ვიცხოვრებ.

„წადი!“ – სილასავით გაეწნა ეველინას ამპარ-  
ტავნობას.

შეურაცხყოფილმა ეველინამ გარდერობიდან  
ტანსაცმელი გამოალაგა, ჩანთაში ჩატენა და კა-  
რი გაიჯახუნა.

შეურაცხყოფილმა დავითამ კარადიდან არყის  
ბოთლი გადმოიღო, საცობი მოაძრო და ჩაის ჭი-  
ქაში ჩააპირქვავა.

„ჩემი ღირსი არაა!“ – გაიფიქრა გაცეცხლე-  
ბულმა ეველინამ და ქუჩის შადრევნიდან წყალი  
მოსვა. ვერ ჩაქრა. ორი ყლუპი რას ჩააქრობდა აბ-  
რიალებულს?..

ეველინას მესხიერებამ წლების ნაგროვები ამ-

ბების ქვეშიდან ბებიის მზით დამწვარი სახე ამო-  
აცურა.

„შენი სილამაზე დიდი ძალაა, შვილო. ნუ იამ-  
აყებ, ეგეთი სილამაზე მძიმე ჯვარია, – უთხრა  
ბავშვობაში ბებია. ამპარტავნობას თავი მოად-  
რეკინე, ერთგულების აღვირი გამოსდე, ღმერ-  
თისკენ უყავ პირი. ბოროტებას ბუდედ ნუ  
გაუხდები. მეც ლამაზი ვიყავი. როგორც კი ეშმა-  
კი შემიჩნდებოდა და გავიფიქრებდი, მე ვჯობი-  
ვარ ჩემს ქმარს-მეთქი, ტაშტი მომქონდა და  
პაპაშენს ფეხებს ვბანდი, ვემსახურებოდი. ეგრე  
ვებრძოდი ჩემს ამპარტავნობას“.

ეგ იყო და ეგ. ბებოსგან „ლამაზი ხარ“ მეტჯერ  
აღარ გაუგია. სულ ელოდა კია...

ეველინას ქმრისთვის ფეხების დაბანა არ შე-  
ეძლო. მოკალი და არ შეეძლო. ამიტომ ამპარტავ-  
ნობასთან ბრძოლის საკუთარი, თავისმომტყუე-  
ბელი მეთოდი შეიმუშავა: დილით დავითას ჩაის  
რომ დაუსხამდა (ჩაის დასხმა ცოლის მოვალეობ-  
აა), შაქარსაც თვითონ უყრიდა (ჩაყრა – აღარ) და  
თქვენ წარმოიდგინეთ, თავს იმდენად იმდაბლებ-  
და, საკუთარი ხელით (ცხადია, კოვზიანით) ურ-  
ევდა კიდეც. ემსახურებოდა. არ იყო ცოტა. ევე-  
ლინასთვის.

„ღვთიშვილნოო... ამპარტავნება დედაა ყოვე-  
ლი ვნებისა და ცოდვისა. ისე არაფერი განაშორებს  
ადამიანს ღმერთისგან, როგორც ამპარტავნება.  
ამპარტავნების ცოდვას თავმდაბლობით უნდა შე-  
ვებრძოლოთ, შვილებო...“

## ბერი

ამ პატარა ქალაქში ყველა იცნობდა ერთ უცნა-  
ურ ბერს, მამა პეტრეს. გამხდარი იყო ბერი, ფარა-  
ტინა. გრძელი, თეთრ-ნაცრისფერი თმა-წვერითა  
და ხშირი წარბებით დამძიმებული, წელში მოხრი-  
ლიყო. გახუნებული ანაფორის ჯიბით თეთრ, ღუნ-  
ლულა მტრედს დაატარებდა. აჭმევდა, ეფერებოდა,  
ესაუბრებოდა. შორიდან ვერ იფიქრებდი და ამიტ-  
ომ როცა ახლოდან ნახავდი, გიკვირდა ადამიანს:  
მზეები დაჰქონდა თვალებით. ნელა დადიოდა, თუ  
ვინმე რამეს ჰკითხავდა, გაჩერდებოდა, გაუღიმებ-

და და მერე უპასუხებდა. უნდოდა, ღმერთზე ეკითხათ, ადამიანები კი ყველაფერზე უსვამდნენ კითხვას, ღმერთის გარდა. ალბათ, იმიტომ, რომ ბერის „დალაგებულობაში“ ეჭვი ეპარებოდათ. სალამოობით რომელიმე კორპუსს ამოირჩევდა მამა პეტრე. დაჯდებოდა მის წინ, სკამზე და ხმამაღლა იწყებდა ქადაგებას. ზოგჯერ სალამოს არ ელოდებოდა, გამთენიისასაც გაიგონებდით მის ქადაგებას, შუადღის გულზეც...

– ღვთიშვილნოო... – ბერის მსუბუქი ხმა ქათქათა ღრუბელივით ადიოდა მაღლა, საჭირო ფანჯრებში მიფარფატებდა. იშვიათად, რომ ვინმეს იქ დაეტოვებინა. უკან გამობრუნებული უცნაური მქადაგებლის სიტყვები მთელ ქალაქში იფანტებოდნენ და ფიფქზე სწრაფად დნებოდნენ. ზედმეტად ცხელები იყვნენ ადამიანები იმისთვის, რომ ქადაგება უცებ არ შემოსდნობოდათ ზედ.

## 2.

დავითას დილით თავი ისე ჰქონდა დამძიმებული, რა წაიღებს ამას მაგიდამდეო? – გაიფიქრა და ხელი აღარ ახლო, ბალიშზევე დატოვა. თვალი წვალებით, მძიმედ და როგორც მოეჩვენა, ხმაურით გაახილა. თითქოს ქუთუთო კი არა, გარაჟის მძიმე კარ-ჟალუზი იყო, ორი კაცი მაინც სჭირდებოდა ზემოთ ასაქაჩად. ტელევიზორი არ ჩაურთავს, მაგრამ ეკრანზე ეველინა მაინც ჩანდა.

„ისევ თავისით ჩაირთო“, – გაიფიქრა დავითამ. არც ახლა გახსენებია, წუხელ გამორთვა რომ დაავინყდა.

ვევლინას შავი თმები შიშინებდნენ. სახე კი ისე ემანჭებოდა, თითქოს „სიცილის ოთახის“ სარკეში ჩაახედესო: ხან ტუჩი ადიოდა და წარბებს შორის ეკვებებოდა, ხან ცხვირი ნიკაპამდე უგრძელდებოდა. ვერ იყო კარგად დავითას საქმე. უცებ ეველინას სახე მილაგდ-მოლაგდა, თმები გაჩუმდნენ და ტუჩებმა ხმა ამოიღეს. ორი სიტყვა გაარჩია დავითამ: „მაგნიტური დღე“. მერე დუმილი ჩამოწვა და კიდევ ერთი სიტყვა თევზივით დაუსხლტა ხელიდან ეკრანს და ყურში შეუსრიალდა: „ასტეროიდი“. მეტი ველაფერი გაიგო, გაითიშა. უცნაური, უძირო

ძილით ჩაეძინა.

ვინ იცის, რა დრო გავიდა. აფორიაქებულს გაელვიდა. ადგა, მაგიდასთან მივიდა. არაყი დაისხა. როგორც იცოდა ხოლმე: ჯერ ერთ ჭიქაში, მერე – მეორეში. „გაგვიმარჯოს, ძმაო“. მიუჭახუნა და გადაკრა. ჩვეულებისამებრ, ძმაოს წილის დაღვევაც რომ დააპირა, ჭიქა თავისით აიწია მაღლა. დავითა დააკვირდა. ხელს ეჭირა.

– გაგვიმარჯოს, დავით.

დავითა გაშეშდა. მის წინ ძმაო იჯდა. მაღალი, დაკუნთული, თავდაჯერებული კაცის გამომეტყველებით. ზუსტად ასეთს წარმოიდგენდა ხოლმე. თვალის ჭრილი და ფერი დავითასნაირი ჰქონდა. ოღონდ – დალაგებულ-მოპრიალებული. არანაირი ნითელი კაპილარების აბლაბუდა, შიგ გაბმული ამოღამებული მზერა და აცდენილი ფოკუსი...

## არდასაპინყებელი დღე

– ჰერკულესი გაგიცივდა. ჭამე, რომ დიდი ბიჭი გაიზარდო. – ხელუხლებელ საუზმეზე ვუთითებ გიოს. – ჩაიც მიაყოლე. მიდი, მიდი...

ჩაისფერი თვალები აქვს ჩემს ბიჭს. ოღონდ მისთვის კი არა, ჩემთვის დასხმული ჩაის ფერის – მუქი. ისეთი სევდა აქვს ჩამდნარი მზერაში, ისეთი... გული მეკუმშება. თვალს ვარიდებ. ვდგები, ჩემს მოპრიალებულ თევზზე გაუცნობიერებლად ვიღებ ჰერკულესის მეორე ულუფას. არადა, მძულს ჰერკულესი. გიოს გამო თავს ვაძალებ ხოლმე, დიდი ძალისხმევით ვღეჭავ და ორი ვარიანტიდან ერთ-ერთ ფრაზას ვამბობ: „იფ, რა გემრიელიააა!“ ან „რა გემრიელია, იიიფ!“

– დე... ამდენს ნუ ჭამ. გეხვენები. – ბზარგაჩენილი ხმით მეუბნება გიო. – არ ვჭამოთ ხოლმე, რა, დე. არ მინდა მოვკვდეო.

გიოს თვალების ზღვა შრება – ცრემლს უკან იბრუნებს – ყლაპავს.

ის ყლაპავს და მე მეჩხირება ყელში – ჩემები, უკან ჩაბრუნებული და ვერგადაყლაპული.



– ჩვენ არ მოვკვდებით, ნუ გეშინია. – ტყუილის ღუზას ვუგდებ სიცოცხლის მარადიულობის იდეაზე მოსაჭიდებლად.

– მოვკვდებით, – მიხსნის, – თუკი ძალიან გავიზრდებით... ვახო ძიას ვკითხე, პაპა რატომ მოკვდა-მეთქი და მოხუცი იყო, ძალიან დიდი გაიზარდაო... ჩვენც თუ ბევრს შევეჭამთ – გავიზრდებით... მეტი აღარ გაიზარდო, რაა, დე!

ღმერთო, როგორი პატარაა ასეთი ფართოდ გახელილი თვალებისთვის!..

– დე... – ვამბობ, – დე... – ამის მეტს ველარაფერს ვეუბნები.

„ნამო!“ – ვანიშნებ, თქმა არ გამომდის – ყელში ჩაჩხერილი ბურთის ოინებია...

მომყვება. რაღაცნაირად, მძიმედ მომყვება. მხრებდამძიმებულად.

ოთახის ცენტრიდან მაგიდას კედლისკენ ვახოხებ. სკამებსაც. გარდერობის კარებს ბოლომდე ვაღებ. ანჯამები ღრჭიალებენ... უჯრიდან, ნუხელ რომ ჩაცმა ავუკრძალე, იმ ახალ ბოტასებს ვიღებ და ვუნვდი.

– ჩავიცვა, დე? ბალის დაწყებამდე აღარ შევიწახოთ?

უხარია, უკვირს, უხარია... ისევ ბავშვად იქცა. მხრები ბუმბულივით აუმიტდა. თვალები უკამკამებს, ტალღის ნასახიც აღარაა, გადაიდარა.

მხესავით გავარვარებული ბურთი ყელში მიდნება.

ვყლაპავ. ვსუნთქავ. მლაშეა.

ჩემს ყველაზე ძვირფას კაბას საკიდიდან ვხსნი. ვირგებ. სუნამოს, ყელიდან კოჭებამდე უხვად ვიპკურებ. გამოზოგვას ნაჩვევ ფლაკონს უკვირს. ისე ძალიან უკვირს, რომ გაცოცხლებს ნარწერა თავსახურზე ასდის.

– გამოიქეცი, დე! – მკლავებს ვშლი.

– უნდა მაბზრიალო?! ვაშააა!

ვულიმი და თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ „ვაშას“ ნაცვლად, თანატოლებივით არ ამბობს: „იეეეს!“

ჯერ ნელა ვბზრიალებთ. ვბზრიიიიიიილებთ...

მერე ტემპს ვუჩქარებთ: ვბზრიალებთ-ვბზრიალებთ...

და ბოლოს: ვბზრიალებთ-ვბზრიალებთ-ვბზრიალებთ!

იცინის, იცინის... ფერად კენჭებზე ფეხი უსხლტებათ ნაკადულებს.

ვფიქრობ: აი, მოზვირთდებიან წლები. გაიზრდება გიო დიდი ბიჭი. სასახელო კაცი დადგება. მოვა მასთან ჟურნალისტი და ბავშვობის ამბების გახსენებას სთხოვს.

– ახლა, რატომღაც, ერთი დილა გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან. ასე, ოთხი-ხუთი წლის ვიქნებოდი... – დაიწყებს გიო. მაშინ უკვე – ბატონი გიორგი. რიხით ჩაახველებს. ჟურნალისტი, სიფრიფანა გოგონას ჩაის შესთავაზებს. გოგონასაც ჩაისფერი თვალები ექნება. ოლონდ, ისეთი, ახლა როგორ ჩაისაც ვუმზადებ ხოლმე გიოს – ბაცი, მზისფერი.

„ბატონი გიორგი“ მოყვება, რომ დანამდვილებით ვერ იხსენებს, რა ამბავს აღნიშნავდნენ, მაგრამ ზუსტად ახსოვს, რომ დედა კარგ ხასიათზე იყო. ბალისთვის ნაყიდი ახალი ფეხსაცმლის სახლში ჩაცმის უფლებაც კი მისცა. საუზმის ამბავი არ ეხსომება. პირდაპირ იქიდან დაიწყებს, მაგიდა რომ კედელს მივადგი. იტყვის, რომ ახლაც ახსოვს დედის სუნამოს სურნელი.

...რომ უცანური კია, მაგრამ დედასთან ერთად ბზრიალს ქვეყნად არაფერი ერჩინა.

...რომ დედის იმ კაბის ღილების ფერი და ფორმაც კი ახსოვს – ოქროსფერი, ტრაპეცია.

...რომ ბზრიალისას დედის გრძელ, ცრემლის ფორმებად ჩამარცვლულ მძივს შემთხვევით ხელი გამოსდო და განყვიტა. იტყვის, რომ ძალიან შთამბეჭდავი კადრი იყო. „ეგებ, სულაც ამ კადრის გამო ჩამრჩა ეს დღე მესხიერებაში: მთელ იატაკზე გაბნეული მძივის მარცვლები, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქზე, ზღაპრულად ბრჭყვიანობდნენ“.

...რომ დედა, საერთოდ, ძალიან მკაცრი იყო, მაგრამ იმ დღეს... როგორღაც...

...რომ დედა, იმ დღეს, გამაოგნებლად ლამაზი იყო...

გაიხსენებს, რომ დედა –

„ი - ყ - ო“ (!) ...

\* \* \*

– დე, ტირი?.. – თვალები უმუქდება გიოს.

– არა, დე, თვალში რაღაც ჩამივარდა...

სჯერა. ვბზრიალებთ.

„მთელი ცხოვრებაა იქამდე. მზისფერთვალე-  
ბა გოგონა, ალბათ ჯერ არც დაბადებულა...“ –  
თავს ვიმშვიდებ. ჩემი მძივის ფორმის ცრემლებს  
საყლაპავი მილისკენ მივერეკები, მივანკარუნებ.  
მლაშეა.

– ხელი გამოგედო... არა უშავს. – ვუღიმი გი-  
ოს და ჩემს უსაყვარლეს მძივს, გიოსთვის შეუმ-  
ჩნევლად, ვქაჩავ. არ მენანება.

მთელ იატაკზე გაბნეული მძივის მარცვლები,  
ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქზე, ზღაპრულად  
ბრჭყვიალებენ.

## ფილმი ნიფის ბენერალზე

„კიუუ!“ – კივის მატარებელი. „ახრრ...“ – ჩაახ-  
ველა, ძრავა-ფილტვებში ჩამდგარი ხრინნი ჩაინ-  
მინდა და დაიძრა. მაგრამ მანამდე:

– სიცხიანი ხარ, რა გებათუმება, დარჩი. – გე-  
გა შუბლზე ტუჩებს მადებს და ცოტა ხანში „მპუს“  
გარეშე მაცილებს. აქაოდა, მართლა სიცხის გასა-  
ზომად გავისარჯე, კოცნის საბაბი არ გეგონოსო.  
შეუმჩნევლად ოხრავს. მე მაინც ვამჩნევ, ოხერი  
ვარ.

– კინოში წავიდოდით... – მეუბნება და სადღაც  
სიღრმეში მიცურავს. – კარგი ფილმია. – გეგას  
ხმა აქვეა, სახეზე ვგრძნობ ჰაერის მოკლე-მოკ-  
ლე ნაკადის შეხებას. მაგრამ სახე – შორსაა. ასე  
მემართება ხოლმე, როცა მაღალი სიცხე მაქვს:  
ჩემი მზერა სიბრტყეს სამგანზომილებიან გამო-  
სახულებებად შლის. თვალსა და რეალობას შო-  
რის ეკრანს „მიმონტაჟებს“ და ეკრანს იქით  
ვისაც სად მოეპრიანება, იქ მიუჩენს ადგილს.

– ხომ შევთანხმდით, განშორება გვჭირდება,  
ყველაფრის „გადასახარშად...“ თან, ხომ იცი,  
სიცხე როცა მაქვს, ისედაც სულ კინოს ვუყურებ.  
– ვუღიმი.

გეგამ შუბლზე მაკოცა. სწრაფად მაკოცა, უც-  
ებ მომაცილა ტუჩები. ალბათ ხაზი გაუსვა, სიც-  
ხის გასინჯვა არაფერ შუაშია, ისე გოცნო.

– კარგი, დღესაც ვნახავ და მერეც. აი, რომ ჩა-  
მოხვალ, მერე გამომყევი შენც. საინტერესო  
ფილმია, საჩვენო. – ახლა გეგას სახე აქვეა და ხმა  
სადგურის ბოლოდან მესმის. ვერ ვარ ჯანმრთე-  
ლად.

\* \* \*

„კიუუ!“ – კივის მატარებელი. „ახრრ...“ – ჩაახ-  
ველა, ძრავა-ფილტვებში ჩამდგარი ხრინნი ჩაინ-  
მინდა და დაიძრა. მატარებლის ჩახველება  
მახსოვს, ჩემი ჩაძინება – ალარ. თვალი რომ გავა-  
ხილე, ფანჯრის ადგილას ეკრანი დამხვდა. ე.ი.  
ისევე სიცხე მაქვს.

თავქუდმოგლეჯილები, მწკრივად გარბიან  
ხეები. მიცოცავენ მთები, მიიზღაზნებიან. საიდ-  
ანლაც გამოსხლტნენ ცხენი და კვიცი. ცხენი  
კვიცს ლოკავს. კვიცი – ბალახს. ადგილიდან არ  
იძვრიან. ადგილმა სამივე დაძრა და სადღაც გა-  
აქანა. ფილმისწინა ჟურნალივითაა: ნანყვეტი  
კადრები ყველაფერზე და არაფერზე. მზერას  
ფეხი უცდება, ვერცერთ ნანყვეტზე ვერ ჩერდე-  
ბა, ვერ ეჭიდება. სიცხე მაქვს. ფანჯარა აღარაა.  
ეკრანია.

შენელებული კადრი: მატარებელი სადგურს  
უახლოვდება. ფანჯარა-ეკრანზე ფილმის სათა-  
ურივით იკვეთება წარწერა: „ნ ი ფ ა“

გაბრუებულ გონებაში ვიმეორებ: „ნიფის სადგუ-  
რი“, „ნიფის გაჩერება“... არა, რაღაც სხვა, გაცილე-  
ბით ახლობლური, ნაცნობი სიტყვათაშეთანხმების  
გახსენება მინდა და არ გამომდის.

მატარებელი გაჩერდა. ფანჯრის მართკუთ-  
ხედში ფოტოგრაფიულად მიმზიდველი კადრი  
ჩაჯდა: ძველი შენობა, სევდიანი. აქა-იქ ადამიანის  
ხელით შეღებილი მზისფერი, და ადგილ-ადგილ,  
უმზეობისა და ნესტის ერთობლივი ნახელავი:  
ობი. შენობის მეორე სართულზე – ერთკაციანი  
აივანი. მიწიდან აივნამდე აცოცებული სისველის  
უფორმო ბილიკი, აივანზე – ხმელ-ხმელი კაცი,  
სადგურის უფროსი. მოხუცი, შეძლებისდაგვარად

წელში გამართული. ამაყად ისწორებს თავზე ქუდს. გენერალივით. მის გვერდით – სკამი. უკან – ოთახი. ორივე ცარიელი.

„გენერალი“ ჩვენკენ ზურგით ტრიალდება და ოთახში შედის. სავარაუდოდ – მოკლე, მტკიცე ნაბიჯებით, მაგრამ მე ხომ სიცხე მაქვს, ასე უბრალოდ როგორ შევა... უცებ, ერთი შესუნთქვით ისრუტავს ოთახის სიღრმე და თავის ცარიელ ფაშვში აუჩინარებს.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სადგურის უფროსის დგომით დაღლილმა მუხლებმა უმტყუნა, მაგრამ ამ ფილმში გენერლის როლი აქვს და უბრალო მოკვდავების წინ სკამზე ვერ ჩამოჯდება, მუხლზე ხელს ვერ გადაისვამს დასაზულად.

იმავე აივანზე ახალგაზრდა, ღიპიანი კაცი გამოდის. ამოქნარებს. თითზე ქუდს ატრიალებს. სკამზე ეშვება.

„მემკვიდრეობითი აივანი“ – ვფიქრობ.

ერთი ხელი ჯიბეში, მეორეში – ქუდი. ვერც გამტყუნებ, რომ პირზე ხელის აუფარებლად ამოქნარებს... თითქოს კედლებზე ნესტი შრება, მის ზურგსუკან, აბაჟურით ძლივსგნათებული ოთახიც აღარ ჰგავს მიტოვებულს. კადრის კომპოზიცია დარღვეულია. სრული სერიოზულობით ვფიქრობ, რომ კანონი უნდა კრძალავდეს სხვა ჟანრის ფილმიდან სხვაში პერსონაჟთა თვითნებურ გადაადგილებას!!!

სადგური ოხრავს. „კიუუ!“ გაჰყვირის მატარებელი.

ბიჭი გადის, სადგურის უფროსი ბრუნდება. „ხმმ...“ შვებით ამოიფშვინა მატარებელმა.

აივანზე მოხუცის სილუეტი. გვერდით – სკამი. არ დაჯდება, სანამ მატარებელი თვალს არ მიეფარება – არ დაჯდება. ნესტი თვისებებს იბრუნებს. კედელს ფერი უბრუნდება – ყვითლის სევდიანი ტონალობა. ოთახს – აბაჟურის ბაცი

ყვითელი ნათება.

მემანქანეს ნიშანს აძლევს მოხუცი „გენერალი“. მემანქანე, ალბათ ვერც ამჩნევს ამ ნიშანს. გრაფიკს მიჰყვება. მოხუცი ამ ვერშემჩნევას არ იმჩნევს და ათუხთუხებული მატარებლის ხმაზე ვალმოხდილი ბრუნდება ოთახში.

მიხარია, რომ სანამ მისი გზააბნეული შვილი სხვა ფილმიდან აქ შემოფრატუნდება და ყველაფერს გააფუჭებს, მანამდე მივდივარ.

„დგნ-დგნ...“ ძველმოდურ რითმს რთავენ მუსიკალური რედაქტორები – ბორბლები.

მძიმედ ეშვება ნისლის დაფლეთილი ფთილა – დაჩრჩილული ფარდა. წარმოდგენა დამთავრებულია.

ცისფერი ცა მწკრივ-მწკრივად გახაზეს ჩიტისფერმა ჩიტებმა – ტიტრებმა.

კადრი შავდება, გვირაბში შევდივართ.

„თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“ – ჩურჩულებს ჩემი მთვლემარე მესხიერება. – „თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“

\* \* \*

„კარგი ფილმი იყო“. – გეგა მირეკავს.

„აქაც კარგი ფილმი გაუშვეს: „ნიფის გვირაბი. სადგურის გენერალი“ – ვეუბნები.

„ნუ ხუმრობ. – იცინის გეგა. – ეგეთი მხატვრული ფილმი ბუნებაში არ არსებობს. აი, მე წაგიყვან მაგარ ფილმზე. რომ ჩამოხვალ, გამომყევი, მეორედაც სიამოვნებით ვნახავ“.

როცა ასეთ დროს ბიჭი „ნუ ხუმრობს“ ამბობს, ე.ი. „ნუ იტყუების“ არ გაკადრებს. თუ ბიჭი „ნუ იტყუების“ არ გაკადრებს, ე.ი. არ ხუმრობს, მართლა უყვარხარ.

გადავწყვიტე: როგორც კი ბათუმიდან დავბრუნდები, გეგას გავყვები... კინოს არ ვგულიხმობ. ისე გავყვები – სულ.



# იზა ოსაფანიშვილი

## აფროდიტას ღვინას სიზმარი ჰომონია

ღრმად ჩაძინებული აფროდიტა მატარებლის კივილის ხმამ გამოაღვიძა. ვერც კი გააცნობიერა თუ როგორ მოხვდა ლამის წყვილიადმი განმარობით უცხო მხარეში. ფაცი-ფუცით ზეზე წამოხტა და ბაქანზე ძლივსლა ჩამოლასლასდა, მერე ვილაცამ გვერდი ისე ჰკრა, გონმიხდილი იქვე შემალღებულ ბორცვზე უხმოდ მიესვენა. საბრალომ გაიფიქრა, ალბათ წნევამ გამიქნიაო. რახან მშველელი არავინ ჩანდა ისევ ღმერთს სთხოვა დახმარება. ღმერთმა ჩურჩულით ყურში ჩასძახა: ვერა, ვერაფრით გიშველი, რადგან შენმა მწამებელმა სატანამ ისე გადამიღობა ყოველი გზა, გვერდი უნდა აგიარო და სხვებს მივხედო. მხოლოდ და მხოლოდ შემძლია ოდნავ სიცოცხლის ნიშანწყალი დაგიტოვო, ეს თქვა და იქაურობას გაეცალა. ქალმა მალლა აიხედა, ცა ვარსკვლავებით მოჭედლიყო, გაბადრული მთვარე მთელი დედამინის სულდგმულს გზას უნათებდა, აფროდიტას ცოტა იმედი ჩაესახა გულში. დაჟინებული მზერა ცისკენ მიაპყრო, ის ბედის ვარსკვლავს ეძებდა, თუმცა არ იცოდა და ვერც ხედავდა, რომელი იყო ის მადლიანი. თითქოს თავი მოიტყუა, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს ლოცვის რიტუალით შეევედრა, დამეხმარეო. პასუხი? აი პასუხი. რამდენიმე წუთში ცა საშინლად მოიქუფრა, ატყდა ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა წამოვიდა, განწირულ ქალს სისველე და სიცივე ძვალსა და რბილში ამტვრევდა, ახლა საკუთარ თავს თვითონ დაუნყო, გამხნელება: ნუ გემინია, აფროდიტა, ეს სიზმარია, გამოიღვიძებ და ყველაფერი დაგავიწყდება, მაგრამ ვაი რომ სიზმარი არ იყო. წვიმა უფრო გახშირდა, წყალი ადიდდა და საწყალი აფროდიტა წაიღო კიდეც, საკვირველება ის იყო, დახრჩობით არ დაიხრჩვა, წყლის ზედაპირზე საჰაერო ბუშტივით ამოტივტივდა და დინებისაკენ გაექანა. მეტი რა გზა ჰქონდა, მიენდო ბედს. საბრალოს არავინ შველოდა. როცა უკვე კარგა შიში ჭამა, სადღაც ქალაქის ნაპირას ამოჰყო თავი, იქ ერთი ნახვით ყველაფერი მშვენიერი ჩანდა. მაგრამ გამვლელ-გამომვლელი ხალხი აფროდიტას განამებულ სახეს ვერავინ ამჩნევდა, შიმშილით, სისველითა და სიცივით დაღლილს ძალა მთლიანად გამოელია თითქმის. მეორე საღამო ახლოვდებოდა, როდესაც ვილაცა მამაკაცმა ისე ნაზად შეანჯღღრია ეული ქალი, საბრალოს თვალები აღერსიანი მზერით აევსო და სიკვდილის პირას მიმდგარმა კეთილად გაიღიმა, ეს მომენტი „მაგდანას ლურჯას“ გაცოცხლებას ძალიან გავდა. უცნობი რატომღაც უსიტყვოდ ადგილზე გაშეშდა და აფროდიტას დიდხანს გვერდიდან არ მოშორებია, მერე ხელ-კავი გაუკეთა, ფეხზე წამოაყენა და ორივენი ნელი ნაბიჯებით ქუჩას გაუყვნენ. მალე ერთ დიდ შენობასთან შეჩერდნენ, მერე იმავე შენობის რამდენიმე კიბის საფეხური უხმოდ აიარეს და კაცმა ოთახის კარი თავადვე გამოაღო. აფროდიტა სავარძელში მოათავსა და ღმერთისაგან განწირულ ქალს წყალი და საჭმელი შემოუტანა. ოთახი თბილი, ნათელი და სარკეებიანი იყო. სტუმარი როცა დანაყრდა ფეხზე წამოდგა და სარკეში ჩაიხედა, ის ისეთი ლამაზი და ახალგაზრდა ჩანდა, თავისი თავი ძლივ-

სლა იცნო, უცბად ღმერთი გაახსენდა, ნუთუ შეიძლება ღმერთმა იცრუოს? მაშ, ვინ გამომიგზავნა ეს უცხო მშველელი, რომელმაც ასე კარგად დამინახა და სურვილი აღეძრა ჩემი დახმარებისა? იქნებ ესეც სიზმარია, გავიღვიძებ და ყველაფერი გაქრება? აფროდიტას კვლავ აღარაფრის სჯეროდა. მერე გაიფიქრა, ვინ იცის, იქნებ, ეს კაცი წარსულში ჩემი ანალოგიური ბედის მატარებელი იყო და სწორედ ის მიხვდა, როგორ უნდა ეულად დარჩენილი უბოროტო ადამიანის თანადგომა და შემწეობა. მოდი მივინდობი, იქნებ მის სევდიან გულს სულაც მე ვავსებ? არც კი საუბრობს. ხშირად დაუინებით თვალეში მაკვირდება, გიჟს და უჭკუოს ნამდვილად არ ჰგავს. ქალს უცნაური აკვიატება არ ასვენებდა, არა, ეს სიზმარია, სიზმარი. მაგრამ, ყველაფერს ცხადში ხედავდა. აფროდიტამ ძვლებში სითბო იგრძნო, ხელები ვარდისფერი გაუხდა, ბედნიერებისაგან ღიმილს ველარ იკავებდა, ბუტ-ბუტით ხან სიზმარს ახსენებდა და ხან ცხადს. ბოლოს დაიჯერა, რომ ეს რეალობაა და არა სიზმარი, უცნაურ ფიქრებს თავი ვერაფრით დააღწია. ღმერთმა რატომ მითხრა ეშმაკი მელობება წინ და საშუალებას არ მაძლევს შენს დასახმარებლად. იქნებ ის ეშმაკი სწორედ ჩემი დღევანდელი მხსნელია? არა, არა, არ მინდა დავიჯერო, თუ ასეა მაშინ სული ეშმაკისათვის მიმიყიდა. ეს ხომ საკუთარ თავზე ცილისნამებაა და მეტი არაფერი, ნუთუ აგონიაში როცა ვიყავი მაშინ შევადგინე ეს ხელწერა? არადა, დღესაც მიკვირს ამ ამოუცნობმა პიროვნებამ რატომ განიძრახა ჩემი გადარჩენა და მიხსნა დიდი უბედურებისაგან, ყოველგვარი თხოვნის გარეშე. ვინ იყო და ვინ არის ის უცხო არსება, რომელმაც კიდევ მომცა შანსი მეფიქრა სიცოცხლეზე და მომავალზე? უკვე საკმაო წლები გავიდა მაგრამ კვლავ უცნობია აფროდიტასთვის რით გალალდა და რით შეიბოჭა სიბერეში მისი ცხოვრება, რათა გასაქანი ვერ პოვოს თავისუფლებაში. მას დღეს არ შია, არ ცივა, არ წყურია, მაგრამ მაინც არ არის ბედნიერი. ხშირად რაღაც უცნაური ხმები ადგილზე აშეშებს და ყურში ჩასჩურჩულებს: აფროდიტა! ცუდი სიბერე გელის, ცუდი, ხავსზე ჩამოკიდებულ ჭიანჭველასავით გხედავ. იქნებ ჯობდეს ისევ ღმერთს სთხოვო შეველა? და თუ ამას ისურვებ ჯერ მოინანიე ყველაფერი, რისთვისაც მას გაუნანყენდი და გახდი მონა-მორჩილი ღვთისა. თუ ამას შესძლებ, უფალი შენს თავს ეშმაკს გამოსტაცებს ხელიდან და ზეცაში დაგასახლებს სამარადჟამოდ. აი, როდის იქნები ბედნიერი. ახლა აირჩიე სიზმარი ან ცხადი. სამწუხაროდ ეს ყველაფერი ცხადია ცხადი, მაგრამ აფროდიტას მაინც დღესაც სიზმარი ჰგონია.

## ბაბას აღსარება

წუხელ მთელი ღამე თეთრად გავათენე, აღარც სატელევიზიო გადაცემები მაინტიერესებდა, ტელეფონიც გამოვრთე და საძინებლისაკენ ისე გავეშურე ხმა არავისთვის გამიცია. გუშინ მამამ მეოთხე უცხოური მარკის მანქანა შეიძინა, რაც მინისტრად დანიშნეს სულ ერთი წელი იქნება გასული.

არავინ იფიქროს სიხარულით ვერ ვიძინებ, არა, ჩემი უძილობა შოთაზე ფიქრმა გამოიწვია. დღეს მეგობრისაგან გავიგე, საცოდავ დედამისს მისთვის ვალით საზღვარგარეთის პასპორტი გაუკეთებია და გერმანიაში მიჰყვება სამუშაოდ ვიღაც საქმოსანს ე.წ. „პოსლეზე“. ჩვენ ხომ ერთი უბნელები ვართ, ერთად გავიზარდეთ, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ერთ კლასში. მან ცხრა კლასი დაამთავრა, სწავლა არსად გაუგრძელებია, მხოლოდ ქართულ ჯარში იმსახურა და ახლა სახლში ზის. გვიან მივხვდი, მისი მძიმე ოჯახური პრობლემების გამო როგორ ჩამორჩა ნორმალური ცხოვრების რიტმს. ის ჩემზე ნიჭიერი და მუდამ მონესრიგებული მოსწავლე იყო. ხანდახან რომ დაფიქრდები, გული ბოღმით მევსება, უსამართლობა არ მასვენებს, ალბათ ჩემნაირი ადამიანები ღმერთთან ახლოს არიან, რომლებსაც ადრე თუ გვიან სიმართლეს ათქმევინებს და ვერც ზოგიერთი ვაი მშობლის გავლენა იმოქმედებს მასზე. სამწუხაროდ, ასეთები ცოტანი ვართ, დღესდღეობით საქართველოში.

გუშინდელივით მახსოვს, როცა ჩვენმა დედებმა მე და შოთა ასკინკილის თამაშით როგორ მიგვაცი-  
ლეს პირველად თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ეზოში. იქ უამრავი ბავშვი, მშობელი და მასწავლებე-  
ლი ირეოდა. დირექტორმა საპირველსექტემბრო ზეიმი გახსნილად გამოაცხადა და ჩვენი ჯგუფის  
მასწავლებელმა ცხვრის ფარასავით საკლასო ოთახისაკენ წაგვასხა. ზოგი ბავშვი ტიროდა კიდეც. მე  
და შოთა ერთ მერხზე მოვკალათდით, ვიცინოდით და ვხარობდით, რადგან მთლად უცხოვდით არ ვგრძნობ-  
დით თავს. მასწავლებელმა გამოაცხადა მე სიას ანბანის მიხედვით ამოვიკითხავ და ყოველი ვაჟი იმ გო-  
გონასთან დაჯდება, ვისთანაც მიუთითებ. პირველად აბულაძე შოთა გამოაცხადა და გვერდი  
თვალხატულა გოგომ დაუმშვენა. შოთამ კმაყოფილებით გაიღიმა და უხერხულობისაგან შეიშმუშნა.  
მოგვიანებით ჩემი გვარის ჯერიც დადგა. ფხაკაძე გავა! აი, იმ გოგონასთან დაჯდებო და გულზე შე-  
მომეყარა. ბავშვი მინახია მაგრამ ისეთი შავი და მახინჯი, არაფერი მენახა, რას ვიზამდი შევეგუე ბედს.  
პირველ-მეოთხედამდე იმ უშნოს გვერდით ვიჯექი, ხოლო შემდეგ, რატომღაც, თვალხატულა ჩემთან  
დასვეს და უშნო შოთასთან. მაშინ პატარა ვიყავი, იმდენად ვერ ვაცნობიერებდი თუ რა გაუთავებელი  
სასაუბრო თემა აკავშირებდათ დედაჩემსა და მასწავლებელს. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ რომ  
ვიყავი, ვგრძნობდი, მაგრამ მეგონა, პატარას მეფერებოდნენ და მეტი არაფერი. შოთას მაგივრად მე  
გავბრაზდი, როცა გოგონები გადაადგილეს. შვიდი წლის სალად მოაზროვნე ბავშვი შესანიშნავად ად-  
ვენებს თვალყურს თანმიმდევრობით ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, ეს ოჯახში იქნება თუ სასწავ-  
ლებელში. ალბათ, არც მე ვიყავი გამონაკლისი და თანდათან მახსენდება ყოველი წვრილმანი ქმედებაც  
კი, განსაკუთრებით, ჩემი მშობლებისა, თუ რა ზნე-ჩვეულებებით მზრდიდნენ, დღემდე. აი, ერთ-ერთი  
ეპიზოდი: სამსახურიდან დაბრუნებულ მამას დედამ მიახარა, იცი, დღეს გაგას ის მახინჯი გოგო მოვა-  
შორე გვერდიდან. მასწავლებელთან ჩავანყვე და შოთას თვალხატულა გაგასთან დავსვით, მახინჯი კი  
შოთასთან. მამამაც ღიმილითვე უპასუხა და თავზე მომეალერსა. მე თამაში მივატოვე, ტახტზე წამოვ-  
ნექი და გაბრაზებულმა ჩაის დალევაზეც უარი განვაცხადე. იმ ღამითაც შოთაზე ვფიქრობდი და გა-  
დავწყვიტე, ცხოვრებაში პირველობაზე არასოდეს მეფიქრა, განსაკუთრებით, შოთასთან მიმართებაში.  
შოთა პატარაობიდანვე ჭკვიანი და ნიჭიერი მოსწავლე იყო, ის მასწავლებლის ახსნილ გაკვეთილს იქვე  
კლასში, მოწყვებოდა ხოლმე. მე? მე მეტად ზარმაცი, სულ თამაშისაკენ მეჭირა თვალი. მიკვირდა, რო-  
ცა მეოთხედის ბოლოს ნიშნებს გამოაცხადებდნენ, მე ყველა საგანში ხუთები მენერა, შოთას კი სამები  
და ცოტა ოთხიანებიც ერია. ჩვენ სხვადასხვა დროს დავამთავრეთ სკოლა, მაგრამ მეზობლობა და მე-  
გობრობა არ გაგვიწყვეტია. საბრალო შოთას მამაც ახლახან გარდაეცვალა, ამ – ძნელბედობის ჟამს.

მე უკვე სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე, დიპლომიც დავიცავი და ახლა საზღვარგარეთ მაგ-  
ზანიან, პროფესიონალ ქირურგად რომ ჩამოვყალიბდე. სასაცილოა, მე და ექიმი? რატომ? რატომ  
და მე ხომ წესიერად პრაქტიკაც არ გამივლია საექსპერიმენტო პროზექტურაშიც კი. რისთვის უნდა  
მეჯიჯგნა უპატრონო მიცვალებულები, როცა მამას მეგობრები ჩათვლებს ისედაც მიკეთებდნენ?  
ყველგან და ყველაფერში მაინც მე ვიყავი პირველი. ამას რა კითხვა, უნდა რატომ? რა თქმა უნდა,  
გავლენიანი მშობლების სახელი და ფული მუდამ წინა პლანზე მწევდა. ბუნებით კეთილი და წყნარი  
შოთა შეხვედრისას მუდამ გულწრფელად მილოცავდა ყოველდღიურ წარმატებებს. ვიდრე გერმანი-  
აში გაემგზავრებოდა, ერთი კვირით ადრე, შოთა რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა. ძალიან მომინ-  
და მასთან ერთად სადმე მოხერხებულ ადგილას ჩამომჯდარიყავი. ამ იდეას შოთაც სიამოვნებით  
მიესალმა და იქვე მდებარე მომცრო კაფეში შევედით.

მე ქვიშაზე მოხარშული ყავა და ვაშლის ღვეზელი შევუკვეთე. მაგიდასთან მხოლოდ ორნი ვისხე-  
დით. გავისხენეთ ბავშვობა, ამ მთის და იმ მთის ამბები. ასე არასოდეს დავკვირვებია შოთას პიროვ-  
ნებას, ჩემს წინ იჯდა მეტად განათლებული ინტელიგენტი, დინჯად მოაზროვნე, განონასწორებული,  
დახვეწილი გემოვნების მქონე, ფიზიკურად შესანიშნავი ახალგაზრდა. თავს ვატყობდი, მასთან საუბ-

რისას ბევრ რამეშიც ვიჭრებოდი, მაგრამ მისი მოკრძალებული და დიდბუნებოვანი თვისებები ყოველგვარ კომპლექსს მხსნიდა. თითქოს ისეთი შეგრძნება დამეუფლა, მეგონა მისი ადგილი მე მეჭირა უსამართლოდ და დაუმსახურებლად. ის ნამდვილი ქართველია, დიდი პატრიოტი, მაგრამ ოჯახური სიდუხჭირის გამო იძულებულია, მშვიერი დედისა და ორი მცირეწლოვანი და-ძმის გამოსაკვებად სამუშაოდ გერმანიაში წავიდეს, აღსანიშნავია ისიც, რომ შოთას თავად შეუსწავლია ლექსიკონის საშუალებით საჭირო სასაუბრო გერმანული ენაც. სწორედ დღეს გავიგე სრულყოფილად შოთას, სულში მწარედ დაგროვებული ბალღამი, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრ მსგავს ახალგაზრდას მომავლის იმედს უნამლავს. უზნეობამ დაისადგურა საქართველოში. ამიტომ ჯობს დროებით გავეცალოთ ამ სიბინძურეს, ვიდრე ისეთ ლაფში ამოგვსვრიან, რომ ჩამორეცხვაც ვეღარ შევძლოთ, აი სწორედ ამან გადამაწყვეტინა სახლში მისვლისთანავე დედაჩემისათვის მეთქვა, ძირფესვიანად მოეთხრო თუ რა გზით და რა პირობებში აღვიზარდე მე დაბადებიდან ექიმობამდე. დედამ შეთავაზებულ კითხვაზე სრულიად გულუბრყვილოდ, ამაყად წელზე დოინჯი შემოირტყა და ასე დაიწყო: „გაგა მართალია, ჩვენ შეძლებული ოჯახის პატრონი ვართ, მაგრამ მე ერთი შვილის მეტი ნამდვილად არ მინდოდა, რადგან კიდევ მემკვიდრე არ გყოლოდა“. როგორც კი გაჩნდი, იმ დღესვე ძიძა დავიქირავე, ვინაიდან სახლში ჯდომას თავისუფლება და სამსახურში ყოფნა მერჩია. როცა სკოლაში შეგიყვანე, ძიძა დავითხოვე და მთლიანად ჩემი ენერჯია შენს სწავლა-განათლებას შევალე. ბევრი რომ არ გენვალა და ტვინი არ გეჭყლიტა, სანამ სკოლას დაამთავრებდი, შენს პედაგოგებს ყურადღებას არ ვაკლებდი, მუდამ მოწინავეთა შორის პირველი იყავი. სკოლა წარჩინებით დაგამთავრებინე, შენს ატესტატში ხუთის გარდა სხვა ნიშანი რომ არაა კარგი იცი. მედელი უკვე აღარ არსებობდა თორემ ისიც შენი იქნებოდა: მერე სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხე. საბუთების შეტანაზეც არ შემინუხებინარ, დილით ლამაზ სიზმრებში გართულს ხომ არ გაგაღვიძებდი? ახლა დიპლომი დაცული გაქვს და მალე ცნობილი ქირურგი გახდები. მამაშენმა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ამერიკაში გასამგზავრებელ საქმეზეც იზრუნა. არაფერი გაკლია. ქალაქში ორ ადგილზე ბინა, წყნეთში აგარაკი, მანქანები და ფული. მერე ერთ მდიდარ ქალსაც შეგრთავთ და იქნები ბედნიერი ამ ქვეყნად. ამხანაგებიც შენი და შენი ოჯახის საფერი უნდა შეარჩიო შვილო! ღარიბი და არაფრის მქონე გვერდით არ გაიკარო. დედას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა და ამ დროს მოთმინების ფიალამ მიმტყუნა, ხმამაღალი ტონით ისე დავიყვირე, გეყოფა დედა-მეთქი, ქალის სახე შიშისაგან მიტკალს დაემსგავსა. დედა! სულაც არ ვარ ჩემი მშობლების მადლიერი. თქვენ ცუდად აღმზარდეთ. მე არასოდეს ვიქნები იმ დონის ექიმი რომელიც ადამიანს სიცოცხლის გადასარჩენად ესაჭიროება. არც თქვენი ნაყიდი ატესტატი მინდა, არც თქვენი ნაყიდი დიპლომი და არც არაფერი. მე თავიდან ვინყებ ცხოვრებას. შოთასთან ერთად გერმანიაში მივდივარ სამუდამოდ. შოთას გვერდით უფრო მეტ ცოდნას შევიძენ, ვიდრე თქვენ ღვიძლმა მშობლებმა მომეცით. გაოგნებული დედაჩემი იქვე ჩაიკეცა და ჩემს ფეხებთან მიესვენა. გულშენუხებულ დედას, რომ არ მომკვდარიყო, შევყვირე, დედა, დედა, ნუ გეშინია, გონს მოდი, არსად არ მივდივარ, გაგეხუმრე-მეთქი, მაგრამ ჩემს გადწყვეტილებას უკვე უტყუარი წერტილი ჰქონდა დასმული, სასონარკვეთილი მშობლები ყველა ხერხს მიმართავდნენ ჩემი მოულოდნელი აზრის შესაცვლელად, მაგრამ ამაოდ. მალე საჭირო საბუთები შევაგროვე, მხოლოდ იმ განსხვავებით შოთასებრ ვალი არ ამიღია, მზრუნველი მშობლების წყალობით საკუთარი ანგარიშიც გამაჩნდა ბანკში და სწორედ მათთან განსაშორებლად გამოვიყენე. არა, არ მინდა კორუმპირებულ ქვეყანაში ვიცხოვრო, ვიყო მატყუარა, ვიჯდე მუქრთაზე და დავიდო უამრავი მოიმედე პაციენტის ცოდვა, რომლებსაც ჩემი ცოდნით არც მოვკლავ და არც დავარჩენ. მე შოთას ატესტატი და დიპლომი მივითვისე. მას დღესვე უნდა დავუმტკიცო, რომ ამ ქვეყნად სპეტაკად გავჩნდი. ვარ მართალი და ეშმაკისაგან შეცდენილმა მშობლებმა ვერ მიმაყიდინეს სული ეშმაკზე. მე გავიმარჯვე, მადლობა უფალს, რომ შემინარჩუნა ის ჭკუა-გონება და სინმინდე რაც გაჩენის დღიდან დამანათლა.

## ის

ის, ნამდვილი ქრისტიანი და პატრიოტი ქართველია.

ის, თხემით ტერფამდე სულით და ხორცით მებრძოლი ადამიანია.

ის, მოწოდებით ოჯახისა და პირადული ცხოვრების დავით აღმაშენებელია.

ის, ბრწყინვალე და უნიჭიერესი პოეტია.

ის, დიდი ოპტიმისტია.

ის, ზოგჯერ საზოგადოებაში გამომჟღავნებული უშიშარია.

ის, თავისი საქმის შემოქმედიცაა და დიზაინერიც.

ის, მუდამ ოცნებებში ტრიუმფებით დაფრინავს.

ის, თავდაჯერებული და ამაყია, თუმცა ზომიერებას აკონტროლებს.

ის, ტაქტიანი ქველმოქმედი.

ის, ადვილად არავის ენდობა, თუნდაც უნდობლობით დაზარალებს.

ის, აზარტულია, რითაც ხშირ შემთხვევაში უმართლებს კიდეც.

ის, რაღაც საიდუმლოს იპარავს, არა ხელებით, არამედ თვალებით.

ის, რაღაცას ძერწავს, მაგრამ მოქანდაკე არ არის.

ის, თიხა-თაბაშირ-ქვებით არ მოქმედებს, მაგრამ მაინც უკიდევანო პირამიდებით აგებს სულიერ თუ უსულო ქმნილებებს.

ის ყველა დროის თანამედროვეა.

ის, თავის საქმეში ჩახედული და მეტად განათლებულია.

ის, არასოდეს ქედმაღლობს.

ის, მოკრძალებულიცაა და მეტ-ნაკლებად თავხედიც.

ის, ნიანგის ცრემლებს არავის დააყრის.

ის, თავგანწირვას გაჩვენებს, მაგრამ მეტის-მეტად ფრთხილიცაა.

ის, ფარულ ოცნებებს სიცოცხლის ფასადაც დაიჯენს, ოღონდ მიზანს მიაღწიოს.

ის, მექალთანეა, მაგრამ სასწორი ისე მყარად უჭირავს, ცდილობს უფლის რისხვას თავი აარიდოს.

ის, ბედისწერას იშვიათად უჩივის.

ის, ქებით თუ ლანძღვით ყველას ერთნაირად აჯილდოებს.

ის, პოლიტიკოსების აზრს მეტ-ნაკლებად იზიარებს.

ის, ადამიანის ჭკუა-გონებას წინა პლანზე აყენებს.

ის, მიუკერძოებელია.

ის, ზოგჯერ უტაქტოცაა, მაგრამ კეთილი გავებით.

ის, სოფელსა და ქალაქს, ერთმანეთთან აიგივებს ჯანსაღი ტრადიციებით.

ის, ახლობლების უბადლო მოყვასია.

ის, რაღაც მომენტში მსახიობზე უკეთ თამაშობს, მაგრამ მას ადვილად ვერავინ მიხვდება.

ის, თვალებით ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ ნამკითხავი ყველა როდია?

ის, სუფთა და მონესრიგებულია.

ის, პიკნიკზე სიამოვნებით წავა.

ის, ადვილად ამოგიცნობს, ამიტომ ნურავინ შეეცდება მის გაცურებას.

ის, კარგ ნადიმზე უარს არ იტყვის თუნდაც ნაბახუსევეზე თავი ცუდად იგრძნოს.

ის, მოწოდებით ტურისტია მაგრამ...

ის, ყველა სფეროში მოსინჯავს შესაძლებლობებს.



ის, კრახის დროს თავისთვის ჩაიკეტება ვიდრე არ გამოვა მდგომარეობიდან.

ის, 100%-ით არავის ჩაახედებს თავის გულში საკუთარი თავის გარდა.

ის, ძალიან დაიღალა, მაგრამ არასოდეს წუნუნებს.

ის, უზარმაზარი საიდუმლოთია მოცული, რომელსაც სიკვდილამდე შეინახავს.

ის, ცოდვილიცაა, როგორც ყველა ადამიანი.

ის, კარგ საგნებს ქვაზე არ დადებს, რადგან სჯერა, როცა გამოივლის იქ არ დახვდება.

ის, ყველაფერს ხედავს, მაგრამ თავს იკავებს განმარტებებისაგან.

ის, შეეცდება ხუმრობაში დიდი გამონათქვამი ჩაატოს.

ის, ჯანმრთელობას უჩივის, მაგრამ თავს არავის ახვევს.

ის, მორწმუნეა, მაგრამ ზარმაცი მსახური.

ის, დარწმუნებულია იმაში თუ ბოლომდე გაიხსნა თავს დაკარგავს.

ის, ზოგჯერ ბრმაა, ზოგჯერ ყრუ და რა ვიცი...

ის, სამეგობროს სრულყოფილად არ ენდობა.

ის, განსაცდელში გმირობისათვის იბრძოლებს.

ის, ოჯახის წევრებს იმდენად არ ანებივრებს, რამდენადაც უყვარს.

ის, ერთგული მეუღლე და მამაა.

ის, იშვიათადაა ვისმეს ფანი.

ის, ჯანსაღი, იუმორითაა დაჯილდოვებული, თუმცა იშვიათად ხუმრობს.

ის, ფიზიკურად ღვთისაგან დაჯილდოებული მამაკაცია.

ის, მაშინაა განაწყენებული, როდესაც ნარდში კამათელი უმტყუნებს.

ის, თუმცა ბოლოს მაინც მოგებულა.



# დანი მაჭილი

## ბათუმში

დილის ცა ოდნავ მოღრუბლილი იყო. მე და დედამ ადრიანად დავინყეთ მომზადება წასასვლელად. რკინიგზის სადგური ახლოს მდებარეობდა ჩვენი სახლიდან, მაგრამ მატარებელს ძლივს მივუსწარი. მას შემდეგ, რაც მოძრავი პეიზაჟების ფანჯარასთან ვჯდები მზის სხივებთან ერთად ჩემში მყუდროება იღვრება. ცოტა ხნით დედას ველაპარკები. საერთოდ მას ხალხმრავალ ადგილებში ხანგრძლივი საუბრები არ უყვარს.

ჩემი ცხოვრების გეოგრაფია შეიცვალა. ახლა სტუმრად მივდივარ სახლში, ქალაქში, სადაც გავიზარდე. ალბათ, უცნაურია, მაგრამ ამაზე არ ვწუხვარ. ვიცი ამას აზრი რომ არ აქვს.

წინასწარ დაგეგმილი მაქვს, რა უნდა გავაკეთო. ეს სანახევროდ კლავს პალმებიანი სანაპიროს გასწვრივ სეირნობის სიამოვნებას. მაგრამ არაუშავს. მთავარია, თავი უცხო სხეულად არ ვიგრძნო.

ტრადიციულად, დედა ბანანებს ყიდულობს ჩვენთვის. გადის კიდევ ნახევარი საათი. მზე, პალმები და ბანანები – ეს ყოველივე ჩემში ინვესტს მარკესისეული მყუდროების შეგრძნებას. თითქოს ბათუმი ლათინური ამერიკის პატარა ზღვისპირა ნავსადგური ყოფილიყო. შემდეგ ნაცნობი სახეები, მეგობრები, თითქმის იგივე დიალოგები და სიტბო, რომელიც, რატომღაც ვერ ჩერდება გულში. დედა ფარულად დარდობს. მე ვუღიმი.

ვბრუნდებით უკან და კილომეტრებთან ერთად მოგონებებსაც ვტოვებ გულის ფსკერზე. კვლავ მოძრავი პეიზაჟების ფანჯარა და დაღლილი ჩვენ.

მხოლოდ ახლა, როცა ვიხსენებ მგზავრობას, ვხვდები თუ რა სიტყვები ისმოდა ჩემი სულიდან: „მე დავბრუნდები!“

## ეს სოფელი აბრმავებს

(თეატრალური მიმართვა)

ეს სოფელი აბრმავებს... მაბრმავებს... გვაბრმავებს... გვძირავს! წარსული სიყვარულის ექო (!) ჩამესმის ნოსტალგიის ენაზე... ექო. სწრაფად! ნელა... ჩქარა! მშვიდად... ტანჯვას ჩვეულს მეშინია არ ვატკინო სხვას. სწორედ ამიტომ არ ვაკეთებ სვლას. და გული ძგერს... გული ცემს... წამებს ვითვლი. ის კი ხან სწრაფად! ხანაც ნელა... სხვებზე ზრუნვა ჰკლავს ჩემს სურვილებს.

ეს სოფელი აბრმავებს... მაბრმავებს... გვაბრმავებს... გვძირავს! მაიძულებს ვეძიო პასუხნი იმ კითხვებზე, რომლებიც არ მჭირდება. მოძრაობა... წრებრუნვა. ამაო მოძრაობა... წინ და უკან. ჩემი ჩრდილი მომდევს... ხან წინაა, ხანაც უკან...

სვლა ნელი. სვლა ჩქარი. მდუმარე შფოთვა და არსობრივი სიცარიელით სავსე გული... უმტკივნეულო ტკივილი და გრძნობადაკარგული გრძნობანი. ექო! ხან ჩამესმის ექო... მე კი წამებს ვითვლი. და... დაკარგულ სიტყვებს, როგორც საფლავის ქვებს ვუდგამ მრავალწერტილს... წინ კი... წინ კი არის სივრცე თეთრი... არსობრივად ბნელი. ცრუ ჰორიზონტი! უაზრო აზრებით რომ ივსება და... და... მე...

ეს სოფელი აბრმავებს... მაბრმავებს... გვაბრმავებს... გვძირავს!..

### საავადმყოფო

80 წლის კედლები. 40 წლის წინათ შეკეთებული სახურავი. ცაში ასული ხეები ძირში დაჭრილი ტოტებით. საღებავჩამოცვენილი, დაგლახებული შენობა თაღოვანი ფანჯრებით. ათასობით დაღუპულის ისტორიები. უთვალავჯერ დადენილი ცრემლები. უბედურება და მკურნალთ უძლურება ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ საბოლოოდ ჩამომდგარი სიხარული ნატანჯ თვალებში.

საავადმყოფო – კიდევ ერთი შეხსენება სიკვდილისა, კიდევ ერთი უკანასკნელი შანსი სიცოცხლის დაფასებისა.

ექიმები... ექიმები. თეთრ ხალათში გამონყობილი უსულო სულები და ზოგიც ადამიანი. ანდა როგორ გინდა ამდენი წლის განმავლობაში გადატანილი შიშისა და ტკივილის შემდეგ შეგრჩეს რაიმე გრძნობისმიერი.

დღეს პალატაში შემოვიდა ორი ექიმი. ერთი თევზის თვალებით და ახალგაზრდული იერით, მეორე მზერაში ჩანვეთებული ნაღველით.

დღეს მე საავადმყოფოში ვწევარ და როგორც ყოველთვის ახლაც არ მეშინია. არ ვიცი, მაგრამ მჯერა რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ცოდნა ხომ სულ არაა საჭირო, როცა რწმენა გაქვს?!



# იანაშვილი პარტიკა

## ლექსი ტოროლას რომ შევადარე

დათო თედორაძეს

მე არ გამიხსნა დათო ვარსკვლავი,  
მე გამიხსენი მზე,  
ანდა მთვარე,  
ან გამიხსენი ციციანათელა,  
დღე და მოსწრება  
რითმები ვთვალე...

ლექსი ტოროლას რომ შევადარე,  
გვირილა დამრჩა  
მინდორში, დაბლა...  
გამინანყენდა ბელურა ისე,  
თოვლია მთებში,  
გარეთ ზის ახლა...

ბულბულს სიტყვები გამოელია,  
მუსიკალურად  
ლილინებს მარტო,  
ჩიტმა ატეხა ერთი ამბავი,  
განუწყვეტელი  
ჭიკჭიკი ჩართო...

მერცხალი მეტი გრძნობებისაგან  
დაპატარავდა,  
სრულიად დადნა,  
ანერვიულდა ვარდი იმგვარად,  
ფურცლებმა ძირში  
დაიწყეს ვარდნა...

ბალახზე ცრემლი აღარ გამშრალა,  
ბრილიანტივით  
ქვა გახდა მყარი,  
ვერ მოისვენებს და არ ჩადგება,  
გაურკვეველად  
წუნუნებს ქარი...

არწივი კლდეზე მოღუშულია,  
ზღვასა და ხმალეთს  
რისხვად შეხედა,  
სიყვარულსა და პოეზიაში  
მასაც მოუნდა  
სატროფოს შეხვედრა...

მე არ გამიხსნა დათო ვარსკვლავი,  
მე გამიხსენი მზე,  
ანდა მთვარე,  
ან გამიხსენი ციციანათელა,  
მთელი ცხოვრება  
რითმები ვთვალე...

ლექსი ტოროლას რომ შევადარე,  
გვირილა დამრჩა  
მინდორში, დაბლა...  
გამინანყენდა ბელურა ისე,  
ზამთარია და  
გარეთ ზის ახლა...

## ჯოხის ორი ბოლოსაგვით

სიყვარული არის მხოლოდ,  
არის მხოლოდ  
ორმხრივი,  
ჯოხის ორი ბოლოსავით  
ერთნაირი,  
სწორმხრივი...  
ცალმხრივი კი არ არსებობს,  
არასწორი  
მცნებაა,

ის ორს შორის მონონების  
 გამოსატყულებათა...  
 თუ ერთ მხარეს დასაყრდნობად  
 უკეთდება  
 კაუჭი,  
 ჩარლი ჩაპლინი გახდება,  
 ქუდიანი,  
 რა უჭირს...

სიყვარული ვიცი მხოლოდ,  
 ვიცი მხოლოდ  
 ორმხრივი,  
 ჯოხის ორი ბოლოსავით  
 ერთნაირი,  
 სწორმხრივი.

**მგვიწინარის სილამაზე**

მთვარეს ყველა ბუჩქის ძირში  
 საყვარელი ყავს და  
 ხარობს,  
 გათენება სულ არ უნდა,  
 დაძინებას სულ არ  
 ჩქარობს...  
 სრულყოფილი როცა ხდება,  
 წელში წყდება  
 მანგალივით,  
 ხან თეთრია და პირსავსე,  
 ხან ყვითლდება  
 გარგარივით...  
 რაცთუ ქვეყნად ვარსკვლავია,  
 მასთან მიდის,  
 ეწონება,  
 მზევინარის სილამაზეს  
 ვერცერთი ვერ ეტოლება...  
 ის ოქროა და ანათებს,  
 ბრილიანტებს ისხამს  
 თმებზე,  
 კარგად რომ გამოიდაროს  
 ძინავს ღრუბლის  
 ბალიშებზე...  
 ვერ შეხედავ, უნდა იდგე  
 მის წინაშე

თავდახრილი,  
 მის ფეხებში უნდა ეგდო  
 მონობისგან  
 თავდახსნილი...  
 მთვარეს ყველა ბუჩქის ძირში  
 საყვარელი ყავს და  
 ხარობს,  
 გათენება სულ არ უნდა,  
 დაძინებას სულ არ  
 ჩქარობს...  
 სრულყოფილი თუკი არის,  
 წელში წყდება  
 მანგალივით,  
 ხან თეთრია და პირსავსე,  
 ხან ყვითლდება  
 გარგარივით...

**ოტელოსავით**

თუ ამას იქეთ ვინმე შემხვდება,  
 გულს სიყვარულის ნებას  
 არ მივცემ,  
 ჩემივე ხელით გავიხსნი პერანგს,  
 ჩემივე ხელით დანას  
 დავიცემ...  
 სისხლის წვეთებზე თუკი ამოვა,  
 თუკი ამოვა ტურფა  
 ყაყაჩო,  
 იმასაც მოვკლავ, იმასაც მოვკლავ,  
 ოტელოსავით მასაც  
 დავახრჩობ...  
 ვარდისნაირი მე სილამაზე  
 ჯერ არ მქონია ქვეყნად  
 ნანახი,  
 ჭოროხის წყალში რომ ბანაობდა,  
 ულამაზესი იყო  
 კალმახი...  
 მაგრამ მე მათით, იმათ კი ჩემით  
 ვერ ვიამაყეთ და ვერ  
 ვიხარეთ,  
 ვერ დავიმკვიდრეთ ბედნიერება  
 გულის კუნჭულში,  
 სახლში და

გარეთ...  
 თუ ამას იქეთ ვინმე შემხედება,  
 სიყვარულისთვის ნებას  
 არ მივცემ,  
 ჩემივე ხელით გავიხსნი პერანგს,  
 ცემივე ხელით დანას  
 დავიცემ....  
 სისხლის ნვეტებზე თუკი ამოვა,  
 თუკი ამოვა ტურფა  
 ყაყაჩო,  
 იმასაც მოვკლავ, იმასაც მოვკლავ,  
 ოტელოსავით მასაც  
 დავახრჩობ.

**მინდვრის ქალბატონს**

ცისანა ანთაძეს

მე მას დავარქმევდი  
 მინდვრის ქალბატონს და  
 პოეტს ულამაზეს  
 ცისას,  
 მან ხომ ჩვენთვის შეკრა  
 მზის სხივები და არ  
 დაგვიმიზნებს ისარს...  
 თვალებს შემოგვაველებს  
 ერთი შემოხედვით  
 ისე ლამაზსა და  
 იმფერს,  
 დილის ზღვასავით და  
 სუფთა ზეცავით,  
 სუფთა ზეცავით  
 ცისფერს...  
 მე მას დავარქმევდი  
 ჭიამაიას და  
 მერე დავისვამდი  
 ხელზე,  
 ან გადავაქცევდი  
 ძვირფას მარგალიტად,  
 ჩამოვიკიდებდი  
 ყელზე...  
 რათა სიყვარული  
 იმის გულ-უბეში

დიფლის შუშასავით  
 ენთოს,  
 ის რომ მარტო არი,  
 შენი ბრალი არის,  
 შენი ბრალი არის  
 ღმერთო...  
 მე მას დავარქმევი  
 ახლად შეღერებულ,  
 ახლად შეღერებულ  
 ჭადარს,  
 მერე მოვძებნიდი  
 დიად რომანებში  
 ვაჟკაცს, მისი ტრფობის  
 სადარს...  
 უხმო ფოთოლივით  
 რომ შეძლებდა ხეზე  
 ან ხისძირში ცახცახს,  
 ხან რომ სიცივისგან  
 კანკალებს და ხან რომ  
 დავინახავთ  
 დამცხარს...  
 მე მას დავარქმევდი  
 ბერძნულ ქალღმერთივით,  
 ზევსის ქალღმერთივით  
 ტანადს,  
 თეთრი შროშანების  
 თეთრი ფურცლებიდან  
 მტრედებს გავატანდი  
 ბარათს...  
 „მთვარის სონატზე“  
 მუსიკის თანხლებით  
 სიყვარულს ვუხსნიდი  
 ღამით...  
 ვაბედნიერებდი,  
 ვაბედნიერებდი,  
 ვაბედნიერებდი  
 ამით...  
 მე მას დავარქმევდი  
 მინდვრის ქალბატონს და  
 პოეტს ულამაზეს  
 ცისას,  
 ვარდებს რომ უყურებს  
 დიდი სინაზით და  
 წყარო ურჩევნია

მთისა...  
 თვალებს შემოგავლებს  
 ერთი შემოხედვით  
 ულამაზესსა და  
 იმფერს,  
 თითქოს დაატარებს  
 ზღვას და ზეცას ერთად  
 ისე, იმნაირად  
 ცისფერს.

**ბოკვერი ხარ ლომის**

დათო თედორაძეს

დიდ მეფეზე მირთმეული  
 ბოკვერი ხარ  
 ლომის,  
 ბრძოლა გინევს კალმის წვერით  
 და მოგება  
 ომის...  
 ფაფარივით რომ იმშვენებ  
 კისერსა და  
 ლაბაბს,  
 ავაზას და ვეფხვს ნუ მიცემ  
 გამარჯვების საბაბს...  
 მზის სხივები გზას გიჩვენებს,  
 ღრუბელს მიაქვს  
 დარდი,  
 სადაც სისხლი დაიღვრება,  
 იქ ამოდის  
 ვარდი...  
 დიდ მეფეზე მირთმეული  
 ბოკვერი ხარ  
 ლომის,  
 ბრძოლა გინევს კალმის წვერით  
 და მოგება  
 ომის...

**ლობა**

ზაზა ხალვაშს

მე ლევანის გოგო ვარ,  
 მგლის შვილი ვარ –  
 ლობა...  
 შემძლია გაგინო  
 არნახული  
 დობა...  
 ისე მოგეფერები,  
 დაგავინყებ  
 თუთუნს,  
 მაგრამ ვერ შევეცილები  
 ფრიდონსა და  
 თუნთულს...  
 შემომხედავ ნარბეზზე,  
 აქეთ-იქით  
 ნავალ,  
 თევზებივით მყავს ისინი,  
 მე ქალთევზას  
 ვგავარ...  
 ნაცარში და სილაში  
 მეთუთქება  
 გული,  
 ზღვა მიყვარს და მისი ქვიშა  
 არის ჩემი  
 ფული...  
 მე ლევანის გოგო ვარ,  
 მგლის შვილი ვარ –  
 ლობა...  
 შემძლია გაგინო  
 მხოლოდ კარგი  
 დობა...  
 ისე გაგიფრთხილდები,  
 არ მოითხოვ  
 თუთუნს,  
 მაგრამ ვერ შევეცილები  
 ფრიდონსა და  
 თუნთულს.

# ჩინოვანი, ქულისისი



## პირობა (იური) პიპილიპიპილი

ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს,  
ბატონ **რევაზ მიშველაძეს** დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.  
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის  
აჭარის ორგანიზაცია და ჟურნალი „ჭოროხი“  
ულოცავენ ბატონ რევაზს საიუბილეო თარიღს.

### ცხოვრების ბაკვითილები\*

(წერილი მესხეთე)

მკითხველის წიგნის თაროს შეემატა შოთა რუსთაველისა და მრავალი სახელმწიფო და ლიტერატურული პრემიის ლაურეატის, **საქართველოს სახალხო მწერლის**, ქართული პროზის რაინდის რევაზ მიშველაძის რჩეულ ნაწარმოებთა ოცდახუთტომეულის მესხეთე ტომი.

პირველი: მწერილის თხზულებათა ტომეულებად გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს – თვით ავტორისათვის ამ გამოცემის მომზადების დროს მწერალი თვითკრიტიკულად აფასებს თავის შემოქმედებითი ცხოვრების განვლილ გზას. ეს იმდენად დიდი მოვლენაა ჭეშმარიტად შემოქმედი მოღვაწისათვის, რომ XVII საუკუნის ჩეხმა მოაზროვნემ **იან ამოს კომენსკიმ** სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა სათაურით „სიბრძნის სანიავებელი“, რომელშიც თვითკრიტიკულად და ახალი თვალსაზრისით შეაფასა წლების მანძილზე მის მიერ შექმნილი საეტაპო ნაშრომები და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო თავისი მთავარი თხზულებების ტომეულებად გამოცემა. ასე უდგება რჩეული თხზულებების ოცდახუთტომეულის მომზადებას მწერალი რევაზ მიშველაძეც, რასაც გვიდასტურებს რევაზ მიშველაძის შემოქმედების ღრმად მცოდნე კრიტიკოსი, პროფესორი **სოსო სიგუა** წერილში **„რევაზ მიშველაძის 25 ტომეულის გამო“**. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს „მწერალმა სხვათა დახმარების გარეშე შეკრიბა და დაახარისხა თავისი ნაწარმოები. ბევრ რამეს შეელია, მაგალითად, ზოგიერთ ბრწყინვალე პოლემიკურ წერილს, ზოგიც, რაც დავინწყებული ან ნაკითხული არ გვქონდა, ახლებურად დავინახეთ. ახლა მკითხველს ხელთ აქვს რევაზ მიშველაძის მიერ 50 წლის მანძილზე შექმნილი 500 ნოველა, პიესები, პოლემიკური ესეები, რომანი და ჩვენ შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მწერლის შემოქმედებაზე. ადრე ნაწილ-ნაწილ, ან ნაწილობრივად რომ ვეცნობოდით, მან ჩვენს წინაშე დადო 25 ტომი და გვითხრა – აი ეს შევძელი მე, ეს გავაკეთე. მათი გაცნობისას კი ნამდვილად გვიპყრობს **განცვიფრება**, თუ როგორ შეძლო მწერალმა ამდენის შექმნა.

მეორე: მწერილის რჩეული ნაწარმოებების ტომეულებად გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მწერლობისათვის. მწერლობა თვალს ადევნებს მიღწეულ დონეს, შემოქმედებითი ძა-

\* ი. ბიბილეიშვილის წიგნიდან: „მწერალი, რომელიც ცხოვრებას გვასწავლის“.



ლების პოტენციურ განვითარებას, განსაკუთრებით მწერალთა ახალგაზრდა თაობის სწორი შემოქმედებითი ორიენტაციის განსაზღვრისათვის.

მესამე: მწერლის თხზულებების ტომეულებად გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიისათვის. ისტორიკოსი მწერლის ტომეულების საფუძველზე შედარებით სწორად და საფუძვლიანად განსაზღვრავს მწერლის ადგილს სამწერლო სამყაროში და ზოგადად ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში.

მეოთხე: მწერლის, განსაკუთრებით რევაზ მიშველაძის დონის მწერლის რჩეულ ნაწარმოებთა ტომეულებად გამოქვეყნებას ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს მკითხველის მხატვრული გემოვნებისა და განათლების სრულყოფისათვის. მკითხველის ლიტერატურულ გემოვნებასა და განათლებას იმიტომ წამოვწვეთ წინ, რომ იგი მიგვაჩინა ერთ-ერთ ფაქტორად, რომელმაც მადა უნდა დაუკარგოს ლიტერატურული სუროგატების ავტორებს. გემოვნებიანი მკითხველის რაოდენობის მომატება ყურადღების გარეშე დატოვებს სუროგატებს და შემცირდება მოთხოვნილება მასზე.

მეხუთე ტომში გამოქვეყნებული ნოველები გამოირჩევა თემატური **მრავალფეროვნებით**. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ მწერალი ცხოვრობდა ორი ეპოქის მიჯნაზე. მის თვალწინ გაიარა საბჭოური ცხოვრების ავ-კარგმა და მისივე თვალწინ ყალიბდება ახალი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის შუქ-ჩრდილები. იცვლება ფორმაციები და, შესაბამისად, იცვლება ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერი ღირებულებები, იცვლება იდეოლოგია, ხალხის მსოფლმხედველობა, ხასიათი და ადამიანებს შორის დამოკიდებულებები. ყოველივე ეს დამაჯერებელ ასახვას პოულობს კლასიკურ ნაწარმოებებში.

ცხოვრებით ნაკარნახევ კითხვებზე მკითხველი დამაჯერებელ პასუხს სწორედ მხატვრულ ნაწარმოებში ეძებს ამ საკითხებზე. მკითხველის ინფორმირებაში თითქმის (ან მთლიანად) შეუცვლელია მხატვრული ნაწარმოების როლი და მნიშვნელობა. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები (ფრიდრიხ ენგელსი) XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ უფრო მდიდარ მასალებს ეცნობოდნენ ბალზაკის მხატვრული ნაწარმოებებიდან ვიდრე იმავე ეპოქის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნაშრომებიდან. რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედება უდავოდ სრულ სურათს შეიცავს საქართველოს XX და XXI საუკუნის დასაწყისის ცხოვრების კრიტიკულად შეფასების თვალსაზრისით.

რევაზ მიშველაძეს წილად ხვდა დიდი მისია – ახალ სიმაღლეზე აეყვანა ქართულ მწერლობაში კარგად დამკვიდრებული ნოველის ჟანრი. რევაზ მიშველაძე არ მიჰყვება ქართულ ნოველისტიკაში გაბატონებულ ფაბულის შერჩევისა და კომპოზიციის აგების ტრადიციულ ფორმებს. ეს სიახლე იმდენად თვალსაჩინოა, რომ ზოგიერთ ჟურნალისტს უჭირს მისი გაცნობიერება და ღირსეულად შეფასება თავის პუბლიკაციებში.

რევაზ მიშველაძის ნოველები მდიდარია შინაარსით, მკვეთრად გამოხატული განწყობილებებით. მწერალი ხშირად მიმართავს ერთ ნოველაში პარალელური სიუჟეტური ხაზების განვითარებას. მისი ნოველები გამოირჩევა პერსონაჟთა სიმდიდრით, მისი ყოველი პერსონაჟი, მეტადრე ნოველის მთავარი პერსონაჟი, მკვეთრად გამოხატული სახე-ხასიათია, რომელიც დიდხანს რჩება მკითხველის მეხსიერებაში.

რევაზ მიშველაძის ნოველები კლასიკური სრულყოფით ატარებენ მხატვრული ნაწარმოების სამ ძირითად-შემეცნებით, აღმზრდელობით და ესთეტიკურ-ფუნქციას.

კიდევ ერთი დიდი თავისებურება ახასიათებს რევაზ მიშველაძის შემოქმედებას. ერთი შეხედვით მწერალი თითქოს უმნიშვნელო და წვრილმან თემებზე აგებს თავის ნოველებს, ეს თავისებურება თავგზას უბნევს საქმეში ნაკლებად ჩახედულ ჟურნალისტს და ცდილობს დააკნინოს ამ ნოველების ლიტერატურული ღირებულება. მათ საყურადღებოდ დავასახელებ კონსტანტინე გამსახურდიას

ცნობილ წერილს: „გოგოლი“, სადაც დიდი კონსტანტინე მისთვის დამახასიათებელი მახვილგონიერებით წერს: „დიდი პოეტი და დიდი მეცნიერი ერთ რამეში ჰგვანან ურთიერთს: **ყოველდღიურ მოვლენაში უმცირესი, წვრილმანის მინიშნებაში.**“

რამდენ რეგვენს შეუმჩნევია ნიუტონამდე, ვაშლი რომ ხიდან ვარდებოდა. მაგრამ არც ერთ მათგანს არ დაუდგენია გრავიტაციის კანონი“ (კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტ. IX, გვ. 263).

რევაზ მიშველაძის ნოველებში კიდევ ერთ თავისებურებას შენიშნავს მხატვრული ნაწარმოების მომზადებული მკითხველი. ეს არის იუმორისტული ნაკადის შეგრძნება და ზერელე მკითხველი ფიქრობს, ესეც თითქოს იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინც ეჭვს ქვეშ აყენებს ამ ნოველების ლიტერატურულ ღირსებებს. ამ ეჭვებს უფანტავს „გადამკითხველებს“ კონსტანტინე გამსახურდიას „გოგოლი“.

დიდი კონსტანტინე იმონმებს მიგელ სერვანტესის სიტყვებს: „...**სიცილის მომგვრელი რამეების თქმასა და კომიკურის აღწერას დიდი გენიოსი თუ შესძლებს.** ამიტომაც გოგოლის წიგნები მეტია, ვიდრე წიგნები; სწორედ ამიტომაც გოგოლის შემოქმედება – ეს არის კომიკურის სიმძაფრით გახმანებული პოეზია მაღალი რანგისა“ (იქვე. გვ. 264).

რევაზ მიშველაძის შემოქმედებისადმი კეთილსინდისიერი, წინასწარაკვატებული მოსაზრებების გარეშე კეთილსინდისიერი მკითხველი კიდევ მეტ ღირსებას აღმოაჩენს და დარწმუნდება იმაში, რომ რევაზ მიშველაძემ ღირსეულად გაართვა თავი თავის მისიას ლიტერატურულ ცხოვრებაში ახალი ნორმების შემოღება-განვითარებისათვის.

ეს ნოველები მკითხველს, პირველ რიგში, ასწავლიან ცხოვრებას. მწერალი კარგად იცნობს ცხოვრებას და ადამიანურ ხასიათებს. ამიტომ ოცდახუთტომეულის ყოველ ახალ ტომს საქმიანი განწყობილებით ელოდება მკითხველი.

მეხუთე ტომი იხსნება ნოველით „გვანჯი“. მწერალი მთავარ პერსონაჟთა დაპირისპირებით ცხად-ჰყოფს განსხვავებულ შეხედულებებს ცხოვრების საზრისის პრინციპულ საკითხებზე, პიროვნების ადგილზე საზოგადოებაში.

რა არის კაცის ცხოვრება? რა არის პიროვნების სიცოცხლის საზრისი?

ნოველა „გვანჯი“ დასამახსოვრებელ პასუხებს იძლევა ამ კითხვებზე. ამისათვის მწერალი მიმართავს ღირსებებით აღსავსე პიროვნების (მიხაკო გობეჩია) და ღირსებააყრილი პერსონაჟის გვანჯი ბეჭვაიას დაპირისპირებას. პირველი დახასიათებისათვის მწერალს ნოველაში შემოაქვს ქართული სუფრის თემა.

როგორც ცნობილია, ქართული სუფრა **ადამიანობის აკადემიადაა** აღიარებული. ქართულ სუფრასთან მეინახენი კაიკაცობის დანერჩილ და დაუნერელ კანონებს სწავლობენ. მიხაკო გობეჩიას პატივსაცემად გამართულ სუფრასთან წარმოთქმულ სადღეგრძელოებში ღირსეულად შეფასდა მისი განვლილი ცხოვრების გზა. მაგრამ მიხაკო გობეჩიამ ისიც იცის, რომ ქართული სადღეგრძელო ქება არ არის, იგი უფრო მონოდებაა ნეტამც ასეთი და ასეთი იქნებოდეო. მწერალი ამასთან დაკავშირებით ქართულ სუფრასთან წარმოთქმული **სადღეგრძელოს მოსმენის კულტურის** თემას ანვითარებს. მეინახე, რომელსაც ადღეგრძელებენ, პირველ რიგში, **თვითკრიტიკული** უნდა იყოს. როცა მიხაკო გობეჩიას ერთ-ერთმა მეინახემ ანგელოზივით სუფთა კაცი უწოდა, მიხაკომ ეს უმნიშვნოდ არ მიიღო და განავითარა საერთოდ ანგელოზივით სუფთა კაცად დარჩენის შესაძლებლობა-შეუძლებლობის შესახებ თავის მოსაზრება. „არა, ჩემო ბიძია, მეც მქონდა სურვილი სუფთად შევრჩინოდი ამ წუთისოფელს, მაგრამ სულ ტყუილია. პირველ პერანგს რომ გაცვითავ, იმის შემდეგაც შენი ცოდვა **ბეჭებს** (უმჯობესია **მხრებს** ი.ბ.) გიმძიმებს. რაკი კაცი ხარ, ვერსად გაექცევი ამ ცოდვას.

პერსონაჟი მიხაკო გობეჩია, რომელიც ამავე დროს ავტორის იდეების მატარებელია, უფრო შორს მიდის, როცა ამტკიცებს. „არ არის, არა ჩემო კარგებო, ადამიანი ანგელოზი. რაც უნდა გავალამაზოთ, იგი მაინც ადამიანია და, კაენის ლალატი საფლავამდე მისდევს“.

ამ მოსაზრებას შეიძლება არ დაეთანხმოს მკითხველი, მაგრამ მხატვრული ნაწარმოების აღმზრდელობითი და შემეცნებითი ფუნქციები მწერლისაგან ასეთ საკამათო მოსაზრებებსაც მოითხოვს. ამ შემთხვევაში მიხაკო გობეჩია საკუთარი გამოცდილებით ხელმძღვანელობს. – დამსმენი, დეზერტირი და დემაგოგი გვანჯი ბეჭვია მისი მხილების საფუძველზე რომ გაგზავნეს ფრონტის წინა ხაზზე, სადაც ის მალე დაიღუპა. როცა რაიკომში ამის შესახებ ცნობა მოვიდა, იქნებ ვინმეს წასცდენოდა: „რაც დაიმსახურა, ის მიიღო“, მაგრამ ასე არ ფიქრობს „ანგელოზით სუფთა კაცი“ მიხაკო გობეჩია. მან სასწრაფოდ აღმოუჩინა გვანჯის ქვრივ-ობლებს დახმარება და ქრისტიანულად მიუტევა ფრონტზე დაღუპულს. მაგრამ საკუთარ თავს კი მაინც ვერ აპატიო და ამბობს „მიხაკო გობეჩიას კაცის ცოდვაც კი აძევს კისერზე“ – მიხაკო გობეჩიას სწამს, რომ გვანჯი ბეჭვია ვილაცას უნდა დაეცვა ცოდვებისაგან. ცოდვას ვერ გაეცემა კაცი. თუ მას მხარში არ უდგას მეორე ადამიანი.

როგორც ცნობილია ამ თემას ქართულ მწერლობაში ფართოდ შეეხო მწერალი ნოდარ დუმბაძე რომანში „მარადისობის კანონი“ და შეჩერდა სულისა და სხეულის თანაფარდობის განსაზღვრაზე „სული მძიმეა სხეულზე“.

მიხაკო გობეჩიას თვითგანსჯა, რომ მისმა მხილებამ გვანჯი ბეჭვიას ფრონტზე დაღუპვა გამოიწვია, მეტყველებს იმაზე, რომ მწერალი რევაზ მიშველაძე სრულიად ორიგინალურ მიდგომას ავლენს თემისადმი „სული მძიმეა სხეულზე“. მიხაკო გობეჩია თვლის, რომ არ არის საკმარისი მხილება, მთავარია დაეხმაროს ადამიანს ცოდვის აცდენაში. ადამიანმა მეორე ადამიანი ჯერ უნდა დაიცვას ცოდვის ჩადენისაგან და მხოლოდ შემდეგ ამხილოს თუ ამის აუცილებლობა წამოიჭრება. ქრისტიანული ეთიკის ეს კანონი მომავალში კიდევ ბევრ ნიჭიერ მწერალს ააღებინებს კალამს ხელში, მაგრამ იგი წინასწარ კარგად უნდა გაეცნოს ნოდარ დუმბაძისა და, განსაკუთრებით, რევაზ მიშველაძის ნაწარმოებებს. ნოველა „გვანჯის“ პერსონაჟი მიხაკო გობეჩია ის ორიენტირია, რომელზეც უნდა ვასწორებდეთ ჩვენს ნაფიქრ-ნააზრებს ცხოვრების ურთულესი საკითხების გადაწყვეტის დროს.

მწერლის მონოდება – არ დავტოვოთ ადამიანი ამქვეყნიური ცოდვების პირისპირ და „შეერთებული ძალით დავუპირისპირდეთ ცოდვებს, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვთავაზობს ცხოვრება. ადამიანის ზრუნვა მეორე ადამიანის სულის სინმინდისათვის ერთ-ერთი მთავარი იდეაა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას სიცოცხლის საზრისზე.

სიცოცხლის საზრისზე გაღრმავების შთაბეჭდილებას ქმნის ნოველის დასათაურების („გვანჯი“) იდეაც. ჩვეულებრივ, მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურებში, უმეტესად, დადებითი გმირების სახელი ან ნაწარმოების მთავარი იდეა არის გამოტანილი (ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი“). მე ვერ ვიხსენებ ვერც ქართულ და ვერც მსოფლიო ლიტერატურაში ნაწარმოებს, რომლის სათაურად უკიდურესად უარყოფითი პერსონაჟის სახელი იყოს გამოტანილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, როგორც გამონაკლისს, ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობას „ელეონორა“ და უილიამ შექსპირის ტრაგედიას „მაკბეტი“.

მაკბეტი შოტლანდიის მეფის დუნკანის წარმატებული სარდალია, მაგრამ როგორც პიროვნება კარიერისტი და ზნედაცემულია. მაკბეტმა ოჯახში სტუმრად წვეული მისი მწყალობელი და მისი ღვანლის დამფასებელი მეფე დუნკანი ცოლის ლედი მაკბეტის ნაქეზებით მუხანათურად მოკლა. მაკბეტს ქურჩის „წინასწარმეტყველებმა“ („კუდიანი ქალები“) „უწინასწარმეტყველეს“ უახლოეს ხანში შოტლანდიის მეფის ტახტზე ასვლა. მაკბეტმა დააჩქარა ეს პროცესი და მეფის სისხლში გაისვარა ხელი. სამა-

გიეროდ მისი სიცოცხლე დამთავრდა მეფე დუნკანის ვაჟიშვილის ხანჯლის წვერზე. ხანჯლის წვერზე წამოცმული მაკეტის თავის დანახვით საზოგადოებამ შვება იგრძნო. ტრაგედია კი მისი სახელით დაასათაურა დრამატურგმა.

ასევე შეურიგებელია უზნეობასთან ალექსანდრე ყაზბეგი. ელეონორა გამორჩეულია თავის თემში. „ყმანვილი და ცქრიალა, ცოცხალი და განაზებული, მშვენიერი და კეკლუცი... ყმანვილ კაცთათვის საოცნებო საგნად გამხდარიყო. ვისაც ან სახელი, ან გვარიშვილობა, ან შეძლება ნებას აძლევდა, ყველა ელეონორას ხელს დაეძებდა, ყველას სანატრელად ჰქონდა გამხდარი მასთან შეუღლება და მისდა მოსაწონებლად ათასგვარ შემთხვევას აძებნიდა. მაგრამ ელეონორა, გაამაყებული თავისი მშვენიერებით და გაამპარტავებული მამის მდგომარეობით... ხარხარებდა თავის არშიყებზე... მშვენიერის გარშემო ურიცხვი ყმანვილი კაცები, მათ შორის სახელგანთქმული ლეკი მეზობელი ასლან კრიმ გირეი ძილსა და მოსვენებას მოკლებულნი, ოხვრასა და სულისკვეთებაში იყვნენ, მაგრამ ტყუილად დნებოდნენ, ტყუილად ცდილობდნენ. ელეონორას შორიდან ეტრფოდა აზნაური ლევან კრეჭიაშვილიც, რომელსაც არც გვარიშვილობა, არც შეძლება და არც შეხედულობა ელეონორას ცოლად შერთვის საფუძველს არ აძლევდა. „ტანად დაბალი და მრგვალი, მოძრაობა რალაცა უხერხული და პირისახე უსიამოვნო გაბანჯგლული წვერ-ულვაში, დიდი თავი, ორივე თვალებით დაელამებული ლევანი ელეონორას გულში უფრო სიცილს აღძრავდა ხოლმე“.

მაგრამ ამ პოლარული მხარეების დაახლოება მაინც მოხდა. ელეონორამ ერთ დღეს გამოაცხადა ასპარეზობა ერთი პირობით – ვინც კრიმ გირეის მოკლავდა, იმას გაჰყვებოდა ცოლად. ამ უაზრო ასპარეზობამ თორმეტი საუკეთესო ქართველის სიცოცხლე შეინირა. შურისაძიებლად ასპარეზობაში მიიღო მონაწილეობა ლევან კრეჭიაშვილმაც და გაიმარჯვა. პირობის მიხედვით კრიმ გირეის თავი მიართვა ელეონორას. თავის მხრივ ელეონორამაც დაიცვა თავის პირობა და ლევან კრეჭიაშვილს მიმართა: „ვინც ასლან გირეის მოჰკლავდა, ჩემი ქმარი შეიქმნებოდა... წამიყვანე“.

მაგრამ ლევან კრეჭიაშვილმა სასტიკად დაგმო ელეონორას პატივმოყვარეობა და ამპარტავნობა და ყველასათვის და, განსაკუთრებით ელეონორასათვის, მოულოდნელად და გასაკვირველად ასე მიუგო საყვარელ ქალს: „ქალი, რომელიც ამდენს მოძმეს გასწირავს თავმოყვარეობისათვის, ქართველის ცოლობის ღირსი არ არის. მე უბედური ვარ, რომ მიყვარხარ; რომ ჩემი გადაწყვეტილებით სიცოცხლეს მოვიწამლა, მაგრამ შენი ქმარი კი არ შევიქმნები“. მწერალი დასძენს: „ამ სიტყვებთან ერთად ჰაერში გაელვებულმა ხანჯალმა ორად გააპო კრეჭიაშვილის გული“.

ლევან კრეჭიაშვილი ქართული ზნეობის მწვერვალზე დგას, მოთხრობას კი ჰქვია სახელი ქალისა (ელეონორა), რომელიც დაცლილია ზნეობრივი ღირსებებისაგან.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს რევაზ მიშველაძის ნოველა „გვანჯის“ დასათაურებასთან. გვანჯიც უკიდურესად უარყოფითი პერსონაჟია – მეზობლის დამსმენია, დეზერტირი, დემაგოგი. გვანჯი მოგონილი ავადმყოფობით თავს არიდებს სამხედრო სამსახურს და დეზერტირის ცხოვრებით ცხოვრობს. გვანჯი სულიერად არა მარტო უზნეოა, არამედ იგი ფიზიკურადაც უაღრესად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანებზე: „ვატარებთ კომისიას და გვანჯი ბეჭვანია არ შემოფლატუნდა? თავისი განუყოფელი ჯოხით, მუხლში გაქვავებული მარჯვენა ფეხით და კურდღლის თვალებით, შეშინებულივით რომ აცეცებდა აქეთ-იქით... არ მომწონდა ეს კაცი“. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ შექსპირმა, შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგმა თავიანთი ნაწარმოებები უარყოფითი პერსონაჟების სახელით დაასათაურეს, რევაზ მიშველაძის ნოველა „გვანჯი“ მაინც საჭიროებს სპეციალურ გაანალიზებას და მწერლის გადაწყვეტილების დასაბუთებას. ვფიქრობთ ამ საკითხზე დამაჯერებელი მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა კრიტიკოსმა მურმან თავდიშვილმა ვრცელ წერილში ქვეშაირიტად სახალხო მწერალი, რომელიც რევაზ მიშველაძეს ეძღვნება: „ჩეხოვი, – ნერს, – მურ-

მან თავდიშვილი; საძულველი პიროვნების დახატვის გზით გვასწავლის, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია. რევაზ მიშველაძე თვით მიუღებელ პიროვნებაშიც სასიკეთოს ეძებს და კიდევაც პოულობს“.

\* \* \*

რევაზ მიშველაძე პოლიტიკურ ნოველების აღიარებული ოსტატია. ამ ნოველების ციკლში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1989 წლის 9 აპრილის თემაზე შექმნილი ნოველები.

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს უახლოესი ისტორიის ყველაზე ბრწყინვალე თარიღია, ამ დღეს „საქართველომ ტანზე მოირგო თავისუფალი ქვეყნის მანტია (რ. მიშველაძე) დაინახა თავისი თავი თავისუფალ ერთა თანავარსკვლავედში და ირწმუნა, რომ თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა აუცილებლად გამარჯვებით დამთავრდებოდა. ესაა ის ისტორიული თარიღი, რომელსაც დროთა სვლა კი არ აფერმკრთალებს, პირიქით ჰმატებს ბრწყინვალეობას.

რევაზ მიშველაძის პოლიტიკური ჟანრის ნოველები დაწერილია კლასიკური მხატვრული აზროვნების წესით. ამიტომ ამ ნოველების უმთავრესი თავისებურება გახლავთ ის, რომ ეს ნოველები უფრო ღრმად წარმოგვიდგენს ასახული მოვლენის არსს და თითქოს ისტორიული დოკუმენტის, მოვლენის შესახებ ისტორიულ პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს. ამაშია რევაზ მიშველაძის მთელი შემოქმედების სანდოობაც.

ნოველა „წარღვრით ჩაქცეული ნაპირზე“ ტრაგიკული 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ მოვლენას ეძღვნება; მწერალი მთავარ ყურადღებას აქცევს არამხოლოდ მშვიდობიან მოშიმშილეთა დარბევის შემფარავ ამბებს, არამედ იმ ისტორიულ ძალებს, რომელთაც, ჯერ, განაპირობა ამ გრანდიოზული მიტინგის მოწყობა, შემდეგ იმ ძალებს, რომელთა მეშვეობით დაარბიეს ქართველი დემონსტრანტები, მაგრამ ვერ დათრგუნეს.

ნოველა დაწერილია დარბევის მსხვერპლის საკუთარი აღსარების ფორმით, რაც აგრეთვე აძლიერებს აღწერილი მოვლენის სანდოობას.

სანდოა სტუდენტ მანანა კეკელიძის ყოველი ჩვენება იმის შესახებ, თუ როგორ ჩაერთო ის მოშიმშილეთა მიტინგში. სანდოა მისი პირველი შთაბეჭდილებები მომიტინგეთა შორის გავრცელებული პოლიტიკური ლოზუნგების ერთგვარი არათანმიმდევრულობის შესახებ, მართალია მისი პიროვნული განცდები. ახალგაზრდა სტუდენტი ბუნებით რომანტიკოსია, ის თავის ადგილს ეძებს საზოგადოებაში. ნოველის მთავარი პერსონაჟი ამბობს: „თავიდან დაჯდომას არ ვაპირებდი, ჩემი ჯგუფელები – ნიქორიძე და გალდავა ისხდნენ, და მათ სანახავად წავედი... მკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს იმდენად ქარაფშუტა გოგო ვიყო, რომ მხოლოდ დროის გატარების და უჩვეულო გარემოში გართობის მიზნით გადავწყვიტე შიმშილობა. რა გართობაა. შიმშილი, ცივ ქვაზე ჯდომა და ღამით კანკალი. მაგრამ დამერწმუნეთ, არც ეს მომენტია გამოსარიცხავი, თანაც დარწმუნებული ვიყავი, ...რომ ჩემი აქ ყოფნა ქვეყანას სჭირდებოდა, რალაცაში ვეხმარებოდი საერთო საქმეს... იცით, რალაც სასიამოვნო შეგრძნება იყო ფიქრი იმაზე, რომ ყურადღების ცენტრში ხარ, ქვეყნისათვის მცირეოდენ მსხვერპლს იღებ, რალაცას თუ ვილაცას პროტესტს უცხადებ“. საბჭოთა სინამდვილის კარგად ცოდნის საფუძველზე ახასიათებს მწერალი მომიტინგეთა საერთო განწყობილებას: „ცხოვრების მანძილზე ცალცალკე მყოფნი ერთმანეთისაგან სუბორდინაციული თუ ეთიკურ-ზნეობრივი ბარიერებით გათიშულნი, ახლა საოცრად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. თითქოს ოცდაათიათას კაცს, ერთმანეთის სუნთქვა გვესმოდა. ჩვენი სხეულებითაც კი ვათბობდით ერთმანეთს“.

მართალია ეს არ იყო სტიქიურად შეკრებილი ხალხის მიტინგი, ხალხი ამ მიტინგზე ეროვნული თავისუფლების იდეამ მოიყვანა, მაგრამ საბრძოლო ლოზუნგები მაინც არ იყო საყოველთაოდ გასაგები და მისაღები. „მე პირადად, – აღიარებს ნოველის მთავარი პერსონაჟი, – არც ის ვიცოდი,

კონკრეტულად, რას მოვითხოვდით, ჩვენ, მოშიმშილენი, ან რამდენ ხანს უნდა გვემომშოლა“.

მწერალი კარგად შერჩეული დეტალებით იმასაც ცხადჰყოფს, რომ ხალხს, თუნდაც მაღალი იდეალებით იყოს მოსული მიტინგზე, მაინც სჭირდება გონიერი ხელმძღვანელობა, მაინც სჭირდება ნათლად გამოსატყული საბრძოლო ამოცანების დასახვა. „ჭკვიანმა კაცმა მშვენივრად იცის, რომ თუნდაც ყველაზე გრძელი მიტინგით და თვითმგვემი შიმშილით სანუკვარ მიზანს ვერ მივწვდებით. მე თუ მკითხავთ, – ამბობს სტუდენტი მომიტინგე, – შვიდდღიანი ქაქანით ხალხს მიტინგსაც შევაძლებთ“ მომიტინგეებს შორის არა მარტო ამის საშიშროება გამოჩნდა, არამედ „უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსის გამოსვლაც კი არ მივიტანეთ გულთან“.

მაგრამ ნოველაში მაინც ერთ-ერთი მთავარი თემა იმპერიული სახელმწიფოს, როგორც მტარვალის, სახის ჩვენებაა და მწერალი მის სახეს მოშიმშილეთა მშვიდობიანი მიტინგის დამარბეველი ჯარისკაცების სახეში ხატავს.

იმპერიული სახელმწიფოს ჯარისკაცს სძულს, ამ შემთხვევაში, ქართველი ხალხი, რომელიც ეროვნული თავისუფლების სურვილს გამოხატავს. მაგრამ მწერალი ამით არ ქადაგებს ხალხებს შორის მტრობასა და სიძულვილს, იმპერიული სახელმწიფოს ჯარისკაცს სპეციალურად ზრდიან როგორც დაუნდობელ ძალას იმათ წინააღმდეგ, ვინც იმპერიის ინტერესებს უპირისპირდება. ასეთი ჯარისკაცი არა მარტო დაუნდობელია, არამედ უზნეო და უტიფარიცაა. კარგად გამოხატავს ამ იდეას ნოველის ეს ეპიზოდი, აგებული სწორედ დეტალის სიმართლეზე: „საშინელმა წინათგრძნობამ გული გამწვრილა, სუნთქვა შევაჩერე და თვალები წამით დავხუჭე. რომ გავახილე, პირველად ჯარისკაცებს ვესროლე მხერა. ფარები დაეყარათ და მარტო ხელკეტებითა და საველე ნიჩბებმომარჯვებულნი იდგნენ ჩემ წინაშე. სულო ცოდვილო. მომეჩვენა, რომ ზოგი მათგანი კეფასაც ლეჭავდა. პატარა, ურჩ ბიჭებს ჰგავდნენ. მოჭუტულ თვალებში მტაცემი ფრინველის სიჯიუტე ედგათ“.

რევაზ მიშველაძე თვალსაწიერის მქონე მწერალია. ის არა მარტო იმპერიული სახელმწიფოს ჯარისკაცის არაადამიანურ სახეს გვიხატავს, არამედ საჭიროდ თვლის გვიჩვენოს იმპერიული სახელმწიფოს მოქალაქეთა დამახინჯებული ცნობიერებაც. კერძოდ იმპერიული სახელმწიფოს იდეოლოგია იმპერიული სახელმწიფოს მკვიდრი მოსახლეობის ცნობიერებასაც ამახინჯებს.

ამ იდეას ეძღვნება ნოველა „დიდი წითელი ბურთი“. თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრადიციის შესახებ ჟურნალისტიკა საბა სუთიძემ გადამყვიტა რუსეთის ქალაქებში წაეკითხა ლექცია და ტელეკადრებიც ეჩვენებინა და ქართველი ხალხისადმი რუსი მოქალაქეების თანაგრძნობა გამოენვია. მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო რამ მოისმინა ქალაქ ტოპოროვოს მოქალაქეებისაგან: ლექციის მსვლელობის და ტელემასალის დემონსტრირების დროს დარბაზში ერთმა დედაბერმა ფაროსან-ჩაფხუტიანი ჯარისკაცები რომ დაინახა, მკვლელები უფრო შეეცოდა, ვიდრე მათი ხელით მოკლული ქალები და ბავშვები და წამოიძახა: „ვაიმე შვილებო, დაგხოცავენ ეს ავაზაკები“.

მთავარი შთაბეჭდილება, რაც ქართველმა ლექტორმა მიიღო ტაპოროველებისაგან ის იყო, რომ მიამიტობაა რუსს დახოცილი ქართველობა შეეცოდო. ლექციის პროცესში დარბაზში ისმოდა: „ასე დაემართება ქვეყნის დაშლის მოსურნეს“, „ეს გაკვეთილად უნდა იქცეს: „საომარ ტექნიკას მაინც რაღას ერჩოდნენ“, „აბა რა ეგონათ“, „რუსეთი მომთმენია, მაგრამ“... კანონის მთელი სისასტიკით უნდა დაისაჯონ“, „წითელი არმია უფლებას ვერავის მისცემს“... ეს იყო იმპერიული სახელმწიფოს ტიპურ მოქალაქეთა ტიპური დასკვნები.

მწერალმა შესაბამისი სახელიც უწოდა ამ ქალაქს და მთლიანად სახელმწიფოს, ტოპოროვო (სიტყვა ტოპორ-ნაჯახი).

იმპერიული სახელმწიფოს შემადგენლობაში ყველა ხალხი ობოლია – ასეთ იდეას აწვითარებს მწერალი ნოველაში „აპრილი“.

თბილისში ლონდონის საკონდიტრო ფირმების ტურისტულ ჯგუფს ინტურისტის, რა თქმა უნდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რუსმა თანამშრომელმა აეროპორტშივე ბოდიში მოუხადა – საქართველოს დედაქალაქში ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებული დღეებია და მოერიდეთ. ქართველებს ისტორიულ არსებობასთან რაღაც მაგიური, ძველებური, განსაკუთრებული ტკივილიანი დამოკიდებულება აქვთ. ეს დამოკიდებულება ბევრი აუხსნელი საიდუმლოებით არის სავსე. რასაც ქართველები თაობიდან თაობას გადასცემენ და სხვა. ერის წარმომადგენლებს თითქმის არ უმხელენ. ამიტომ არ უყვართ უცხოელი ტურისტები. ასე დაუხსნიათა რუსმა „კაგებენიკმა“ ეროვნული თავისუფლებისათვის ფეხზე დამდგარი ქართველი ხალხი.

ინგლისელმა ტურისტმა ამ სიტყვების მთქმელში სწორად ამოიცნო არაქართველი „მასპინძელი“ და მიმართა: „მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა. თქვენ ქართველი ბრძანდებით? „არა, – ცოტა არ იყოს თავხედური სიამაყით განაცხადა ინტურისტის წარმომადგენელმა და ჯერის თავის მიხვედრილობა გაეხარდა. ამ შეკითხვის მიცემისას უკვე ეჭვი ჰქონდა რომ ეს ხაზგასმული აქცენტით მოლაპარაკე ქერათმიანი მოხელე, შეიძლება, ნებისმიერი ეროვნებისად მიგეჩნიათ, ოღონდ ქართველად არა“.

პოლიტიკურ ნოველებს შორის მრავალმხრივ საინტერესოა ნოველი „მავზოლეუმი“. მწერალმა ამ ნაწარმოებით მისი და მისი თაობის სახელით პოლიტიკური ანგარიში გაუსწორა იდეოლოგიას, რომლის წნეხის ქვეშ ვცხოვრობდით 70 წლის მანძილზე.

ლენინი მავზოლეუმიდან გამოვიდა. მას სურს გაეცნოს დედაქალაქის მდგომარეობის მიხედვით მისი ინიციატივითა და იდეოლოგიით შექმნილ დიდ ქვეყნის მდგომარეობას. ბელადი შეაძრწუნა ყოველდღიური მოხმარების წვრილმანი საგნების საპნისა და სარეცხი ფხვნილის რიგში უთვალავი ადამიანის დგომამ, ილიჩის უსიამოვნო ეპიზოდი დაამახსოვრდა არცის რიგში მდგომთაგან. მაგრამ ყველაზე უფრო უსიამოვნო ეპიზოდი მისთვის იყო უცნობ ახალგაზრდა ინტელიგენტთან გამოლაპარაკება. უცნობმა იცნო ლენინი და ქვეყნის გაჭირვებული მდგომარეობით შეწუხებულმა ჰკითხა: კმაყოფილი ბრძანდებით? და ლენინს მოეჩვენა, რომ ამ შეკითხვის ინტონაციაშივე იყო ბრალდება, რისაც ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად ეშინოდა.

– „ეს სოციალიზმი არ არის. ეს რაღაც სხვაა. ხოლო რაც არის, აღმაშფოთებელია, – მიუგო ლენინმა.

– მერედა ვისი ბრალია? თვალი გაუსწორა უცნობმა – თქვენი არ არის?...

– მარქსიზმს იმთავითვე ჰქონდა ხარვეზები, სახელდობრ, შეცდომა იყო კლასთა შეურთებლობის თეორიის ქადაგება, რაც თავისთავში საყოველთაო სისხლისღვრის და სოციალურ ფენათა შერიგების უპერსპექტივობას ნიშნავს...

– მარქსიზმის მეორე დიდი შეცდომა იყო კერძო საკუთრების წინააღმდეგ გალაშქრება, ხოლო მესამე ყველაზე დიდი შეცდომა – ლამის უსამშობლო, უეროვნებო მოქალაქის აღზრდისაკენ მოწოდება. ლენინმა თავდაცვის მიზნით კითხვა შეუბრუნა ახალგაზრდას: „რატომ ფიქრობთ, რომ თეორიაა დამნაშავე და არა იმ თეორიის გამრუდებული ხორცშესხმა?

– რაკი ასეა, ჯერ იმას მოგახსენებთ, რომ თქვენმა თეორიულმა სისტემამ არ გაამართლა, პრაქტიკაში იგი ვერ განხორციელდა. ხოლო თუ არ გეწყინებათ, ახლა იმის თქმას შეგებდავთ, რომ ამ გამრუდებასაც (თუ რამე გამრუდდა) თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი.

– სახელდობრ?

– პირველივე თქვენი დეკრეტები ხალხის მოტყუება იყო და მეტი არაფერი, დეკრეტი მინის შესახებ არ იყო დიდი აფიორა? თქვენ ხომ მაინც იცით, რომ ამ დეკრეტით არავითარი მინა გლეხებს არ მიუღიათ, პირიქით, რაც ჰქონდათ ისიც წაართვეს. ხოლო რაც შეეხება ფაბრიკა-ქარხნების მუშებისათვის გადაცემას, ესეც ქიმერა იყო. არც ერთი დღით, ამ სამოცდაათი წლის მანძილზე მუშისა არ-

აფერი ყოფილა ხელისგულზე საკუთარი ბერბერების გარდა.

ნოველა „მავზოლეუმი“ პირველი ფრაზებიდან ბოლო სტრიქონამდე აგებულია კომუნისტური იდეოლოგიის მხილების პრინციპზე, მწერალმა დაუნდობელი განაჩენი გამოუტანა ლენინიზმის იდეოლოგიას. ამის გამო ლენინი მავზოლეუმში აღარ დაბრუნდა, ხოლო „მავზოლეუმი უვადო რემონტზე დააყენეს“ – ანუ დახურეს.

ნოველა „მავზოლეუმი“ დაინერა 1988 წელს. საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური იდეოლოგიის ოფიციალურად დაშლამდე.

\* \* \*

საქართველომ ევროპული არჩევანი გააკეთა. ეს ისტორიული მოვლენაა, ისევე, როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებლის რეფორმები იყო ცხოვრების ყველა სფეროში. თანამედროვე ცხოვრების ევროპული წესი ადამიანური მოღვაწეობის ყველა ასპექტს მოიცავს. მისი მხოლოდ დეკლარირება ცოტაა. ცხოვრების ევროპული წესი ადამიანის სულიერი სამყაროს გარდაქმნას მოასწავებს.

სხვათაშორის რევან მიშველადეს კონცეფციის დონეზე აქვს წარმოდგენილი ცხოვრების ევროპული წესის მნიშვნელობა ადამიანის ყოფითი ცხოვრების სფეროში: „ერთმა ტაქსის შოფერმა ამიხსნა: ჩაჯდომის მანერაზე ვცნობ, ვინ ევროპელია, ვინ მოსკოველია და ვინ პროვინციელიო. პროვინციელები ჯერ თავს შემოყოფენ მანქანაში და მერე ხუთნაირად იგრიხებიან, სანამ სავარძელზე მოკალათდებოდნენ. მოსკოველები, რატომღაც ჯერ ფეხს შემოდგამენ და მერე დასხდებიან. ეს გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე თავის შემოყოფა ტაქსში. ევროპელები კი ელვის სისწრაფით ჯდებიან. კარს გამოაღებენ თუ არა, უკვე სხედან სავარძელში. სასიამოვნო საყურებელია მათი დაჯდომა“.

კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მწერალი ადამიანების მომზადებას ევროპული თავისუფლებისათვის და ცხოვრებაში თავისუფალი ქცევის აღზრდას.

ყველაფერი, რაც ადამიანის სულიერ სამყაროს შეეხება პირდაპირ უშუალო კავშირშია მწერლობასთან. ხალხს მწერლობამ უნდა შესთავაზოს ევროპული აზროვნების დამკვიდრების პერსპექტივები. როგორც ცნობილია, ასეთი სამსახური ქართველ ხალხს ქართული რომანტიკული პოეზიის კლასიკოსმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ გაუწია XIX საუკუნის დასაწყისში. ეს პროცესი შეუქცევადი პროცესია და ამ პროცესში თვალსაჩინოა მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას და გერონტი ქიქოძის დამსახურება XX საუკუნის პირველ ნახევარში.

დღეს ცხოვრების ევროპული წესის ათვისების გზაზე პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებაჭეშმარიტი თავისუფლების სწორად გააზრებას. ევროპული თავისუფლება, პირველ რიგში, **თავისუფალი არჩევანის** დამკვიდრებაა. ვინ არის თავისუფალი პიროვნება? ევროპული სტანდარტების მიხედვით თავისუფალია პიროვნება, რომელიც თავისუფალია თავის არჩევანში. ამ იდეის დამკვიდრებას ესწრაფვის რევან მიშველადის მთელი შემოქმედება (პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა) და მწერალი ქადაგებს იმ იდეას, რომ თავისუფალი პიროვნება ბუნებით უნდა იყოს თავისუფალი. ამ იდეას მიუძღვნა მან საუკეთესო ნოველები „ჩემი დარდის ლაგამი“ და „ნელი ნიკურაძე“.

ნოველაში „**ჩემი დარდის ლაგამი**“ დახატულია სიტუაცია, როცა თუ თავისუფლებისათვის არ არის დაბადებული ადამიანი, იგი ბოლომდე ვერც იბრძოლებს თავისუფლებისათვის და ვერც გამოიყენებს მოპოვებულ თავისუფლებას. ნოველაში „ჩემი დარდის ლაგამი“ ცხენი, რომელიც ერთ დღეს პატრონმა გააქირავა პატარა ბიჭების სასეირნოდ, თავის ღირსების შეურაცხყოფად ჩათვალა და გაიქცა ტყეში „რაც მომივა, მომივიდეს, ასეთ დამცირებულ ყოფას სიკვდილი მირჩევნია. უკან მომბრუნებელი არა-ვარ – გადანყვიტა ღირსებაშელახულმა ცხენმა. მაგრამ შორს არ წასულა, მაჩვების



ნადგომ გამოქვაბულს შეაფარა თავი, მაგრამ მალე დარწმუნდა რომ „არა, არ ვყოფილვარ თავისუფლებისათვის დაბადებული“.

ნოველა „ჩემი დარდის ლაგამი“ მეტაფორაა იმ ადამიანისა, ვინც მომზადებული არ არის თავისუფლებისათვის, ხოლო ნოველა „ნელი ნიკურაძე“ საუკეთესო ნიმუშია თავისუფალი ადამიანის, ვინც მხოლოდ თავის არჩევანის მიხედვით მოქმედებს.

ნელი ნიკურაძე ბუნებით თავისუფალი პიროვნებაა. ის სწორედ თავისუფალი პიროვნების შთაბეჭდილებას ახდენს ახალ გაცნობილ არქიტექტორ კოკი გახოკიძეზე: „ოციოდე წლისა იქნებოდა. ახალმოშინაურებული ირმის მიმოხვრა ჰქონდა..., თუ შეიძლება ნავალ, ბატონო ნოდარ, მეო, დირექტორს შეანათა მეტყველი, მომნუსხავი თვალეები და დერეფანს გაუყვა საჩიხეში შეტყუებული ირმის მსუბუქი, მაგრამ შფოთიანი ბაკიბუკით.“

ნელიმ როცა საჭიროდ ჩათვალა ახალგაცნობილ კოკის ზღვისპირა ქალაქ აჩინჩარაში ჩააკითხა და ხუთი დღე-ღამე სიამოვნებით გაატარეს სასტუმროში, მაგრამ აჩინჩარადან თბილისში დაბრუნების დროს მატარებელში ნელიმ ასეთი რამ განუცხადა კოკის: „ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა რაც იყო, იყო. კარუსელს უკულმა ველარ დავატრიალებთ.“

– ეს ხუთი დღე?

– ხომ გეუბნებით, რაც იყო, იყო-მეთქი?

– ნელი, შენ ჭკუაზე ხარ? ეს ხუთი დღე ხომ ყველაზე უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. და თუ ასეა, რატომ მეჩვენებოდა, რომ შენც ბედნიერი იყავი ჩემ გვერდით...“

– დაუშვავთ ეს არაფერს აღარ ნიშნავს, გახსენებაც არ მინდა, დავილაღე. ახლა მე სრულებითაც არ მიყვარხართ... ეს ყველაფერი, რაც ჩვენ შორის მოხდა, დაბნეული გოგოს ხუთდღიანი არშიყი იყო.“

**მინდოდა და გავაკეთე. ახლა აღარ მინდა.** თქვენი დანახვაც აღარ მინდა. ხვალ შეიძლება სხვა მომენონოს და ასეთივე წარმატებით“...

ასეთი ნელი ნიკურაძე, ცხადია არ არის ზნეობრივი ნიმუში ქართველი ქალიშვილებისათვის. ნელი ნიკურაძე აბსტრაქტული თავისუფლების გაცოცხლებული ხორცშესხმული ნიმუშია, რომლითაც დიდ სამსახურს უწევს ქართველი ხალხის ჭეშმარიტი, ევროპული ყაიდის თავისუფალ პიროვნებად აღზრდას.

თავისუფლება პიროვნების შინაგანი სულიერი თვისებაა. მის გარედან შეტანა პიროვნებაში არ შეიძლება სწავლა-შეგონებებით. სხვა საქმეა ცოცხალი მაგალითის ჩვენება. ამაში ფასდაუდებელია მხატვრული ნაწარმოების (რომანი, მოთხრობა, ნოველა, სპექტაკლი, კინოსურათი) როლი და მნიშვნელობა.

\* \* \*

ცხოვრების გაკვეთილები ვუნოდეთ ამ წერილს. სახალხო მწერალი ცხოვრებას უნდა ასწავლიდეს ხალხს. ხალხს ცხოვრების კარგ გაკვეთილს სთავაზობს ნოველა „პაჭულია“. ნოველა აგებულია ხალხურ სიბრძნეზე, რომლის მიხედვით **ფულს იშოვის არა ის, ვინც ფულს ეძებს, არამედ ის, ვინც საქმეს ეძებს.**

ნოველის მთავარი პერსონაჟი პაჭულია მგზავრობის დროს ისე გაქურდეს მატარებელში რომ სრულიად უფულოდ მიადგა პანსიონატს. ფულის სესხების არავითარი საშუალება არ არის... და პაჭულიამ დაიწყო საქმის ძებნა. დასასვენებელი პანსიონატის დირექტორს შესთავაზა მრავალრიცხოვან დამსვენებლებისათვის უფასო ავტოსადგომის მოწყობა, ოღონდ თქვენ პატარა ოთახი გამომიყავით. პანსიონატის დირექტორმა ცალკე ოთახი ვერ გამოუყო, მაგრამ ერთ ფინურ სახლში მზარეულთან ერთად შეასახლა. პაჭულიამ ღამის გასათევი გაიჩინა. ავტოსადგომზე უამრავი მანქანა გაჩნდა, მართალია სადღელამისო სადგომზე დარაჯობისათვის თანხა არავის დაუნესებია, მაგრამ ავტომანქან-

ბის მფლობელები საკუთარი ინიციატივით მანც უზდიან ფულს დარაჯს. „იქით არავის ვთხოვ ფულს, მაგრამ მაძლევს ის კაცი და არ გამოვართვა?“ – ასე მუშაობს პაჭულია და მალე იმდენი ფული დააგროვო, რომ ნაღდ ანგარიშზე ორი თვის დასასვენებელი საგზური შეიძინა პანსიონატში.

პაჭულიამ ცალკე შემოსავალი გაიჩინა დამსვენებლებისათვის უღელტეხილზე ორგანიზებული ექსკურსიის მონყობით. ის ხალხს აგროვებს, ავტობუსის შოფერი ხალხის შეგროვებისათვის თუმანს აძლევს. პაჭულიამ თავისი საქმიანობის გამოცდილებით გააკეთა ძალიან პრაქტიკული დასკვნა: „თუ თავს გაანძრევ, მთლად გლახა თუ არა ხარ, ყველგან გაიტან თავს, კაცი“.

ნოველა „პაჭულია“ უნდა დანერვილიყო საქართველოში ახლა, როცა ყალიბდება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. პაჭულია ისევეა ღვიძლი შვილი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მშენებელი საზოგადოებისა, როგორც ლავრენტი არდაზიანის მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ფეხმოკიდებული სავაჭრო ბურჟუაზიული საზოგადოების სახით. აქტიური პიროვნების პრობლემა დღევანდელი ქართული ცხოვრების წიაღიდან მომდინარეობს და მწერლობა მას უნდა გამოეხმაუროს.

\* \* \*

რევაზ მიშველაძის ნოველების ერთ-ერთ მხატვრულ ღირსებას აღწერილი ფაქტის მკვეთრად გამოხატული ვიზუალური თვისებები წარმოადგენს. მაგალითად მეუღლის შეკითხვაზე „სხვა რა ნაკლს მატყობ?“ კატუშამ, რადგან არ უნდოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ასეთი მოქმედება შეასრულა: მკლავზე ბუხს აუქნია ხელი, თავსაფარი ფრთხილად მოიხსნა, კოხტად გაკეცა და ისევ წაიკრა შუბლზე“ („ბოლოო“).

ასევე უაღრესად თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სალონში ღორის ქცევის სურათი. „ტომარას თავი რომ მოვხსენი, უკან გადავხტი და კარი მიფუგდე, არ გამექცეს-მეთქი. შენც არ მომიკვდე. არც ადგილი იუცხოვა, არც ჭყვირილი მორთო. გვერდი გაუს-გამოუსვა მავთულის ბადეს და მიწის თხრა დაიწყო. ჩემი ოჯახის წევრებს და დაინტერესებულ მეზობლებს, მავთულხლართს მიჭიჭინებულებს ზედაც არ შეგვხედა, აქაოდა, მე ჩემი საქმე ვიცი, ყველამ თქვენს ჩახლართულ ყოფას მიხედეთო“. „რა ენერგიით, მონდომებით, მოთმინებით ჩიჩქნის მიწას. თუ ახლომახლო სულიერს იგრძნობს, ხანდახან გაქვავდება, მიაყურადებს და ისევ თავის საქმეს განაგრძობს“ („ღორი ქალაქში“).

განსხვავებული გუნება-განწყობილებისა და ხასიათების პერსონაჟებს სწორედ დეტალების სიმართლით აქცევს მწერალი მკითხველისათვის დასამახსოვრებელ სახეებად. „მართალია ილო კარის მეზობელი იყო. მაგრამ არც ისე ახლობელი გახლდათ, ინკასატორს ძილში რომ ჩაჰყოლოდა. ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ორ-სამჯერ თუ შეუღლიათ მეზობლებს ერთმანეთის ბინის კარი. ვერ აენყო ის ხალასი ურთიერთობა, მუგუზლის მეზობლებს რომ ეძახიან იმერეთში“. „გოდერძი თავისთვის ჯახირობდა მოულოდნელობებით სავსე წუთისოფელში, ილოც თავისთვის ჩირთი-ფირთობდა. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ რამდენადაც გულგახსნილი იყო გოდერძი (სამსახურიდან მობრუნებული საათობით დააბიჯებდა ეზოში და მოსაუბრეს ეძებდა დღიურ შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად), იმდენად გულჩახვეული და ჩუმი კაცი იყო ილო ბიბიჭაძე. სალაპარაკოდ არ გაგიჩერებოდა, ნიად-აგ საქმიანი იერით გარბი-გამორბოდა“ („სიზმარი“), „სიმთვრალე მხოლოდ იმაზე ეტყობოდა, რომ ჩვეულებრივზე ცოტა ხმამაღლა და დიდი პაუზებით ლაპარაკობდნენ“ („სიკვდილის წინა დღე“).

რევაზ მიშველაძე წარმატებით იყენებს ილია ჭავჭავაძის ცნობილ დებულებას „ქართველი ზმნებით ჰმეტყველობს“. ფრონტისათვის გამწვევი ძალის მობილიზაციის დავალების წარმატებით შესრულებას ნოველაში „გვანჯი“. ერთ ადგილზე ასე გამოხატავს მწერალი. „დილის ცხრა საათზე კანტორის ეზოში ოთხმოცამდე პირუტყვი ბლაოდა, ჭიხვინებდა და ყროყინობდა“ და მკითხველის შთაბეჭდი-

ლებაში ცოცხლად იხატება შეკრებილი ოთხმოცამდე პირუტყვი რა სახეობებისგან შედგებოდა.

როცა ნოველის ჟანრის სრულყოფაში რევან მიშველადის ნვლილზე ვლაპარაკობთ მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში ნოველის ფინალის ორიგინალურად მოფიქრებისა და გადანწყვეტის საკითხი. რ. მიშველადის ნოველის ფინალი, ფაქტიურად არ არის ისეთი დასასრული, რომლის შემდეგ მკითხველი უნდა ამთავრებდეს ნაწარმოების კითხვას. მკითხველის ამ დაინტერესებას მწერალი ახერხებს იმით, რომ ფინალში ოსტატურად ჩართავს ხოლმე ინტრიგის ელემენტს და მკითხველიც ნოველის ნაკითხვის შემდეგაც განაგრძობს ფიქრს იმის შესახებ, რის მიმართაც ნაწარმოების პირველივე სტრიქონებიდან იყო დაინტერესებული. არ შეიძლება, მაგალითად, გულგრილად დაამთავრო და დახურო წიგნი, ნოველა „სოფლის მადონა“-ს ასე ამთავრებს მწერალი „რაც დროზე გაუვლის ქარები და დროზე ჩახვდება ჭკუას, მით უკეთესია ხუხისათვის – ფიქრობს მაყვალა.

თავის თავს აჯერებს ბიბლიოთეკარი, რომ სწორად ფიქრობს. ცრემლად და სიკვდილად რომ უჯდება ეს ფიქრი?

\* \* \*

„კიდევ კარგი რომ ადამიანებიც ჩიტებივით ჩუმად, უხმაუროდ ქრებიან, თორემ ქვეყანას სიკვდილის საშინელი ზარი წალეკავდა“ („ბოლო“).

\* \* \*

„გმადლობთ, გმადლობთ. – მისი ასაკის კაცისთვის კობტად მოტრიალდა ილო, ქუსლი ქუსლს ჰკრა, ლიფტის ლილაკს თითი დააჭირა, მაგრამ კაბინას არ დაელოდა, მასპინძელს შლაპა მოუხადა და კიბეზე ჩაბაკუნდა.

\* \* \*

ქვისლთან მიიჩქაროდა ვითომ ნამდვილად? („სიზმარი“).

\* \* \*

„ჩემგან ახლა გულის გაკეთებაც ფუჭ საქმედ მიჩანს რამდენნაირი კაცი მიისაწყლება, ღმერთო, ახლა, ამ წუთში“ („ცრემლი სად არის“).

\* \* \*

„ჩემგან რა გესწავლება, საიდუმლოებებით არის სავსე ადამიანთა ურთიერთობები, ძვირფასო მკითხველო“ („61-14-25“).

\* \* \*

„მინდოდა რაღაც მეკითხა, მაგრამ ორივენი ისე გულიანად ხითხითებდნენ, სიტყვა ვერ ჩავურთე. ამასობაში ავტობუსიც გაჩერდა“ (ექიმბაში“).

\* \* \*

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ცხოვრობდნენ მუდამ ქართველები ასეთ ძვირფას ადგილებში, შეიძლება ერი სანატორიულ პირობებში იყოს სულ? იქნებ იმაზეც, რომ მორიგეობით იცხოვროს საბჭოთა ხალხმა კავკასიაში. ა, რას იტყვი შენ?

თანაშემწეს რა უნდა ეთქვა“ („მაღალი სტუმარი“).

\* \* \*

შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ნერვებმა მიმტყუნოს, გადავახიო თავზე ეს ქალაქი, ვისაც საჭიროა და ამით დავამთავრო ანგარიში ამ უმონყალო ქვეყანასთან“ („ოცდაცამეტი“).

\* \* \*

„არ უნდა ქესკინას, რომ ანტენა ჩადგან და ტელევიზორმა კაკლიძირშიც კარგად უჩვენოს, არ უნდა“ (მასპინძელი“).

\* \* \*

ერთი საათის შემდეგ კუნძულ ოლაჭვათირეს საინფორმაციო ორგანოებმა გუბერნატორის გადადგომის ამბავი ქვეყანას ამცნეს. მოქალაქეებს მიზეზი აინტერესებდათ, მაგრამ საინფორმაციო ორგანოები მიზეზს, ამჯერად, არ იტყობინებოდნენ. ადვილი შესაძლებელი იყო თვითონაც არ სცოდნოდნოდათ“ („კარგად ცხოვრობენ გუბერნატორები?“).

\* \* \*

„ღამით ეკლესიის დასავლეთის კედელთან მიმჯდარიყო შაოსანი დიაცი და მოთქმით ტიროდა. ვის ტიროდა? სხალთის ეკლესიის ეზოში ხომ დიდი ხანია არავის მარხავენ. სოფელს სხვა სასაფლაო აქვს, ნაბლნარას ფერდობზე“ („ყვილი“).

\* \* \*

„თითქოს კიპარსის ტანიდან გამოძვრაო, მქრქალი წყვილიადიდან კაცი გამოვიდა, ალუბლის ტოტები დაანყო საფლავს“.

ჩემგან რა გესწავლება, საიდუმლოებებით არის სავსე ადამიანთა ერთობა, ძვირფასო მკითხველო“ („61-11-25“).

\* \* \*

მკითხველთან საფუძვლიანი შეხვედრა, რომელიც მწერალმა გამართა რჩეული თხზულებების ოცდახუთტომეულის მეხუთე ტომის გამოცემით, დაუვიწყარია იმ თვალსაზრისით, რომ მკითხველი სწავლობს ყველაზე მთავარს, სწავლობს ცხოვრებას.



# ნანი ბუბუნაძა

## თეთრი ანგელოსი

გრიგოლ ფერაძე, ქართველი წმიდანი, პროფესორი, თეოლოგი, მართლმადიდებელი, გამოჩენილი მეცნიერი დაიბადა 1899 წელს, სიღნაღის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, მღვდლის ოჯახში.

დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, სასულიერო სემინარია, თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. ფლობდა ძველბერძნულ, სირიულ, არაბულ და ძველსომხურ ენებს. გერმანულად თარგმნა „წმინდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“. ნაშრომისათვის – „სამონასტრო საწყისების საკითხები საქართველოში“ – მინიჭებული აქვს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა: ინგლისში, ბონში, ოქსფორდში... მსოფლიოს ცნობილ ბიბლიოთეკებში ეძებდა და სწავლობდა ძველქართულ ხელნაწერებს. ათონზე 15 ქართული ხელნაწერი შეიძინა და გადანერა ილარიონ ქართველის ცხოვრება. ქართველ წინაპართა ნაკვალევზე აღმოაჩინა იოანე პეტრიწის ტიპიკონის ქართული ვერსია, დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ქართული კრებული.

ხილვა ჰქონდა, რომ თავი ღვთისთვის უნდა მიეძღვნა და 1930 წელს ბერად აღიკვეცა.

1931 წლის 31 მაისს, პარიზში, მის მიერ დაარსებულ წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ტაძარში პირველი ლოცვა აღავლინა.

1934 წელს აღიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში. ცხოვრობდა ვარშავაში.

1942 წლის სექტემბერში გესტაპომ დააპატიმრა ებრაელთა დახმარების ბრალდებით.

ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით გრიგოლ ფერაძე გარდაიცვალა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. იქ გაზის საკანში, მრავალშვილიანი პატიმრის ნაცვლად ნებაყოფლობით შევიდა. ასეთი ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს იმდროინდელმა პოლონურმა პრესამ. საბჭოთა ეპოქაში დიდი ხნის მანძილზე იკრძალებოდა გრიგოლ ფერაძის ხსენებაც კი.

1995 წლის 19 სექტემბერს, სვეტიცხოველში აღსრულდა გრიგოლ ფერაძის კანონიზაცია.

წმ. გრიგოლ ფერაძეს თეთრი ანგელოსის სახით მოიხსენიებს მადლიერი ქრისტიანი.

(ბიოგრაფიული მონაცემები ეყრდნობა ჟ. „კარიბჭის“ 2007 წლის 26 ივლისის ნომერში მანანა ტუაევას მიერ მოკვლეულ მასალაებს).

სამშობლოდან გადახვეწილი, საკუთარ მამულს დანატრებული წმ. გრიგოლ ფერაძე თავის პოემაში „რომელნი ქერუბიმთა“ ამბობს: „იდუმალი ძარღვებით ვგრძნობ, რომ მაინც ძლიერი ვარ“.

წმ. მამა ძლიერია იმით, რომ ღვთიურ სიტყვას ბოლომდე გაულო გულის კარები და ცხოვრების თანამგზავრად გაიხადა.

„შავნაღვლიანი“ პოეტი-ემიგრანტი, სამშობლოში დარჩენილთა აქეთ გვამხნევენ და შეგვახსენებს, რომ „უსამშობლო და დევნილი, გარიყული და წამებული“ იყო თვით უფალი, იესო ქრისტე.

პოემის სათაურს თვითონ გვიხსნის პოეტი. იგი, ზეცისგან ხელდასმული წმ. მამა, ქერუბიმთა მსგავსად, ცის საიდუმლოთა მოზიარე და გარკვეულწილად მატარებელიც ხდება. „რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოთ ვემსგავსებით“ – ასე იწყება ნათელმხილველი პოეტის სიტყვა. წმ. გრიგოლ ფერაძემ მშვენივრად იცის, რომ ოდესღაც აყვავებული მამული გექონია. სიტყვა „ოდესღაც“ გულისმომკვლელია, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი. წმ. მამა და პოეტი ეძებს გზას ერის ხსნისა. ...და მკითხველი მიყავს იმ დასკვნამდე, რომ გზა ხსნისა ერთადერთია – იგი ცოდვების შეცნობით და მონანიებით იწყება.

ნმ. გრიგოლ ფერაძეს ხილვის სახით ეძლევა დასაბამიდან დღემდე, ერის მიერ ჩადენილ ცოდვათა ნუსხა.

ხედავს ნმ. მამა, რომ „ნარევ თესლით შობილი ღვარძლი“ სინმინდეთ ებრძვის და ძლევს კიდევ, თუ გონს არ მოვეგებით. გონს რომ მოვეგოთ, ჭეშმარიტების გარკვევის სურვილი უნდა გვმართავდეს. თან ხალხის გულის გასაღები უნდა ვეძიოთ იქვე, სადაც ვართ. „სული მეტეხის კლდიდან ეშურება ნანგრევებს“, შეგვახსენებს ნმ. მამა.

საქართველო ობოლი ერია. იგი ციურ მაცხოვარს ჰგავს, რომელსაც უცხო ძალებით მახვილის წვერზე ატარებენ.

*„გუნდი არაა ეს ანგელოზთა,  
არამედ მიწა და ძალნი მისნი:  
არაბნი, სპარსნი და ანგელოზნი,  
თურქნი, სკვითელნი და შენი თვისნი“.*

ვერ წვდება ცას „ვინმე მავნე“ ძალებით დამცირებული „ქართლოსის შვილი“. იგი ეძებს ახალ „ბინებს“, „სადგურებს“, თუმცა ჯერ არ იცის სად დაივანებს. ამ ყოფის შემყურე პოეტი „ტანჯული და მოწამლულია“ და დასკვნასაც აკეთებს –

*„ჩვენ ვერ გვიშველის ვერც ერთა ლიგა  
ვერც ხევსურეთის მოჟანგო ფარი“.*

სინამდვილეში ჩვენ უნდა დაგვიფაროს ზეციურმა ძალამ, საყდარში შემდგარმა რიგებმა, ლოცვა-ვედრებამ, სულიერმა სინმინდემ, ზნეობამ... ამასთან, უნდა ვიცოდეთ საიდან მოვდივართ. XX საუკუნის 30-იან წლებშია დაწერილი ეს პოემა და არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ათეიზმის გავლენით ნასაზრდოები ჯვარდაუნერელთა ოჯახებიდან აღმოცენებული ახალი თაობა „ქაჯ-დევთა“ ქორწილის მემკვიდრენი არიან. არც მეტი, არც ნაკლები – ცოდვის შვილები. გამომდინარე აქედან, XXI საუკუნის მკვიდრნი თავისთავად ცოდვის შვილთა შვილები არიან. ნმ. გიორგი ფერაძის სული შემფოთებულია ამ გარემოების გამო. უკვე გარდაქმნილია „ქართველი ევა“. ეს ნიშნავს, რომ ტოვებს ერი ეთეროვან გზას, მარადიულად მბრწყინავი სამოსელი შემოაცვდა მის ღვთიურ სხეულს. ლელთ ღუნიას ტკივილი ერთხელ კიდევ ცხადდება – „ქალაი“ აღარ ქალობს, „ვაჟაი“ – აღარ ვაჟობს. ქართლის დილას ველარ ათენებს მამალი. პოეტისათვის ეს

პეტრეს ღალატის ტოლფასია, რომელსაც პოეზიის ერთ ასე გამოხატავს –

*„ჩვენ მივდიოდით ეთეროვან გზით,  
ბრწყინვა უკვდავი – ბრწყინვა მარადი;  
უცებ მომესმა ყივილი ქათმის  
და გამახსენდა პეტრეს ღალატი“.*

ხილვა სულისშემძვრელია. პოეტი განიცდის ყველაფერს, რაც მის სულიერ სამყაროსთან უშუალოდაა დაკავშირებული. იგი თავისი განცდების გამო მჭმუნვარეა, მაღალი აზროვნების გამო ფილოსოფოსიც და თეოსოფოსიც. გრიგოლ ფერაძე თვითონაა მწყემსების წრიდან გამოსული მოაზროვნე. თავისი ღრმა აზროვნების გამო იმაზე მეტს ხედავს, რასაც მისი თანამედროვე. ესაა ხედვა სულიერი დ ამ სულიერებაზე დაყრდნობილი კითხულობს იმ ჰიმნსა და პირველ პოეზიას, რომელიც ეკლესიამ თავის საღმრთო წიგნთა კანონში შეიტანა და „ქებათა ქება“ უწოდა. ამის ნამკითხავი ვერ ეგუება საშინელ რეალობას.

პოეტი ბიბლიური მწყემსის გზაზე შემდგარი საქართველოს გულისცემას აყურადებს და გზის მაძიებელ ერს შეახსენებს, რომ მეტი ფიქრი და გულმოდრეკილებაა საჭირო, რადგან –

*„გზა არის შორი და ირგვლივ ბნელა,  
ქვეყანას სძინავს ცოდვებში ხვეულს“.*

ნმ. გრიგოლ ფერაძე იმედით ავსებს ერს. ამით ცდილობს „სავალი გზისა გაუადვილოს“. ის ცის სიმაღლიდან გადმოსძახებს შეჭირვებულ ქართლოსის შვილთ –

*„აღიღეთ ბჭენი, ამსხვრიეთ კლიტე,  
მოდის უფალი, ღმერთი დიდებისა“.*

წმიდა მამა ერს ნუთმესვენებისათვის საყდრებისკენ უჩვენებს გზას. ამ გზით მიდის თვითონაც და უნდა ქვეყანა აიყოლიოს. ამიტომ აძლევს თავის მისამართს –

*„სვეტიცხოველთან ვიპყართ ნუთი  
და ჯვარის საყდარს რომ გადავცილდით,  
მივყევით მტკვარის ნაპირებს მრუდეს,  
გზაში სამ წმინდა გალობას ვცვლიდით.  
ცისკრობა იყო მთლად გადასული,  
როცა სიონში ჩვენ შევიჭერთ“.*

პოეტის მნუხარება გადამდებია მისი ლექსის მკითხველისათვის, რადგან იგი გამოწვეულია ღვთისმგებობი ერის ტრაგედიით. სვეტიცხოველ-

ში „ალარ ჩანს ქვეყნის ასული სპეტაკი სულით და თავდაჭერით“. ალარ რეკავენ დიდი ზარები; სად-ღაა მგალობელთ გუნდი, ალარსად ჩანან გულ-მოდრეკილნი. ლექსის აპოგეაა სტრიქონი – „სიონი ქვრივი დათალხული ცეცხლში ელავდა, მოვიდნენ ქვრივნი აქ ნუგუმისთვის და ტირილის-თვის და ყველა გული უცხოოდ ლელავდა“. „უნინ-ამც დღე კი დამელევა მე, უცხოობაში რაა სიამე“, გაგახსენდება დიდებული სოფიო ლეონიძის სიტყვები. ესეც რომ არა, ვერ ნაუხვალ რეალობას, რომელსაც წმ. მამაო გვისურათხატებს – „სუნი სუნნელი დღეს სულ სხვაგვარად გუნდრუკს ან-დრუკებს... მთელი ტაძარი გარდაქმნილია“.

სტრესულ მდგომარეობაში მყოფ ღვთისმსახურსა და ერისკაცს ჯერ ურწოლა აიტანს, შემდეგ უზომოდ თბება, ზეცაც ეხსნება და აღმობდება – „დღეს კი შევწვდი, დღეს განვიცადე უცხო სიამე, უცხო დიდება!“ ღირსი მამა იმსახურებს, რომ ციდან ესმას შეძახილი –

*„საით მიილტვი საბრალო მონავ?  
დარჩი შენს ერში, გადიქეც ხიდათ,  
სოფლის სიმძიმეს გოჯ ზედ ნუ სწონავ!  
გიყვარდეს იგი, ევლე მის სახეს  
და მასში სძებნე ღვთის ჩანასახი“.*

„ღვთის ჩანასახი“ ნათელი და თვალმისაწვდენია – „ჯეჯილის სუნი ჩვენ აგვდის ყველას“, მაგრამ საუბედუროდ არ გვესმის მიწის ენა, სათანადოდ ვერ ვაფასებთ მის ნაყოფს – პურს, ჩვენი არსობისას. ჩვენი დაუდევრობით და უღმერთობით –

*„...ჩვენი მიწა კი მიწად დარჩა,  
ჭლექი, გამხდარი, სისხლით ღარიბი,  
ნავსი, მოშხამო, როგორც რომ ჩარჩი,  
თავისთვის ძუნწი, სხვისთვის ურგები.  
ეკალს, კუროსთავს, შხამიან ბალახს  
შიმშილს და ცრემლებს და ვაი-ვაგლახს,  
ნაცარქექიებს და ქონდრის კაცებს  
ჩვენ დღეს ის გვაძლევს“.*

ქართლოსიანთა უმწეობას წმ. მამა იმაში ხედავს, რომ მას ადვილად, თითქმის დაუფიქრებლად შეუძლია ძველი გზისა და ნავსადგურის მიტოვება. ახალი ნავსადგურის საძიებლად კი თავისი პატარა ნავით ენდობა ოკეანის ტალღებს. ეს მაშინ, როცა ზღვაოსნობა მისი საქმე სრულე-

ბით არაა. „დაიმსხვრა ნავი და გავიწირეთ“ – გვა-უნწყებს გულმკვდარი ქირისუფალი ქვეყნისა. და აი, ფინალიც ერის ტრაგედიისა –

*„ჩვენ მივატოვეთ უძლებ შვილივით  
მამის სახლკარი, ძმა და გოშია,  
და გადავვარდით შვების მტილიდან  
გველებით სავსე ცხელ უდაბნოში.  
სიმშლი გვეკლავდა, მელორობა  
ვიღაცა უცხო თესლთან ვიკისრეთ...“*

ასპიტი და მორიელი გენამლავდა საუკუნეთა მანძილზე „და ბასილისკო გვიდგა მოისრედ.“ ამასობაში მოლიპულ გზაზე მოსიარულეებმა ტერიტორიებიც დაკარგეთ და იძულებულნი ვართ, მხოლოდ სიტყვიერი საყვედურით შევეგუოთ შექმნილ მდგომარეობას –

*„ამდენი ხანი მე ვიყავ თქვენთან,  
შენ კი მე ვერ მცნობ დღესაც ფილიპევ“.*

ხილვა გრძელდება: ხალხი შეცვლილია. მისთვის მთავარია იყოს მადლარი, სხვა არაფერი ადარდება. პატარძლეული ხევანთ დათა ორ ფეხზე მავალ დათვს დამსგავსებია. კარდანახელი დარჩო მარჯვენასა და მარცხენას ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ველარ შეხვედები ცხენზე ამხედრებულ, თეძამში მიმავალ ხანდაკელ გლეხს.

დიდი უმრავლესობისათვის სიბილწე მხოლოდ ისაა, თუ თავი ქვევრს ნაუბილწავს. „ნიკა, გიგუა, ბალა, ქიტესა, თვისი პურისთვის ჯვარს აცვამს ქრისტეს“.

წმ. მამა ამათ არაფერს აბრალებს და ასკვნის „მხოლოდ უსაზღვროდ მებრალებიანო“.

კამათი არცაა იმ ქართველის მოწოდება, ვისაც ზეციდან ზარების რეკვა ესმის, ვინც მოწმენდილ ცაზე სერაფიმებს და ქერუბიმებს ხედავს, ვისაც ხილვის ნეტარება ათქმევინებს –

*„შემძულდა თავი! ველტვოდი დაბას  
და კაცთ მოედანს,  
უდაბურ ალაგს, ხანძთის  
სალ კლდეს ვესალმებოდი“.*

პოემაში ნათლადაა ჩამოყალიბებული ნუთი-სოფელში წმიდანთა მოსვლის მიზანი და არსი. ისინი მქადაგებელნი არიან მშვიდობის, სათნოების, სიყვარულის. ქადაგებენ იმას, რაც სრულქმნილი ცხოვრებისათვის აუცილებელია.

წმიდანები არიან ციდან ცეცხლის ჩამომტან-

ნი. მაგრამ ეს ცეცხლი არც პრომეთესია და არც ოლიმპოს მთისა.

წმიდანმა უნდა ამხილის ძე – შეცთომილი, მაგრამ არ უნდა შეეცადოს მის დასჯას.

წმიდანი სპობს მას, რაც ცოდვილია. თან ხელით მალამო დააქვს ერის წყლულის დასაამებლად.

წმიდანი პასუხისმგებელია ერისა და უფლის წინაშე. იგი არ უნდა იყოს ამბიციებით შეპყრობილი და მხოლოდ ის ტვირთი უნდა ატაროს, რომელსაც გაუძლებს მისი სულიერი და ფიზიკური ძალ-ღონე. უნდა იყოს წრფელი, ცასავით უმანკო და ფანტაზიებით არ უნდა ხლართოს გზები.

წმ. გრიგოლ ფერაძე, თავის სიმართლეში დარწმუნებული, აჯამებს ყველაფერ ამას და წმიდანთა ცხოვრების წესთან დაკავშირებით ლოგიკური დასკვნა გამოაქვს – „ვართ ძველი შჯულის მკაცრი ილია“. მას მოსმენილი აქვს ანგელოზთა ჰიმნი, „რომლის თითო ასო ოქროს ინონის და რომელიც თავისი ღრმა მნიშვნელობითა და სიდიადით, თავისი სიმწველით ადამიანთა და ადამიანთა საზოგადოების აღმაშენებელი და გარდამქმნელი ძალით პრომეთეოსის ცეცხლს არ ჩამოუვარდებ“ (გრ. ფერაძე, „გამონათლევი“, 2014).

პოემას „რომელნი ქერუბიმთა“ თავიდან ბოლომდე ლაიტმოტივად სამშობლოს მონატრება და სიყვარული გასდევს. ნოსტალგიით შეპყრობილი პოეტისათვის არაფერია სამშობლოზე ძვირფასი და უპირველესი. სამშობლოში – კურნების ნამალია, უცხოეთში – ურვა და ტკივილი, სამშობლოში სულის სილაღეა, უცხოეთში – დაღლილობა და სიმძიმე, სამშობლოში მშობლიური სითბო ტრიალებს, უცხოეთში – მიუსაფრობა და უნდობლობა.

სამშობლო წმ. გრიგოლ ფერაძისათვის ოცნების ფრთებია და მასში შევლას ხედავს –

*„ოცნების ფრთები მე შემებმება და შენსკენ ვინევ, მე შენთან ვარ იქ, არ შევეუდრკები მაშინ მახვილებს და გადავკოცნი სამშობლოს მიწებს“.*

სამშობლო ჩვეულებრივი სათადარიგო სიტყვა როდია პოეტისათვის. იგი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც სული გააჩნია. წმ. მამა დაინტერესებულია ერის სულის ადგილმდებარეობით. როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, წი-

ნათგრძობას იგი მეტეხთან მიჰყავს. აქაა ქართლოსიანთა ქვეყნის სულის სამეუფეო ადგილი. რადგან აქ, „სალ კლდეზედ ჯვარს ეცვა დედა, სისხლი ედინა მას ურიცხვი და მოეშორა შარავანდედი, და მაინც დარჩა, მაინც უნათებს დღეს ყოველ ქართველს სისხლიან კვლებით, და წელში ერთხელ ყველას ანახვებს მტკვარში სასწაულს არაბის ძვლების“.

ხალხის გადმოცემით ხომ, 5 იანვარს, წმ. აბოს ხსენების დღეს, თბილისში, მონამეთა ხიდთან ჩნდებიან მტკვარში, არაბთა მიერ გადაყრილი წმინდანის წმიდა ნაწილები.

წმ. გრიგოლ ფერაძის პოეტური ხედვა ისე აღიქვამს საქართველოს, როგორც ქრისტეს სამშობლოს. განა ასეც არ უნდა იყოს? ქრისტე ხომ ყველაშია. ერმა, რომლის სული ჯერ კიდევ ცოცხლობს, უნდა ეძიოს თავის თავში გოლგოთის თხემიც და წმიდა ბეთლემიც. მივყვეთ სტრიქონებს და უფრო ნათელი გახდება პოეტის სულიერი ხედვის ამპლიტუდა –

*„მეტეხი არის ჩვენი სამშობლოს გოლგოთის თხემი, ქრისტე რომ აღწევს! სადაა ნეტავ ჩვენი ბეთლემი, გამოქვაბული მწყემსების და მზე?!“*

წმ. ილია მართლის სულიერი ხედვაც, ბეთლემისკენ მიპყრობილი საქართველოს წიაღში შეისვენებს. აქაც მწყემსების გამოქვაბული!.. აქაც მოლოდინი ნათლის სვეტისა!..

ისევ ძირითად თემას მივუბრუნდები. როგორ ჰგავს ჩვენი ერისა და მაცხოვარის განსაცდელი ერთმანეთს? როგორ ჰგავს მილიონობით ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების გზა უფლის გზას... ამის შესახებ უდიდესი შთაგონებით და წმინდა ნიგნის ცოდნით გვესაუბრება წმ. გრიგოლ ფერაძე, 1931 წლის შობა დღეს წარმოთქმულ სიტყვაში –

– „...დღევანდელი დღიდან იწყება ხანა კაცობრიობის ბედნიერების და დღევანდელი დღიდან იწყება ტანჯვა და ხეტიალი ღვთის ადამიანთა შორის, – მისი, ვინც სამშობლო დასტოვა და საყდარი ცისა და გადმოვიდა ადამიანთა შორის და დადის მას შემდეგ იმ ადამიანთა შორის უსამშობლოდ და უსახლკაროდ, მიადგება ყოველი ადამიანის გულს და სთხოვს მას ბინას თავისთვის,



იესო ქრისტე – უსამშობლო და დევნილი, გარიყული და წამებული, – დღესაც, როგორც გოლგოთის დროს და საშუალო საუკუნეებში. ესაა ტრადედია ღვთიური სიტყვის, ჩავარდნილის ადამიანთა წრეში და ესაა, მეორე მხრივ, ბედნიერება ყოველი იმ ადამიანის, რომელიც მიუხვდება ამას, გაუღებს ღვთიურ სიტყვას თავის გულის კარებს და გაიხდის მას თავის მეგობრად და თავის ცხოვრების თანამგზავრად. ჩვენც ვართ გადმოსხვნილნი და მე არა მგონია, რომ სხვას რომელიმეს ისე ესმოდეს კარგად ფსიქოლოგია უსახლკარო და უსამშობლოსი, როგორც მას, ვისაც ჰქონია ოდესღაც კარგი მამული. იესო ქრისტეც არის ჩვენისთანავე მდგომარეობაში და ეძებს ჩვენისთანებს... რაღას ველოდებით!.. რისთვის ვიმალებით? შევიკრიბნეთ და შევერთდეთ ამ ბაგაში დღეს მწოლიარე მაცხოვართან და გავიხადოთ იგი ჩვენი პატარა და ღირსეული ქართული კერის და ცხოვრების მფარველად და მეგობრად უცხოეთში. ამინ“.

ემიგრაციაში მყოფი პოეტი უგალობს თავის მონატრებულ „ტფილის-ქალაქს“. ქალაქს, რომელსაც „ვერ გააკვირვებ ვერც ბინითა და ვერც უბინობით“. ნათლად ხედავს მის ლამაზ სახეს, ქუჩებს... უყვარს ისეთი „როგორიც არის, როგორიც იყო“... ნანგრევებსაც გადაუფრინა ოცნებით და ოცნებაშივე გაამრთელა „ეს ნანგრევები“, ქვა ქვაზე დააწყო, ჭერი დახურა, ჩუქურთმით მორთო. „ანგელოზებმა ფრთა მომაშველესო“, ამბობს პოეტი. ანგელოზის ფრთის მოშველიება ნამდვილად დროული იყო წმ. მამაოსათვის, რადგან აქ სიცოცხლეს ერჩოდა „კაენის ბეჭედი“, ებრძოდა სინძინდეთ; დაითალხა საქართველოს დედაქალაქი მას შემდეგ, „როცა ზარები სწყვიტა სამება“.

ანგელოზთა დასს უნდა შეავედროს პოეტმა ტანჯულნი და მაშვრალნი, სიცოცხლემონამლულნი, ლუკმა-პურის მაძიებელნი. გულისმომკვლელია ისიც, რომ აღარავის ემღერება – „ქალაქის შვილი აღარ ამღერებს ჩანგურს და სიმებს“.

წმ. მამაოს მხოლოდ ისლა დარჩენია იმედად, რომ მოვა განკითხვის დღე, „მაცხოვარი სოფლად ჩამოვა“.

*„მაშინ აღსდგება ტფილისს ცხედარი,  
დაგვირგვინდება როგორც მონამე“.*

თბილისთან სტუმრობა სასწაული ხილვა იყო წმიდა სულის მქონე პოეტისათვის – „ეს იყო დიდი ეპიფანია...“

ხილვა გრძელდება, რადგან ჯერ კიდევ არ მიუნიშნებია მთავარი სათქმელი თავისი საყვარელი შვილისათვის უფალს. პოეტს ფრთებით აქვს დასალაშქრი „ტყენი ულრანი, მთები, სამშობლოს ნაცად-ფერნი“. აქ გზადაგზა შემკრთალი სულებიც ფრინავენ და კითხვებსაც სვამენ – „საით მიდიხარ, ვისთან ან რისთვის? ქალაქისაკენ? ნუთუ არ იგრძენ, მას აღარა აქვს დრო ჩვენი ღვთისთვის!“

მაგრამ უკვე არსად ჩანან აჩრდილნი. პოეტი ანგელოზთან რჩება მარტოდ-მარტო. უცებ ხედავს, რომ სიო ოდნავ აკრთობს სამრეკლოს. ისმის ზარის ნელი რაკუნი, რომელიც ნუთიერად ჩქარ რეკვაში გადადის. იფანტება თბილისის ცაზე უკუნი ლამე. და აი სასწაულიც – ცეცხლიც გამოჩნდა „მცურავი ცაზედ“, „შეხვდნენ ღვთის სახეს მუხლის მოდრეკით“.

და აი უკვე ამბობს თავის სათქმელს პოეტი – ცაა ნითელი, „მეტანიობას იხდიდა ზეცა“.

*„ცა და ქვეყანა იპყრობს დღეს შენს შვილს,  
იგი გახდება ქართლოსის მხსნელი,  
და საქართველოს გამოუდარებს,  
მასში ისახის ბეთანიელი“.*

წმ. გრიგოლ ფერაძის ხილვა, ანუ პოემა „რომელნი ქერუბიმთა“ ფრიად ყურადღაღები წინასწარმეტყველებაა. ბევრი მათგანი უკვე ახდა. ვინ არის „ქართლოსის მხსნელი“ ბეთანიელი, ამას ასევე დრო გასცემს პასუხს.

პოემა ზეციური იდუმალების წინარე ახდელი ფარდაა. რაც კოსმიური სამყაროს მიზანსცენაზე ხდება, იმის შეცნობა უფლის სიტყვასთან ბოლომდე გულმოდრეკილი მკითხველის პრეროგატივაა. მეტის თქმაც შეიძლება – პოეტი წმიდანის სიტყვა ისე იკითხება, როგორც „ახალი აღქმის“ სხვა დანარჩენი ნათელხილვა. ამ მხრივ ყურადღაღებია პოემის ფინალი –

*„და თუ ჩვენ მხარეს ოდეს ეღირსა  
მკვდრეთით აღდგომა და განახლება,  
ეს ჩემი სიტყვაც, შენთვისაც ღირსი,  
იმის შენობის კუთხეს ახლდება“.*



## **ცნობილ ფუნქკარაძე**

**ჰენიოხები, სანები, ჰანები, ლაზები, აფხაზები, აფშილები, აფსარები,  
აფსუები, სვანები, სვანოკოლხები, ამარანტები, დვალები, ტუსკები/თუშები...**

**ჰენიოხები/ჰენიოქები.** ძველი წყაროების მიხედვით, ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე ცხოვრობენ, ხოლო შედარებით ახალი, I-II საუკუნეების ცნობების მიხედვით კი, ისინი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე - რიზე-აფსაროსის რეგიონში ჩანან; კერძოდ:

ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) ცნობების მიხედვით, აქაფები და ჰენიოქები თანამედროვე ტუაფსესა და გაგრას შორის უნდა ვივარაუდოთ, საიდანაც, შემდგომ, ჯიქების დაწოლის გამო, ისინი სამხრეთით გადაადგილდნენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.83; თ.ყაუხჩიშვილი, 1980);

არისტოტელეს აზრით (384-322), „ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყავისგამხდელი ტომი, შემდეგ კი მილეტელები“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.19, 57, 73).

პლინიუსი (ძვ.წ. I ს.): „ამ მხარეში მთებს იქით მდებარეობს იბერია, ხოლო სანაპიროზე ცხოვრობენ ჰენიოხები, ლაზები...“.

სტრაბონი ვრცლად მსჯელობს ჰენიოხთა შესახებ; მისი რწმენით, კავკასიელი ჰენიოხები არიან ბერძენი (ლაკონელი) ჰენიოხების შთამომავლები, რომლებიც პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გადმოსახლდნენ იასონის ლაშქრობის შემდეგ და რომლებიც ზღვაზე მეკობრეობით ცხოვრობენ; მათ ჰყავთ 4 ბასილევსი (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.137).

კოლხთა მეზობლად ასახელებს ჰენიოხებს ი. ფლავიუსი (I ს.).

აფსაროსამდე (გონიომდე) ნახა ჰენიოხები არიანემ (II ს.); მისი ცნობით, ჰენიოხებსა და მაკრონებს ერთი მეფე ანქიალე ჰყავთ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.101).

აპიანე (II ს.) ჰენიოხებს ასახელებს მითრიდატეს მოკავშირეებში ტავრების, აქეელების, ლეკოსირების, ხალიბების, სკვითებისა და არმენიელების გვერდით (აპიანე, 1959, გვ.23, 25, 144, 196).

V საუკუნის ანონიმი ავტორი, რომელიც არიანეს მიჰყვება, ჰენიოხთა ტომს ნარევად აცხადებს და მათ ასახელებს საკუთრივ კოლხების (აგრეთვე, სანებად ჩათვლილი დრილების) და მაქელონების შემდეგ, ზიდრიტებამდე და ლაზებამდე, ე.ი. შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (გეორგიკა, 1965, გვ.7-8).

შავი ზღვის სანაპიროზე ასახელებენ ჰენიოხებს უფრო გვიანაც; II საუკუნეში ისინი მაკრონ-მახელონებთან ერთად რიზე-აფსაროსს შორის ქმნიან ერთიან სახელმწიფოს; IV-V საუკუნეებში კი შავი ზღვის სანაპიროზე ჰენიოხები აღარ ჩანან (თ.ყაუხჩიშვილი, 1980, გვ.68-71).

ლინგვისტურ გამოკვლევებში ჰენიოხ- ფუძე დაკავშირებულია ჰან- ძირთანაც: **ჰან-/ჰენ- > ჰენ-; ჰენ-** ფუძე **ჰან-**ის სვანურ ვარიანტად მიიჩნევა; საერთოქართველურ ფორმად ივარაუდება **\*წენ-** (ბ.გიგინეიშვილი).

**ჰან-** და **ჰენ-** ძირებს შორის **ჰან-** ფორმის ძირითადობას ხელი შეიძლება შეუშალოს იმ ფაქტმა, რომ ბერძნულ წყაროებში ჰენიოხ- ძირი თითქმის 500 წლით ადრე ფიქსირდება, ვიდრე **ჰან-**; ჰენ- და ჰან- ფუძეთა საერთო წარმომავლობა შესაძლებელია, მაგრამ ფონეტიკური პროცესების სხვა გზა შეიძლება დავუშვათ (იხ. ქვემოთ).

ჩვენი აზრით, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ცალ-ცალკე ტომებად თუ თემებად არსებობდნენ ჰენიოხებიც, სანებიც, სანიგებიც, ჰანებიც... მათ კონკრეტული საცხოვრისი და თავიანთი სამეტყველო ენა/დიალექტი ჰქონდათ. ცხადია, დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი მონათესავე ტომს შეერია (და გაქრა).

**სანები, ჰანები.** მემონისა (I ს.) და სტრაბონის (I ს.) მტკიცებით, „ისინი, ვინც წინათ მაკრონები იყვნენ, ახლა სანები არიან“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.94, 146, 233; თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.22).

არიანე (II ს.): კოლხების მეზობლები არიან **ჰანები, იგივე სანები;** თ.ყაუხჩიშვილის დასკვნით, რამდენადაც არიანე იყენებს ოთხ პარალელურ ფორმას (სანნოი, ტსანნოი, თიანნოი/ტიანნოი, ტუანნოი), ცხადია, რომ ბერძენს უჭირს ქართული ჰ-ს წარმოთქმა (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99-100).

არიანეს აზრს ეხმიანება დინისიოს პერიეგეტის (II ს.) კომენტატორის - ევსტათი ეპისკოპოსის (XII ს.) განმარტებაც: „ძველ მაკრონებს ახლა სანები ეწოდებათ, რაც ადგილობრივი გამოთქმით „ჰანებს“ ნიშნავს (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.94); შდრ., პროკოპი კესარიელი: **ლაზები კოლხები** არიან“ (გეორგიკა, 1965, გვ.120).

ჰანებისა და სანების სახელთა დაკავშირება, ალბათ, რეალურია; შესაძლოა მათი საერთო წარმომავლობის მტკიცებაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ სომხური **ჰანივ-/ჰანეთ-** ფორმის დამოწმებით **ჰან-** და **სან-** ფუძეების სინონიმურობა ნათლად და დასაბუთებული ბ.გიგინეიშვილის მიერ.

ს. ჯანაშიას აზრით, ამოსავალია სან- ძირი, რომლის თავკიდური ბგერიდან ჩრდილოეთ სამეგრელოში წარმოიქმნა ზან-/წან-, ხოლო სამხრეთ სამეგრელოში (ჰანეთში) - ჰან-. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, **სანი** იგივეა, რაც **ზანი**.

ამიანე მარცელინეს „ისტორიაში“, ერთი მხრივ, ჰანების ქვეყანა, მეორე მხრივ კი - ლაზი-კა **არმენების** მეზობლადაა; მემატინის ცნობით, სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა **ჰანების** ლეგიონის მეთაური ვეტრანიონი. ძველი კომენტატორები - ანრი ვალუა და ლინდენბროგი აღნიშნავენ:

„ამ კონტექსტში მოხსენებული **ძიანნი, იგივე ძანნი, თზანნი, შანნი** და **თჰანნი**, ლაზებისა და სომხების მოსაზღვრე ხალხია“ (გეორგიკა I, 1961, გვ.89, 124, 128, 161, 173); აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ქსენოფონტეს მიერ ნანახი **ხალდებიც** კარდუხების მეზობლად (იმავე არმენების მიერ დაპყრობილი მიწების!), მთებში ცხოვრობენ, შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ, რომ ხალდებიც და ჰანებიც კარდუხების მონათესავე თუ **კარდუხების**

შემადგენელი ტომები არიან.

შდრ.: „ხალდეები, რომლებიც ჩვეულებრივ ერთ-ერთ ჭანურ ტომად არის მიჩნეული, ასევე განთავისუფლებულან სპარსთაგან და ამ დროისათვის არმენიელებთან და მარდებთან ერთად სპარსელი სატრაპის, ორონტას და მისი სარდლის - არტუხას მოქირავნეები არიან...“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.53).

ამ თვალსაზრისით, მეტად ფასეულია **მ. ხორენაცის ცნობა** კეისარ ტაკიტეს მკვლევლობის შესახებ:

„ტაკიტუსი თავისიანებმა მოკლეს პონტოელთა ჭანეთში, ესე იგი **ხალდეთში**“ (მოვსეს ხორენაცი, 1984, გვ.162, 277); შდრ., ს.ყაუხჩიშვილის თარგმანი: „ტაკიტე მოკლულ იქნა პონტოს პროვინცია **ჭანიუკში**, ესე იგი **ხალტიკში** (გეორგიკა, 1936, გვ.262, შენიშვნა).

ჭანიკეს ქვეყანას პონტოში მოიაზრებს იოანე მალალაც (491-578):

„იმავე ტაკიტეს მეფობის დროს მოხდა ომი პონტოში და თვით მეფე გაემართა იქ სამომრად და ის მოკლული იქნა პონტოს ერთ ქვეყანაში ჭანიკეში...“ (გეორგიკა, 1936, გვ.262).

პროკოპი კესარიელი ვრცლად მსჯელობს ჭანების შესახებ; იგი თვლის, რომ **ჭანები** არ არიან ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი; ჭანები - არაზღვისპირა ხალხი - ცხოვრობენ მთებში, შუახმელეთზე, არმენიელების გვერდით: „...იმ ადგილების მარჯვნივ აღმართულია ჭანეთის მთები, რომელთა გადაღმა რომაელთა ქვეშევრდომები, არმენიელები ცხოვრობენ. ამ ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე, სახელად - ბოასი, რომელიც მას შემდეგ, რაც გამოივლის მრავალ ჭალას, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ე.წ. ევქსინის პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი, ვინაიდან, როდესაც ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს... მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები **აკამფსის** უწოდებენ...“ (გეორგიკა, 1965, გვ.120-122).

შდრ., აგრეთვე: „არმენიის ადგილებიდან პერს-არმენიაში რომ მიდიხარ, მარჯვნივ არის ტავრი, მიმავალი იბერიაში და იქ მოსახლე ხალხებამდე, ხოლო მარცხნივ მეტად დაქანებული, დიდ მანძილზე გაჭიმული გზა არის და აღმართულია მეტად ციცაბო და მუდამ ნისლითა და თოვლით დაფარული მთები, საიდანაც გამოდის მდინარე ფაზისი და მიდის კოლხეთის ქვეყნისაკენ. აქ მოსახლეობს **ჭანების ტომი**, თავიდანვე ბარბაროსები, რომელნიც არავის ქვეშევრდომები არ არიან, წინა ხანებში **სანებად** წოდებული, ირგვლივ მოსახლე რომაელების მძარცველნი“ (გეორგიკა, 1965, გვ.53)<sup>1</sup>.

ბიზანტიურ წყაროებში სხვადასხვა ტომად ითვლება ჭანი და ლაზი; ნიკიფორე გრიგორასი (XIV ს.):

XIV საუკუნის I ნახევარში ტრაპიზონის იმპერიაში მეფე ბასილის ქალიშვილსა და ცოლს შორის დაწყებული შინაბრძოლების დროს **ლაზები, ჭანები** და ყველა სხვა ადგილობრივი თავიანთ მშობლიურ, კომნენოსთა ოჯახიდან გამოსულ, დედოფალ ანა ხუთლუს აძლევდნენ უპირატესობას, პალეოლოგოსთა გვარიდან გამოსულ ირინესთან შედარებით (გეორგიკა III, 1967, გვ.146).

ს.ყაუხჩიშვილი: „ერთ-ერთი შესაძლებელი ახსნა (იმისა, თუ რატომ ვერ მოახერხა ბიზანტიის იმპერიამ, ისევე შეეერთებინა ტრაპეზონის სამეფოს ტერიტორია, როგორც ბიზანტიის იმპერიის დანარჩენი ტერიტორიები) ის იქნება, რომ ჩვენ ვალიაროთ: „ტრაპიზონის სამეფოს“ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართული ტომისაგან - **ჭანებისაგან** - შედგებოდა“ (გეორგიკა, 1967, გვ.164).

1. ნათელია, რომ აქ იგულისხმება მდინარე **ჭოროხი** (და არა - რიონი). აქვე აღვნიშნავთ: ლაზებისა და ჭანების განსახლების, ასევე, ლაზეთის ეპარქიის საზღვრების შესახებ ბოლო პერიოდში საინტერესო არგუმენტები წარმოადგინა პროფ. ა. ჯაფარიძემ *იხ.*, მიტროპოლიტი ანანია, საქართველოს ისტორია საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით, თბ., 2013/.

**სანიგები/სანიხები/სანიკები.** მემონის მიხედვით (I ს.), სანიგები ჩანან დიოსკურიის მიდამოებში ლაზებთან ერთად. აქვე ადასტურებს მათ პლინიუსიც და არიანეც; მაგ., იხ. არიანე:

„ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე) ცხოვრობენ კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენი-ოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები“.

შდრ., არიანე: **ლაზები ცხოვრობენ ჭოროხიდან კოდორამდე**; კოდორის ხეობაში ცხოვრობენ აფსილები; აფსილების საცხოვრისის (კოდორის ხეობის) შემდეგ მდინარე შახემდე - **სანიგები**; სანიგების ტერიტორიაზეა ქალაქი სებასტოპოლისი (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.23, 99, 171-172). მეცნიერთა ნაწილი სანიგებს ზანებად მიიჩნევს, ნაწილი - **სვანებად**.

ჩვენი აზრით, სულაც არ არის აუცილებელი **სანიგების** გაიგივება ზანებთან თუ სვანებთან; სხვადასხვა ავტორთან სანიგები სანების, ლაზების და სვანების პარალელურად სახელდებიან და, ბუნებრივია, ისინი იმ ერთ-ერთ ქართველურ ტომად ჩავთვალოთ, რომელიც გაქრა ასპარეზიდან.

იპოლიტე რომაელის (III ს.) ცნობით, კაპადუკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერიელები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეებში - სკვითები, კოლხები და ბოსფორელები. „სანები, ეგრეთწოდებული სანიგები, რომლებიც გადაჭიმული არიან ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის პარემბოლე აფსაროსი [და სებასტოპოლისი], ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი, ვიდრე ტრაპეზუნტამდე ცხოვრობენ და გადაჭიმული არიან ეს ტომები“ (გეორგიკა, 1961, გვ.20).

შდრ., ევსევი კესარიელი (260-340):

„კაბადოკიის გადაღმა მარჯვნივ არიან არმენიელები, იბერები და ბერანები, ხოლო მარცხნივ - სკვითები, კოლხები და ბოსპორანები, აგრეთვე [სანები], რომელთაც სანიგები ეწოდებათ და რომლებიც ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლი [კაუსილიმანი], და მდინარე ფაზისი. ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული არიან ეს ტომები“ (გეორგიკა, 1961, გვ. 31-32).

აფსილებთან, ბექეძრებთან და ლაზებთან ერთად აბაზგიის მეზობლად მცხოვრები სანიგები სკვითურ ტომადაა ჩათვლილი სტეფანე ბიზანტიელის (IV-VII ს.) მიერ. იხ., ბასილი სოფენელი (IX ს.):

„...რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს იქ, ვიდრე ლაზების და სანიგების ქვეყნამდე, დაფუძნებულ იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები...“ (გეორგიკა, 1952, გვ.201).

სამეცნიერო ლიტერატურაში **სანიგი/სანიხი**, ერთი მხრივ, მიჩნეულია ჰენიოხის ფონეტიკურ ვარიანტად, ჰენიოხთა მეორე სატომო სახელად (მართლაც, ჰენიოხებიც და სანიგებიც ერთ საცხოვრისში მოიაზრებიან), მეორე მხრივ კი, სანიგები და სანები ერთმანეთთანაა გაიგივებული.

რამდენადაც **სანიგები, ჰენიოხები და სანები** არიანესთან ერთდროულად სახელდებიან, თანაც, სანიგები და სანები სხვადასხვა ადგილზე ცხოვრობენ, უფრო ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ეს სამივე ქართველური ტომი დროის რაღაც მონაკვეთში დამოუკიდებლად არსებობდა. მათი ნათესაობის სამტკიცებლად საკმარისი ჩანს არა მხოლოდ საცხოვრისის ქართველური არეალი, არამედ მათ აღმნიშვნელ სახელთა საერთო წარმომავლობაც; შდრ.:

**სან-/\*ჰან-** > **ჰენ-**: სან-ი, სან-ი-ხ-ი, სან-ი-გ-ი/სანიკი და \*ჰენ-ი, ჰენ-ი-ო-ხ-ი; ხ-/-გ- კრებითობის სუფიქსია.

**ნიშანდობლივია:** სანების, სანიგების და ჰენიოხების გაიგივებისა თუ ერთმანეთში აღრევის რომაულ-ბიზანტიური ტრადიცია ამ ტომთა საერთო წარმომავლობითა და ახლო ნათესაობითაა განპირობებული. არაიშვიათად, ზოგი თანამედროვე ავტორიც ერთმანეთთან არასწორად აიგივებს ძველ ქართველურ ტომებს; მაგ., ნ. დობორჯინიძე ცდილობს რა დაასაბუთოს, რომ

მეგრელები და სვანები უძველესი დროიდანვე საკუთარი „ენების“ მქონე ხალხებია, აცხადებს, რომ **სვანები** არიან ბერძნული წყაროების **სანები**<sup>2</sup>. სინამდვილეში, იპოლიტე რომაელის ტექსტში ტერმინი **Σάνοι** იკითხება როგორც **სანი და არა - სვანი**; შდრ., ბერძნულად სვანი სხვაგვარად იწერება: **Σοάνες**<sup>3</sup>; შესაბამისად, რომელიმე ისტორიული წყარო თუ თანამედროვე ფაქტი საფუძველს არ იძლევა, ვინმემ ქართულენოვანი ეროვნული სამწიგნობრო კულტურის მიღმა დააყენოს **სვანი, ჭანი, ლაზი** თუ **მეგრელი; ისინი „უმწიგნობრო ენების მქონე „მცირე ხალხებად“ გამოაცხადოს** და წაართვას მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის შექმნაში მონაწილეობის დიდი ისტორია<sup>4</sup>.

**ლაზები.** ბერძნულ-რომაულ წყაროებში ლაზებს პირველად ახსენებს მითრიდატეს ისტორიკოსი მემნონი (I ს.) „ჰერაკლეს ისტორიაში“<sup>5</sup>. მემნონი ლაზთა საცხოვრისად მკაფიოდ განსაზღვრავს დიოსკურიის მიდამოებს (სოხუმი-ანაკოფიის რეგიონს); ლაზებთან ერთად მემნონი ასახელებს **სანეებს/სანიეებს** (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.24; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.171-172).

არიანეს (95-175) ცნობით, არსებობდა ქალაქი **ძველი ლაზიკე**, რომელიც მან თავისი თვალთ ნახა; მოგვიანებით ამ ქალაქს ნიკოფსიად მოიხსენიებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99); აშკარაა, რომ ახალ წელთაღრიცხვამდე ლაზები დიოსკურიის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ.

არიანესთან **ლაზები** და **კოლხები** თანაარსებობენ და სხვადასხვა ტომები არიან (ძველი ბერძნები... 1983, გვ.159). არიანე (II ს.) თავის „პერიპლუსში“ წერს: „ამჟამად ლაზებს უჭირავთ ტერიტორია ძიდრიტებიდან აბასკებამდე“; ე.ი. დაახლოებით ჭოროხიდან კოდორამდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.23; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100). „ლაზებს იქით ცხოვრობენ აფსილები, აფსილების მოსაზღვრეები არიან აბაზგები, აბაზგების მეზობლად არიან სანიეები, რომელთა ქვეყანაში მდებარეობს სებასტოპოლისი“; მაშასადამე, სებასტოპოლისი-ცხუმი აბაზგების ტერიტორიაზე კი არ ყოფილა, არამედ სანიეების ქვეყანაში...“<sup>6</sup>.

შდრ., არიანე:

ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე, ამჟამინდელ ნოვომიხაილოვსკაიამდე) ცხოვრობენ შემდეგი ტომები: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიეები, ძილქები. საკუთრივ ლაზები ცხოვრობდნენ აფსაროსიდან (გონიო თუ სარფი) დაახლოებით მდ. კოდორის (ძველი ჰოპოსი) შესართავამდე.

შდრ., სტეფანე ბიზანტიელი (IV-VII ს.): ლაზები - სკვითური ტომი, არის [პონტოში], აქვეა სოფელი „ძველი ლაზიკე“, როგორც ამბობს არიანე... (გეორგიკა, 1936, გვ.281).

ასტრონომიისა და გეოგრაფიის ფუძემდებელი კლავდიოს პტოლემადოსი (100-178) **კოლხი-დას** უწოდებს ტერიტორიას მდ. კორაქსიდან (ბზიფიდან) მდ. ფასისამდე (რიონამდე), სადაც ცხოვრობენ ტომები: **ლაზები, მანრალეები** და **ეკრიკტიკის** (ეგრისის) ქვეყნის მცხოვრებნი; ამ კოლხიდის ჩრდილოეთით - სარმატიაში - ცხოვრობენ: აქაფები, კერკეტები, ჰენიოხები და სუ-ანოკოლხები (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100, 160).

2. ნ. დობორჯინიძე, რელიგიური ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროები სამწერლობო და არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ. კრ., ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2007, გვ. 264.

3. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთთან სამართლიანადაა გაიგივებული **სანები** და **ჭანები**, რომლებიც, ასევე, ქართველები არიან; ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 123-126.

4. გადამწყვეტ არგუმენტად ვერ გამოდგება ურთიერთგამომრიცხავი ბერძნულ-ბიზანტიური ცნობები; აუცილებელია ქართული თუ უცხოური ისტორიული ცნობების სწორად წაკითხვა და კრიტიკულად გააზრება.

5. ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ ლაზებს პირველად ახსენებს **პლინიუსი**.

6. გეორგიკა, 1952, გვ.235; ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა.

შემდგომ პერიოდში **ლაზები** უფრო აქტიურად იხსენიებიან; ტერმინი ლაზიკა უკვე პოლიტიკური ერთეულის სახელად ზოგადდება, რომელსაც ზოგ წყაროში **აფხაზეთიც** ენაცვლება; მაგ., ამიანე მარცელინე (IV ს.) წერს:

იმპერატორი ვალენტი „დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდ. კიროსი (მტკვარი) დადებულიყო და სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა“; შაბურის „მოსვლით შეშინებულმა პაპამ და ასევე კილაკემ ...სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე.ი. ჩვენს მიწებს] ლაზიკისაგან ჰყოფენ“ (გეორგიკა, 1961, გვ.90, 128).

შდრ., აგრეთვე, აგათანგელოსი (IV ს.):

„წმინდა გრიგოლი... ზოგ [მღვდელს] გზავნიდა **იბერთა ქვეყანაში**, ზოგს **ლაზთა ქვეყანაში**“. საინტერესოა არაბული თარგმანი, სადაც იბერიის ნაცვლად არის **misist ad Georgian**, ხოლო ლაზიკის ნაცვლად - **ad regionem Abchazorum** (გეორგიკა, 1961, გვ.71)...

საყურადღებოა, რომ ეპიფანე კვიპრელი (314-403) ლაზებს სემის შთამომავლად თვლის (სემისა: კაბადოკიელები, ფინიკები, პონტოელები, მარმარილები... ხალიბები, ლაზები, მოსინიკები, იბერები, ფრიგიელები...), ხოლო კოლხებს - იაფეტისად (იაფეტისა: მიდიელები, არმენიელები, ამაზონები, კოლები, კაბადოკიელები, ტიბარენები, ხალიბები, მოსინიკები, კოლხები, სკვითები...); სემის ტერიტორიაში შედის: პალესტინა, სირია, ევროპა, ლაზია, იბერია, კასპია... (გეორგიკა, 1961, გვ.39-41).

**ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი (IX ს.) ლაზიკის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრად მიიჩნევს ტრაპეზუნტს**; კერძოდ, ირაკლი კეისრის ლაშქრობის აღწერისას ის წერს: „ირაკლიმ სცადა, ლაზიკის გზით შეჭრილიყო სპარსეთში; როდესაც მოაღწია ტრაპეზუნტამდე - ლაზიკის საზღვრამდე, მისმა ცოლმა შვა ძე“; 1042 წელს ქართულად გადმოღებულ ამ ტექსტში **ლაზიკა თარგმნილია სამეგრელოდ**: და მოაღწია რა ტრაპეზუნტედ - სანახებთა სამეგრელოდსათა...“ (გეორგიკა, 1952, გვ.207-208).

შდრ., აგრეთვე: ნიკეტა ხონიატეს (XII ს.) ბიზანტიის კეისრის - მანუელის ტიტულებში შეაქვს: ლაზთა, იბერთა, ბულგართა, სერბთა... ლგივიმმართველი (გეორგიკა, 1966, გვ.131).

შდრ., თამარის ისტორიკოსი:

1204 წელს თამარმა ბერძენთა მეფეს წაართვა: ლაზია<sup>7</sup>, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია... (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ.141-142). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ მეფეებს ლაზეთი/ლაზია არასოდეს უცვნიათ თურქეთის შემადგენლობაში (პ.ინგოროყვა, 2003, გვ.40).

რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში მიღებულია აზრი კოლხებისა და ლაზების იგივეობისა; შდრ., მაგ., იოანე ლიდე: „კოლხიკე, რომელსაც ახლა ლაზიკეს ეძახიან...“ (გეორგიკა, 1965, გვ.242); იოანე ცეცე: „კოლხები სკვითები არიან, მათ ლაზებიც ეწოდებათ და ცხოვრობენ აბაზგების, წინანდელი მასაგეტების მახლობლად (გეორგიკა, 1952, გვ.7; თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.132)...

7. ქართული წყაროს **ლაზია** მოიცავს ეგრისის იმ ნაწილს, რომელიც დაპყრობილი ჰქონდათ ბერძნებს, კერძოდ, ტერიტორია: **რიზედან ტრაპიზონამდე**; სწორედ ეს „ლაზია“ შევიდა ტრაპიზონის იმპერიაში: „ცნა რა ესე თამარ მეფემან ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმინდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხუნა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა **მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი** (იგულისხმება ეგრისის ცენტრალური ნაწილის მკვიდრნი - ტ.ფ.), და წარუდგინა ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტ[ი]ორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფეხლადონისა და პონტოსანის, და მისცა ნათესავსა თჳსსა **ალექსის კომნიანოსსა**, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მამინ თჳთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუცილი“.

მიუხედავად ამისა, არალოგიკურია, ვილაპარაკოთ ამ ტერმინთა სინონიმურობაზე, რამდენადაც ორივე გამოყენებულია როგორც ვიწრო ეთნიკური, ასევე, ფართო პოლიტიკური მნიშვნელობით; მით უმეტეს, შეუძლებელია, იდენტური იყოს მათი ზოგადი შინაარსი, ვინაიდან ძველი კოლხეთი გაცილებით ფართო არეალს მოიცავდა; ერთი კი უდავოა:

ლაზებისა და ჭანების წინაპრებიც, ხალხებიც, ხალდეებიც, მუშქებიც და ბევრი სხვა ტომიც ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდის კოლხურ თუ მოსხურ მოდგმად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ ტომთა გაერთიანებას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა.

**ლაზ-** ფუძეს ქართველურ ენობრივ ველში ფონეტიკური ვარიანტები არ უჩანს; სავარაუდოა, რომ ლაზ- ფუძე უცხოური წარმომავლობისა იყოს (მდრ., ქართველური წარმომავლობის ეთნონიმებს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი უდასტურდებათ).

### აბაზები, აფხაზები, ებზეები/ობეზები, აბაზგები/აბასკები, აბაძახები/აბაზანები

**აფხაზ-** ფუძესა და მასთან ფორმოზრივ-სემანტიკურად დაკავშირებულ ლექსემებს, აფხაზ და აბაზა ტომთა ისტორიას მრავალი მეცნიერი იკვლევდა; ბოლო პერიოდის შემაჯამებელი ხასიათის გამოკვლევები ეკუთვნის თ.გვანცელაძეს; აფხაზურ ენაში სუპერსტრატული ფენების გამოწვლილვითი შესწავლის შემდეგ იგი ასკვნის:

„დღევანდელ აფხაზთა წინაპრებს შავი ზღვის სანაპიროზე არ უცხოვრიათ ახ.წ. V საუკუნემდე; აფხაზთა თავდაპირველი სამშობლო **აფსნი** მდებარეობდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, მდინარე ყუბანის აუზში. მისი ძირითადი მასა აქვე ბინადრობდა 1561 წლის ახლო ხანებამდე... თანამედროვე აფხაზური ეთნოსის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა (თვითსახელწოდებით აფსუათა; ტ.ფ.) მოსვლამდე მცხოვრებ კოლხურ მოსახლეობას“ (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.60, 2004, გვ. 58-63). მისივე ვარაუდით, აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ ენებზე აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო **აა-აბაზ-ა** > **აბაზა**; ამოსავალი ფორმაა \***აა-ფას-ა**, რომლისგანაც **-ჟა** სუფიქსითაა ნაწარმოები **აფსუა** < \***აა-ფას-ჟა** (თ.გვანცელაძე, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისთვის; აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998, გვ.38-39).

წარმოდგენილ საყურადღებო ნაშრომებში ჩვენთვის საკამათოა მხოლოდ ქართული **აფხაზ-** ფუძის წარმოქმნის გზა; კერძოდ, თ.გვანცელაძის აზრით, აფხაზ- ფუძე მომდინარეობს ჩერქეზული **აბაზა ხა** კომპოზიციისგან: აბაზა ხა „ქვემოური აბაზა“ (ჩერქეზ. „ხა“ ითარგმნება, როგორც **ქვემოური, ქვემოთა**): ჩერქეზ. **აბაზა-ხა/აბზანა** > მეგრ. **აბზანა** > ქართ. **აფხაზი** (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.38); ვფიქრობთ, უფრო ნაკლებწინააღმდეგობრივია **აბაზ-ნ-ი** > **აფხაზ-ი** გზის დაშვება, სადაც -ხ- კრებითობის სუფიქსია. ჯერ მივყვით წყაროების ჩვენებას:

არიანე (II ს.): ტრაპიზონიდან ძველ აქაიამდე შემდეგი ტომები გავიარეთ: კოლხები, სანები (ქსენოფონტეს დრილები), მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, **აფსილები, აბასკები**, სანიგები, ძილქები; „ლაზების მეზობლები **აფსილები** არიან; მათმა მეფემ - იულიანემ მეფობა შენი მამისგან მიიღო. **აფსილების** მეზობლები **აბასკები** არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან“ (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.158-159). აბასკები სანიგებს ზემოთ, მთებში სახლობენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100-101); ამავე კონტექსტში **აბაზგებს** ახსენებენ V ს. მოღვაწე თეოდორიტე კვირიელი (გეორგიკა, 1961, გვ.227), V ს. ანონიმი ავტორი (გეორგიკა, 1965, გვ.8), სტეფანე ბიზანტიელი (გეორგიკა, 1936, გვ.284) და



სხვები. შდრ., აგათანგელოსის ტექსტის არაბულ თარგმანში ლაზთა ქვეყანა **Abchazorum**-ად ითარგმნება (გეორგიკა, 1961, გვ. 71).

მოგვიანებით ფართოდება ტერმინ **აბაზგით** მოაზრებული ტერიტორია; მაგ., ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912-959), თავის შვილს აცნობს რა ბიზანტიის მეზობელ თუ დაპყრობილ ტომებს, აბაზგის შესახებ ამბობს:

„ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი, მდინარე ნიკოფსიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე უჭირავს აბაზგის ქვეყანას“ (გეორგიკა, 1952, გვ.233).

ნიკოფსის ლოკალიზება არ ჭირს, მაგრამ საკამათოა **სოტერიუპოლისის** საკითხი; ზოგი მას ბიჭვინთად მიიჩნევს, ზოგი - სოხუმად (საკითხის მიმოხილვისთვის იხ. ს. ყაუხჩიშვილის მსჯელობა, იქვე, გვ.231-235). X საუკუნეში **აბაზგის** სახელით, არაიშვიათად, მთელი დასავლეთ საქართველო მოიხსენება, შესაბამისად, ლოგიკურია, ქალაქი სოტერიუპოლისი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე უნდა ვეძიოთ ნიკოფსიდან დაახლოებით 300 მილის მანძილზე.

ძველი ქართველი მწიგნობარნიც კარგად იცნობენ ტერმინ **აბაზგას**, მას დასავლეთ საქართველოდ თვლიან და აფხაზეთად თარგმნიან; იხ., მაგ., „მიმოსლვასა შინა წმინდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებაჲ შორის **აფაზგაიასა**, რომელ არს აფხაზეთი“ (გეორგიკა, 1991, გვ.214; იხ., აგრეთვე, აქვე, გვ.219).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ X-XII საუკუნეების სხვა უცხოური წყაროებით, **აფხაზი** უკვე ქართველის სინონიმადაა ქცეული; მაგ., **იოანე იტალოსი** იოანე პეტრიწს **აბაზგ გრამატიკოსს** უწოდებს, რაც ამ კონტექსტში ქართველ გრამატიკოსს ნიშნავს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **იოანე პეტრიწი** არა მხოლოდ დიდი ფილოსოფოსი, არამედ შეუღარებელი მოქართულე და სიტყვათმემოქმედი იყო; გარდა ამისა, ის სიტყვებს ქართველური დიალექტებიდანაც ამკვიდრებდა; მაგ., სამხმიანი გალობის მეორე ხმის აღსანიშნავად მან შემოიღო ტერმინი **ჟირი**, რომლის მეგრული წარმომავლობა უდავოა; ლოგიკურია დაეუშვათ, რომ ეს დიდი ქართველი მოღვაწე ეგრისის მკვიდრი იყო (შდრ.: ნ.მარის აზრით, იოანე პეტრიწი ტომით აფხაზი იყო). საყურადღებოა აგრეთვე ე.ხინთიბიძის დაკვირვება: ექვთიმე მთაწმინდელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „ვარლამ და იოსაფის“ რომანი, რომელიც ბერძნულიდან გადაითარგმნა ლათინურად. ლათინურად მთარგმნელის კომენტარით, „ბერძნული თარგმანი შეასრულა ტომით აბაზგმა ბერმა ეფთვიმემ“ (ე.ხინთიბიძე, 1998, გვ.15).

ე.ი. **ქართველი ექვთიმე მთაწმინდელი, ლათინთა აზრით, ტომით აბაზგია**. ამავე პერიოდში აფხაზეთი სრულიად საქართველოს ნიშნავს სპარსულ წყაროებშიც (კ.ტაბატაძე, 1993, გვ.222-226); შდრ.: ასურელი ისტორიკოსი ზაქარია რიტორი აფხაზთა/ქართველთა ქვეყანას **ბაზ-გ-ონ**-თა ქვეყანას უწოდებს; მსჯელობისათვის იხ. ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ. 402.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი:

დედით აბაზგური წარმომავლობის იოვანე ცეცეს (1110-1180) აზრით, აბაზგები იბერთა ტომისანი არიან (გეორგიკა, 1976, გვ. 20-25); შდრ., აქვე, ერთგან მითითებულია იოვანეს დედის აბაზგობა (გვ.23), მეორეგან კი - **მისი დედის იბერიელობა** (გვ. 25); ამავე დოკუმენტის მიხედვით, იოვანეს **აბაზგი ბებია** ამაღლაში ახლდა იბერიის მეფის ასულს - მართას.

ჩანს, აფხაზეთის მოსახლეობა ქართველებად ითვლებოდა მეზობელი ხალხებისათვისაც: ყარაჩაელების, ბალყარელებისა და რუსებისთვის; კერძოდ:

შემთხვევითი არ ჩანს ის ფაქტი, რომ ტერმინი **აბაზა/ობეზი/ებზე** ჩრდილო კავკასიის ზოგ ხალხში და ევროპულ თუ ძველ რუსულ წყაროებში **ქართველის** სინონიმია; მაგ.: პაპ

ინოკენტ IV-ის ელჩი იოანე დე პლანო კარპინი, რომელმაც მონღოლეთში იმოგზაურა 1246 წელს, საქართველოს **გეორგიანია**-ს ეძახის, ქართველებს კი - გეორგიან-ებ-ს ანუ **ობეზ**-ებ-ს (ს.ჯანაშია, 1959, გვ.53).

XIV-XVI საუკუნეების რუსული წყაროს მიხედვით, **ობეზი** საქართველოს აღნიშნავდა. ფაქტის ახსნა იოლად შეიძლება: მაშინდელი სლავების ენაშიც ქართველთა სახელად განზოგადდა მეზობელი ტომის სახელი - აბაზა, რამდენადაც სლავებისთვის აბაზა, ეგრისელი, სვანი, კახელი თუ მესხი ერთი ოდენობა იყო; შდრ., აგრეთვე: კავკასიაში გვიან მოსული ყარაჩაელებისა და ბალყარელებისთვისაც ქართველების აღმნიშვნელი ტერმინია **ებზე** (< აბაზა). ამავე დროს, **ებზე** საკუთრივ სვანებს, ზოგ შემთხვევაში კი რაჭველებსაც აღნიშნავს; შდრ., **აბაძა** ჯიქთა თვითსახელწოდებაცაა და დღევანდელი **აბაზებისაც** (აბაზები რამდენიმე საუკუნის წინ გაემიჯნენ **აფსუებს**).

ვეფქრობთ, აშკარაა, რომ ძველი დროიდან მოყოლებული, ვიდრე XVI-XVII საუკუნეებამდე, ჯიქებისგან განსხვავებით, **აბაზები/აბაზგები/აფხაზები** ევროპაშიც და აზიაშიც ქართველურ (იბერიულ/კოლხურ) სამყაროსთან ასოცირდება; სამართლიანადაც: შუა საუკუნეებში სხვა ქართველური მოდგმის თემებთან ერთად აფხაზებიც ქმნიდნენ ერთიან ქართველურ სახელმწიფოსა და სამწიგნობრო კულტურას. გაერთიანებულმა საქართველომაც დიდხანს შეინარჩუნა „სამეფო აფხაზეთის“ სახელი.

ერთიანი საქართველოს აღორძინების პარალელურად, აფხაზეთის ხელისუფალნი იღვწოდნენ ქართული ეკლესიის ერთიანობის აღსადგენადაც; მაგ., „აფხაზი“ მეფე-მთავრების (ლეონ II, თეოდოს II, დემეტრე II, გიორგი I, კონსტანტინე III, გიორგი II, ლეონ III... აგრეთვე: ცხუმის ერისთავი ოთალო შერვაშიძე (XII ს.), მხედართმთავარი დარდინ შერვაშიძე (XIII ს.) და სხვ.) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები იყო:

- დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოსვლა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან და ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიასთან შეერთება;
- ქართულენოვანი საეკლესიო ცენტრების მშენებლობა;
- ბრძოლა ქართული სამყაროს პოლიტიკური გაერთიანებისათვის;
- ჩრდილოკავკასიური მოძმე ხალხების გაქრისტიანებისათვის ბრძოლა და ამ გზით ქართული სახელმწიფოს საზღვრების უზრუნველყოფა (ლ.ახალაძე).

ლოგიკური ჩანს, გვერდიგვერდ განვიხილოთ: აბაზ-/აბაზა/აბაძ-/აბას-... ფუძეები; გარდა ამისა, ტაო - ტაო-ხ-ი, კოლა - კოლ-ხ-ი... მიმართებების პარალელურად, დასაშვებია აბაზ- - აბაზ-ხ-, აბაზა - აბაზა-ხ-... წყვილების დაშვებაც: **აბაზ-ხ-/\*ამას-ხ-** ფუძეში წარმომავლობითობა-კრებითობის -ხ- სუფიქსის გამოყოფა ლოგიკური ჩანს, როგორც ამას ადრეც ვარაუდობდნენ (ნ. მარი, ს. ჯანაშია ქ. ლომთათიძე, ო. კახაძე...).

აბაზ-ხ- ფუძისგან ხ-ს მეტათეზისით უნდა წარმოქმნილიყო აფხაზ- ფუძე (შდრ., მსგავსი ფონეტიკური პროცესი ქართულში: **წათხ-/წყათ-, ბაღლ-/ ბღარ-, ბარტყ-/ ბღარტ-, ბერტყ-/ბღერტ-** და სხვ..). არ არის გამორიცხული, რომ ჩერქეზულმა აბაზანმა ფორმამ, ფორმოებრივი მსგავსების გამო, გვიან შეიძინა „ქვემო აბაზას“ შინაარსი. ადრინდელი ქართველური \*აბაზ-ხ- ფუძის ადაპტირებული ვარიანტებია ბერძნული აბასხ-, აბაზგ- და აბასკ- ფორმებიც (**აფხაზის** სხვადასხვაგვარი ეტიმოლოგია აქვთ: ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, თ. გვანცელაძეს, ო. კახაძეს, ე. ოსიძეს, თ. გამყრელიძეს, დ.მუსხელიშვილს, ა.ლომთაძეს, რ.შეროზიას...).

ლინგვისტური ეტიმოლოგიები - მეტ არგუმენტებს, ხოლო საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს. აქ უდავო შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ ორი სხვადასხვა **ქართველურ-კავკასიურ-**

რი ტომი - აფსილ-აფსარები და აბაზგ-აფხაზები - საუკუნეების მანძილზე, საკუთრივ ქართველურ ტომთა მსგავსად, ერთიან ქართველურ კულტურულ-ისტორიულ თუ სახელმწიფოებრივ ველში ცხოვრობდა... ფაქტია ისიც, რომ ისტორიულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოშიც (კოდორიდან შავ ზღვასთან ყუბანის ძველ შესართავამდე) ოდითგანვე ცხოვრობდნენ ქართველურ-კავკასიური მოდემის ტომები (ზანები, სანიგები, სვანები, აფსარები, აბაზები...). შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ამ ტომთა საცხოვრისები და პოლიტიკური გავლენები ერთმანეთის ტერიტორიებზე მონაცვლეობდა (შდრ. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, 2012).

თ.გვანცელაძის ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული ძიებებით ნათლადაა ნაჩვენები, რომ XVI-XVII საუკუნეებში ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან - ყუბანის ხეობიდან - თანდათანობით გადმოდის და ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რამდენიმე ხეობაში კომპაქტურად სახლდება ერთ-ერთი აბაზური ტომი, **თვითსახელწოდებით - აფსუა**.

XVII საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოკავკასიელი მოძმე ტომის არსებობა დასტურდება ევლია ჩელეების ცნობით, კერძოდ, მისი მონაცემებით 1641 წელს აბაზას ქვეყნის მოსახლეობა აბაზურ და ქართულ (მის მეგრულ დიალექტზე) ენებზე ლაპარაკობს (ევლია ჩელეები, 1971, გვ. 100; შდრ., პ.ინგოროყვა, 1954, გვ.133).

ვფიქრობთ, რამდენადაც აბაზების ნაწილი (აფსუა) მოძმე ქართველური მოსახლეობის - **აფხაზების** - საცხოვრისში ნელ-ნელა მკვიდრდება, მეზობელ სხვა ქართველთა ცნობიერებაში **ჩამოსულები იგივდებიან** დამხვდურებთან და თემონიმი **აფხაზი** მათაც მოიაზრებს. დროთა განმავლობაში ადგილობრივ აფხაზთა ნაწილი ითქვიფება მეგრელებში, ნაწილი - აფსუებში; შესაბამისად, ქართველური თემონიმი **აფხაზი/აფხაზა** ქართველურ ენობრივ ველში **აფსუების** აღმნიშვნელად გადააზრიანდა და აქედანვე შევიდა სხვა ენებშიც<sup>8</sup>. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის გაბატონებამდე აფსუა-აფხაზებიც თავს თვლიდნენ ქართული კულტურის თანაავტორებად.

ქართველური ენობრივ-კულტურულ-სახელმწიფოებრივი სივრციდან ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ სხვა იბერიულ-კავკასიურ ტომთა მკვეთრი განმხოლოება იწყება კავკასიაში ოსმალეთის გაძლიერების შემდეგ, ხოლო **აფსუა-აფხაზი ხალხის იდენტობა** (ეროვნული მეობა - ტ. ფ.) „პოლარულად შეცვალა ცარისტულ-საბჭოური იდეოლოგიის მძლავრმა ზეგავლენამ 1864 წლიდან დასრულდა“ (თ. გვანცელაძე).

კავკასიის სრული დაპყრობის მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო აქაური მოსახლეობის გასახლება ან სრული გაუცხოება ტრადიციული ქართველურ-კავკასიური სივრციდან; მაგ., საქართველოს ძირძველი კუთხიდან - ეგროსის წილი ქვეყნის ნაწილიდან - ადლერ-სოჭი-ტუაფსეს რეგიონიდან რუსეთის იმპერიამ 1864 და 1878 წლებში გაასახლა ქართველთა მონათესავე ხალხები: უბიხები, ჩერქეზები, აფსუა-აფხაზები (უფრო ადრე და ამავე პერიოდშიც, რუსულ-თურქული ანტიქართული გარიგებით, ქართველობისგან იცლება სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოც).

ქართველთა და აფხაზთა (ჩერქეზთა, ვაინახთა, ლეკთა...) გასამიჯნვად/დასაპირისპირებლად საბჭოთა იმპერიამ უფრო ეფექტურად გამოიყენა კულტურული გაუცხოების მეთოდი, ვიდრე

8. შდრ., ამგვარივე „ტრანსფორმაციით“ სომეხი იქცა მოსული **არმენების** აღმნიშვნელად, ქართული პროვინციის სახელი - **სომხითი** - კი ქართულ ენაში გადააზრიანდა მოსულთა დომინანტობით დაფუძნებული სახელმწიფოს სახელად. ეს ფაქტი მარტივად შეიძლება აიხსნას: უცხო ტომის დასახლების მიუხედავად, ჩვენი წინაპრები დიდი ხნის მანძილზე მაინც თავისად თვლიდნენ „სომხითსაც“ და აქ ჩამოსახლებულ ხალხსაც (ბოლო დრომდე ქართველობა ასევე ფიქრობდა შიდა ქართლის - ცხინვალის მხარის - შესახებაც).

მეფის რუსეთმა; ქართული (აფხაზური) მოწინავე აზრის აქტიურობის მიუხედავად (იხ. შერვა-შიძეების, ანჩაბაძეების, ემხვარების და სხვათა მოღვაწეობა), უფრო სწრაფად და ხელოვნურად გაგრძელდა გადარჩენილი აფხაზების გამიჯვნა ერთიანი ქართველური (აფხაზურ-ეგრისულ-ქართლურ-კახურ-მესხური) ისტორიიდან, კულტურიდან თუ ეთნოსიდან; პროცესმა პიკს მიაღწია 1991-93 წლებში რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოში განხორციელებული პუტჩის დროს, როდესაც **აფხაზეთიდან რუსეთის იმპერიამ გამოდევნა ერთიანი ქართველურ ცნობიერებაზე ორიენტირებული ქართველებიცა და აფხაზებიც**, ხოლო დარჩენილი აფხაზურ-ქართულ-სომხურ-რუსული მოსახლეობითურთ, ფაქტობრივად, მიიტაცა აფხაზეთის ტერიტორია.

შდრ., რუსეთმა იოლად განახორციელა ქართველთა მონათესავე სხვა ეთნოსების - **ჩერქეზებისა და ვაინახების** - დაშლა პატარ-პატარა ხალხებად: აბაზებად, აბაზახებად, შაფსულებად, ადიღელებად, ყაბარდოელებად... ჩეჩნებად, ინგუშებად; შემდეგ კი მათი ტერიტორიებიც მიითვისა (თუმცა აქაც დასჭირდა მოსახლეობის ერთი ნაწილის დეპორტაცია თურქეთსა და შუა აზიაში).

**აფსილები/აფშილები, აფსარები, აფსუები.** აფსილები პირველად დასტურდება არიანესთან; მისი ცნობების მიხედვით, აფსილები ცხოვრობდნენ კოდორის ხეობაში.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, აბაზგთა მსგავსად, აფსილებიც ქართველური ტომი იყო (ს.ჯანაშია, ს.ყაუხჩიშვილი, დ.მუსხელიშვილი და სხვ.), ხოლო ზოგის აზრით, მათი მემკვიდრეები თანამედროვე აფხაზები (აფსუები) არიან (გ.მელიქიშვილი, ზ.ანჩაბაძე...).

აგათია სქოლასტიკოსის (VI) მიხედვით, **აფსარები კოლხებისა და მისიმიელების/სვანების მონათესავენი არიან.**

გვიანდელი ავტორები და კომენტატორები აფსილებს სკვითურ ტომს უწოდებენ (მაგ., სტეფანე ბიზანტიელი IV-VII ს.); შდრ., კოლხი ადეტესი სკვითთა მეფეა, მედეა - სკვითთა მეფის ასული (ლიბანიოსი, ახ.წ. IV ს.); მაკრონები სკვითური ტომია (აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი, ახ. წ. I-II ს.); კოლხები აზიელი სკვითები არიან (იოანე ცეცე XII ს.); სკვითები ეგვიპტელთა კოლონისტები არიან (ჰეროდოტეს ცნობა კოლხების შესახებ პინდარეს სქოლიასტთან) და ა.შ. ე. ი. ამ კონცეფციით, აბასგი და აფსილიც ისევეა სკვითი, როგორც კოლხი და მაკრონი... (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.102).

აშკარაა, რომ არიანეს დროს **აბაზგები** და **აფსილები** სხვადასხვა ქართველურ-კავკასიური ტომი იყო; შდრ., დ.მუსხელიშვილი, 2000, გვ.17-34: „აფშილს“ არც გეოგრაფიულად (საცხოვრისის მიხედვით - ტ.ფ.), არც ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო „აფსუასთან“... გვაქვს საფუძველი, **აფშილები** ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომად ჩავთვალოთ, რომლის ნაწილი გვიან საუკუნეებში შეერწყა მეგრელებს, ნაწილი კი - გააფსუვდა“ (იქვე)<sup>9</sup>.

ლოგიკური ჩანს მოსაზრება, რომ **აფს-** ძირისგან ქართველური სუფიქსებითაა მიღებული ქართველური: \***აფშ-ელ-ი**, **აფს-ილ-ი**, **აფს-არ-ი** ეთნონიმები (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.34, 39); აშკარაა **აფს-** ძირის პოვნიერება **აფს-უა** ფუძეშიც. ფაქტია ისიც, რომ **აფსუა** თემი ცხოვრობდა ყუბანის ხეობაში, **აფსილები/აფსარები** - კოდორის ხეობაში სვანების საცხოვრისამდე (ე.ი. კოდორის ხეობის კავკასიონის გადასასვლელები სვანებს ეჭირათ, რაც გამორიცხავს ამ გზით აფსუათა გადმოსვლას). ასევე, უეჭველი ჩანს ქორონიმ აფხაზეთი/აბაზგია-ს წარმომადგენლობა აფხაზ-/აბაზგ- ფუძისგან და არა - აფსუა/აფსილისგან; მაშასადამე, ლოგიკური იქნება დავასკვნათ: ერთი ფუძისგან სხვადასხვა სუფიქსით წარმოქმნილი რამდენიმე თემონიმით სხ-

9. შდრ.: ნ.ლომოუტის აზრით, აფშილები უეჭველად აფსუები არიან.

ვადასხვა მონათესავე ქართველურ-კავკასიური ტომი აღინიშნებოდა (აბაზა, აფხაზი, აფშილი, აფსარი, აფსუა...); შესაბამისად, ოთხი ეთნონიმით (**აბაზა, აფსარი, აფსუა და აფხაზი**) ერთი საზოგადოების აღნიშვნა გვიანდელი მოვლენაა.

**სვანები, მისიმიელები.** სვანები პირველად სტრაბონთან მოიხსენიებიან (სოანას/შოანას); მაშინაც ისინი კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ; ვარაუდობენ, რომ სვანები ადრიდანვე განსახლებულნი იყვნენ, აგრეთვე, ჩრდილო კავკასიაშიც - თერგსა და ყუბანს შორის არსებულ ტერიტორიაზე; შდრ., მაგ., მემანდრე პროტიქტორი (VI ს.), რომელიც, აღწერს რა ბიზანტიისა და სპარსეთის დავას სვანეთის გამო, ვრცლად იძლევა სვანთა დახასიათებას (გეორგიკა, 1936, გვ.213-233); მისი ცნობით, სვანები კავკასიის მთების გარშემო ცხოვრობენ (გეორგიკა, 1936, გვ.231).

ჩანს, სვანებს კავკასიონის სტრატეგიული გადასასვლელი ეჭირათ, ვინაიდან ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დიდხანს გრძელდებოდა წინააღმდეგობა სვანეთის დანარჩუნების გამო (იხ. გეორგიკა, 1936, გვ.213-233). პლინიუსის მიხედვით, სვანები დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ: „მდინარე ხობი კავკასიის მთებიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დის“; ამასვე ამტკიცებს გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვებაც, მაგ., ლეჩხუმი, ლეზაჩილე და სხვა. „შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ...“ (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.46-47). ჩვენი აზრით, პლინიუსის ცნობის სხვაგვარი განმარტებაც შეიძლება:

ამ პერიოდის წყაროებში, არაიშვიათად, ერთმანეთს ფარავს ტერმინები: სუანი, სანი, ზანი, სუანოკოლხი, ეგრსვანი... ჩანს, სტრაბონისა და პლინიუსის დროს ტერმინი **სვანი** იმ რამდენიმე ქართველური ტომის (ეგრისის ნაწილის, დვალეთის, სკვიმიის, საკუთრივ სვანეთის მოსახლეობის...) გამაერთიანებელი, კრებითი სახელია, რომელთაც რომაელები ვერ აკონტროლებდნენ (შდრ.: ლაზიკა - რომაელთა გავლენის სფერო): ყურადღების ცენტრში სვანების მოქცევა, ჩანს, განაპირობა კავკასიის უღელტეხილების სტრატეგიულობამ.

ჩვენი აზრით, ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულს ჯერ კიდევ დაუშლელია ზანურ-სვანური დიალექტი; სწორედ ეს ადრეული ზანურ-სვანური (და არა მეგრული ან სვანური) დიალექტური ფენა უნდა ვივარაუდოთ **ოსურ-ალანური ენის სუბსტრატად** (მასალისათვის იხ. ვაბაევი, 1949, 324-329);

შდრ.: გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოსურში ზანური/აფსილური სუბსტრატი გაჩნდა კოდორის ხეობაში ოსების ექსპანსიის დროს (ნ. აფხაზავა, 1998). როგორც ცნობილია, სუბსტრატის არსებობა მიუთითებს დამხვდური და მოსული ეთნოსების ხანგრძლივ ურთიერთობას; ვფიქრობთ, შეუძლებელია, ოსთა მეტყველებაში ზანური სუბსტრატის წარმოქმნა დაუშვლათ კოდორის ხეობაში ალანთა **მოკლევადიანი ექსპანსიის** პერიოდში. რაც შეეხება ოსურში საკუთრივ სვანური ლექსიკის არსებობას:

ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები ოსების მეტყველებაში სვანური და აფხაზური ლექსიკა (როგორც **ადსტრატული ფენა**) შევიდა სვანთა, აფხაზთა და ოსთა მეზობლობის პირობებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, ზანურ-სვანური კონტინუუმის ბაზაზე საკუთრივ სვანური მეტყველების ჩამოყალიბება სწორედ წელთაღრიცხვათა მიჯნიდან ხდება ქართველურ (ზანურ) მეტყველებაზე ჩრდილოკავკასიურ ტომთა მეტყველების დაფენებით (მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტყარაძე, 1998).

აქვე აღვნიშნავთ, რომ არა მხოლოდ სვანური, არამედ **არაიზოლირებული ნებისმიერი მოსახლეობის მეტყველება (ენა/კილო) წარმოქმნილია დივერგენციული და კონვერგენციული პროცესების შედეგად.**

სტრაბონის მიხედვით, სვანები გამოირჩეოდნენ სიმამაცით და დიდი ფიზიკური ძალით. სტრაბონის ცნობითვე, სვანებს ჰყავთ ბასილევსი და 300 მამაკაცისგან შემდგარი საბჭო; საჭიროების ჟამს გამოჰყავთ 200000-კაციანი ლაშქარი. სტრაბონი სვანების საცხოვრისში არსებულ მდინარეებთან აკავშირებს ოქროს საწმისის მითს; **სტრაბონთანვეა ძველი ცნობა**, რომ ოქროს საბადოების გამო (რომლისგანაც წარმოიშვა მითი ოქროს საწმისის შესახებ), დასავლეთის იბერების ანალოგიით, **სვანებს ზოგი აღმოსავლეთის იბერებსაც უწოდებს**, რამდენადაც ოქროს საბადოები არის ორივე იბერიაში (რუსული თარგმანისათვის იხ., სტრაბონი, 1964, გვ. 473, XI, II,14-19).

შდრ., თ.ყაუხჩიშვილის თარგმანი და მსჯელობა:

სვანების ქვეყანაში „ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ ოქროს დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე... (დაზიანებული ტექსტი)... თუ არ დებენ იბერებს მსგავს სახელს დასავლეთელებისას, რომელთაც აქვთ ოქროს საბადოები ორივე მხარეს: **ეს ადგილი შეიძლება გავიგოთ ორნაირად**: ა)ესპანეთის იბერებს ორივე მხარეს აქვთ ოქროს საბადოები; ბ) **ოქროს საბადოები აქვთ, როგორც ესპანეთის იბერებს, ისე საქართველოს იბერებს**“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 126; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.139-144).

სვანები სხვა წყაროებშიც ჩანან:

პრისკე პანიონელი (V ს.):

„დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს; სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (?ლაზთა სარდლის) წინააღმდეგ“ (გეორგიკა, 1961, გვ.261);

პროკოპი კესარიელი (VI ს.): „მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სვიმნიაცა და **სვანიაც** და, ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (გეორგიკა, 1965, გვ.202).

აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) ვრცლად მსჯელობს **მისიმიელთა** შესახებ; მისი ცნობით, ეს ხალხი კოლხთა მეფის ქვეშევრდომია, მსგავსად აფსილებისა, ოღონდ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს. ისინი აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოღონდ აღმოსავლეთით; აგათიას **მისიმიელები** მიაჩნია კოლხთა და აფსილთა ნათესავად; ს. ყაუხჩიშვილის ლოგიკური ვარაუდით, **მისიმიელები/მისიმიანები** სვანური ტომია (გეორგიკა, 1936, გვ.86, 161-162, 172, 347-348).

**მისიმ-** ფუძე შეიძლება დავაკავშიროთ სვანთა თვითსახელწოდებასთან; შესაძლოა, წარმოდგენილი ბერძნული ფორმა **მუშუან-** ფუძის დამახინჯებული ვარიანტი იყოს: **მუშუან-** > **\*მუშუნ-** > **მიშინ-/მისიმ-**; შდრ.: ქვემოსვანური - მუშუან, ბალსზემოური - მუშან, ბალსქვემოური - მუშნი, ლატალური - მუშუან/მეშან; **მეშან** ფორმისთვის ამოსავალი შეიძლება იყოს **მო-შან-**: მო-შან/მო-სან; შდრ.: მო-ფრანგ-ე, მო-ხევ-ე.

შდრ., პ. ინგოროყვა, 1954, გვ.144: „**\*მგ-სიმი-ან-ი** თავისი გრამატიკული გაფორმებით წმინდა ქართულ ტიპს წარმოადგენს: **მ-** თავკიდური პრეფიქსია, რომელიც ერთვის ეთნიკურ სახელებს, ხოლო **-ან-**, ასევე, ეთნიკური სახელების დეტერმინანტი სუფიქსია. აქვე შევნიშნავთ, რომ პ. ინგოროყვას საყურადღებო ვარაუდით (1954, გვ.142), მისიმიანეთის ძველი სახელია **კოლაეთი**, რამდენადაც ანტიკურ წყაროებში კოდორის ხეობაში მოსახლე ტომს ეწოდება კოლიკე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლადაა გარკვეული **სვან-** ფუძისგან წარმოქმნილი ვარიანტების ფონეტიკური საფუძვლები: საერთოქართვ. **სვან-** → ზანურ-სვანური → **შუან** (→ მო-შუან-) → ზან. **შონი**;

ზანურ-სვანური შუან → აფხაზ. ა-შუან-უა...

ვეფქრობთ, ეტიმოლოგიურად, **სან-, ზან-, ჭან-, სვან-** საერთო წარმომავლობის თემონიმებია; ამოსავალი ჩანს ლაბიალიზებული \*ს||ან- ვარიანტი<sup>10</sup>, რომელიც, ჩანს, საერთოქართველურშივე არსებობდა; სწორედ ამ ლაბიალიზებული ბგერის მეზობლობას უნდა შეეწყო ხელი **\*შან-/შვან- > შონ-** პროცესისთვის.

**სუანოკოლხები.** თემონიმი **სოუანოკოლხი** დასტურდება მხოლოდ კლავდიოს პტოლემადოსთან (100-178); სუანოკოლხები ცხოვრობენ ჰენიოხებსა და მდინარე კორაქსს (ბზიფს) შორის; დაახლოებით ამ ადგილებში არიან და სხვა ავტორები **სანიეებს** ასახელებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.160-162). რამდენადაც პტოლემადოსი სუანოკოლხებს კოლხეთს გარეთ ათავსებს, გაჭირდება იმ აზრის გაზიარება, რომ ისინი ის სვანები არიან, რომლებიც კოლხეთში ცხოვრობენ (შდრ., თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.161).

პტოლემადოსის სახელმძღვანელო ძირითადად მიჰყვება ფსევდო-სკილაქსს, არიანსა და პლინიუსს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.164); ბუნებრივია, ის იცნობს სტრაბონსაც; გამომდინარე აქედან, უნდა დავუშვათ, რომ იგი ეთნონიმ **სანიეებს** გააზრებულად ცვლის **სუანოკოლხებით**, რომლითაც, ჩანს, აღნიშნავს ძველი კოლხების მემკვიდრე ერთ-ერთ ტომს; ამგვარი ხაზგასმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ, პტოლემადოსის მიხედვით, სუანოკოლხები ცხოვრობენ მისეული კოლხეთის გარეთ - სარმატიაში. საყურადღებოა ისიც, რომ ჰეკატაეოს მილეტელი (ძვ.წ. 549-472) დღევანდელი მდინარე ბზიფის რაიონში ასახელებს **კოლხურ ტომს - კორაქსებს** (შდრ., მისი აზრით, კოლხები ბზიფის აუზსა და დიოსკურიას შორის არიან). სუანო-კოლხებს სვანებისა და მეგრელების შერევით წარმოქმნილ ტომად მიიჩნევს ივ.ჯავახიშვილი (1960, გვ.429).

პ. ინგოროყვას აზრით, სვანო-კოლხების აღმნიშვნელი უნდა იყოს ტერმინი ეგერ-სვანიც, რომელიც გვხვდება სომეხ ისტორიკოს ფავსტოს ბიზანტიელთან (პ.ინგოროყვა, 1954, გვ.145).

**ამარანტები.** სტეფანე ბიზანტიელის (IV-VII ს.) ცნობით, ამარანტები კოლხური ტომია; მათი ქვეყნიდან მოდის ფაზისი (გეორგიკა, 1936, გვ. 275); აქვე: კოლხეთში არსებობს მთა **ამარანტიონი**; შდრ.: მკვლევრები ამ ტოპონიმში **ამირანის მთას** ხედავენ.

**დვალეები.** ანტიკურ წყაროებში დვალეები ახ.წ. I საუკუნიდან იხსენებიან **თალის, ვალის** და **უალის** სახელწოდებით (რ. თოფჩიშვილი, 2002, გვ. 62). ძველი ქართული წყაროებისა თუ თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილის მიხედვით, დვალეები ქართველები არიან (ზოგი მათ **ნახებად** თვლის); დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო 1859 წლამდე, ვიდრე რუსეთის იმპერიამ ეს ქართური მხარე საქართველოს საბოლოოდ არ ჩამოაჭრა.

**ტუსკები.** კლავდიოს პტოლემადოსი აღმოსავლეთ სარმატიაში ასახელებს **ტუსკებს, დიდურებსა და სანარებს**. თ.ყაუხჩიშვილის აზრით (1976, გვ.167), ესენი უნდა იყვნენ წოვათუშები, დიდოელები და წანარები. გაუმართლებელი ჩანს ადრეულ პერიოდში წოვათუშებისა და ჩაღმათუშების დაშორიშორება; თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენთვის ცნობილი თუშების დიდი ნაწილი ერთ-ერთ ქართველურ კილოზე მეტყველებს, ხოლო უფრო მცირე ნაწილის - წოვა-თუშების - მეტყველება ემსგავსება როგორც ვაინახურს, ასევე - ძველ ქართულს, ლოგიკური იქნება, დავუშვათ **ტუსკების/თუშების ქართველობა**:

თუშების ვაინახურ ტომად მიჩნევის შემთხვევაში გაჭირდება მტკიცება, რომ საქართველოსგან მაღალი მთებით მოწყვეტილმა მოსახლეობამ ისწავლა და საუკუნეების მანძილზე შეინარ-

10. ლაბიალიზებული ბგერა - არაბაგისმიერი სამეტყველო ბგერა, რომელსაც „დაჰკრავს“ ბაგისმიერობის ელფერი.

ჩუნა ქართული მაშინ, როცა დაივიწყა რეგიონში ინტენსიურად გამოყენებული დედაენა - ერთ-ერთი ვაინახური ენა (თ.უთურგაიძე, 1996).

ვეიქრობთ, **ტუსკები** ქართველური წარმომავლობის ხალხია, რომელთა ნაწილის (წოვათუშების) მეტყველება ძლიერ შეიცვალა მეზობელი თუ „სისხლის ძიებას“ გამოქცეული ვაინახების გავლენით. ამ პოზიციას ამყარებს ლინგვისტური მონაცემებიც: წოვა-თუშურში არსებითი ადგილი უჭირავს **ადრეულ ქართულ სუბსტრატს** (მ. მიქელაძე, 2004, გვ. 45); შდრ.: გ. ცოცანიძის აზრით, თუშური მოსახლეობა ენობრივად განსხვავებულ ორ ჯგუფად განიყოფა: ჩაღმათუშებად და წოვათუშებად (გ. ცოცანიძე, 1993, გვ. 539). ა. შავხელიშვილის აზრით, წოვათუშური ნახურად ქცეული ქართველური ენაა, ხოლო ბ. შავხელიშვილის მტკიცებით, წოვათუშური ენა გარდამავალი, დამაკავშირებელი რგოლია ქართველურ (განსაკუთრებით ძველ ქართულ) და ვაინახურ ენებს შორის (ბ. შავხელიშვილი, 2003).

**შემაჯამებელი მსჯელობის ნაცვლად, ქვემოთ დავასახელებთ** იმ ქართველურ ტომებს, რომლებიც, თვითმხილველ მოგზაურთა თუ მეცნიერთა აზრით, არსებობდნენ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს:

ჰეკატაეოს მილეტელი (ძვ.წ. 549-472): მელანქლაძენები, კორაქსები, კოლები, მოსხები, ხოდეები, ბექედრები, დიძერები, მაკრონები, მარები, მოსინოიკები, ტობარენები, ხალიბები. საინტერესოა ის გარემოება, რომ კორაქსებისა და მოსხების შესახებ ჰეკატაეოსი ამბობს, კოლხური ტომებიაო (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43);

ჰეროდოტე (484-425): კოლხები, სასპედრები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინოიკები, მარები; მათი მონათესავენი არიან: ალაროდიელები (ურარტუელები), მატინები (ჰეროდოტე, 1975);

ქსენოფონტე (435-355): კარდუხები, ტაოხები, ხალდეები, ხალიბები, ფასიანები, სკვითინები, მაკრონები, კოლხები, დრილები, ჰესპერიტები, მოსინიკები, კოდტები (მორჩილი ხალიბები? - ტ.ფ.), ტიბარენები (თ.მიქელაძე, 1967);

ფსევდო-სკილაქსი (IV ს.): სავრომატები, მადოტები, სინდები, კერკეტები, ტორეტები, აქადები, ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, მელანქლაძენები, გელონები, კოლხები, ბიძერები, ეკექედრები, ბექედრები, მაკროკეფალები, მოსინოიკები, ტიბარენები, ხალიბები.

არიანე (II ს.): ტრაპიზონიდან ძველ აქაიამდე შემდეგი ტომები გავიარეთ: კოლხები, სანები (ქსენოფონტეს დრილები), მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები (არიანესთან ლაზები და კოლხები თანაარსებობენ და ხაზგასმით სხვადასხვა ტომებია - ტ.ფ.), აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები;

ნიკოლოზ დამასკელი (ძვ.წ. 64 - ახ.წ.14): კოლხები, სინდები, ტავრები, მოსინები, კერკეტები, სავრომატები...

ამ ტომთა გარდა, აღმოსავლეთ საქართველოში ამავე პერიოდში ცხოვრობდნენ აგრეთვე:

**კახები, კუხები** (ივ.ჯავახიშვილი, 1969, გვ.437) და **ჰერები** (ჰერთა ვინაობის შესახებ იხ. კ.ფიცხელაური, 1973, გვ.197).

კახების ქართველურობა დღესაც ყველასთვის თვალსაჩინოა; **კუხების მხარე** - კუხეთი, როგორც ერთი ქართველური ტომის საცხოვრისი, VIII საუკუნემდე არსებობს; შემდეგ კი კახეთში მოიაზრება; შდრ., აგრეთვე: დ.მუსხელიშვილის აზრით, ლეონტი მროველის მიერ მოცემული საზღვრები კახეთის, კუხეთისა და ჰერეთისა ძვ.წ. IV-III საუკუნეების ვითარებას ასახავს (დ.მუსხელიშვილი, 1966, გვ.5-38).



ზოგ მკვლევარს **ჰერები** ალბანურ ტომად მიაჩნდა, მაგრამ ჰერეთის ტერიტორიაზე გავრცელებული წამყვანი იარაღები თუ სხვა ნაკეთობანი კახეთ-კუხეთსა და ქართლში მოპოვებულ მასალასთან ერთად ერთ საფუძველზეა წარმოშობილი და, ბუნებრივია, მასთან შეუდარებლად მეტ მსგავსებას იჩენს, ვიდრე ჰერეთის სამხრეთითა და აღმოსავლეთით გავრცელებულ მასალასთან, რომელიც სულ სხვა საწყისებზეა შექმნილი (კ.ფიცხელაური, 1973, გვ.197). გარდა ამისა, ჰერების ამჟამინდელი შთამომავლები - **ინგილოები** თავიდანვე ქართველები (მონოლინგუური ქართულენოვანი მოსახლეობა) რომ არ ყოფილიყვნენ, სრულ არაქართველურენოვან გარემოცვაში ვერასოდეს ისწავლიდნენ ქართულს.


კახთა, კუხთა და ჰერთა გვერდით უნდა დავასახელოთ: **ფხოველები** (ხვესურები, ფშავლები, მოხვეები, მთიულ-გუდამაყრელნი) და დასავლეთ საქართველოს მკვიდრი **სკვიმნები/ცხუმები/ჩხუმები/ჩხუმნი**<sup>11</sup>.

შდრ.: **სკვიმ/ცქვიმ-**, **ჩხუმ-/ლე-ჩხუმი**; სავარაუდო **ცკვიმ-/ცხვიმ-/ჩხვიმ-/ჩხუმ-/ცხუმ-** მოსალოდნელი ფორმების თავკიდური თანხმოვანთკომპლექსის გადმოსაცემად ბერძნულში გამოყენებულია **სკვ/სვ** მიმდევრობა; ეს გვავარაუდებინებს, რომ ახ.წ. VI საუკუნეში ლეჩხუმის ოფიციალური სახელი იყო საერთოქართველური აგებულების სიტყვა: **ცკვიმი/ცხვიმი**. ლეჩხუმი დიალექტური ვარიანტია; **ლე-/ლა-** საერთოქართველური სუფიქსი **ჩანს**, რომელიც პროდუქტიულია ზანურსა და სვანურში; საკუთრივ ქართლში დადასტურებული მასალისათვის იხ.: ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, 1988, გვ.268: **ლა-რტყ-ი**, **ლა-რთხ-ი...** და მ.ჩუხუა, 2003, გვ.77: **ლე-ჟვერ-ი = სა-ჟვერ-ე. დანიშნულების ლა-/ლე-** აქ **წარმომავლობა-კრებითობის -ეთ-/ათ-, -არ-/ერ-** სუფიქსების ფარდია; შდრ., პარალელური წარმოებები: **ლე-ჩხუმ-ი**, **სა-ქართველ-ო** და **ცხუმ-ი**, **ცხუმ-არ-ი**, **სხიმ-არ-ი/სქიმ-არ-ი**, **სვან-ეთ-ი...**

ამრიგად, აშკარაა, რომ II ათასწლეულის დასასრულიდან წელთაღრიცხვათა მიჯნამდე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველურად მისაჩნევი და, სავარაუდოდ, **ქართველურ ენა-კავებზე** (დიალექტებზე) **მოლაპარაკე შემდეგი მონათესავე ტომები**: მუშქები/მოსხები/მესხები, დაიანელები/დაიუხები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები/სასპეირები/საპირები, ქუთები/კოიტები/კვიტები, კორაქსები, მარები, ბექედრები, ჰალიძონები/ხალიბები, ხალდეები/ქალდეები, მოსინოძეები/ჰეპტაკომეტები, დიქერები, ბიქერები, ძიდრიტები, მაკრონები/მაკროკეფალები, ფასიანები, მელანქლიანები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკექედრები, ჰენიოხები, სანები/ჭანები, სანიგები/სანიკები, ლაზები, აფხაზები, აბასკები, აფსარები, სვანები/მისიმელები, სვანო-კოლხები, ტუსკები, კახები, კუხები, ცხუმები, ფხოველები, ჰერები...

**ამ ტომთა დიდი ნაწილის ქართველურობის შესახებ სარწმუნო ცნობები ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოიპოვება** (მაგ., აგათიას აზრით, მისიმელები, კოლხები და აფსილები ნათესავეები არიან). ზოგი უძველესი ქართველური ტომი საერთოდ დაიკარგა (მაგ., გუგართა ტომის შესახებ იხ. ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.24-33); **ბევრის სახელიც დღემდე შემორჩა ქართველური თემების** (მესხები, ტაოელები, ლაზები, სვანები, ფხოველები, მეგრელები, ჰერები, კახელები და სხვა), **ან კონკრეტული ადგილის, რეგიონის** (კოლხეთის დაბლობი, ოძრხე, ვიწე, ქუთაისი...) **თუ რომელიმე ხალხის** (მაგ., სომხების...) **სახელების სახით.**

11. საკითხის ისტორიის, ბერძნული წყაროების **სკვიმიის**, **სვიმიის**, **ცხუმ/ლეჩხუმისა** და **თაკვერ-რაჭის** შესახებ იხ. ლ.ფრუიძე, 1993, გვ.471-478; დ.ლეთოლიანი, 2003, გვ.18-30.



# ინაშა თანდრილასა

## საერთოქართველური ლაზური ზმნების პარადიგმა

ქართველურ ენობრივ სივრცეში ლაზურ მეტყველებას ისტორიულადაც და თანამედროვე ვითარების მიხედვითაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. ლაზური ქართველური ენობრივი სისტემის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ლაზებს საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებოდათ ცხოვრება, მათი ენობრივი ფსიქოლოგია ქართველურს არ გასცილებია; ლაზურზე, როგორც ქართველური ენობრივი სისტემის ნაწილზე ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში მოძალებულმა თურქულენოვანმა სამყარომაც ვერ შეძლო. გარდა იმისა, რომ ლაზურმა თავისთავადობა არ დაკარგა, მან, უცხო ენობრივ-კულტურულ სივრცეში მშობლიურისგან იზოლაციაში მოხვედრილმა, არაერთი არქაული ქართული ელემენტი შეინარჩუნა. ეს კი ქართველური სისტემის ისტორიაზე მომუშავე ქართველოლოგებს საშუალებას აძლევს სისტემაში მომხდარი ცვლილებები სათანადოდ გააანალიზონ. ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ ეს შესაძლებლობა – ლაზურის მონაცემთა ჩართვა ქართველური ენობრივი სისტემის კვლევაში – სრულად იყოს გამოყენებული. შესაძლოა ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ ქართველოლოგთა ნაწილი ლაზურს ცალკე ენად მიიჩნევს. მაგალითად, ისეთი კვალიფიციური მკვლევარი, როგორც გ. კარტოზია იყო, ლაზურს დამოუკიდებელ ენად თვლიდა. ბოლო ხანებში გამოქვეყნებული მისი საინტერესო ნაშრომი ასეა დასათაურებული: „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“ (თბილისი, 2005); თუმცა ნაშრომის მიხედვით არ ჩანს, სისტემის თვალსაზრისით რა განასხვავებს ლაზურს თუნდაც მეგრული მეტყველებისაგან.

ქართველური ენობრივი სისტემის კვლევას თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველ და უცხოელ ქართველოლოგებს ამ კუთხით უზარმაზარი სამუშაო აქვთ ჩატარებული. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად თავიდანვე გამოიკვეთა ქართველურ მეტყველებათა კვალიფიკაციის საკითხი; კერძოდ:

გამოითქვა მოსაზრება, რომ საერთოქართველურ ენას ჯერ გამოეყო სვანური და ქართულ-ზანური, შემდეგ კი ქართულ-ზანური განცალკევდა ქართულ და ზანურ ენებად (გ. დეცეტერსი). მომდევნო ეტაპად ვარაუდობენ ზანურის დაშლას ლაზურ და მეგრულ ენებად (გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, ტ. გუდავა, გ. კარტოზია...)

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, საერთო ქართველურს ჯერ გამოეყო ზანურ-სვანური და ქართული, შემდეგ კი ზანურ-სვანური დაიშალა ზანურ (მეგრულ-ჭანურ)<sup>1</sup> და სვანურ ენებად. აქ არსებითია ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, შენიშნულია ზანურისა და სვანურის მეტი სიახლოვე, მეორე მხრივ, მეგრული და ჭანური (ლაზური) ერთ ენობრივ ერთიანობად არის წარმოდგენილი, რაც, არნ. ჩიქობავას და სხვა მკვლევართა ნაშრომების გარდა, ლაზურის ზმნურ ძირ-ფუძეთა ჩვენეული ანალიზითაც მტკიცდება.

ტ. ფუტკარაძის აზრით (2005: 325), ქართველური ენობრივი სამყარო მოიცავს ერთ ისტორიულ დედაენასა და რამდენიმე ქართველურ დიალექტურ ჯგუფს; კერძოდ: ქართველთა სამნიგნობარო ენა – სასულიერო მწერლობის ენა (ე.წ. ძველი ქართული ენა) ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ კონინეს; ქართული სამნიგნობრო ენის თანამედროვე ვარიანტი და ქართველური დიალექტური

1. ლაზურ-მეგრულის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე: „კოლხური“ (გ. როზენი, ა. შანიძე, კ. დანელია...).

მეტყველებანი (ლაზურ-მეგრული, სვანური, მესხური, ქართლ-კახური, რაჭული, ჰერული, ფხოური...) უშუალო გაგრძელებაა საერთო ქართველურისა და ისტორიული სამნიგნობრო ენისა; შესაბამისად, ნაკლებსარწმუნოა მოსაზრება, რომ ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნება ქართლურს, კახურს, ან სხვა რომელიმე ერთ ქართველურ კილოს.

ოდითგანვე ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში მცხოვრები და ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლის შემსრულებელი ერთ-ერთი ძირითადი ქართველური ტომის – ლაზების (იგივე ჭანების) მიმართ საუკუნეების განმავლობაში გამოვლენილმა ნაკლებმა ინტერესმა, სამწუხაროდ, არსებითი ზეგავლენა მოახდინა მათი გარკვეული ნაწილის ქართველთაგან ეროვნულ გაუცხოებაზე. ეს უფრო ეხება საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილ ისტორიულ ტერიტორიებს, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენილი ლაზთა (ჭანთა) მცირე ნაწილზეც საბჭოთა პერიოდში გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა ხდებოდა, კერძოდ, საბჭოთა პერიოდში ერთადერთ კომპაქტურად დასახლებულ სოფელ სარფში მცხოვრებთა ერთი ჯგუფი (ახალგაზრდები) სპეციალურად გაგზავნილ იქნა ქ. ლენინგრადის „ნაციონალურ უმცირესობათა“ სასწავლებელში, ე.წ. მუშფაკში, თითქოს ლაზები საქართველოში იყვნენ „ეროვნული უმცირესობანი“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის დროს მეცნიერები ხაზგასმით წარმოაჩენდნენ ლაზების განსაკუთრებულ წვლილს ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აღმშენებლობის საქმეში, XV-XVI საუკუნეებში ოსმალეთის მიერ ლაზეთის მიტაცების შემდგომდროინდელი ისტორია, ყოფა და კულტურა ჩვენში ძალზე სუსტად და ზედაპირულადაა შესწავლილი.

საქართველომ 1877-78 წლების ომის შედეგად მიღებული ქართული (/ლაზური) ტერიტორიების ის მცირე ნაწილიც დაკარგა, რომელიც საბჭოთა წყობილების მიერ 1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ოფიციალურად გაფორმებული ყარსის ხელშეკრულების მიხედვით შემოიერთა. ამის შემდეგ დაიწყო ასიმილირების მძიმე პროცესები. ძველ ლაზურ ტოპონიმკას უცვლიდნენ სახელს, ლაზებით დასახლებულ ტერიტორიებზე შემოჰყავდათ არაქართველური (არალაზური) ეთნიკური ჯგუფები, იკრძალებოდა ლაზური მეტყველება, მახინჯდებოდა ისტორიული ფაქტები, რის შედეგადაც მივიღეთ ლაზების გარკვეული ნაწილის ეროვნული გაუცხოება და მშობლიურ ისტორიულ ფესვებისგან დაშორება. სამწუხაროდ, საერთო ქართული სივრცისგან ლაზთა დაშორების ტენდენცია დღესაც სტიმულირდება.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ლაზური (ჭანური) და მეგრული მეტყველებები სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა კვალიფიცირებული:

ზოგი მკვლევარი (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, შ. ბერიძე, გ. კარტოზია...) მათ დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევს, ზოგიც (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. კიზირია, გ. კლიმოვი, ბ. ჯორბენაძე...) ლაზურსა და მეგრულს ზანური ენის კილოებად განიხილავს. მკვლევართა ნაწილის (ტ. ფუტკარაძე, მ. ტაბიძე, თ. გვანცელაძე, რ. შეროზია, ა. ლომთაძე, ე. დადიანი...) აზრით კი არსებობს **ქართველთა ერთი დედაენა, რომლის სტანდარტული სახესხვაობაა მრავალსაუკუნოვანი ქართული სამნიგნობრო ენა** და მრავალრიცხოვანი ზეპირი ქართველური დიალექტები. წარმოდგენილი თვალსაზრისი აგრძელებს ძველი ქართველი მემატიანეების, მკვლევრებისა და საზოგადო მოღვაწეების (პ. ჭარაია, ი. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე, თ. სახოკია, ა. წერეთელი. ი. გოგებაშვილი, ლ. ლოლუა, ს. ხუნდაძე, თ. ჟორდანია, ნმ. ამბროსი ხელაია...) ხედვას (საკიტხის ისტორიისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005; თ. გვანცელაძე, 2006).

ვფიქრობთ, ლოგიკურია **ტრადიციული თვალსაზრისი**, რომლის თანახმადაც არსებობს ერთი ენა – ქართული ენა და ამ ენის დიალექტებია მეტ-ნაკლებად ერთმანეთს დაშორებული: მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური თუ ქართლური, იმერული, აჭარული, თუშური და მრავალი სხვ., რამდენადაც მეგრელები, ლაზები, სვანები ქართლელებთან, იმერლებთან, აჭარლებთან, თუშებთან... **ერთად არიან ქართული სამნიგნობრო კულტურის შემქმნელები** და ერთ ერს ქმნიან; მათი საშინაო სამეტყველო კოდებიც ერთი და იმავე ენის ნაწილებია, სახესხვაობებია, ტერიტორიული/კუთხური ვარიანტებია.

ფაქტია: ქართული სალიტერატურო ენის (კულტურის) შექმნა-განვითარებაში თავიდანვე საქართველოს ყველა კუთხის მოღვაწენი იღებდნენ მონაწილეობას<sup>2</sup>, ამიტომაც ქართული სალიტერატუ-

2. უდავო ფაქტია ისიც, რომ პირველი ერთ-ერთი უძველესი ქართული ტექსტი შექმნილია იოვანე ლაზის მიერ V საუკუნეში.

რო ენისა და ქართველური დიალექტების მიმართება ყველასთვის ნათელია: მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა მონაწილეობას იღებდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში და მისი საშუალებით ეცნობოდა სასულიერო თუ საერო ქმნილებებს.

ძველი დროიდანვე ქართველთა დიალექტებით უწყვეტად მდიდრდებოდა სალიტერატურო ენა; კერძოდ, მეგრული, მესხური, ქართლური თუ იმერხეული თვისობრივად ერთნაირად იყო მასაზრდოვებელი ხანმეტი ტექსტების, „ვეფხისტყაოსნის“ თუ პეტრინის შრომების ენისთვის. შესაბამისად, თანამედროვე სალიტერატურო ენა ვერ ჩაითვლება მხოლოდ ქართლ-კახურით საფუძველდებულად; ამ თვალსაზრისით საინტერესოა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი: **ქართული სამნიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით** (არნ. ჩიქობავა, 1948).

შდრ., აგრეთვე, ნ. მარის მოსაზრება: „ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები, და სხვანი... საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხეულ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის“ (ნ. მარი, 1905).

საქართველოში საბჭოთა იმპერიის გაბატონებამდე მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენობრივ ერთეულებს კილოებად აცხადებდნენ ქართველთა წინა თაობებიც და მეცნიერებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ლაზებს საუკუნეების განმავლობაში უცხოენობრივ გარემოში უხდებოდა ცხოვრება, მათი მეტყველება (მსგავსად მეგრულისა) არსებითად საერთოქართველურ ხაზს მიჰყვება; ლაზურის ფონემატური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური სტრუქტურები უმთავრესად ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული დიალექტების მსგავსია. ამას ადასტურებს ლაზურში არსებული საერთოქართველური ზმნური ძირ-ფუძეები, ასევე მანარმოებელი აფიქსები (პირისა და რიცხვის ნიშნები, თემატური სუფიქსები, ხმოვანი პრეფიქსები, მწკრივის ნიშნები...).

ლაზური ზმნური ფუძეების დიდი ნაწილი საერთოქართველურია. როგორც წესი, ამოსავალი ფორმები დაცულია სამნიგნობრო ქართულში, მცირე ნაწილი – სხვა ქართველურ კილოებსა და ლაზურში; სავარაუდოა, რომ მხოლოდ ლაზურსაც შემოენახოს საერთოქართველური მასალა.

ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე ლაზურ ზმნურ ფუძეს და წარმოვადგენთ მოცემული ფუძის ყველა მწკრივის ფორმასაც: **ბელუა** (ხოფ. ვინ. არქ); იხ., აგრეთვე **ბერგუა** (დობერგუ) – ბარვა; „სუმ დღაში მთელი ყონა დოვბელი (დოვბერგი)“, „სამ დღეში მთელი ყანა დავბარე“ (ზმნურ ფუძეებს ვიმონებთ არნ. ჩიქობავას ლექსიკონიდან).

„ბელუასა“ და „ბერგუას“ შორის განსხვავება დაკავშირებულია შრომის იარაღის სახელთან: ლაზურად „ბარს“ ჰქვია „ბელი“ და აქედან წარმოდგა ეს ზმნაც; **ბერგუა** მომდინარეობა ბერგ-„თოხი“ სახელური ფუძიდან. მსგავსი სემანტიკით არის კიდევ ერთი ვარიანტი: ბელტვა (ბელტი) – ობელტუ; **შდრ.:** ბელი – ობელუ; შდრ.: ბერგი – ობერგუ; შდრ., ასევე: სალიტერატურო ქართული: ბარი – ბარავ-ს; თოხი – თოხ-ნ-ის; მეგრული: ბერგი – ბერგ-უნ-ს/ბარგუნს... ვაუღლებთ „ბელუა“ ზმნას:

## I სერია

### აწმყოს წრე

#### აწმყო (რას ვშვრები? – მუ ვიქიბ?)

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
I პირ.	ვბელუფ (ვბარავ) – (მან)	ვბელუფთ (ვბარავთ) – (ჩქინ)
II პირ.	ბელუფ (ბარავ) – (სინ)	ბელუფთ (ბარავთ) – (თქვენ)
III პირ.	ბელუფს (ბარავს) – (ემუქ)	ბელუფან (ბარავენ) – (ენთეფექ)

**უნყვეტელი (რას ვშვრებოდი? – მუ ვიქიბტი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბელუფტი (ვბარავდი) – (მან)	ვბელუფტით (ვბარავდით) – (ჩქინ)
II პირ.	ბელუფტი (ბარავდი) – (სინ)	ბელუფტით (ბარავდით) – (თქვან)
III პირ.	ბელუფტუ (ბარავდა) – (ემუქ)	ბელუფტეს (ბარავდენ) – (ენტეფექ)

**ანწყოს კავშირებითი (რას ვშვრებოდე? – მუ ვიქიბტა?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბელუფტა (ვბარავდე) – (მან)	ვბელუფტათ (ვბარავდეთ) – (ჩქინ)
II პირ.	ბელუფტა (ბარავდე) – (სინ)	ბელუფტათ (ბარავდეთ) – (თქვენ)
III პირ.	ბელუფტას (ბარავდეს) – (ემუქ)	ბელუფტან (ბარავდენ) – (ენტეფექ)

**მყოფადის წრე**

**მყოფადი (რას ვიზამ? – მუდოვიქიბტი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	დოვბელუფ (დავბარავ) – (მან)	დოვბელუფთ (დავბარავთ) – (ჩქინ)
II პირ.	დოვბელუფ (დაბარავი) – (სინ)	დოვბელუფთ (დაბარავთ) – (თქვან)
III პირ.	დოვბელუფს (დაბარავს) – (ემუქ)	დოვბელუფან (დაბარავენ) – (ენტეფექ)

**ხოლმეობითი (რას ვიზამდი? – მუდოვიქიბტი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	დოვბელუფტი (დავბარავდი) – (მან)	დოვბელუფტით (დავბარავდით) – (ჩქინ)
II პირ.	დოვბელუფტი (დაბარავდი) – (სინ)	დოვბელუფტით (დაბარავდით) – (თქვან)
III პირ.	დოვბელუფტუ (დაბარავდა) – (ემუქ)	დოვბელუფტეს (დაბარავდენ) – (ენტეფექ)

**მყოფადის კავშირებით (რას ვიზამდე? – მუდოვიქიბტა?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	დოვბელუფტა (დავბარავდე) – (მან)	დოვბელუფტათ (დავბარავდეთ) – (ჩქინ)
II პირ.	დოვბელუფტა (დაბარავდე) – (სინ)	დოვბელუფტათ (დაბარავდეთ) – (თქვენ)
III პირ.	დოვბელუფტას (დაბარავდეს) – (ემუქ)	დოვბელუფტან (დაბარავდენ) – (ენტეფექ)

**II სერია**

**წყვეტილი (რა ვქენი? – მუ პი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	დოვბელი (დავბარე) – (მან)	დოვბელით (დავბარეთ) – (ჩქინ)
II პირ.	დოვბელი (დაბარე) – (სინ)	დოვბელით (დაბარეთ) – (თქვან)
III პირ.	დოვბელუ (დაბარა) – (ემუქ)	დოვბელეს (დაბარეს) – (ენტეფექ)

**II კავშირებითი (რა ვქენა? – მუ პი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბელა (ვბარო) – (მან)	ვბელათ (ვბაროთ) – (ჩქინ)
II პირ.	ბელა (ბარო) – (სინ)	ბელათ (ბაროთ) – (თქვენ)
III პირ.	ბელას (ბაროს) – (ემუქ)	ბელან (ბარონ) – (ენტეფექ)

III სერია

I თურმეობითი (რა მიქნია? – მუ მიხვენუნ?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	მიბელუნ (მიბარია) – (მან)	მიბელუნან (გვიბარია) – (ჩქინ)
II პირ.	გიბელუნ (გიბარია) – (სინ)	გიბელუნან (გიბარიათ) – (თქვან)
III პირ.	უბელუნ (უბარია) – (ემუქ)	უბელუნან (უბარიათ) – (ენტეფეს)

II თურმეობითი (რა მექნა? – მუ ჰატი?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბელატი (მებარა) – (მან)	ვბელატი (გვებარა) – (ჩქინ)
II პირ.	ბელატი (გებარა) – (სინ)	ბელატი (გებარათ) – (თქვენ)
III პირ.	ბელატუ (ებარა) – (ემუქ)	ბელატეს (ებარათ) – (ენტეფეს)

III კავშირებითი (რა მექნას? – მუ მახვენას?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	მაბელას (მებაროს) – (მან)	გვაბელას (გვებაროს) – (ჩქინ)
II პირ.	გაბელას (გვებაროს) – (სინ)	გაბელან (გებაროთ) – (თქვან)
III პირ.	აბელას (ებაროს) – (ემუქ)	აბელან (ებაროთ) – (ენტეფეს)

ამ ზმნის შემთხვევაში „ბელუასა“ და „ბერგუას“ შორის განსხვავება დაკავშირებულია შრომის იარაღის სახელთან, უნინ ამ შრომის იარაღს ერქვა „ბელი“ და აქედან წარმოდგა ეს ქმნაც, ხოლო შემდგომ მას ეწოდა „ბერგი“

არის კიდევ ერთი ვარიანტი: ბელტვა (ბელტი) – ობელუ

აქედან: ბელი – ობელუ

ბერგი – ობერგუ

შდრ: სალიტერატურო ქართული: ბარ-ავ-ს

მეგრული: ბერგ-უნ-ს

ავილოთ სხვა ზმნებიც:

ბარბალუა (ხოფ. ვინ. არქ) ბორგვა, ბოდვა

„კოჩის დიდო მჩხოფა ულუტუ დო ბარბალაფტუ“, „კაცს დიდი სიცხე ჰქონდა და ბორგავდა (ბოდავდა)“

I სერია

ანწყოს წრე

ანწყო (რას ვშვრები? – მუ ვიქიბ?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბარბალაფ (ვბორგავ) – (მან)	ვბარბალათ (ვბორგავდით) – ჩქინ
II პირ.	ბარბალაფ (ბორგავ) – (სინ)	ბარბალაფთ (ბორგავთ) – თქვან
III პირ.	ბარბალაფს (ბორგავსა) – (ემუქ)	ბარბალაფან (ბორგავენ) – ენთეფექ

უნყვეტელი (რას ვშვრებოდი? – მუ ვიქიბტი?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბარბალაფტი (ვბორგავდი) – (მან)	ვბარბალაფტით (ვბორგავდი) – (ჩქინ)
II პირ.	ბარბალაფტი (ბორგავდი) – (სინ)	ბარბალაფტით (ბორგავდით) – (თქვან)
III პირ.	ბარბალაფტუ (ბორგავდა) – (ემუქ)	ბარბალაფტეს (ბორგავდენ) – (ენტეფექ)

**ანწყოს კავშირებითი (რას ვშვრებოდე? – მუ ვიქობტა?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბარბალაფტა (ვბორგავდე) – (მან)	ვბარბალაფტათ (ვბორგავდეთ) – (ჩქინ)
II პირ.	ბარბალაფტა (ბორგავდე) – (სინ)	ბარბალაფტათ (ბორგავდეით) – (თქვან)
III პირ.	ბარბალაფტას (ბორგავდეს) – (ემუქ)	ბარბალაფტან (ბორგავდენ) – (ენტეფექ)

**მყოფადობის წრე**

**მყოფადი (რას ვიზამ? – მუდოვიქობტა?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვიბარბალ (ვიბორგებ) – (მან)	ვიბარბალთ (ვიბორგებთ) – (ჩქინ)
II პირ.	იბარბალ (იბორგებ) – (სინ)	იბარბალთ (იბორგებთ) – (თქვან)
III პირ.	იბარბალს (იბორგებს) – (ემუქ)	იბარბალნან (იბორგებენ) – (ენტეფექ)

**ხოლმეობითი (რას ვიზამდი? – მუდოვიქობტი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვიბარბალტი (ვიბორგებდი) – (მან)	ვიბარბალტით (ვიბორგებდით) – (ჩქინ)
II პირ.	იბარბალტი (იბორგებდი) – (სინ)	იბარბალტით (იბორგებდით) – (თქვან)
III პირ.	იბარბალტუ (იბორგებდა) – (ემუქ)	იბარბალტეს (იბორგებდენ) – (ენტეფექ)

**მყოფადის კავშირებითი (რას ვიზამდე? – მუდოვიქობტა?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვიბარბალტა (ვიბორგებდე) – (მან)	ვიბარბალტათ (ვიბორგებდეთ) – (ჩქინ)
II პირ.	იბარბალტა (იბორგებდე) – (სინ)	იბარბალტათ (იბორგებდეთ) – (თქვან)
III პირ.	იბარბალტას (იბორგებდეს) – (ემუქ)	იბარბალტან (იბორგებდენ) – (ენტეფექ)

**II სერია**

**წყვეტილი (რა ვქენი? – მუ პი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვიბარბალი (ვიბორგე) – (მან)	ვიბარბალით (ვიბორგეთ) – (ჩქინ)
II პირ.	იბარბალი (იბორგე) – (სინ)	იბარბალით (იბორგეთ) – (თქვან)
III პირ.	იბარბალუ (იბორგა) – (ემუქ)	იბარბალეს (იბორგეს) – (ენტეფექ)

**II კავშირებითი (რა ვქენა? – მუ პა?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვიბარბალა (ვიბორგო) – (მან)	ვიბარბალათ (ვიბორგოთ) – (ჩქინ)
II პირ.	იბარბალა (იბორგო) – (სინ)	იბარბალათ (იბორგოთ) – (თქვან)
III პირ.	იბარბალას (იბორგოს) – (ემუქ)	იბარბალან (იბორგონ) – (ენტეფექ)

**III სერია**

**I თურმეობითი (რა მიქნია? – მუ მიხვენუნ?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	მიბარბალუნ (მიბორგია) – (მან)	გვიბარბალუნ (გვიბორგია) – (ჩქინ)
II პირ.	გიბარბალუნ (გიბორგია) – (სინ)	გიბარბალუნან (გიბორგიათ) – (თქვან)
III პირ.	უბარბალუნ (უბორგია) – (ემუქ)	უბარბალუნან (უბორგიათ) – (ენტეფექ)

**II თურმეობითი (რა მექნა? – მუ პატი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბარბალატი (მებორგა) – (მან)	ვბარბალატი (გვებორგა) – (ჩქინ)
II პირ.	ბარბალატი (გებორგა) – (სინ)	ბარბალატი (გებორგათ) – (თქვან)
III პირ.	ბარბალატუ (ებორგა) – (ემუქ)	ბარბალატეს (ებორგათ) – (ენტეფექ)

**III კავშირებითი (რა მექნას? – მუ მახვენას?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	მაბარბალას (მებორგოს) – (მან)	გვაბარბალას (გვებორგოს) – (ჩქინ)
II პირ.	გაბარბალას (გებორგოს) – (სინ)	გაბარბალან (გებორგოთ) – (თქვან)
III პირ.	აბარბალას (ებორგოს) – (ემუს)	აბარბალან (ებორგოთ) – (ენტეფეს)

შდრ, სალიტერატურო ქართული: ბორგავს  
მეგრული:  
ამოსავალი ჩანს საერთო ქართველურიდან მომდინარე  
ძირი: ბარ – ბორ

ბუნდლოლუა (ხოფ. ვინ. არქ.) – „ბდღვნა“  
„ცანა ობუნდლოლუს ვარ ღირს – ცანა (ჩიტის სახეობა) ბდღვნად არ ღირს“.

**I სერია  
ანწყოს წრე**

**ანწყო (რას ვშვრები? – მუ ვიქიბ?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბუნდლოლუფ (ვბდღვნი) – (მან)	ვბუნდლოლუფთ (ვბდღვნით) – (ჩქინ)
II პირ.	ბუნდლოლუფ (ბდღვნი) – (სინ)	ბუნდლოლუფთ (ბდღვნით) – (თქვენ)
III პირ.	ბუნდლოლუფს (ბდღვნის) – (ემუქ)	ბუნდლოლუფან (ბდღვნიან) – (ენტეფექ)

**უნყვეტელი (რას ვშვრებოდი? – მუ ვიქიბტი?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბუნდლოლუფტი (ვბდღვნიდი) – (მან)	ვბუნდლოლუფტით (ბდღვნიდით) – (ჩქინ)
II პირ.	ბუნდლოლუფტი (ბდღვნიდი) – (სინ)	ბუნდლოლუფტით (ბდღვნიდით) – (თქვან)
III პირ.	ბუნდლოლუფტუ (ბდღვნიდა) – (ემუქ)	ბუნდლოლუფტეს (ბდღვნიდენ) – (ენტეფექ)

**ანწყოს კავშირებითი (რას ვშვრებოდე? – მუ ვიქიბტა?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვბუნდლოლუფტა (ვბდღვნიდე) – (მან)	ვბუნდლოლუფტათ (ვბდღვნიდეთ) – (ჩქინ)
II პირ.	ბუნდლოლუფტა (ბდღვნიდი) – (სინ)	ბუნდლოლუფტათ (ბდღვნიდით) – (თქვან)
III პირ.	ბუნდლოლუფტას (ბდღვნიდა) – (ემუქ)	ბუნდლოლუფტან (ბდღვნიდენ) – (ენტეფექ)

**მყოფადის წრე**

**მყოფადი (რას ვიზამ? – მუდოვიქიბ?)**

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	დოვბუნდლოლუფ (დავბდღვნი) – (მან)	დოვბუნდლოლუფთ (დავბდღვნით) – (ჩქინ)
II პირ.	დობუნდლოლუფ (დავბდღვნი) – (სინ)	დობუნდლოლუფთ (დავბდღვნით) – (თქვან)
III პირ.	დობუნდლოლუფს (დავბდღვნის) – (ემუქ)	დობუნდლოლუფან (დავბდღვნიან) – (ენტეფექ)



**ხოლმეობითი (რას ვიზამდი? – მუ დოვიქიბტი?)**

მხ. რ.

მრ. რ.

I პირ. დოვბუნდლოლუფტი (დავბდღვნიდი) – (მან) დოვბუნდლოლუფტით (დავბდღვნიდით) – (ჩქინ)

II პირ. დოვბუნდლოლუფტი (დაბდღვნიდი) – (სინ) დოვბუნდლოლუფტით (დავბდღვნიდით) – (თქვან)

III პირ. დოვბუნდლოლუფტუ (დაბდღვნიდა) – (ემუქ) დოვბუნდლოლუფტეს (დაბდღვნიდენ) – (ენტეფექ)

**მყოფადის კავშირებითი (რას ვიზამდე? – მუ დოვიქიბტა?)**

მხ. რ.

მრ. რ.

I პირ. დოვბუნდლოლუფტა (დავბდღვნიდე) – (მან) დოვბუნდლოლუფტათ (დავბდღვნიდეთ) – (ჩქინ)

II პირ. დოვბუნდლოლუფტა (დაბდღვნიდე) – (სინ) დოვბუნდლოლუფტათ (დავბდღვნიდეთ) – (თქვან)

III პირ. დოვბუნდლოლუფტას (დაბდღვნიდეს) – (ემუქ) დოვბუნდლოლუფტან (დაბდღვნიდენ) – (ენტეფექ)

**II სერია**

**წყვეტილი (რა ვქენი? – მუ პი?)**

მხ. რ.

მრ. რ.

I პირ. დოვბუნდლოლი (დავბდღვენი) – (მან)

დოვბუნდლოლით (დაბდღვენით) – (ჩქინ)

II პირ. დოვბუნდლოლი (დაბდღვენი) – (სინ)

დოვბუნდლოლით (დავბდღვენით) – (თქვან)

III პირ. დოვბუნდლოლუ (დაბდღვენა) – (ემუქ)

დოვბუნდლოლეს (დაბდღვენეს) – (ენტეფექ)

**II კავშირებითი (რა ვქენა? – მუ პა?)**

მხ. რ.

მრ. რ.

I პირ. დოვბუნდლოლა (დავბდღვენა) – (მან)

დოვბუნდლოლათ (დავბდღვენათ) – (ჩქინ)

II პირ. დოვბუნდლოლა (დაბდღვენა) – (სინ)

დოვბუნდლოლათ (დაბდღვენათ) – (თქვან)

III პირ. დოვბუნდლოლას (დაბდღვენას) – (ემუქ)

დოვბუნდლოლან (დაბდღვენან) – (ენტეფექ)

**III სერია**

**I თურმეობითი (რა მიქნია? – მუ მიხვენუნ?)**

მხ. რ.

მრ. რ.

I პირ. მიბუნდლოლუნ (მიბდღვენია) – (მან)

მიბუნდლოლუნან (გვიბდღვენია) – (ჩქინ)

II პირ. გიბუნდლოლუნ (გიბდღვენია) – (სინ)

გიბუნდლოლუნან (გიბდღვენიათ) – (თქვან)

III პირ. უბუნდლოლუნ (უბდღვენია) – (ემუს)

უბუნდლოლუნან (უბდღვენიათ) – (ენტეფექ)

**II თურმეობითი (რა მექნა? – მუ პატი?)**

მხ. რ.

მრ. რ.

I პირ. ვბუნდლოლატი (დამებდღვენა) – (მან)

ვბუნდლოლატით (დაგეებდღვენა) – (ჩქინ)

II პირ. ბუნდლოლატი (დაგეებდღვენა) – (სინ)

ბუნდლოლატით (დაგეებდღვენათ) – (თქვან)

III პირ. ბუნდლოლატუ (დაეებდღვენა) – (ემუქ)

ბუნდლოლატეს (დაეებდღვენათ) – (ენტეფექ)

**III კავშირებითი (რა მექნას? – მუ მახვენას?)**

მხ. რ.

მრ. რ.

I პირ. მახუნდლოლას (დამეებდღვენას) – (მან)

მახუნდლოლან (დაგეებდღვენას)

II პირ. გახუნდლოლას (დაგეებდღვენას) – (სინ)

გახუნდლოლან (დაგეებდღვენას)

III პირ. ახუნდლოლას (დაეებდღვენას) – (ემუს)

ახუნდლოლან (დაეებდღვენას)

შდრ. სალიტერატურო ქართული ბურღლა და დიალექტური – ბუნღლა; ამოსავალი ჩანს საერთო ქართველურისაგან მომდინარე ძირი – ბურღლ.

თხოზუა (ხოფ. ვინ. არქ.) – დევნა, დათხოვნა.

„სინ აქ მუ გინონია დო ათხოზუ“ – „შენ აქ რა გინდაო და დაითხოვა“.

„ალაქ ხეზმეკეიას ათხოზუ“ – „ბატონმა მსახური დაითხოვა“.

**I სერია**

**ანწყოს წრე**

**ანწყო (რას ვშვრები? – მუ ვიქიბ?)**

	მხ. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვთხოზუ (ვითხოვ) – (მან)	ვთხოზუბთ (ვითხოვთ) – (ჩქინ)
II პირ.	თხოზუ (ითხოვ) – (სინ)	თხოზუბთ (ითხოვთ) – (თქვან)
III პირ.	თხოზუნ (ითხოვს) – (ემუქ)	თხოზუნან (ითხოვენ) – (ენტეფექ)

**უნყვეტელი (რას ვშვრებოდი? – მუ ვიქიბტი?)**

	მხ. რ.	მრ. რ.
	ვითხოვდი	
I პირ.	ვთხოზუტი (ვდევნიდი) – (მან)	ვთხოზუტით (ვდევნიდით) – (ჩქინ)
II პირ.	თხოზუტი (დევნიდი) – (სინ)	თხოზუტით (დევნიდით) – (თქვან)
III პირ.	თხოზუტუ (დევნიდა) – (ემუქ)	თხოზუტეს (დევნიდენ) – (ენტეფექ)

**ანწყოს კავშირებითი (რას ვშვრებოდე? – მუ ვიქიბტა?)**

	მხ. რ.	მრ. რ.
	ვითხოვდე	
I პირ.	ვთხოზუტა (ვდევნიდე) – (მან)	ვთხოზუტათ (ვდევნიდეთ) – (ჩქინ)
II პირ.	თხოზუტა (დევნიდე) – (სინ)	თხოზუტათ (დევნიდეთ) – (თქვან)
III პირ.	თხოზუტას (დევნიდეს) – (ემუქ)	თხოზუტან (დევნიდენ) – (ენტეფექ)

**მყოფადის წრე**

**მყოფადი (რას ვიზამ? – მუ დოვიქიბ?)**

	მხ. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვათხოზეფ (დავითხოვ) – (მან)	ვათხოზეფთ (დავითხოვთ) – (ჩქინ)
II პირ.	ათხოზეფ (დაითხოვ) – (სინ)	ათხოზეფთ (დაითხოვთ) – (თქვან)
III პირ.	ათხოზეფს (დაითხოვს) – (ემუქ)	ათხოზეფან (დაითხოვენ) – (ენტეფექ)

**ხოლმეობითი (რას ვიზამდი? – მუ დოვიქიბტი?)**

	მხ. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვათხოზეფტი (დავითხოვდი) – (მან)	ვათხოზეფტით (დავითხოვდით) – (ჩქინ)
II პირ.	ათხოზეფტი (დაითხოვდი) – (სინ)	ათხოზეფტით (დაითხოვდით) – (თქვან)
III პირ.	ათხოზეფტუ (დაითხოვდა) – (ემუქ)	ათხოზაფტეს (დაითხოვდენ) – (ენტეფექ)

**მყოფადის კავშირებითი (ვიზამდე? – მუ დოვიქიბტა?)**

	მხ. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვათხოზეფტა (დავითხოვდე) – (მან)	ვათხოზეფტათ (დავითხოვდეთ) – (ჩქინ)
II პირ.	ათხოზეფტა (დაითხოვდე) – (სინ)	ათხოზეფტათ (დაითხოვდეთ) – (თქვან)
III პირ.	ათხოზეფტას (დაითხოვდეს) – (ემუქ)	ათხოზეფტან (დაითხოვდენ) – (ენტეფექ)

II სერია

წყვეტილი (რა ვქენი? – მუ პი?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვათხოზი (დავითხოვე) – (მან)	ვათხოზით(დავითხოვეთ) – (ჩქინ)
II პირ.	ათხოზი (დაითხოვდე) – (სინ)	ათხოზით (დაითხოვეთ) – (თქვან)
III პირ.	ათხოზუ (დაითხოვა) – (ემუქ)	ათხოზეს (დაითხოვეს) – (ენტეფექ)

II კავშირებითი (რას ვქნა? – მუ პა?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვათხოზა (დავითხოვო) – (მან)	ვათხოზათ (დავითხოვოთ) – (ჩქინ)
II პირ.	ათხოზა (დაითხოვო) – (სინ)	ათხოზათ (დაითხოვოთ) – (თქვან)
III პირ.	ათხოზას (დაითხოვოს) – (ემუქ)	ათხოზან (დაითხოვონ) – (ენტეფექ)

III სერია

I თურმეობითი (რა მექნა? – მუ მიხვენუნ?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	მითხოზინუნ (დამითხოვნია) – (მან)	მითხოზინუნან (დაგვითხოვნია) – (ჩქინ)
II პირ.	გითხოზინუნ (დაგითხოვნია) – (სინ)	გითხოზინუნან (დაგითხოვნიათ) – (თქვან)
III პირ.	უთხოზინუნ (დაუთხოვნია) – (ემუქ)	უთხოზინუნან (დაუთხოვნიათ) – (ენტეფექ)

II თურმეობითი (რა მექნა? – მუ პატი?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	ვათხოზატი (დამეთხოვა) – (მან)	ვათხოზატით (დაგვეთხოვა) – (ჩქინ)
II პირ.	ათხოზატი (დაგეთხოვა) – (სინ)	ათხოზატით (დაგეთხოვათ) – (თქვან)
III პირ.	ათხოზატუ (დაეთხოვა) – (ემუქ)	ათხოზატეს (დაეთხოვათ) – (ენტეფექ)

III კავშირებითი (რა მექნას? – მუ მახვენას?)

	მს. რ.	მრ. რ.
I პირ.	მათხოზინას (დამეთხოვოს) – (მან)	მათხოზინან (დაგვეთხოვოს) – (ჩქინ)
II პირ.	გათხოზინას (დაგეთხოვოს) – (სინ)	გათხოზინან (დაგეთხოვოთ) – (თქვან)
III პირ.	ათხოზინას (დაუთხოვოს) – (ემუქ)	ათხოზინან (დაეთხოვოთ) – (ენტეფექ)

გამოყენებული ლიტერატურა

ასათიანი 2012 – ასათიანი ი., ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2012.  
 ასათიანი 1974 – ასათიანი ი., ჭანური (ლაზური) ტექსტები, I, ხოფური კილოკავი, თბ., 1974.  
 გვანცელაძე 2006 – გვანცელაძე თ., ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.  
 გუდავა 1964 – ტ. გუდავა, რეგრესული დეზაფრიკაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ჭანურში): საქ. მეცნ. აკ-  
 ად. მოამბე, XXXIII, 2, 1964.  
 დადიანი 2014 – ე. დადიანი, მეგრული ზმნის პარადიგმა, ქუთაისი, 2014.  
 თანდილავა 2013 – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013.  
 თოფურია 1960 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი: იკე, ტ. XII, 1960.

**იმნაიშვილი 1975** – მამათა ცხოვრებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა); ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დართო ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.

**კარტოზია 1961** – გ. კარტოზია, მეშველზმნიანი მყოფადის წარმოებისათვის ჭანურში: საქ. მეცნ. აკად. ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა XII სამეცნ. კონფერენცია (მოსხენებათა თეზისები), თბ., 1961.

**კარტოზია 1968a** – გ. კარტოზია, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის: კრებ. „ქართული ლიტერატურის საკითხები“, თბ., 1968.

**კარტოზია 1968b** – გ. კარტოზია, მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზმნურ ფორმასთან ლაზურში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 52, №3, 1968.

**კარტოზია 1968c** – გ. კარტოზია, სახელური შესიტყვება მეგრულ-ლაზურში: „მაცნე“, №6, 1968.

**კარტოზია 1970** – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები (ათინური კილოკავის ნიმუშები): „მაცნე“, 1970, №4.

**კარტოზია 1971** – გ. კარტოზია, თანწყობითი სახელური ჯგუფი მეგრულ-ლაზურში: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, №1.

**კარტოზია 1976** – გ. კარტოზია, არაინვერსიული თურმეობითობის წარმოებისათვის ლაზურში: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, №3.

**კარტოზია 1979** – გ. კარტოზია, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში: კრებ. „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, II, თბ., 1979.

**კარტოზია 1984** – გ. კარტოზია, სიბილანტთა შესატყვისობის დარღვევათა ახსნისათვის ქართველურ ენებში: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984.

**კარტოზია 1986** – გ. კარტოზია, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში, II: კრებ. „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, V, თბ., 1986.

**კარტოზია 1990a** – გ. კარტოზია, ქართ. ჭყ : ზან. ნკვ ბგერათშესატყვისობისათვის: კრებ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბ., 1990.

**კარტოზია 1990b** – გ. კარტოზია, ცალმორფემიან ფუძედრეკად ზმნათა უღვლილებისათვის ლაზურში: კრებ. „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, VII, თბ., 1990.

**კარტოზია 1996a** – გ. კარტოზია, მეგრულის -ნი (<წინი) „რომ“ კავშირის გენეზისისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბ., 1996.

**კარტოზია 1996b** – გ. კარტოზია, რამდენიმე ქართველური ფუძისათვის მეგრულსა და ლაზურში (თეზისები): გ. ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოებისა და ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. უნ-ტის ქართული ენის კათედრის გაერთიანებული სამეცნ. სესია, მიძღვნილი ანტონ პირველის (ბაგრატიონის) დაბადებიდან 275-ე წლისთავისადმი, თბ., 1996.

**კარტოზია 1997a** – გ. კარტოზია, ერთი ტიპის შესიტყვების ორი ვარიანტისათვის ქართულ-ზანურში: კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“, I, ქუთაისი, 1997.

**კარტოზია 1997b** – გ. კარტოზია, /ვ/ და /უ/ ფონემები ზანურში: „ზურაბ ჭუმბურიძეს (დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული)“, თბ., 1997.

**კარტოზია 1997c** – გ. კარტოზია, კითხვითნაწილაკიან ზმნურ ფორმათა წარმოების ერთგვარობისათვის ქართულის მთის კილოებსა და ლაზურში: ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტის ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბ., 1997.

**კარტოზია 1997d** – გ. კარტოზია, ფიზის ნაწილაკები მეგრულში: კრებ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI, თბ., 1997.

**კარტოზია 1997e** – გ. კარტოზია, ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია და ზოგი ზმნისწინის შედგენილობა დასავლურ ლაზურში (თეზისები): ქუთაისური საუბრები – IV, 1997.

**კარტოზია 1999a** – გ. კარტოზია, საერთო-ქართველური \*ს- და \*ს- კომპლექსები ზანურში: „ენათმეცნიერების საკითხები“, 1, 1999.

**კარტოზია 1999b** – გ. კარტოზია, მეგრული აფუ(ნ) „აქვს“ ჰყავს“ ზმნის შედგენილობა: „ენათმეცნიერების საკითხები“, 3, 1999.

**კარტოზია 2000** – გ. კარტოზია, სვანურისა და ზანურის ურთიერთმიმართების ისტორიისათვის; ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახ. პედ. უნ-ტის ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 2000.

**კარტოზია 2002** – გ. კარტოზია, ლარინგალური ხშულის საკითხი ლაზურში: „ენათმეცნიერების საკითხები“, 4, 2002.

**კარტოზია 2003** – გ. კარტოზია, სახელთა მრავლობითის წარმოება ლაზურში: „ენათმეცნიერების საკითხები“, 1, 2003.

**კარტოზია 2005** – გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.

- მემიშიში 1983** – ო. მემიშიში, ქართული შვინდ-ფუძის ზანური შესატყვისი: ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა IV რესპუბლიკური კონფერენცია, თბ., 1983.
- ნადარეიშვილი 1974** – ლ. ნადარეიშვილი, ნკ/ჭკ კომპლექსიანი ხმადაბრუნების სიტყვები ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.
- ნათაძე 1961** – ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები II თბ. 1961.
- ჟლენტი 1938** – ს. ჟლენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938.
- ჟლენტი 1953** – ს. ჟლენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
- როგავა 1953** – გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იკე, 1953.
- როგავა 1959** – გ. როგავა, ქართველურ ენათა ბგერათმესატყვისობიდან: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I თბ., 1959.
- სიხარულიძე 1977** – ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I ბათუმი, 1977.
- ფენრიხი, სარჯველაძე 1990** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2000.
- ფუტკარაძე 2005** – ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.
- ფუტკარაძე, 2014** – ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის შესაბაძი, თბ., 2014
- ქეგლ, VI 1960** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, რედაქტორები – თ. შარაძენიძე, მ. მესხიშვილი, თბ., 1960.
- ქეგლ, VII 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, რედაქტორები: ქ. ლომთათიძე, სტ. მენტეთაშვილი, ჰ. გაჩეილაძე, თბ., 1962.
- ქეგლ, VIII 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, რედაქტორები: ივ. გიგინეიშვილი, ბ. ფოჩხუა, თბ., 1964.
- ქუთელია 1969** – ნ. ქუთელია, A და B სისტემის ჰარმონიული ჯგუფები მეგრულ-ჭანურში: კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, თბ., 1969.
- ქუთელია 1980** – ნ. ქუთელია, ლაზური ვოკალიზმი: „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, №2.
- ქუთელია 1986** – ნ. ქუთელია, ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემა ლაზურში: კრებ. „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, V, თბ., 1986.
- ქუთელია 2005** – ნ. ქუთელია ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005.
- ჯიქია 1967** – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობებიდან. 2. თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში: აკ. შანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „ორიონი“, თბ., 1967.
- ჯიქია 1974** – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობებიდან ვ. თურქულს ბგერათა გადმოცემისათვის ლაზურში: თსუ შრომები, 1974.
- ჩიქობავა 1938** – ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
- ჩიქობავა 1939** – ა. ჩიქობავა, პროფ. იოსებ ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბ., 1939.
- ჩიქობავა 1942a** – ა. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: თსუ შრომები, ტ. XXIII, 1942.
- ჩიქობავა 1942b** – ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
- ჩიქობავა 1944** – ა. ჩიქობავა, ჭანური მყოფადის წარმოებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, №1, 1944.
- ჩიქობავა 1952** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
- ჩუხუა 2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

## ილია აკულაძე

### პოეტი შალვა იოსელიანი

2015 წლის 22 ივლისს, დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა ბათუმის მკვიდრს, ნიჭიერ ქართველ პოეტს შალვა იოსელიანს.

შალვა იოსელიანი დაიბადა 1914 წლის 22 ივლისს წყალტუბოში. მისი მშობლები 1919 წელს ბათუმში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. მამა – ალექსანდრე იოსელიანი მუშაობდა ზეინკლად ბათუმის ნავსადგურში. დედა – აგრაფინა ჩიქოვანი დიასახლისი იყო. და – გალინა იოსელიანი-აბულაძისა ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში მუშაობდა. უმცროსი ძმა – ალექსანდრე (საშა) იოსელიანი, ომის მონაწილე იყო, სპეციალობით, ინჟინერ-მშენებელი, მუშაობდა ბათუმში სამშენებლო სამმართველოს უფროსად.

შალვამ 1935 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. უმსახურია სხვადასხვა თანამდებობებზე: აჭარის რადიომაუწყებლობის კომიტეტში ლიტერატურულ გადაცემათა რედაქტორად, აჭარის ხელოვნების კომიტეტის განყოფილების და უკანასკნელად ბათუმის განათლების სახლის (შემდგომ ერქვა მასწავლებელთა სახლი) დირექტორად. როდესაც დაიწყო დიდი სამამულო ომი, შალვა იოსელიანს თავისი თანამდებობით არ უნ-

ევდა წითელი არმიის რიგებში განწევვა. სხვა მის ადგილზე ალბათ შეეცდებოდა ამ მდგომარეობის გამოყენებას და ზურგში ამჯობინებდა დარჩენას. მაგრამ პოეტი ასე როდი მოიქცა. იგი 1941 წლის სექტემბერში მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ასეთ დროს განა შეეძლო ზურგში ყოფნა პატრიოტ პოეტს? 1942 წლის იანვარში შალვა იოსელიანი უკვე მოქმედ არმიამია და იარაღით ხელში ებრძვის ფაშისტ დამპყრობლებს. პოეტი დაიღუპა ქერჩში 1942 წელს. მაშინ იგი 27 წლისაც არ იყო.

ფრონტიდან გამოგზავნილ წერილში პოეტი წერს: იმედია კარგად ხართ, კარგადაც უნდა იყოთ. მე კი კარგად ვარ, ნიავიც კი არ მეკარება, სროლა ბავშვების თამაშად მეჩვენება; ომი და ბრძოლა შორიდან უფრო საშიშია ვინემ ახლოს. ჩემზე არ იდარდოთ. მე კი სიტყვა მომიცია, რომ ამ დიად სამართლიან ომში სირცხვილს არ ვაჭმევ მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს. უკანასკნელი არასოდეს ვყოფილვარ და არც ამ დიად დღეებში ვიქნები“...

ამ სიტყვებში იგრძნობა პოეტის რაინდული სულის რხევა. იგი ჭეშმარიტად რაინდი იყო. მისი ლექსებიც ბრძოლის ველზე გაჭრილ ჯარისკაცს ჰგავს.

პოეტის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1934 წელს. გამოიცა 3 წიგნი და ორი რჩეული ლექსები. ბოლო წიგნი „მეწყვეტილი სიმღერა“ გამოსცა ასლან აბაშიძის ფონდმა (გამომცემლობა „აჭარა“, 1995). წიგნის შემდგენელია პოეტი მამია ვარშანიძე, რედაქტორი თეიმურაზ კომახიძე.

შალვა იოსელიანს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა: ირაკლი აბაშიძესთან, ალექსანდრე გომიაშვილთან, ალიო მირცხულავასთან, ნესტორ მალაზონიასთან, მირზა გელოვანთან, პარმენ ლორიასთან, პარმენ რურუასთან, ფრიდონ

ხალვაშთან, მამია ვარშანიძესთან. აღსანიშნავია შალვა იოსელიანის განსაკუთრებული მეგობრობა მემედ ბეგ აბაშიძესთან, მიუხედავად მათი ასაკობრივი სხვაობისა. იგი პოეტს თავის უმცროსს მეგობრად მიიჩნევდა. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ბჭობდნენ ქართული ლიტერატურის და პოეზიის საჭირობოროტო საკითხებზე. მემედ აბაშიძის შვილები: მამუდი და იბრაიმი პოეტის თანატოლები და განუყრელი მეგობრები იყვნენ.

შალვა იოსელიანის შემოქმედებაში ორი ძლიერი მოტივი იჩენს თავს – პატრიოტული და ლირიული. პოეტის გული ძალუმად ძვერს სამშობლოს სიყვარულით. იგი სამშობლოსთვის ცოცხლობს, მას ეფიცება და ეალერსება:

*სამშობლო მიწავ, მზე შინ, მზე გარეთ  
აგნებია და გმოსავს ვარდობა,  
შენ შემოგვევლოს ჩემი მგზნებარე  
და ვაჟკაცური ახალგაზრდობა.*

დედა და სამშობლო მისთვის ერთნაირად მაგიური და ღვთიური ცნებებია:

*ბედნიერი ვარ, კვლავ ასე გხედავ,  
ზრუნვით დამდეგ და გული არ ობლობს,  
მე დღეს სამშობლოს ვეძახი დედას,  
თქვენ შემოგვევლეთ – შენ და სამშობლოს!*

მისი ყოველი ლექსი სამშობლოზე წმიდათანმიდა ფიცია ახალგაზრდა კაცისა. როცა შავბედი დღე გაუთენდა ჩვენს ქვეყანას, პოეტი მეზობლთა რიგებში ჩადგა თვისი ნებით, მოხალისედ ფრონტზე წავიდა. მისი ამბოხი სულის ამოძახილია:

*ახლა ძვირფასო, ბრძოლა გვჭირია  
და შაშხანაზე ფიქრთა განდობა,  
ბრძოლების შემდეგ უფრო ტკბილია  
სიყვარული და ახალგაზრდობა.*

მამულისადმი დიდი სიყვარულით და ტრფობითაა აღსავსე ლექსი „ჩემო მიწავ“, რომელიც სამამულო ომის დაწყებისთანავეა დაწერილი.

*მამულის ტრფობით ამევსო გული  
და თითქოს სუნთქვა გრიგალად იქცა,  
შენი დიდებით ვარ ანთებული  
შენ შემოგვევლე, მშობლო მიწავ.*

*ბავშვობის დღიდან კვალდაკვალ მდევდა  
გმირობის ცეცხლი ჩაუქრობელი,  
ჩემს ვაჟკაცობას მოესწრო დედა,  
მამულისათვის მზრდიდა მშობელი.  
და მეც მოვდივარ მტერო ტიალო,  
მოვდივარ რისხვით, ვით ქარიშხალი,  
რომ შენს გულღვიძლში დავატრიალო  
სააკადის და ერეკლეს ხმალი.*

რაოდენ მძლავრი მოქალაქეობრივი შეგრძნებითაა გამსჭვალული ხალხისა და სამშობლოს წინაშე პირნათლად ვალმოხდელი პოეტის სტრიქონები:

*იმღერე ასე, მღელვარე ბიჭო,  
ქარიშხალს სჭრიდეს ზღაპრული ნავი,  
შენ დადუმებულ ცხოვრებას გიჯობს  
ბრძოლაში მამულს შესწირო თავი.*

შალვა იოსელიანის ლექსები ჭეშმარიტი ლირიზმითაა გამთბარი. მისი პოეტური სტიქია იყო საქართველოს წარმტაცი მხარის – აჭარის ბუნება და მისი ადამიანები. მის ლექსებში მომხიბლავად იძენებოდა ზღვისპირეთის მშვენიერების – ბათუმის სურათები. მშობლიურ ქალაქს უძღვნა მან თვისი საუკეთესო სიმღერები:

*შენს ბაღნარებში დავფურცლავ ყვავილს,  
ზღვამდე გავატან პალმების შრიალს,  
აყვავებულხარ და ჩემშიც ჰყვავი,  
ჩემი მშობელი ქალაქი გქვია.*

ფერთა ელვარება არ დაჰკარგვია თავის დროზე მეტად პოპულარულ „აჭარულ პეიზაჟს“. მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტური ხედვით დაჯილდოებულ მგოსანს შეეძლო ესოდენ მომხიბლავად აემღერებინა აჭარის მაღლიანი ბუნება:

*პერანგაზე იერიშით მზე იმიშვლეს  
ოქროს ხმალს,  
გადამარცვლავს ვინმე ხელში  
სალამურის სავსე ხმას,  
მაღლე ისევ პალმის ძირში გესვრი  
მნიფე ფორთოხალს.*

თითქოს ზარს რეკავს პოეტი, წკრიალებენ სტრიქონები. ასეთ მოულოდნელ სტრიქონებს ცოტას როდი შეხვდებით მის ლექსებში. იგი მეტაფორების, ეპითეტების შექმნის დიდი ნიჭით

იყო დაჯილდოებული. პოეტის ლექსების დიდი უმრავლესობა აჭარის ბუნებასავით ლამაზი, ფერადოვანი და მიმზიდველია. შეიძლება პირდაპირ ჩანგზე დაამღერო პოეტურად, მელოდიურად და ფერადოვნად ჩამოქნილი მისი მრავალი ლექსი.

პოეტი სიყვარულით რომ იყო გატაცებული მის ლექსებშია გამჟღავნებული. რამდენი კარგი ლექსი დაანერინა პოეტს სიყვარულმა. მინიატურული ლექსი „პატარა ქოლგა“ ჩვენ გვხიბლავს ნაზი ლირიული ტონებით:

*გაზაფხულს მოსდევ შავი ზღვის პირად,  
და თვალებს თითქოს აჩერებ მწყრაღად,  
პატარა ქოლგა ჰგავს მზესუმზირას,  
მზეს ემაღები და ღიმილს მალავ?..*

– ჯერ სიყვარულს უნდა მისცე გული და მერე უნდა სწერო ლექსები სიყვარულზე, – ეტყოდა-ხოლმე ნიშნისმოგებით პოეტი თავის მეგობრებს. ჩვენ არ ვიცით ვინ იყო „პატარა ქოლგის“ ადრესატი.

დღეს არც პოეტია ამ ქვეყანაზე და აღარც მგოსნის ტრფიალი ქალი. დიახ, უყვარდა..., მაგრამ წავიდა ბრძოლის ველზე ისე, რომ ბედნიერებას ვერ ეღირსა.

პოეტი სიახლეთა რომანტიკაში მთელი არსებით განთქმული მომღერალია. ეს ყველაზე ძლიერად იგრძნობა ლირიულ ლექსში „პალმა“:

*ეხლა ეს ლექსიც ანთებულია,  
ქარი ათროლოებს ვარდის კონებს შადრევნებიანს,  
და თითქოს ლექსიც თანდებულა,  
პალმაც მგ ზავრივით ამ სტრიქონებს ასდევნებია.  
ბედნიერება ჩამომისახლდა, ანთეთ ლექსი,  
სიყვარული და სიმღერები!  
ოი, რამხელა ოცნება ახდა!  
დაგკრიფავ ტროფობის ფერად ყვავილებს  
და თვითონ ლექსად დავინერები!*

შალვა იოსელიანის ყველა ლექსი მიმზიდველია პოეტური შესრულებით, ჩანაფიქრის სიღრმით, პლასტიკურობით. იგი თითქოს ფერმწერია. მას ძალიან ეხერხება ხატვა. მოვიტანთ მხოლოდ ნაწყვეტს ერთი ლექსიდან – „სურათები“:

*აშიშვლებულ პალმის ხანჯლებს  
დაფრქვევია სირმა,  
აბრეშუმის ფერად ნაჭრებს,*

*როგორც ბრძოლის წვიმა,  
ტალღის შხეფი ესხურება დაფრქვეული წამით...  
ბინდი ხეებს ეხურება თალხი მოსასხამით.  
ზღვას ხომალდი მოიფარებს,  
შიგ ვარსკვლავი ღვივის.  
მთის კალთაზე ჯდება მთვარე  
და ვერ მალავს ღიმილს,  
თუმცა ჭრელი ჩაბალახით პირს აიხვევს ზოგჯერ  
და პერანგას გრეხილებში დაიმუხლებს ორჯერ.  
რამხელა სიბრძნეა ჩადებული ლექსში „ბავშვი“.  
ბავშვი მოუღლეღია, მზარდია, გაფურჩქვნის პროცესშია. ამიტომ შენატრის პოეტი ბავშვის ბედნიერებას. ბავშვი თითქოს გრძნობს იმ ენერგიას, რაც მის სულშია ჩამალული. ამიტომ ასე თამამად გაეხმიანება პოეტს: „მე დაგვენვი და შენ კი ვერა“.*

*ვიდექი ფიქრთა ნათქვამ ამბავში,  
მესმოდა ჩემზე ხეთა მსჯელობა  
და შემეხარბა წუთით იმ ბავშვის  
გული, სახე და უდარდელობა.*

პოეტი თავის ლექსში „საათი“, შეეხო კაცობრიობის მარადიულ პრობლემას – დროს და მის მიმდინარეობას. ახლაც დევს საათი პოეტის მაგიდაზე, იგი „მიფანტავს უნდოდ ფიქრის ნახევარს, წყნარ შუალამეს ხმაურით ავსებს და ჰგავს სიცოცხლის გამოძახებას“. საათს – ამ მოძრავ სხეულს არ შეუძლია, რომ ერთი წუთით მოსწყდეს სამყაროს. მას მუდმივად უყვარს თარეში.

*დევს მაგიდაზე და თითქოს მორცხვობს,  
ასე უმიზნოდ ღამეებს ითევს,  
ეს ჩემი გული კი ერთხელ ცოცხლობს  
და აურაცხელ ეპოქებს იტევს.*

კიდევ მრავალი ლექსი შეიძლება მოვიყვანოთ მისი პოეტური ნიჭის დასტურად. გვინდა გავაცნოთ მისი მეგობრის, პოეტის, მამია ვარშანიძის ამონარიდი, მისივე წიგნიდან „ჩემი გულისთქმა“: „შალვას ლექსების ღირსება ისიცაა, რომ ცხოვრებისეული. ავტორი ფრთხილად იხედება ცხოვრების შუაგულში და ისე ქმნის თავის პოეტურ ქმნილებებს. მისი ყოველი სტრიქონი ავტორისეული ხელწერაა. აბა, ახლა დაუკვირდი შენს სტრიქონებს. შენი ზოგი ლექსი მწიგნობრულია, ზოგიერთი სტრიქონი ამა



და ამ პოეტის სტრიქონებს მაგონებს. აი ეს სტრიქონი შენეული არაა, ეს მეტაფორაც სხვისია. რად გინდა ეს, არ ჯობია შენი იყოს და თუნდაც სუსტი? ზოგი შენი ლექსი ხელოვნურია. არა, უნდა იყო ნამდვილი ხელოვანი, უნდა სწერო იმაზე, რაც შენს სულსა და გულშია გამჯდარი – ასე გვეტყოდა შალვა იოსელიანი ახლა ჩვენთან რომ ყოფილიყო. იგი მოურიდებელი, პირდაპირი იყო და ნამდვილად ასე გეტყოდა, დაგარიგებდა, გასწავლიდა, შენ დამუნჯდებოდი, ან და რა გექნებოდა სათქმელი!”

ამავე წიგნში მამია ვარშანიძე იხსენებს: „თავისი მაჟორული ტონით, დინამიურობით, ვაჟკაცური შემართებით ყურადღებას იპყრობს ვრცელი ლექსი „გმირი ვაჟას მთიდან“. მასსოვს, ავტორმა ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხა. იმდენი ტაში დაუკრეს, რომ მერე მე ველარ გავბედე გამოსვლა.

შალვა იოსელიანს ზარივით წკრიალა ხმა ჰქონდა და ლექსს გალობასავით კითხულობდა, მსმენელი აღტაცებაში მოჰყავდა. ლექსს ჰკითხულობდა რხევა-რხევით, ხელების იმიტაციებით. მოხდენილი და ლამაზი, კარგად მოსაუბრე ახალგაზრდა იყო. მალე ისეთი დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ტრიბუნაზე მის გამოჩენას ოვაციებით ხვდებოდნენ. მარტო ამ ლექსით „გმირი ვაჟას მთიდან“ იგი გვერდით ამოუდგა ქართველ მონინავე ახალგაზრდა პოეტებს მირზა გელოვანს, ლადო ასათიანს, ალექსანდრე საჯიას და სხვებს.

შალვა და მე ახლო მეგობრები ვიყავით. არ იყო ისეთი დღე, რომ იგი არ მენახა. ყოველ ახალ ლექსს მე წამიკითხავდა. ვგრძნობდი, რომ შალვა ყოველ ახალ ლექსში იზრდებოდა. ეს ჩემზეც გავლენას ახდენდა, მეც ვცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი მეგობარს“.

*ავიღებ კალამს, კომბალივით გავიღებ მხარზე, ვივლი, ლეგენდებს მოვნახავ და გავაშაირებ.*

ამბობს ერთ-ერთ ლექსში პოეტი. იგი სიცოცხლეშიც ლეგენდებს ეძებდა და წარმტაც შაირადაც გარდაქმნიდა, მერე კი თვითონ იქცა ლეგენდად: მისი ნაკვალევიც კი გაქრა ბრძოლის ველზე. იგი რომანტიკული სულის პოეტი იყო და მისი სიცოცხლის ბოლოც რომანტიკულ ბურუსში გაეხვია. ეს

მოხდა ქერჩში. იგი მაშინ ოცდაშვიდი წლისაც არ იყო. მას სურდა ლამაზი და დიდი პოეტური შედეგებით მოეხიბლა ყველა, მაგრამ არ დასცალდა. მის ლექსებში სიტყვას „ვაჟკაცს“ ხშირად შეხვდებით, და ეს შემთხვევითი არაა. ეს სიტყვა მის ხასიათს გამოხატავდა. იგი ჭეშმარიტად ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცის სახელით გარდავიდა წუთისოფლიდან. სხვანაირი სიკვდილი არც დაშვენებოდა შალვა იოსელიანს.

თბილისში, მაჩაბლის ქუჩის ცამეტ ნომერში, საქართველოს მწერალთა სასახლეა. ეს ტაძარია პოეზიისა. აქ, ამ კიბეებზე ადიოდა გალაქტიონი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე... აქ დადიოდა ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ტიცვიან ტაბიძე. მარცხნივ კარებით გახვალთ სკვერში, სადაც პაოლო იაშვილმა გულში იძგერა ტყვია. ამ სკვერში სუროთი მოსილ კედელთან ახლოს აღმართულია მარმარილოს დაფა. აქ წაიკითხავთ ძვირფას სახელებს, ამოკვეთილს: მირზა გელოვანი, შალვა იოსელიანი, სევერიან ისიანი, ვლადიმერ უბილავა, გიორგი ნაფეტვარიძე, სანდრო ფლენტი, ნიკოლოზ კოპალიანი, ვაჟიკა ფხოველი...

ისინი დაეცნენ ბრძოლის ველზე, დიდ სამამულო ომში.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცლად დარჩება დიდი სამამულო ომის დროინდელი პოეზია. ამ მრისხანე ომში ჩვენს ხალხს თან ახლდა პოეტის მებრძოლი ლექსი, როგორც მრისხანე და ყოვლისშემძლე იარაღი. ეს კი ის იარაღია, რომელიც არ ჟანგდება და არც ჩლუნგდება. ის მარად რჩება მშვიდობის და სიკეთისათვის მებრძოლი ხალხის სულიერ შეიარაღებაში და მასზე იზრდებიან მომავალი თაობები.

დავინყება არ უწერიათ მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილ სახელებს, ბრძოლის ველზე რომ დაეცნენ სამშობლოსათვის და ჭაბუკები დარჩნენ მარად. მათ შორისაა პოეტი შალვა იოსელიანი, – პოეზიის სახელოვანი ჯარისკაცი.



შალვა იოსელიანის ფოტო, გამოგზავნილი ფრონტიდან 1941 წელს.




მარცხნიდან, პოეტის დედა — აგრაფინა ჩიქოვანი, დისშვილი — დალი აბულაძე, და — გალინა იოსელიანი. დგას დისშვილი — ილია აბულაძე.



სხედან: მარცხნიდან მარჯვნივ — აკაკი წილოსანი, მურად ხინიკაძე, მამუდ აბაშიძე (მემედ აბაშიძის უფროსი ვაჟი), დგანან: მარცხნიდან მეორე შალვა იოსელიანი.

ალიო მირცხულავა (მარცხნიდან მეორე), პარმენ ლორია (მარცხნიდან მეოთხე), შალვა იოსელიანი (მარცხნიდან მეექვსე). სურათი გადაღებულია მახინჯაურში 1940 წლის 12 ივნისს.



### ერთი პოპულარული ქართული ხალხური ლექს-სიმღერის ერთი პოპულარული რეფრენის გამო და ორიბინალურობა-ინდივიდუალურობის პრინციპი ხალხურ საბანკურში

ხალხური სიტყვიერება, ფოლკლორი ბავშვობიდან ჩემი სულის სამოთხე, ხოლო დიდობიდან ჩემი შემოქმედების ოაზისია, თანამც და ამასთან მთელი მისი მრავალფეროვნება-სახეობრიობით, იქნება იგი ჯერ კიდევ სინკრეტული თუ მის შემდგომ დაცალცალკეებული: ბგერული, ტექსტური, მელოდიური (მუსიკალური), საცეკვაო, სახიერული (სახიობრივი) და ა.შ.

როგორც მის მკვლევარს, მე მათზე შეძლებისდაგვარად არაერთი გარჯაც გამინევია და საკუთარ კალმოსნობაშიც უხვად, მაგრამ პატიოსნად გამომიყენებია. ერთგან საკუთარი თავი (საკუთარივე სიტყვებით) ასეც შემოგონებია: სიბრძნე ხალხისა ისესხე // თუ არ გიყრია თავადა... // და რაც წმინდაა, მის სახელს // ნუ შეეხები ავადა (პოემა „გველები“, შესავალი). ხანში შესულობაშიც მისი მოტრფიალე და ფხიზლად თვალყურის მადევნებელი დღესაც ვარ... ამიტომ ამჯერად ერთ დელიკატურ საკითხზე უნდა ორიოდ სიტყვა ვთქვა: უკანასკნელ ხანს ქართულ ხალხურ (და არა მხოლოდ ხალხურ) სასცენო (და არა მხოლოდ სასცენო) საშემსრულებლო ხელოვნებაში შემოვიდა, დამკვიდრდა, უფრო სწორად, ხელმეორედ დამკვიდრდა, ხალხური პოეტური რეფრენი „ჯილველო, ნანაადა“. მისი ხელმეორე აცოცხლება აქ, ჩვენში, აჭარულიდან (აჭარულის გამოვლით) იწყება, დღეს კი მთელ ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაშია ფართო ასპარეზობოვებული. ეს რეფრენი ორი სიტყვისგანაა შემდგარი, რომელთაგან მეორე (ნანაადა) უძველეს ქართულია და მისი ფესვები წარმართობამდე უწევს (ამჯერად არასპეციალისტი მკითხველისათვის ფართო დაზუსტება-მსჯელობისგან თავს შევიკავებ, სპეციალისტებმა კი ეს ისედაც იციან). მაგრამ ქართულში საზოგადოდ იგი არავისთვის უცხო არ არის, თუნდაც მისი სემანტიკის მრავალნაირობის და მრავალფეროვნების გამო (მაგალითების მოტანაზე აქაც თავს ვიკავებ). მაგრამ რეფრენის პირველ ნაწილზე (ჯილველო) კი, უბრალო ადამიანებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით სპეციალისტებსაც კი თუ ჰკითხავ, რას ნიშნავს, ან ქართულში იგი რა ეტიმოლოგიისა და სემანტიკისაა, ბევრს ვერაფერს გეტყვიან, ყოველ შემთხვევაში, მათაც დააფიქრებს.... მრავალში მრავალი უთუოდ გაიხსენებს და „მისამართს მოგცემს“ ჩვენი ღვიძლი ტაო-კლარჯეთისკენ, უფრო კი საიმერხევო-საართვინო-საშავშეთო-საარტანოსკენ და იქ გავრცელებულ პოპულარულ ლექს-სიმღერებზე, რომლებშიც (თანაც არაერთში) რომ გამოიყენება, მათ შორის ზოგადად სინკრეტული ხასიათის ფოლკლორშიც, ამათ შორის კი უფრო ერთი-ორზე მივითითებ, რომელიც უფრო ხშირად სრულდება და წმინდა ხალხურია. ერთი ან ორი შემთხვევითი ნიმუში კიდევ ხალხურიდან აღებული, მაგრამ ავტორიზებული და ამდენად, სტილიზებულია (მათ ავტორებსაც, რომ არავინ გამომჩინებს ან მათი პრიორიტეტულობა-რიგითობა არ დამერღვევს და თავი უხერხულობაში არ ჩავიგდო, ახლა არ ვასახელებ, არც იმათ, ვინც ზოგმა ნიჭიერად და ზოგმა უნიჭოდ ამ რეფრენის კლასიკურ პოეზიაში გადატანა სცადა). და რაკილა ეს კუთხეები ისტორიული ძნელბედობის გამო უცხო ქვეყნის ადმინისტრაციულ საზღვრებშია (ღმერთმა

ქნას, დროებით!) მოქცეული, მოკლედ მოსჭრიან, „თურქულია, ზუსტად არ ვიცი (ვერ გეტყვი) რას ნიშნავსო...“ საზოგადოდ, რეფრენისთვის უცხო არ არის ამოუხსნელობა, „გაუგებრობა“, როგორც ენათმეცნიერები ამბობენ, — ბილინგვურობა, „გაქვევებულ“-ლინგვისტურობა, რომელიც ადრე, შესაძლოა რალაც შინაარსის მატარებელი იყო, ან შინაარსობრივი დატვირთვაც ჰქონდა, ხოლო შემდეგ რაც დღე-საა, ამაღ იქცა, უბრალოდ რეფრენად ან მის შემადგენელ სიტყვად დარჩა და დღეს ახსნა არა აქვს. მაგრამ ამჯერად, ჩვენს შემთხვევაში, ასე არ არის, სიტყვა „ჯილველ“-ი ოსმალურ-თურქულია (თურქ. *cilveli*) და ნიშნავს 1. **თავის მოსაწონებელი საქციელის მქონე, განაზებული** (ალბათ ნაზი — ე.დ.), **გაკველუცებული** (ალბათ კველუცი — ე.დ.), **გაკობტავეებული** (ალბათ კობტა — ე.დ.), **გაპრანჭული** (ალბათ პრანჭია, ცხადია, კეთილი გაგებით — ე.დ.); 2. **თვალხარბი** (სიტყვის ახსნაში დამენხმარა არაბოლოგ-თურქოლოგი ზ. შანთაძე. 22.01.2013 წ.) და რამდენადაც თანამედროვე თურქული ენა, მე თვითონ რამდენადაც ვე ვიცი, არაბულ-ოსმალურ ძირებზე აღმოცენებულია, არც ის არის გამორიცხული, ეს სიტყვა იმათშიც იყოს და ან იგივედ, ან განსხვავებულად იმარტებოდეს, რის კვალსაც მე აღარ გავყოლილვარ, ასევე არ მიკვლევია იგი დიალექტების მიხედვით, მათ შორის არც ლაზურის. სამაგიეროდ, თანამედროვე საშუალებების წყალობით, ისეთით, როგორიც ინტერნეტია (რომელსაც მე მუდამ ნიგურ-ბიბლიოთეკურს ვამჯობინებ), მარტივად მოვიპოვე და მკითხველსაც აქვე, ოღონდ კომენტარების გარეშე, ვთავაზობ იმ ზოგად, „ჭრელ“ ცნობებს, რომლებშიც ეს სიტყვა („ჯილველო“) ფიგურირებს:

1. [ჯილველო - ლაზური - Jilvelo - lazuri](http://www.myvideo.ge/?video_id=1449156)  
www.myvideo.ge/?video\_id=1449156

○ [Перевести эту страницу](#)

**ჯილველო - ლაზური ...** ბანაკი სქური (ვარციხეში) - **ჯილველო**. 835 ნახვა სექტემბერი 21, 2009. 4:01. ლაზური. 722 ნახვა სექტემბერი 17, 2008. 5:05. ლაზური.

2. [თუთაჩელა – ჯილველო ნანაიდა | GeoLyrics](http://www.geolyrics.com/1861)  
www.geolyrics.com/1861

○ [Перевести эту страницу](#)

27 марта 2010 г. - თუთაჩელა (ნაზი მემიშიში) - **ჯილველო** ნანაიდა Tutachela - Gilveloi nanaida სი ნაკო მსქვა ნა დირდეე ნანაიდა, **ჯილველო** ნანაიდა მოთ ვარ ...

3. [ჯილველო | GeoLyrics](http://www.geolyrics.com/?s=ჯილველო)  
www.geolyrics.com/?s=ჯილველო

○ [Перевести эту страницу](#)

თუთაჩელა (ნაზი მემიშიში) - **ჯილველო** ნანაიდა Tutachela - Gilveloi nanaida სი ნაკო მსქვა ნა დირდეე ნანაიდა, **ჯილველო** ნანაიდა მოთ ვარ მიჩქიტუ გული ...

4. [tutarhcela ნაზი მემიშიში/cilveloi nanaida-ჯილველო ...](http://www.youtube.com/watch?v=SHsPcow8rkA)  
www.youtube.com/watch?v=SHsPcow8rkA

○ 15 мая 2008 г. - Добавлено пользователем piralipiralishi  
სი ნაკო მსქვა ნა დირდეე ნანაიდა მოთ ვარ მიჩქიტუ გული ოდ ნანაიდა მან სქანი ყოროფა შენი ნანაიდა დოპჭუფტი ჩქიმი გური ოდ ნანაიდა ...

5. [თუთარჩელა - ჯილველო - Alazani.ge](http://www.alazani.ge)  
www.alazani.ge > ანსამბლები > თუთარჩელა

○ [Перевести эту страницу](#)

**ჯილველო - თუთარჩელა - შავშური სიმღერები - ქართული ფოლკლორი.**

6. [ჯილველო - Alazani.ge](http://www.alazani.ge)  
www.alazani.ge > ... > შავშეთი > ჯილველო

○ [Перевести эту страницу](#)

**ჯილველო - თუთარჩელა - შავშური სიმღერები - ქართული ფოლკლორი.**

7. [ლაზური ჯილველო - InterMedia.ge](http://intermedia.ge/...ჯილველო/7/user:პროფესორ...)  
intermedia.ge/...ჯილველო/7/user:პროფესორ...

○ [Перевести эту страницу](#)

ლაზური **ჯილველო**. ... მეტი. სხვა. ლაზური **ჯილველო**. 12. 1-ს მოსწონს. ატვირთულია: 7 იანვარი 2013,

8. აჭარული-ჯილველო » GOM.GE  
gom.ge/music/11813-bbbbbbb-bbyibbbbbb.html

Перевести эту страницу

ინფორმაცია ფაილზე შემსრულებელი: ერისიონი ალბომი: აჭარული გამოშვების წელი: 2009 ჟანრი: ცეკვა  
მოცულობა: 4 MB ხანგრძლივობა: 2:49 ინფორმაცია ...

9. tutarhcela ნაზი მემიშიში/cilveloi nanaida-ჯილველო ...  
lagu.azkazone.com/mp3vid/SHsPcow8rkA

Перевести эту страницу

Bobby Beghtel visits the EOG studios. Title: Bobby Beghtel visits the EOG studios. Soun ID: 180990548. Date upload 2014/12/11 07:42:48 +0000. File type: ...

10. Mp3 Search Results For ჯილველო - Mus.Ge

mus.ge/search%20ჯილველო

Перевести эту страницу

Mp3 Search Results For ჯილველო - Mus.Ge.

1. ჯილველო - ლაზური - Jilvelo - lazuri  
www.myvideo.ge/?video\_id=1449156 - Cached  
25 აგვისტო 2011 ... სამომხმარებლო შეთანხმება | რეკლამა MyVideo.GE-ზე | სიახლეები |  
MyVideo.GE. ვიდეოები დღეს - 181 | სულ - 1053591 | ჩვენ უკვე ...
2. თუთარჩელა - ჯილველო - ქართული ფოლკლორი  
www.alazani.ge/folkloriul-ansambli-Tutarhela-Jilvelo-simgenis-teqsti-sng331.html?... - Cached
3. ჯილველო - თუთარჩელა - შავშური სიმღერები - ქართული ფოლკლორი.

tutarhcela ნაზი მემიშიში/cilveloi nanaida-ჯილველო ნანაიდა ...


www.youtube.com/watch?v... 15 May 2008 - 4 min - Uploaded by piralipiraiishi  
სი ნაკო მსკეა ნა დირდეე ნანაიდა მოთ ვარ მიჩქიტუ გოული ოდ ნანაიდა მან სქანი ყოროფა  
შენი ნანაიდა დოპქუფტი ჩეიმი გური ოდ ნანაიდა ...



5.

ლაზური ჯილველო


intemedia.ge/...ჯილველი/user:პროფეს... 10 Jan 2013 - 4 min  
ლაზური ჯილველო. ატვირთულია: 7 იანვარი 2013, 01:09:18. 5. 1-ს მოსწონს. გასაჩივრება. მომწონს.  
გასაჩივრებისთვის გთხოვთ გაიაროთ ავტორიზაცია ან ...



7.

ჯილველო | ცეკვა, აჭარული, ჩემს, მიერ, შექმნილი ვიდეო ...

tvali.eu/index.php?action=watch&v... 30 Apr 2011  
ჯილველო. duration: 00:00:17. Uploaded: 2009-12-29. Viewed: 2580. User: mamikalo. category ...



8. More videos for ჯილველო »

9. [თუთაჩელა – ჯილველო ნანაიდა | GeoLyrics](http://www.geolyrics.com/1861)  
www.geolyrics.com/1861 - Cached  
27 მარტი 2010 ... კატეგორია: პოპ თუთაჩელა – ჯილველო ნანაიდა. გამოქვეყნდა: Mar 27th ... სი ნაკო მსქევა ნა დირდეე ნანაიდა. ჯილველო ნანაიდა შოთ ვარ ...
10. [ჯილველო სიტყვები](http://www.holmes.ge/search.htm?geo=თი&q=ჯილველო...)  
www.holmes.ge/search.htm?geo=თი&q=ჯილველო... - Cached  
Views: 88362 Tags: გორდელა ყვათა არტ-გენი მირზაანი ივნიხი 2011 განდაგანა ჯილველო Ni2 arts - Ni2 arts - შარფი ...
11. [ჯილველო » ჭია ჭია მაპოუნინე... Tvali.in - საძიებო სისტემა](http://tvali.in/search.php?q=ჯილველო&rich=rus)  
tvali.in/search.php?q=ჯილველო&rich=rus - Cached  
tutarhcela\_ნაზი მეშიშიში/civilvoi nanaida-ჯილველო ნანაიდა 3.80 tutarhcela\_ნაზი მეშიშიში/civilvoi nanaida-ჯილველო ნანაიდა video.tvali.in : The SHIN ...
12. [აჭარული-ჯილველო Download](http://arqivi.net/მუსიკა/19911/აჭარული-ჯილველო.html)  
arqivi.net/მუსიკა/19911/აჭარული-ჯილველო.html - Cached  
აჭარული ჯილველო | Download. ... გამოშვების წელი: 2009 ვანრი: ცეკვა მოცულობა: 4 MB ხანგრძლივობა: 2:49. Download: 1. აჭარული-ჯილველო MyDisk.ge ...
13. [ჯილველო videos](http://www.yourepeat.com/ყ/ჯილველო)  
www.yourepeat.com/ყ/ჯილველო - Cached  
Video search results for ჯილველო. ... tutarhcela\_ნაზი მეშიშიში/civilvoi nanaida-ჯილველო ნანაიდა. სი ნაკო მსქე. From: piralipiralishi. Views: 24537 ...

და ა.შ.

*(აქ მოტანილ ინტერნეტულ ამონარიდს სისრულის, ამომწურავობის პრეტენზია არ აქვს. — ე.დ.)*

ამ გრძელი და იქნებ მოსაწყენი მსჯელობა-ტექსტომანიის შემდეგ, ცხადია, დაიბადება კითხვა, რამ მიკარნახა ამაზე „გარჯა“ ანუ საერთოდ, რა მიზანს ისახავს და თქმაც რისა მსურს... ეს კონტამინირებულ-შეზავებული, ამასთან საამოდ სასმენი და ენობრივადაც ტკბილბგეროვანი რეფრენი („ჯილველო ნანაიდა“), როგორც დასაწყისში ვთქვი, ზოგადქართულში აცოცხლდა (და არა ახლად გაჩნდა), ხელმეორედ (და არა ახლიდან, თავიდან) დამკვიდრდა (ალბათ უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა — მკვიდრდება). ამასთან, არავინ გამამტყუნებს თუ ვიტყვი, უფრო — აჭარულ მუსიკალურ-საშემსრულებლო ფოლკლორში სამი ფორმით: 1. უშუალოდ ცალკე შესრულებით, თავის ტექსტიან-მელოდიანად (ჰანგიანად); 2. აჭარულ გაშირება-სიმღერაში (უმეტესწილად ცალფა ან ორფა შაირებით აგებულში) ანდა აჭარულ სიმღერაში შერეულად; 3. ანდაც ორივე ტექსტში მისამღერებთან, დღეს უკვე მსოფლიოში პოპულარულ აჭარულ ცეკვა „განდაგანაში“ (ინტრიგის სახით არა, მაგრამ ვისარგებლებ შემთხვევით და აქვე ვიტყვი: ზოგიერთი პროფესიონალი თუ უფრო დილეთანტი ქორეოგრაფის მიერ, ამ ტრადიციული ქართული ცეკვის „მისეულ“ არც ისე მოსაწონად „ორიგინალურ“ დადგმაში და შემდეგ მისი გუნდის შესრულებისას სასცენო პროგრამული გამოცხადება ამ მრავალსაუკუნოვანი აჭარული ცეკვისა, მისი „მისამართის“, მისი ეთნიკურ-ნარმომავლობითობის მაჩვენებელი სიტყვა „აჭარული“-ს ჩამოკვეციტ მომისმენია, რის მიზანიც ვერც მაშინ და ვერც ახლა ვერ ამიხსნია, თუმცა დღემდე არ გამიმჟღავნებია და გამიხმაურებია, ვინრო მეკუთხურეობა რომ არავინ დამწამოს, დაკონკრეტებით არც ახლა ვახმაურებ და ვაკონკრეტებ...).

მე, ისევე როგორც თქვენ, დამაინტერესა ამ შეკაზმულმა რეფრენმა (ჯილველო, ნანაიდა), მართლა უცხოურია მისი პირველი ნახევარი? მით უფრო, რომ ჩემი ხანგრძლივი ფოლკორულ-შემკრებლობითი და კვლევითი მუშაობის მანძილზე და, საზოგადოდ, ხალხურ სიტყვიერებასთან ურთიერთობისას ეს სიტყვა „ჯილველო“-ი აქამდეც, ჩვენში ამ ბოლო ხანს გაპოპულარულდებამდეც, არაერთგან და არაერთგზის შემხვედრია ზეპირისიტყვიერ ნიმუშებში (ლექსი, შაირი, ზღაპარი, გადმოცემა, ლეგენდაც კი და ა.შ. რომლისთვისაც მაშინ ყურადღება არც კი მიმიქცევია. ქართული ენის აჭარული დიალექტის (ლექსიკის) ავტორი, შ. ნიჟარაძე ამ სიტყვას არაბული ნარმომავლობისად მიიჩნევს და მისი გამოვლით თურქულში შესულად გვაცნობს: „ჯილველო-ი (არაბ. جيلو + ت. ii) მომხილავი, მიმზიდველი, სანდომიანი“. იქვე მოყავს პოეტურიდან სათანადო ერთი მაგალითიც (შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათ. 1971, გვ. 444). ენათმეცნერი სხვას არაფერს ასახელებს, არც პარალელს ავლებს, ჩანს, არც მას განსაკუთრებული ყურადღება ამ, მისი ლექსიკონის რიგით ამ ერთ-ერთ უცხოურიდან შემოსულ სიტყვაზე არ გაუმახვილებია, რადგან არც მას ამის საგანგებო საჭიროება არ ჰქონია...

იმას ვამბობდი, ამ სიტყვამ დამაინტერესა მეთქი და, თავს არ დავიქებ, დიდი ჯაფა არ დამჭირვებია, ჩვენი ფასდაუდებელი, ამოუწურავი განძი ხომ ყველა, მსგავს უმეტეს შემთხვევაში სულხან-სა-

ბაა! მისეული ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი კი, ოღონდ ქართული წარმოშობით, ასეთია:

[ნინველა ნ. კაცი]

**ნინველება** ყრმათ სიჩჩოება **ZA**

სიჩჩოება ყრმათა **B**. სიჩჩოება.

**ნინველი ჩჩვილზე მეტი, ჭაბუკისა უმცირესი** (ab. ნინველი კაცთან ნახე **ZAB**.)

(სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი, IV, თბ. 1965, სვეტი 595).

**კაცი** —

მოსდევს განმარტებები წლოვანებების მიხედვით და შემდეგ:

„ათის წლით ათხუთმეტამდე ვაჟსა — ნინველი და ქალსა — ნინველა;“ (ენოდება).

(მერე გრძელდება განმარტებები კვლავ ასაკის მიხედვით..).

(სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი, IV, თბ. 1965, სვეტი 363-364).

როგორც ვხედავთ, საბა არ ასახელებს ამ სიტყვის არანაირ სხვაენოვან წარმომავლობას, რაც სხვა მსგავს შემთხვევებში, პირიქით, წესადაცა აქვს და ხაზგასმითაც უთითებს.

ეს სიტყვა, ასევე იგივე გაგებით, გამეორებულია ჩვენს ქართული ენის ფუნდამენტურ განმარტებით ლექსიკურ რვატომიულ კორპუსშიც:

**ნინველ-ი** (ნინველისა), **ნინველა**

(ნინველასი) ძვ. ყმაწვილი ვაჟი ან ქალი

ათი-თხუთმეტი წლის ასაკისა, — ყრმა. ||

**ფიგურ. კრძალულობს ცის ნინველა**

[პატარძალი], აქ დანაბადი (ი. გრიშ.)

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, სვეტი 1490).

ასე რომ, სიტყვის უცხოენური წარმომავლობა არც აქაა ხსენებული, არც მისი მართლაც უცხო სინონიმია (ჯილველო, ჯილველი) პარალელად მოხმობილი. ისინი ცალ-ცალკე ორივე ენის ცალ-ცალკე ლექსიკური კუთვნილებაა, ოღონდ სხვადასხვა ფონეტიკურ-მორფოლოგიური გაფორმებით და ერთნაირი ან თითქმის ერთნაირი სინტაქსით, შინაარსით, მნიშვნელობით, რადგან სხვა რაა **სინორჩე, სიჭაბუკე, სიყმაწვილე** ვაჟისა ან ქალისა, თუ არა იგივე **მომხიბლაობა, მიმზიდველობა, სანდომიანობა** — თუნდაც სინონიმურად!

ჯერი დასკვნაზე, უფრო სწორი იქნება ვთქვა, თვალსაზრისზეც მიდგა: იმ მშვენიერი, ყველა უამრავ ლექს-სიმღერის როგორც უცხოთა ხელქვეით მყოფ ძველქართულ მინაზე მცხოვრებთა შორის გავრცელებულ ძირითადად თუ ვარიანტებში, ისე, ცხადია, მკვიდრქართულ საზღვრებში მოპოვებულ ნიმუშებში, დღეს აქ, ჩვენთან არსებულში, უამრავში (ხაზგასმით ვიტყვი, თუნდაც აჭარულში), პირველში თითქმის და ამ ჩვენს მეორეში სრულიად (ნიმუშები სიმრავლის გამო არ მომყავს), მთელ ტექსტში ამ ერთი სიტყვის (ჯილველო) გარდა უცხო ენიდან შემოსული სხვა უცხო სიტყვა არ გვხვდება. ლექსი კი იქაც და აქაც ძირძველქართული, ღვიძლქართულია და რაკილა ასეა, ეს აზრი, ეს თვალსაზრისიც აქედან გამიჩნდა: ქართულ ლექსში უცხო სიტყვაა შესული, შეჭრილი, მას იქიდან ღვიძლქართული ტერმინი ჰყავს გამოდევნილი, იმას ჩანაცვლება და ახლა თვითონაც იქ იგი თავსაც „უხერხულად“, ეულად და უცხოდ გრძნობს, ამიტომ, იქნებ ნაცვლად სიტყვა — „**ჯილველო**“-სი, ჩვენს ლექს-სიმღერაში ის ჩვენი ძველქართული „**ნინველო**“ დაგვებრუნებინა და აღგვედგინა, თანაც იგივე შინაარსისაა და კიდევ უფრო ფართო გაგებისა (ესადაგება როგორც მდებრობით, ისე მამრობით სქესს), განსხვავებით უცხოენურისაგან (უცხოენური უფრო მდებრობით „ადრესატს“ გულისხმობს). არა და, მას ხომ ორივე სქესისანი მღერიან და მიმართავენ მოპირდაპირე სქესს, თანაკბილალებს... მი-თუმეტესაც, რომ სიტყვები თითქმის ერთი მორფოლოგიის, ერთი მეტრის, ერთი რიტმისაა, მართალია ბგერა **ჯ** უფრო მჟღერია ფონემურად, ვიდრე ბგერა **ნ**, მაგრამ, სამაგიეროდ ქართული, ჩვენეული ბგერწერაშია მოსული რეფრენის მეორე სიტყვასთან: **ნინველო ნანაიდა** და ამით უმჯობესობს. ასე და ამდენად თვითონ ჩვენს ლექს-სიმღერას არც უღერადობით არაფერი დაუშავდება, შინაარსით კი და-

ნიშნულება გაუუმჯობესდება, ეროვნულობასა და ენისადმი პატრიოტობა-პატივისცემაზე და პერსპექტივაზე ხომ აღარაფერს ვამბობ...


ქართულში უამრავი „მოქალაქეობადამკვიდრებული“ უცხო სიტყვაა და მათ აუცილებლობის დროს ყველა სხვასავით და თქვენსავით მეც ვიყენებ ხოლმე, როგორც წერისას, ისე მეტყველებისას. რომელიმე ენის მტრად და მოძულედ ამ ჩემი თვალსაზრისის გამო, იმედია, არავინ ჩამთვლის და არ მომნათლავს. მე ხომ მხოლოდ აზრი გამოვთქვი, თვალსაზრისი წარმოვადგინე, რომელსაც უფრო ხელოვნების მუშაკებს და შემსრულებლებს ვთავაზობ და არა დაჟინებით მოვუწოდებ ან კატეგორიულად მოვითხოვ.

პრინციპულად და კატეგორიულად კი ერთს ვიტყვი: ფოლკლორი, საზოგადოდ ხალხური სიტყვიერება არ ჰგუობს არახალხურ ჩარევას, ხელოვნურობას, ორი ცალ-ცალკე ორიგინალურ-ინდივიდუალურად არსებული ხალხური ქმნილების, რა ჟანრისაც არ იყოს იგი (ლექსი, შაირი, მუსიკა (მელოდია), სიმღერა, ცეკვა, და ა.შ.), ერთმანეთში ხელოვნური შერევა, შეტოლება, მათი ე.წ. სიმბიოზური შეთესვლა, შემყნა ანუ ხელალებით ხელოვნური შერწყმა-შეკონინება, ხალხურისავე ტრადიციით, მიღებული არ გახლავთ. განვითარების ეს ფაზა, ოღონდაც ბუნებრივი, ხალხურ სიტყვიერებას დიდი ხანია გავლილი აქვს და მას სინკრეტიზმი ჰქვია (იხ. ა.ნ. ვესელოვსკი). ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ვერ მივიღებდით და ვერ დავაგროვებდით ჩვენს ხალხურ საგანძურში არსებულ ასე მრავალფეროვან, წმინდა, ერთმანეთისგან, ერთიმეორისგან გამორჩეულ-განსხვავებულ თავანკარა ნიმუშებს, არ გვექნებოდა და ვერ მივიღებდით საზოგადოდ მის მრავალფეროვნებას. ამ „აკრძალულ“ ხერხს ხელოვანები (და ხალხიც) განსაკუთრებულ დროს განსაკუთრებულ შემთხვევასა და ვითარებაში მიმართავენ და მას ხელოვანები თავის სახელსაც (მაგ. პოპური) არქმევენ, — ეს სხვა რამეა!

საოცარია მისი სანყისი, ამიტომ მის შესახებ ცნობაც აქვე მომაქვს: **პოპური** (პოპურისა) [ფრან. Pot – pourri სხვადასხვა სახის ხორცისა და მწვანილისაგან დამზადებული საჭმელი] 1. მუს. მუსიკალური პიესა, რომელიც შედგება სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოების ნაწყვეტისაგან... 2. საუბ. გადატ. სხვადასხვაგვარი ნაწილების შენაერთი, ნარევი (ქ ე გ ლ, ტ. VI, სვ. 264, თბ., 1960), აქვეც ვთქვათ და დავიმახსოვროთ — სულ სანყისისეულ (ფრან.) გაგებას ჩვენში „აჯაფსანდალს“ ... ან რალაც ამის მსგავსს ვეტყვით ქართულად, რომლის ვრცელი მნიშვნელობა-განმარტებაც, არც პირდაპირი და აღარც ირიბ-გადატანითი, გასაგები მიზეზის გამო აქ აღარ მინდოდა მომეყვანა: **აჯაფსანდალ**-ი (აჯაფსანდლისა) 1. პომიდვრის, ბადრიჯნისა და კარტოფილისგან მომზადებული შეჭამანდი. 2. (საუბ. გადატ.) ერთმანეთში არეულ-დარეული, უთავბოლო (ნაწერი, ნათქვამი), — დომხალი (ქ ე გ ლ, ტ. I, სვ. 935, თბ., 1950). მაშ, არახალხური ტერმინია „პოპური“, ხალხისეული კი ამჯერად რატომღაც არ მაგონდება, და თუ ხალხურს, ქართულში მაინც, ასეთი ტერმინი არ გააჩნია მაშინ, იქნება, ხალხური, სიტყვიერება და ტრადიცია, ქართულში მაინც, ასეთ გააჯაფსანდალების ხერხს არც ცნობს და არც იზიარებს?! ერთი ნიმუშის მეორე ნიმუშში ხელალებით (ვიმეორებ, ხელალებით) დომ(ფ)ხალური შერევა კი (სხვა სახელი ვერ მომიგონია და ვერ დამირქმევია), სხვა არა არის რა, თუ არა ხელოვნური „ფოლკლორული სისხლისაღრევა“ რაც ფოლკლორს მისივე სპეციფიკურობის გამო, თავისთავად ისედაც არ აკლია და ამას (თანაც არასაჭიროს), ვისაც როგორ მოესურვება ისე რომ სჩადის, უნდა ვერიდოთ, ისინი ცალ-ცალკე უნდა მოვისმინოთ და დავტკბეთ, ისე როგორც (უხერხული პარალელი კია) ქართულ კერძებს ერთმანეთში არ ვადომ(ფ)ხალვებთ და ისე არ მივირთმევთ, არ ჩავდივართ ამას, არადა აკი ვიცი, ბოლოს ისინი „სადღაც“ მაინც „ერთდებიან“ ... ხალხური ქმნილებაც ხომ საზრდოა, ოღონდ სულიერი საზრდო, მათაც ცალ-ცალკეს ცალ-ცალკე ურთიერთგანსხვავებული სულიერი სიმების შერხევის უნარი და ტკბობის დანიშნულება აქვთ, ისე როგორც მეორეთ — ცალ-ცალკე გემო-ყუათი, უკაცრავად გამოთქმისათვის, — ცალ-ცალკე ძლომა-ცხრომისათვის...

*(ვისაც ეხება ყველა იმათდამი პატივისცემით და მობოდიშებით).*





# წამაპო სურმანიძე

## 306 იყო ოსმან მაკრიალელი?

აჭარის, ლაზეთის და შავშეთ-იმერხევის დედასამშობლოსთან დაბრუნებიდან ორი თვის შემდეგ, 1878 წლის 20 ნოემბერს, მოწინავე ქართველმა საზოგადოებრიობამ თბილისში გამართა საზეიმო ნადიმი, რომელზეც მოიწვიეს ახლადშემოერთებული ქართული მხარეების წარმომადგენელთაგან შედგენილი დეპუტაცია.

დეპუტაცია 15 კაცისგან შედგებოდა. ყველა მათგანის ვინაობა ადრე არ იყო ცნობილი, ამიტომ გასული საუკუნის მანძილზე სხვადასხვა ავტორის მიერ მონოდებული სია განსხვავებულად გამოიყურებოდა. ზოგმა იგი მისთვის სასურველი პიროვნებებით შეავსო, თანაც ისეთებით, რომლებიც ჯერ კიდევ ბავშვები, ან დაბადებულიც კი არ იყვნენ.

ამ სიის დაზუსტების მიზნით ჩვენ შევკრიბეთ ყველა პირველწყაროები, ნადიმის თვითმხილველთა და მონაწილეთა, კერძოდ სერგეი მესხის, ალექსანდრე ფრენკელის, გიორგი წერეთლის და სხვათა ჩანაწერები, შევაჯერეთ ისინი, რის შემდეგ ისტორიულ ნადიმზე მონაწილე დეპუტაციის შემადგენლობა ასე წარმოგვიდგა:

1. ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე – ჩაქვის მებატონე
2. ხასან-ბეგ ბეჟანიძე – ხუსეინის ძმისშვილი
3. იბრაიმ-ბეგ აბაშიძე – ბათუმის სანჯაყ-ბეგი
4. ნური-ბეგ ხიმშიაშვილი – შავშეთის მფლობელი
5. ხასან-ეფენდი სურმანიძე – ბათუმის მუფთი და სასულიერო მსაჯული
6. ხუსეინ-ბეგ აბაშიძე – ბათუმის სანჯაყ-ბეგი
7. ოსმან-ალა მაკრიალელი
8. აჰმედ-ეფენდი მარადიდელი
9. სული-ბეგ მაჭახლელი
10. ემინ-ეფენდი მუფთი-ზადე არტანუჯელი
11. პეტრე ხარლამპოვი – ბათუმის ბერძენთა მღვდელი
12. ტერ-გრიგორ პუჩინიანი – ბათუმის სომეხ-გრიგორინათა მღვდელი
13. პეტროს პუჩინიანი – ართვინის სომეხთა მღვდელი
14. სიმონ საგამიონი – შავშეთიდან
15. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი – აჭარის მმართველი, გენერალ-მაიორი, რომელიც დელეგაციას თბილისში დახვდა.

(რამაზ სურმანიძე. 1878 წლის 20 ნოემბრის ისტორიული ნადიმი თბილისში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №237, 6.09.2003 წ. გვ. 6).<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, დელეგაციის ზოგიერთი ქართველი მონაწილე გვარის ნაცვლად, სადაურობის აღმნიშვნელი ზედწოდებითაა წარმოდგენილი. ჩვენ შევძელით ორი მათგანის გვარის დადგენა. ესენია: **აჰმედ-ეფენდი ხალვაში-მარადიდელი** და **სული-ბეგ წულუკიძე** – მაჭახლელი. გაურკვეველი დარჩა **ემინ-ეფენდი მუფტი-ზადე** არტანუჯელისა და **ოსმან-ბეგ მაკრიალელის** გვარები.

ამჯერად შევეხები **ოსმან-ალა მაკრიალელის** ვინაობას და შევეცდები შეძლებისდაგვარად გავაშუქო მისი წარმომავლობა და სავარაუდოდ ქართული გვარი. მაკრიალელის ფორმით ოსმან-ალა მოხსენიებულია **სერგეი მესხის და ალექსანდრე ფრენკელის** ჩანაწერებში. ა. ფრენკელი კიდევ უფრო აზუსტებს მის ვინაობას და როცა ბანკეტის მონაწილეთა სიას ეხება, წერს: „... გონიოდან ოსმან-ალა მაკრიალელი იყო მუდირი, ჰქონდა მე-5 ხარისხის მეჯიდიე“<sup>2</sup> (**ალ. ფრენკელი**. ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე. თარგმანი **აზიზ ახვლედიანისა**, გამოსაცემად მოამზადა **რამაზ სურმანიძემ**. თბილისი, 2012 წ. გვ. 192).

მკვლევართა გაუგებრობას იწვევდა, რატომ ითვლებოდა ოსმან-ალა მაკრიალელი გონიოს წარმომადგენლად. ამის გასარკვევად მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ალ. ფრენკელი, ნადიმის მონაწილეთა არა რუსულ, არამედ ოსმალურ თანამდებობებს და მათს სახელმწიფო ჯილდოებს გვთავაზობს, ამ შემთხვევაში მე-5 ხარისხის მეჯიდიეს მფლობელ მუდირს, რაც ჩვენი გაგებით ბოქაულს უტოლდებოდა. ირკვევა, რომ ოსმან-ალა მაკრიალელი გონიოს მუდირი იყო.\* გონიოს ნაჰიეში (სამუდროში) 1872 წლის მონაცემებით შედიოდა 19 სოფელი, მათ შორის მაკრიალიც. მცხოვრებთა რიცხვი, გონიოს ნაჰიეში 6212-ს უდრიდა. მათ შორის 5150 ქართველთან ნარევი მაჰმადიანი-ლაზი, 626 – ბერძენი და 436 – სომეხი, რომლებიც ახლად ჩამოსახლებულან ლივანიდან (**ვილიამ ჯიფფორდ პალგრევი**. აჭარა. ლაზეთი. თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა **რამაზ სურმანიძემ**. ბათუმი, 2012 წ. გვ. 58, 106).

ოსმან-ალა მაკრიალელის ქართული გვარის შესახებ რეზონურ ცნობებს ვხვდებით ქართულ პრესაში. მისი ერთ-ერთი წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ „დროებაში“. ავტორი ამ წერილში ამხელს ტრაპიზონში განლაგებული პოლკის უფროსს, მისი ბოროტმოქმედების გამო (გაზ. „დროება“, №9, 13 იანვარი, 1884 წ. გვ. 1-3). ამ წერილს ეხმაურება ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი **ილია ქყონია** (1860-1927), რომელიც საეჭვოს ხდის ოსმან მამულაძის გამოსვლას „ტრაპიზონის პოლკის მოიჯარარის მიერ ხაზინის ფულეებში ნავარდობის შესახებ“<sup>4</sup> („დროება“, №86, 21 ივნისი, 1884 წ. გვ. 2).

ერთი უფრო ადრინდელი წერილი ოსმან მამულაძის ავტორობით ეხება ქალაქ ოზურგეთს, სადაც ავტორის თქმით, ცოფიანი მგელი შევარდა და ხალხი დაკბინა.<sup>5</sup> (ჟ. „ივერია“, №36, 1878 წ. გვ. 8, 9).

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ოსმან-ალა მაკრიალელი და ოსმან მამულაძე ერთი და იგივე პიროვნებაა. ჩვენც ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, თუმცა საეჭვოდ მიგვაჩნია გვარი მამულაძე შემდეგი გარემოებების გამო: ოსმან-ალა მაკრიალელი წარმოშობით სოფელ მაკრიალიდან რომ არის, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. თუმცა გვარი მამულაძე არც ამ სოფელში, არც გონიოს სამუდროში და ზოგადად ლაზეთში არასოდეს ყოფილა და არც ახლა გვხვდება. ეს გვარი ვერ ვნახეთ ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში. უფრო მეტიც, ამ სოფელში მოგზაურობის და ხანდაზმულებთან გასაუბრების დროსაც ამ გვარზე უბრალო მინიშნებაც ვერ ჩავინერეთ.

მივმართეთ ყველაზე საიმედო და უტყუარ წყაროებს, **დ. ბაქრაძის**, **გ. ყაზბეგის**, **ზ. ჭიჭინაძის** მოგზაურობის ჩანაწერებს, სადაც საუბარია სხვა ქართულ გვარებზე, მაგრამ მამულაძე არსად შეგვხვდებოდა.

\* გიორგი ყაზბეგის ცნობით, 1874 წელს ციების შიშით გონიოს მუდირის რეზიდენცია სოფელ მარადიდში გადაუტანიათ.<sup>6</sup> (**გ. ყაზბეგი**. სამი თვე ოსმალეთის საქართველოში. თარგმანი **რ. სურმანიძისა**, გამოსცა მამია ხარაზმა. ბათუმი, 1995 წ. გვ. 152).

დომიტრი ბაქრაძე იმონმებს თავისი ინფორმატორის, ორთახოფელი ხასან-ალა მურადოღლი-მოურავიშვილის მონათხრობს და წერს: „ლაზისტანელი ბეგები არიან: ზვანბაიები და მანელიშვილები (მანელოღლები) მაკრიალსა და ლიმანში, მოურავიშვილები ბუჯაღსა, ორთახოფასა, დომიტრიეტსა და სუნდურში; სუნდურშივე ცხოვრობენ შალოღლები ანუ შალიკაშვილები, ჟორდანიები ქისასა, პირონტსა და არხავში; ფოთური ანუ ფოთურია კაპისტრაში; ბალთაშვილები ბელეფსა და ათინას შორის“.<sup>7</sup> (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987 წ. გვ. 27).

ამავე მოსაზრებას მთლიანად იზიარებენ ზაქარია ჭიჭინაძე და ლაზეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის კარგი მცოდნენი, მხარეზე პირველი მონოგრაფიის ავტორები: მუხამედ ვანილიში და ალი თანდილავა.<sup>8</sup> (ლაზეთი, თბილისი. 1964 წ. გვ. 56).

ამგვარად, დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ პატარა სოფელ მაკრიალის წარჩინებულ გვარებად ძველთაგანვე ითვლება ზვანბაია და მანელიშვილი (მანელოღლი). ჩვენი ვარაუდით, ქართულ პრესაში მუშაობით საკმაოდ ფეხმოკიდებული ოსმან-ალა მაკრიალელი ქართული ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებმა მათთვის მისაღებ, უფრო მოხერხებულ და ქართულად მჟღერად გვარზე გადაიყვანეს და მანელოღლის ნაცვლად მივიღეთ მამულაძე.

ხოფაში ცხოვრობენ ოსმან ალა ოღლები. ხომ არ არიან ისინი ჩვენთვის ცნობილი ოსმან-ალა მაკრიალელი-მანელიშვილის შთამომავლები? მიმდინარე წლის დეკემბერში, შობის დღესასწაულზე მოგზაურთა ჯგუფთან ერთად ლაზეთში მოგზაურობისას გავიცანი ხოფელი უმით ოსმან-ალა-ოღლუ, რომელსაც ცოლად ჰყავს იმერელი ლია ბახუტაშვილი. ოჯახის უფროსმა გვისახსოვრა წიგნი, „ლაზი ვორე“ („მე ლაზი ვარ“), რომელიც ლიამ თარგმნა.<sup>9</sup> (თბილისი. 2014 წ.)

ამ წიგნზე და ჩვენს ახალ ნაცნობებზე, აგრეთვე მათ წარმომავლობაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ.



## სიზონ პოპიციძე

### ტერმინების — „ხაიასა“ და „აცი“ წარმომავლობა და მათი ურთიერთმიმართება

როგორც აღინიშნა, ხაიასა-აცი მსოფლიოს უდიდესი მეცნიერების მიერ აღიარებულია სომეხთა ერთ-ერთ ძირითად ტომად თუ სატომო გაერთიანებად, ან კიდევ სამეფოდ, რომელმაც ძირითადი მონაწილეობა მიიღო სომეხი ხალხის ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესში. ხაიასა იქცა ამ ხალხისა და მათი სამშობლოს აღმნიშვნელ ტერმინებად (თვითსახელწოდებებად) — ჰაიაც და ჰაისტან,<sup>1</sup> რაშიც ეჭვი დღემდე არავის შეუტანია. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში განმარტებულია, რომ ჰაიკი არის სომეხი ხალხის მითური წინაპარი და ძველი არმენების მზის ღვთაება. ჰაიკის სახელის მიხედვით სომეხებმა მიიღეს სახელწოდება ჰაიასტან.<sup>2</sup>

როგორი იყო ხაიასას ეთნიკური კუთვნილება, რომელი წარმომავლობის ტომები მოსახლეობდნენ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პირველ რიგში უნდა შევისწავლოთ ტერმინები „ხაიასა“ და „აცი“, მათი ეტიმოლოგია, ურთიერთმიმართება და ტერიტორიული პრობლემები.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს რამდენიმე შეხედულება საკვლევ ტერმინების წარმომავლობის საკითხზე და ხაიასის ტერიტორიაზე მოსახლე ტომისა თუ ტომების ეთნიკური კუთვნილების თაობაზე.

გ. მელიქიშვილი თავის შრომებში აღნიშნავდა, რომ ძნელია ახლანდელ დროში ხაიასას ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის განსაზღვრა. ხაიასის ონომასტიკურ მასალებში (ადგილის, ხალხისა და ღმერთების სახელები) არ ჩანს რამე სპეციფიკური სომხური ელემენტი, თუ არ ჩავთვლით მცირე შეხვედრებს სომეხთა მონათესავე ხეთურ, ნესიტურ და ლუვიურ მსოფლიოსთან. ხაიასის ონომასტიკონში შეიმჩნევა პროტოხეთური და ხეთური ელემენტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხაიასა-აცი არის ეთნიკურად არაერთგვაროვანი ელემენტი. ხაიასის ონომასტიკური მასალები, გარდა თვით ქვეყნის სახელწოდებისა, თითქმის არ ავლენენ სპეციფიკურ არმიანულ ელემენტებს. ევფრატის ზემო დინების რაიონები ითვლება სომხური ეთნიკური ჯგუფების საცხოვრისად, რომელიც შემდგომში იქცა სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ძირითად ბირთვად.<sup>3</sup>

1. სტან ძველკელტური სიტყვა და ნიშნავს ქვეყანას.

2. Большая советская энциклопедия, т. 46, М., 1957, с. 26.

3. Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, Тб., 1954, с. 85; его же, К истории древней Грузии, Тб., 1953, с. 171.

ხაიასა ასევე შეიძლება ყოფილიყო ტომი ახლოს მდგარი ჩრდილო-კავკასიურ მსოფლიოსთან, ტომი ხეთური (პროტოხეთური) წარმომავლობისა.<sup>4</sup>

ასეთი აზრი არ გაიზიარა ი. დიაკონოვმა. მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სომხებს ფრიგიელებთან აქვთ ენობრივი სიახლოვე და გამოიქვა ვარაუდი, რომ სომხური ელემენტი მცირე აზიაში შემოღწეულ ფრიგიელებს უნდა შემოეცანთ.<sup>5</sup> მოგვიანებით გამოცემულ ნაშრომში მკვლევარი აღნიშნავდა, რომ სომხთა თვითსახელი **hay-k**, წარმოიშვა მელიტენის ურარტული სახელიდან — **Häti**. ზემო ევფრატის აუზის მეტი წილი დინასტიების ძვ.წ. XI-VII საუკუნეებში ხეთურ-ლუვიურ და აგრეთვე ხურიტულ სახელებს ატარებდნენ.<sup>6</sup>

გ. მელიქიშვილი, მიუხედავად ამისა, არ უარყოფდა იმ აზრს, რომ ხაიასა-სუხმის ტერიტორია სომხური ტომების უძველესი კერა იყო.<sup>7</sup>

ე. ფორერის ვარაუდით, ხაიასა შედის ბალაელების ენის გავრცელების ოლქში, დაახლოებულ ქართულთან.<sup>8</sup> ი. მანანდიანი ფიქრობს, რომ ხაიასა-აზის ქვეყნის დამაარსებელი ძირითადი ხალხი აზიელები იყვნენ.<sup>9</sup>

გრ. კაპანციანის ნაშრომებში ხაიასას ონომასტიკური მასალების ანალიზს დიდი ყურადღება ეთმობა. როგორც წესი, ვერ ნახულობს უმრავლესი ტოპონიმისა და ადამიანის საკუთარი სახელების ეტიმოლოგიას. ხეთურ-ნესიტური ან მათი მონათესავე ლუვიური ელემენტიც არის.<sup>10</sup> მისივე აზრით, ხაიასა-აზი ნიშნავს „ტომების კავშირს მეფეთი“. იგი იყო ეთნიკურად ერთიანი ტომის „ხაი“-ს ქვეყანა, სუფიქს **sa** ან **ša**-თი. მკვლევარი სხვა ადგილას აღნიშნავდა, რომ ბალას ანუ ფალას ჰქონდა განსაკუთრებული ენა. ხაიასა-აცის ჰქონდა ძალიან ახლოს მდგომი ენა ფალაურთან და ქართულთან. ხაიასა-აზი (სატომო კავშირი მეფით) ეთნიკურად ერთიანი ტომის „ხაი“-ს ქვეყანა იყო, ტერმინში გამოიყოფა **sa** ან **ša** სუფიქსი.<sup>11</sup>

გრ. კაპანციანი ამ პრობლემას მოგვიანებითაც შეეხო. ამ ნაშრომში მსჯელობდა ხაიასას ქვეყნის როგორც ლოკალიზაციის, ასევე ეთნიკური კუთვნილების საკითხებზე. აქვე მოჰყავს ე. ფორერის ნააზრევი: „ხაია ჩვენი ქვეყანა“. ხაია შეიძლება იყოს სახელი კაცის, ტომის ან ღვთაებისა. ხაიასაში გამოიყოფა ხაია ძირი, ხოლო სა-სუფიქსია.<sup>12</sup>

ჟ. კონტენოსა და ა. ზახაროვს ბალას ენის გავრცელების არეში შეჰყავთ ხაიასაც. მათივე აზრით, ბალას ენის ოლქი იყო აგრეთვე ხაიასა.<sup>13</sup>

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, გაურკვეველია თუ რა ენაზე მეტყველებდა ხაიასას მოსახლეობა. ცნობილია 20-30 ტოპონიმის სახელი ხაიასას ხალხისა და მისი ღმერთებისა; ამ სახელწოდებების არასომხური ხასიათის დადგენის მიუხედავად ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ხაიასის მოსახლეობის ენა არ იყო წინარე სომხური. შეიძლება მხოლოდ, ვივარაუდოთ, ტოპონიმ **Hajasa**-ს სომხების ეპონიმ **hay**-სთან განსაზღვრულ კავშირზე. ტერმინში უნდა გამოიყოს სუფიქსი (**sa**) და ძირი დაუახლოვდეს ქალაქის სახელს **Haji**, რომელიც მდებარეობდა ევფრატის ზემო დინების ახლოს.<sup>14</sup>

4. Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, Тб., 1954, с. 84-85.

5. И. Дьяконов. Хетти, фригийцы и армяне. – Известия АН. Армянской ССР, общ. науки, 1956, №1.

6. И.Д. Дьяконов. Малая Азия и Армения около 600 г. до н.э. и северные походы Вавилонских царей. – ВДИ, 1981, №2, с. 55, 58, ком. 109.

7. Г.А. Меликишвили. К истории... с. 172.

8. იბ. გრ. Капанцян. Хайаса... с. 12.

9. Я.А. Манандян. О некоторых... с. 68.

10. Гр. Капанцян. Хайаса... с. 23.

11. იქვე, გვ. 87, 127, 128, 239.

12. Гр. Кананцян. ИЛРНИА, Ер., 1956, с. 14, 26.

13. Ж. Контено, А. Захаров. Хетты и хеттская культура, М. – Л., с. 105.

14. Т.В. Гамкрелидзе, В.В. Иванов. Миграции племен-носителей индоевропейских диалектов – с первоначальной территории расселения на Ближнем Востоке в исторические места их обитания в Евразии. – ВДИ, 1981, №2, с. 18, 19; его же, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, с. 913.

ლ. მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, ჰაი-ებს ტომობრივი და ენობრივი კავშირი აქვთ ხათ||ხეთ-ებთან.<sup>15</sup> თ. ქემერტელიძის გამოკვლევით, ხაიასა-აცის მესხთა ქართველური მოდგმის სამკვიდრო უნდა ყოფილიყო და არა სომხური ეთნოსისა. ზემოთქმულის საფუძველს გვაძლევს ჰაიაშას ქვეყნის გარკვეული ონომასტიკური მონაცემების სემანტიკური და ეტიმოლოგიური კვლევა. ჰაიაშა ის ქვეყანა უნდა იყოს, სადაც ძვ.წ. XIII საუკუნეში არგონავტებმა ილაშქრეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. წერილობითი წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ ხაიასა არის ასურული და ურარტული წყაროების დაიენი და დიაოხი.<sup>16</sup> მკვლევარი იქვე განაგრძობს, საფიქრებელია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან ხაიასა-აცის ქვეყანაში ხურიტები ბატონობდნენ. მთელი მესხეთი ყარსი-ერზრუმის ჩათვლით ხური-მითანმა მათი პოლიტიკური გავლენის სფეროში მოაქცია.<sup>17</sup> მსგავსი აზრი გააჩნია გ. ქავთარაძესაც. მისი ვარაუდით, დაიენი-დიაოხი ხეთური წყაროების ხაიასის ქვეყნის მემკვიდრე შეიძლება იყოს. გარდა ორივე ქვეყნის ჭოროხისა და ევფრატის ზემო ნელის მიდამოებში მდებარეობის ნაწილობრივი დამთხვევისა, შესაძლოა ამაზე მიუთითებდეს ამ ორი სახელწოდების (ხაიასა, დაიენი) ფუძეებისა და აიას საერთო წარმომავლობის დაშვება, თუკი აიხსნება ანლაუტში დენტალური და ველარული ფონემების მონაცვლეობა ნულთან.<sup>18</sup>

რ. გორდეზიანი, იმონებს რა გ. ქავთარაძეს, აღნიშნავს, რომ ხაიასას ან დაიენის ფუძეში აია ელემენტი, და შესაბამისად, არგონავტების მითში თავდაპირველად ხეთური ხაიასა ან ასურული დაიენი იგულისხმებოდა. თავად კი გამოთქვამს აზრს, იმის შესახებ, რომ აია ხაიასას ან დაიენს არ უკავშირდება. საერთოდ, აია უნდა მივიჩნიოთ, მზე-ქვეყნის სიმბოლურ აღმნიშვნელად.<sup>19</sup>

ბ. მარის გამოკვლევით, ჰაიასა-ჰაიკები ბასკები არიან, ჰაიკები იგივე სომხები — სვანებია. მეცნიერი ერთ ენად მიიჩნევს ჰაიკურ-ბასკურს. ჰაიკები ანუ ჰაინები იგივე ენიოხები ანუ იონები არიან. ჰაიკი სომხური ფონეტიკის კანონზომიერებით არის Pask-Bask, ტერმინი მთლიანი ფორმით შემონახულია ცას-კამ-ში.<sup>20</sup> ბ. მარი სხვა ნაშრომებში იმეორებდა ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას: ჰაიკი (ჰაოსი) იყო ეპონიმი ბასკების ანუ მესხების ტომისა,<sup>21</sup> ან ხაიასების არქეტიპია შონ (სვანი).<sup>22</sup>

დ. ლენგის მიხედვით, ერზინჯანისა და სერაქსას (სერახსა) რაიონში მდებარე ხაიასა და აზზი, ე.ი. იგივე ხაიასელები უკავშირდებიან თანამედროვე სომხებს, რომლებიც საკუთარ თავს ეძახიან ხაიკებს.<sup>23</sup>

ს. ბადას მიხედვით, ხაია მეგრულია და იგი შედგება ხა და ია-საგან. ხა — მთელის ერთ მხარეს აღნიშნავს, ია — ასევე მეგრულად არის ველური ყვავილის სახელი. ხაია კი იმიფრება, როგორც ყვავილი იათი მდიდარი მხარე.<sup>24</sup>

როგორც ვნახეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ხაიასას ქვეყნის ეთნიკურ კუთვნილებასა და თვით ტერმინის წარმომავლობის თაობაზე რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება არსებობს. ამასთან, ეჭვი არავის შეჰპარვია იმაში, რომ ხაიასას ტომები სომხური წარმომავლობისანი იყვნენ და ამ ხალხის ეთნოგენეზში მიიღეს მონაწილეობა. არც იმაზე კამათობენ, რომ ამ ჯგუფებს შორის ძი-

15. Л. Меликсет-беков. Введение... с. 97.

16. თ. ქემერტელიძე. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი... 3, 15.

17. იქვე, გვ. 16.

18. გ. ქავთარაძე. უძველესი ტაო ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. – ლინგვისტოლოგიური ძიებანი, II, ბათ., 2011, გვ. 140.

19. რ. გორდეზიანი. მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, III, ეტრუსკული, დასკვნითი კომენტარები, თბ., 2007 გვ. 373-374.

20. Н.Я Марр. Этно и плоттогония восточной Европы, Лен., 1935 с. 55, 56, 123, 179, 206.

21. Н.Я Марр. Этапы развития яфетической теории, Лен., 1933, с. 179.

22. Н.Я Марр. Язык и общество, Лен., 1939, с. 216; დამონებულია ЗВО, т. XXV, с. 236-351.

23. Д. Ленги. Грузины (Хранители святынь), М., 2004, с. 55.

24. ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, გვ. 274, 276.

რითადი იყო ხაიასა და ის იყო მთელი სომხური ტომების გაერთიანების შემდეგ სახელის — ჰაიასტან — მიმცემი.<sup>25</sup>

პირველ რიგში, ხაიასას ქვეყანაში მოსახლე ტომების წარმომავლობის გასარკვევად საჭიროა ტერმინების „ხაიასასა“ და „აცის“ სემანტიკის განსაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ წამოაყენა აღნიშნულ ტერმინთა ეტიმოლოგია. ვფიქრობთ, საჭიროა ქართველური ენების გამოყენება. ჩვენი აზრით, ტერმინი ხაიასა უნდა იყოს სუფთა ქართველური წარმომავლობის, შესაძლებელია, მეგრული ან სვანური. ამ სახელმნიფოში უფრო მეგრული ელემენტი უნდა ქარბობდეს. სრულიად შესაძლებელია, რომ ეთნიკური კუთვნილების მხრივ ამ ქვეყნის მოსახლეობა მთლიანად მეგრულ-ლაზური იყო. გვაქვს ტერმინი ხაიასას ორი ვარიანტი — ხაიასა და ჰაიაშა. ჩვენ ვიცი, რომ ქართველურ ენებში „ხ“ და „ჰ“, ხოლო მეორე მხრივ — „ს“ და „შ“ ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს. მაგალითისათვის შეადარეთ: ხაბარენი-ჰაბარენი-აბარენი, ხერთვისი-ჰერთვისი-ერთვისი, ქაშქა-კასკა, აბეშლა-აფშილი-აფსილი, სვანი-სოანა-შვანი-მოშინიკი-მუშუანი და სხვა.

რაც შეეხება ბოლოკიდური თანხმოვნების „ს“ და „შ“ მონაცვლეობას, ქართველური ენების გათვალისწინებით მათაც მოეძებნება ახსნა-განმარტებანი. „შ(ი)“ ელემენტი მეგრულ-ლაზურში შობას, გაჩენას აღნიშნავს, ე.ი. იგი შვილის გამომხატველია. ასეთივე დატვირთვა გააჩნია „ს(ი)“ სუფიქსს ქართულ ენაში. შედარებისათვის მოვიტანოთ მაგალიტები: ერთი მხრივ — მემიშიში, ვანილიში, ჩებიში, კურიში და ა.შ., ხოლო მეორე მხრივ — სიმონისი, თუთასი, ილდასი, დავითისი და ა.შ.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ქვეყნის ძირითადი სახელის მართებული ფორმა ხაიასა თუ ჰაიაშა უნდა იყოს. როგორც ირკვევა, ისინი ერთი და იგივე ქვეყნის დიალექტური სახესხვაობებია. ქართველური ენების (მეგრული) ბაზაზე, ორივეს მოეპოვება ახსნები. მაშასადამე, სრულიად შესაძლებელია ქვეყნის სახელი გამოითქმებოდა ჰაიაშა, ხაიასა, ან კიდევ აია (ქართველურ ენაში დასაშვებია ხ-ს გადასვლა ჰ-ში და საბოლოოდ ამ უკანასკნელის გაქრობა).

ახლა თვით ტერმინის სემანტიკის შესახებ. ხაიასა (ჰაიაშა), როგორც აღვნიშნა ს(ში) სუფიქსს წარმოადგენს, ფუძეა ჰაია — აია. ეს უკანასკნელი ღვთაების სახელს წარმოადგენს. აია ძველი სვანური ღვთაებაა, თუმცა გამორიცხული არაა, იგი გავრცელებული ყოფილიყო მეგრულ და ქართულ ტომებშიც. აია ძველად სვანეთში მიწათმოქმედების და მიწისქვეშეთის ღვთაება იყო.<sup>26</sup> ამ ღვთაების სახელი ხშირად ფიგურირებს ურარტულ სამყაროშიც.<sup>27</sup> ნ. მარის მსჯელობიდან გამომდინარე, აია ხალღური (ურარტული) მიწის ღვთაებაა. იგი მიწას, ქვეყანასაც აღნიშნავს,<sup>28</sup> მ. ხომერიკის გადმოცემით, აია – მზის ღმერთ შამამის მეუღლე, დედოფალი და კოლხეთის ძველი სახელწოდებაა.<sup>29</sup> შესაძლებელია სვანური სიტყვა აია-აიაშ („ზობის წინა კვირას“)<sup>30</sup> უკავშირდებოდეს ტერმინ ხაიასას თუ ღვთაების სახელს აიას.

აია გავრცელებული იყო აგრეთვე შუმერში, შუამდინარეთში, ურარტუში, ხათებსა და რა თქმა უნდა საქართველოშიც. აიას დღეობას სვანეთში აღნიშნავენ კვირა დღეს. ამ დღეს სვანურად „აია-მიშლადელი“ („აია-მზის დღე“) ეწოდებოდა. ამჟამად აიას დღეობას მხოლოდ სვანეთის ერთ სოფელში უშგულში აღნიშნავენ ივლისის შუა რიცხვებში. რიტუალს მხოლოდ ქალები ასრულებენ.<sup>31</sup>

25. Б.Д. Дацюк. Рабовладельческий строй и рабовладельческие государство на территории Закавказья и Средней Азии. Восточные славяне, М., 1955, с. 10; История армянского народа, часть I, под редакцией Б.Н. Аракеяна и А.Р. Иоанисяна, Ер., 1951, с. 25 и др.

26. თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 321; Г. Лорткпанидзе. Колхида в VI-II вв до н.э., Тб., 1978, с. 120.

27. თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 85.

28. Н.А. Марр. Избранные работы, V, ... с. 220.

29. მ. ხომერიკი. ზესთამჩენური ცნობიერების სინდრომი, ჟურნ. ჭოროხი, 2004, 9-10, გვ. 91.

30. ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 876, 894.

31. ზ. ქაფიანძე, თ. მიბჩუანი. კაცობრიობის პირველი ანბანი. მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა, თბ., 1997, გვ. 93.

აია თუ ჰაია სახელთან დაკავშირებული იყო ძველქართულ სამყაროში არსებული ტოპონიმები. უძველესი ქართული სამეფოს სახელში დაიაენი (დიაუენი) გამოიყოფა აია სახელი.<sup>32</sup> თავკიდური „დ“ აღნიშნავს მრავალი ხალხის კლასის მაჩვენებელს.<sup>33</sup> დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა სამეფო, ოლქი, ქალაქი, კუნძული, ღვთაება აიას სახელით.<sup>34</sup> აია კოლხეთის სინონიმია.<sup>35</sup> ასურულ წყაროებში მოიხსენიება აია ფუძე-ძირით რამდენიმე ტოპონიმი (აიადის ქვეყანა, უაიასის ოლქი,<sup>36</sup>) ურარტუს შემადგენლობაში. ამ უკანასკნელის ფარგლებში, რომელიც ქართველურ სამყაროს განეკუთვნება,<sup>37</sup> უძველესი დროიდან მოყოლებული, არაერთი მსგავსი წარმოების ტოპონიმია დადასტურებული: აია, აიადუ, აიალე, აიატუნი (აიასუნი), აიაზუნა, უაიასის და სხვა.<sup>38</sup> შეადარეთ ადამიანის ქართული საკუთარი სახელები კოლხეთის ლეგენდარული მეფისა აიეტი (აიაეთი), VI საუკუნეში კოლხეთში მოღვაწე აიეტი (პროკოპი კესარიელი). ოსმალთა მიერ 1567-1574 წლებში აჭარის მოსახლეობის აღწერის მასალებში დასტურდება აიასუნი,<sup>39</sup> იგივეა, რაც ურარტული აიასუნი.

ახლა ხაიასას ვარიანტული სახელწოდების წარმომავლობის გარკვევაზე, გადავიდეთ. როგორც ვთქვით, ტერმინში ფუძეა ხაია. რა სემანტიკა უდევს საფუძვლად მას?

სიტყვა ხაია მეგრულში ფლორონიმ იელის შესატყვისია.<sup>40</sup> თავად სამეგრელოს ტერიტორიაზე მრავალი მიკროტოპონიმი აღინიშნება, რომელიც ამ ბუჩქის სახელიდანაა წარმოშობი: სამურზაყანოში ხაია, ბიგვამ სახაიო | ოხაიე, აქვეა განმარტებული, რომ ტოპონიმი წარმოდგება ხაია – ისლის სახეობიდან (სოფ. თიქორი), ხაიონი (სოფ. დიდი ნეძი), ხაია(შ) წყარო (მდინარე), ხაია, ხაიონა (სოფ. ერგეთა), ოხაიე, ხაიონი (სოფ. კახათი) და სხვა.<sup>41</sup> სვანეთში ერთ-ერთი ტოპონიმის სახელია – ხაიში (ენგურის ხეობაში).<sup>42</sup>

საქართველოში, თუშეთში დადასტურებულია ადამიანის საკუთარ სახელად ჰაიჩა,<sup>43</sup> სამურზაყანოში ჰაკი (ჰაიკი?); ილია მაისურაძის განმარტებით ქართული სახელია ხაია, ხოლო გვარი ხაიაური (ურ საგვარეულო დაბოლოებაა), ხაიკა — ხაიკაშვილი,<sup>44</sup> მეგრული გვარია ხაია, მისგან წარმოშობია ჯიბუხაია,<sup>45</sup> ხაინდრავა. სვანეთის ძეგლებში დასტურდება — ხაინა ((ხაინა | ხაიონი), ხაიკანი — ხაიკიანი).<sup>46</sup> აღ. ლლონტის განმარტებით, ჰაიჩა, ჰაკი, ხაინა, ხაინძე და ა.შ., ქართველური სახელებია.<sup>47</sup> მათი შესატყვისი ქართული მიკროტოპონიმებია: საისლეთი (სოფელი მარადიდი), საისლე (სოფ. ტოლები), საისლე (სოფ. ოფეთი), საისლე (სოფ. ნიგოთი), საისლე (სოფ. ფარცხმა) და სხვა მრავალი.<sup>48</sup>

სწორედ მსგავსი სემანტიკა უდევს საფუძვლად საკვლევ ტერმინს – ხაიასას. ამ ქვეყნის სახელწოდება სემანტიკურად დაკავშირებული უნდა იყოს ისლისებური, ბუჩქოვანი მცენარის იელის სახელთან, რომელსაც მეგრულად ხაია ჰქვია. ხაია — საქართველოში ასევე ძველი დროიდან უნდა

32. С. Гогитидзе. Локализация и этническая принадлежность стран Даиан-Диаоха, с. 403-404.

33. Р. Плиев. Хранитель тайн-язык, М., 1997, с. 102.

34. Гомер. Одиссея, перевод В. Жуковского, М., 1981, с. 157, 158, 167, 171.

35. ჰეროდოტე. ისტორია, თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბ., 195, გვ. 37.

36. Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), Ер., 1970; его же Топонимика Урарту, Ер., 1985.

37. ურარტუს ოლქების, ქალაქების ლოკალიზაციისა და წარმომავლობის საკითხებზე გვაქვს მომზადებული მონოგრაფია, დაფინანსების შემთხვევაში მზად ვართ გამოვაქვეყნოთ.

38. ВДИ, 1951, №2, с. 271, 292, 317, 329. Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 37, 86, 305, 306.

39 რ. სურმანიძე. თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წ., თბ., 2007, გვ. 15.

40. გ. გასვიანი, ნარკვევები... გვ. 182.

41. პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007, გვ. 66, 127, 141, 162, 166; პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 215.

42. ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 509.

43. ს. მაკალათია. თუშეთი, თბ., 1983, გვ. 172.

44. ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 224.

45. იქვე, გვ. 244.

46. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გამოსცა ვ. სილოგავამ, თბ., 1988, გვ. 558.

47. აღ. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 254, 315.

48. ს. გოგიტიძე, ო. დიდმანიძე. სოფელი მარადიდი, ბათ., 2006, გვ. 152.



ყოფილიყო ადამიანის საკუთარი სახელიც. ხაიას ხომ შესანიშნავი, მოყვითალო ყვავილები გააჩნია, სწორედ ამ თვისების გამო იგი უნდა ქცეულიყო ადამიანის საკუთარ სახელადაც. რადგან ტერმინში გამოყოფილი სუფიქსი შ(ი,ა) ამავე ენაში შობას, გაჩენას და საერთოდ შვილსაც აღნიშნავს, ამიტომ გვაქვს საფუძველი, რომ საკვლევი ტერმინის შინაარსი გაგებულ იქნას, როგორც ხაიას — შვილი, შთამომავალი. მაშასადამე, ხაიაშა ნიშნავს ხაიას შვილებს.<sup>49</sup>

თავდაპირველად ქალაქ ხაიაშას ფუძემდებელი უნდა ყოფილიყო მეგრული წარმომავლობის ადამიანი, სახელად ხაია. შემდეგში ქალაქის ირგვლივ შემომტკიცებულ ოლქებს, გაერთიანებულ ქვეყანასაც ასე ეწოდა. უკიდურეს შემთხვევაში ხაია ფუძე იგივეა, რაც ისლისებური მცენარე, მისი გავრცელების არეალი.

ახლა ხაიასას მეორე სახელის აცის შესახებ. როგორც უკვე აღინიშნა აცის ვარიანტებად მკვლევარები მიიჩნევენ სახელწოდებებს ალზი, აზზი, ალშე და ა.შ. ამით თითქოს გარკვეულია ამ ტერმინის სახელი და სემანტიკა, რადგან ხეთურში აცი გაიგივებულია მტრის სინონიმთან.<sup>50</sup> აჭი სვანური სიტყვაა და ნიშნავს ნაცნობს,<sup>51</sup> ალჯი-რგავს, თესავს, აზზი – აგზავნის, ალნი – შელესავს, ანი — პატიჟებს, იწვევს.<sup>52</sup> აცა მეგრულში — მანანალას, მოხეტიალის ტოლფარდია.<sup>53</sup>

სვანური წყაროების ძეგლებში ადამიანის საკუთარ და სოფლის სახელად დასტურდება — აცი.<sup>54</sup> აცი სოფლის სახელად დადასტურებულია აფხაზეთსა თუ სვანეთის ტერიტორიაზე;<sup>55</sup> შეიძლება ეს იგივე სოფელი იყოს, რაც სვანური წყაროების აცი. ასევე დასტურდება ქართველური საკუთარი სახელებიც – ააცი, აცა და ა. შ.<sup>56</sup>

ჩვენი აზრით, აცი უნდა იყოს ხაიასის სინონიმი, რა სემანტიკის მატარებელი შეიძლება იყოს იგი?

ქართულ იელს მეგრულში შეესატყვისება ხაია, ხოლო სვანურში აცი. აცი სვანურად იელს ნიშნავს.<sup>57</sup> ამიტომ აცი ხაიასას ოლქს კი არ წარმოადგენს, არამედ, იგი, ჩვენი აზრით, ქვეყნის სახელის ხაიასას სვანური შესატყვისის უნდა იყოს. როგორც ჩანს, ხაიასას ტერიტორიაზე ძირითადი მეგრული მოსახლეობის გვერდით სვანებიც ცხოვრობდნენ, უფრო კი ხეთების მოსაზღვრე რაიონებში. ეს რომ ასე იყო ამას არაერთი ჩვენი მოსაზრება განამტკიცებს.

ამგვარად, ქვეყნის ძირითადი სახელწოდებები ხაიასას (ჰაიაშა) და აცი-ს სემანტიკა იძლევა საფუძველს, რომ ხაიასის ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა მეგრული წარმოშობისა იყო, მცირე ნაწილი შესაძლებელია სვანური. ყოველივე ამას, თვალნათლივ დაგვანახებს ამავე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმებისა და ანთროპონიმების სემანტიკა.

49. С. Гогитидзе. Происхождение и взаимосвязь терминов Хайаса и Аци. – Кавказ и Мир, №13, Тб., 2012, с.89-91.

50. გრ. გიორგაძე. ათასი ღვთაების ქვეყანა, გვ. 64.

51. ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 102.

52. იქვე, გვ. 29, 43.


53. ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001, გვ. 204.

54. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 19, 72, 178, 658.

55. В. Пачулия. В краю золотова руна, М., 1964, с. 84.

56. ალ. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 66, 257.

57. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, გვ. 237.



# სკსპი ფორიძე

## მოძღვართმოძღვარი

არიან ადამიანები ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომლებიც თესენ სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას, ზრდიან, ქმნიან, აშენებენ, იღვნიან, იწვიან და სხვებს გზას უნათებენ.

სწორედ ასეთი, რჩეულთა შორის რჩეული, სულით ძლიერი, პედაგოგიური და ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება, საქვეყნო საქმეებისადმი გულანთებული მამულიშვილი გახლავთ ფერიის საჯარო სკოლის ღირსების ორდენოსანი პედაგოგი, სანაქებო გეოგრაფი, 90 წელს მიღწეული ჭეშმარიტი მოძღვარი ვახტანგ მაკარაძე.


ბატონ ვახტანგს ღვთისგან აქვს მომადლებული მასწავლებლის, სხვებზე სიხარულის მინიჭების ნიჭი და ისიც ქვეყნის, ადამიანების, განათლების, ბავშვების, სიკეთის სამსახურში იღვნის და დღენიადაგ იხარჯება.

„ღვთიური ნაპერწკლით“ ანთებული, თხემით ტერფამდე პედაგოგი და ჭეშმარიტი მოძღვარი მთლიანად შეერწყა და შეესისხლხორცა სკოლას, განათლების სისტემას. მის უმნიელო პედაგოგიურ ტაქტს, ალლოს, გამოცდილებას საინტერესო, შინაარსიან ცხოვრებასა და მოღვაწეობას სკოლებში, განათლების განყოფილებასა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობის შვიდი ათეული წელი ამშვენებს. მთელი მისი ცხოვრება რუდუნებითი შრომით, საქმის სიყვარულით და სიკეთის ქმედებითაა გაცისკროვნებული.

ისტორიული მარეთის ულამაზესი ხეობიდან, ბალივით გადაშლილ სოფელ ოლადაურიდან დაიწყო მისი ხატიმამული. ორგანიზატორული ნიჭით, საზრიანობითა და მიზანმიმართულობით გამორჩეულ მოსწავლეს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო ჯგუფის მასწავლებლობა დაავალეს. ხოლო შვიდკლასდამთავრებული ჭაბუკი კავშირგაბმულობის ოლადაურის სააგენტოს გამგედ დანიშნეს. ჩინებულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა ცოდნის დაუფლების ნყურვილმა მანამდე არ მოასვენა, სანამ ხიხაძირის საშუალო სკოლაში არ განაგრძო სწავლა. სრული კურსი კი ბათუმის №9 სკოლაში დაასრულა. იმავე წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტია.

ცოდნის ტაძარმა ულამაზესი ფურცლები შემატა ჩემი ცხოვრების წიგნსო, – ამბობს იგი და სიყვარულით იხსენებს ლექტორ-მასწავლებლებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს მომავალი პედაგოგის პროფესიულ დაოსტატებაში.

1952 წელს ვ. მაკარაძემ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მშობლიურ სკოლაში გეოგრაფია-



ბიოლოგიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მაძიებელი, მოაზროვნე, ენთუზიასტი პედაგოგი საქმის სიყვარულით თავდაუზოგავად შრომობდა და იხარჯებოდა, თავის სულს და გულს აქსოვდა საქმეს, რომელსაც ღვთისგან ბოძებულ ბედნიერებად მიიჩნევდა.

ნოვატორი პედაგოგი შუახევის ცალკე რაიონად შექმნის დღიდან გადაყვანილი იქნა რაიონის კინოფიკაციის გამგედ. ხოლო 1953 წლიდან შუახევის საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში. სკოლა მალე გამოირჩა წესრიგით, მოსწავლეთა სანიმუშო ყოფაქცევით, მაღალი აკადემიური მოსწრებითა და სანაქებო აღმრზდელ-პედაგოგებით. წინამძღოლობისა და სკოლის მართვის ნიჭით გამორჩეული ხელმძღვანელი 1961 წელს განათლების განყოფილების გამგედ დაანიწაურეს. ამ პოსტზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ბატონ ვახტანგის მაღალი ერუდიცია, პროფესიონალიზმი, თვითნაბადი ნიჭი, გერგილიანობა და ორგანიზატორული შესაძლებლობანი, რომლებიც შერწყმული იყო დიდ შრომისმოყვარეობასა და საქმის სიყვარულთან. 12 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ვ. მაკარაძე აღნიშნულ განყოფილებას. იგი ძალას და ენერგიას არ იშურებდა მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. დარსა თუ ავდარში, წვიმასა თუ თოვლში დღენიადაგ სკოლებში, პედაგოგებთან იყო და მათთან ერთად ყველაფერს აკეთებდა სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლების, დაწყებითი სამხედრო სწავლების განხორციელების, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ადგილობრივი ინტელიგენციის ზრდისა და მომავლის ღირსეული მოქალაქეების აღსაზრდელად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი დიდ ეროვნულ საქმეს და ამით დიდი ამაგი დასდო მშობლიურ რაიონს. მარტო 1973-1975 წლებში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა საბავშვო ბაგა-ბალების, დაწყებითი, რვანლიანი, საშუალო სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების 80-მდე შენობა. თუნდაც ის ფაქტი, რა დღის რომ ვახტანგ მაკარაძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შუბანსა და ჩირუხში გაიხსნა მოსწავლეთა ბანაკები, სადაც როგორც შუახევის, ისე მეზობელი რაიონების ასობით ბავშვი ისვენებდა და იკაჟებდა ორგანიზმს. ხელოვანი პედაგოგი წუხს და გული ტკივა იმის გამო, რომ კარგად დაწყებული საქმე ბოლო წლებში მივიწყებას მიეცა. მისი სურვილი და მოწოდებაა მთა ჩირუხი კვლავ ჩადგეს ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი წრთობის სამსახურში.

1963 წელს შუახევის რაიონის ხულოს რაიონთან შეერთების გამო ვ. მაკარაძე გადაჰყავთ ოლადაურის საშუალო სკოლის დირექტორად. 1967 წელს კი შუახევის რაიონის აღდგენის შემდეგ კვლავ განათლების განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. ცოდნა-გამოცდილებით დაბრძენებულმა მაძიებელმა პედაგოგმა და ხელმძღვანელმა დიდი წვლილი შეიტანა განათლების დარგის განვითარებისა და მისი შემდგომი სრულყოფის საქმეში. სწორედ შემოქმედებითი და წარმატებული მუშაობის აღიარება იყო მისი აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაწინაურება. ბატონი ვახტანგი აქაც ჩვეული შემართებით იღვწოდა და დღენიადაგ იხარჯებოდა იმისათვის რათა ინსტიტუტი მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების ნამდვილი კერა გამხდარიყო. პარარელურად გეოგრაფიას ასწავლიდა ბათუმის №6 საშუალო სკოლაში. ხოლო ამჟამად გეოგრაფიული მეცნიერების ხიბლს ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებს აზიარებს. ღვანლმოსილი პედაგოგი კვლავ ახალგაზრდული შემართებითაა. შვიდი ათეული წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა გაკვეთილის საფუძვლიანი მომზადების, საგანმანათლებლო რესურსების მომარაგების, საინოვაციო საქმიანობის გაცნობის გარეშე შესულიყოს კლასში. ის არ ივინყებს კ. უშენსკის სიტყვებს: „მასწავლებელი მანამადე ცოცხლობს, ვიდრე სწავლობს, როგორც კი სწავლას შეწყვეტს მასში კვდება მასწავლებელი“. ამიტომაც ყოველთვის ახალი, საინტერესო, სახალისო მასალით შედის გაკვეთილზე. ჩვეული სიღინჯით, მიმზიდველად, ესთეტიკური გემოვნებით მრავალფეროვანი მეთოდების მომარჯვებით ატარებს ღრმაშინაარსიან, ორიგინალურ, აკადემიურად დატვირთულ ცოცხალ და ხალისიან გაკვე-

თილებს. წვდება თითოეული ბავშვის სულიერ სამყაროს, მის შინაგან „მე“-ს. ყოველ მათგანში ამჩნევს, ხედავს არაჩვეულებრივ უნარს. განუმეორებლობას, უნიკალობას. „მოსწავლე ჭურჭელი არ არის პირთამდე ასავსები, არამედ სანთელია, რომელიც უნდა აანთო“, – ამბობს ღვანლმოსილი პედაგოგი, რომელიც ამ სულისკვეთებით მუხტავს გაკვეთილის ყველა მასალას. მისთვის გაკვეთილზე შესვლა აღსაზრდელის სულში შესვლას, სულის თანაზიარობას, მასთან ჰუმანურ თანამშრომლობას, ფიქრისა და განსჯისათვის სარბიელის შექმნას ნიშნავს. ამყარებს საგანთაშორის კავშირს, როცა ევროპის ქვეყნებს ასწავლის მოუთხრობს ქართული მეზობლების, პარტიზანების გმირული ბრძოლების შესახებ, რითაც იტაცებს მოსწავლეებს და ეროვნული სიამაყის გრძნობით ავსებს.

ხელოვანი პედაგოგი პროგრამული მასალის მტკიცედ და საფუძვლიანად დაუფლების მიზნით გაკვეთილების პარარელურად უნარიანად იყენებს კლასგარეშე მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს. იშვიათად მოიძებნება საქართველოში პედაგოგი, რომელსაც ისეთი თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდეს მუშაობაში, როგორც ბატონ ვახტანგ მაკარაძეს აქვს. მისი მოსწავლეები ყოველთვის იმარჯვებენ ოლიმპიადებსა და შემოქმედებით კონფერენციებში. ფერიის საჯარო სკოლიდან მისი 14 მოსწავლე საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექციამ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა (აღარაფერს ვამბობთ სხვა სკოლებში მუშაობის დროს გამარჯვებულ მის მოსწავლეებზე). ერთ-ერთი გამარჯვებული მოსწავლე ასე ეხმიანება ბატონ ვახტანგს. „დაე იცოდნენ, ჩვენს საქართველოს ისევე ჭირდება შენისთანები, შენით ვამაყობთ, ჩვენო გამრზდელი, შენს ქართველობას ვეთაყვანებით“.

ადვილი სათქმელია 14 დიპლომის მიღება! რა დიდი, მუხლჩაუხრელი, რუდუნებითი შრომა და გარჯაა განეული თითოეული დიპლომის მისაღებად.

ასევე მთელ თავის ცოდნას და ენერჯიას, თავის სულს და გულს აქსოვს ბატონი ვახტანგი მოზარდებში მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულისა და ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვივებას. საამისოდ ეფექტიანად იყენებს ექსკურსიებს. ადამიანი არ იქნება სრულქმნილი, ამბობს ამაგდარი პედაგოგი, თუ ისე გაიზარდა, რომ მიწის დროს ყვავილი არ მოუწყვეტია, ბუნების ნიაღში მწვანე ბალახი არ გაუთელია. ამიტომაცაა, რომ ყოველწლიურად ატარებს ექსკურსიებს. ვინ მოთვლის შვიდი ათეული წლის განმავლობაში რამდენ მოზარდს მოატარა საქართველოს მთა-ბარი, ვარძიის სვეტიცხოვლის, გელათის, ზარზმის, თმოგვის, ხერთვისის, ნიკორწმინდის, ახალი ათონის, ციციხეთის და სხვა ხელთუქმნელი ქმნილებების ხიბლი აგრძნობინა, სიამაყის გრძნობით აავსო და ზურმუხტოვანი მთებისა და ლურჯკამკამა ცის სიყვარული ცხოვრების დიდ გზაზე დაუსაგზავლა.

ვ. მაკარაძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. დიდი სამამულო ომის წლებში სამხრეთი საზღვრების (აჭარა-შავშეთის ქედზე) გამაგრებისა და ფრონტის დასახმარებლად განეული დიდი წვლილისათვის იგი მედლით „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“ დაჯილდოვდა.

აღსანიშნავია ბატონ ვახტანგის განსაკუთრებული დამსახურება შუახვევის რაიონის დაარსებასა (დაარსდა 1952 წელს) და შემდგომში გაუქმებული რაიონის აღდგენაში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია ვინც სათავეში ჩაუდგა 1998 წელს მარეთის ხეობაში წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობას. წმიდა ტაძარი გრანდიოზულია მთელ რაიონში. ამაგდარი პედაგოგი ასევე ძალ-ღონეს არ იშურებდა და 20 წლიანი ძიების შემდეგ მიაკვლია კიდევ სამების ეკლესიის XIV-XV სს) ნანგრევებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული ტაძრის აღდგენაში. საგულისხმოა რომ 80 წლის ასაკში მასთან ერთად, მთელი მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი ქრისტიანულად მოინათლა, დაუბრუნდა მამა-პაპისეულ რწმენას.

კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი. ღვანლმოსილი პედაგოგი დააინტერესა სოფელ გორას (ხელვაჩაურის რაიონი) ნორჩი მოქალაქეების ბედმა. პატარებს სოფელში არ ჰქონდათ სკოლა. ბატონი ვახტანგის ინიციატივითა და ძალისხმევით გორაში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც შემდგომ საბაზო სკოლად გადაკეთდა.

ასე ერთგულ გუშაგად უდგას ქვეყნის სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი ეროვნულ საქმეებს, ქვეყნის საჭირობო საკითხებს.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და თანამედროვე ცხოვრებით ნაკარნახევ საკითხებზე აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, სტატიებს. არის 300-ზე მეტი წერილის და ნაშრომის ავტორი. 2006წელს გამოიცა მისი სქელტანიანი წიგნი „გამონათლევის გამონათება“, რომელიც დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა.

ვახტანგ მაკარაძის მამულიშვილურ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე წერდნენ და წერენ არა მარტო მისი აღზრდილები, არამედ ცნობილი ადამიანები, მეცნიერები, მწერლები, განათლების დარგის მუშაკები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აჭარის ა.რ. განათლების ყოფილი მინისტრები ვახტანგ წულუკიძე, არჩილ ტაკიძე, ნანი გუგუნავა, პროფესორები ანზორ დიასამიძე, თამაზ ფუტკარაძე, ვლადიმერ და შოთა მაკარაძეები... წერენ თუ როგორი უნდა იყოს ქემ-მარიტი მასწავლებელი, როგორ უნდა ემსახუროს მშობელ ხალხს და სამშობლოს, როგორ მოიხადოს მამულიშვილური ვალი ქვეყნის წინაშე.

ხანგრძლივი უანგარო და თავდადებული შრომა ჯეროვნად დაუფასდა ვალმოხდილ და ღვანლმოსილ პედაგოგს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, (ორჯერ), თორმეტი მედლით (მათ შორის იაკობ გოგებაშვილის მედლით), დიპლომებით, საპატიო სიგელებით. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, საქართველოს პრეზიდენტისა და ზაქარია ჭიჭინაძის პრემიები. მარეთის ხეობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირველს მიენიჭა „საპატიო მარეთელის“ წოდება, არის „საპატიო შუახვეველი“, იყო სხვადასხვა არჩევითი ორგანოს დეპუტატი, მასწავლებელთა ყრილობების დელეგატი, არჩეულია სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა დასის აჭარის სადროშოს წევრად, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორად, ფაზისის აკადემიის ნამდვილ წევრად. ახლახან კი შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საკრებულომ და საზოგადოებრივმა კავშირმა „მარეთმა“ ღვანლმოსილ პედაგოგს, ხეობის მრავალი თაობის აღმზრდელსა და დამრიგებელს, პუბლიცისტს, დამსახურებულ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს „ხეობის მოძღვრის“ საპატიო წოდება მიანიჭა.

დიდი სამაგალითო, სტუმართმოყვარე ოჯახი შექმნა ბატონმა ვახტანგ მაკარაძემ. მის ძირძველ, ქართულ კერაზე სამაგალითო შვილები და შვილიშვილები აღიზარდნენ. თუნდაც ის ფაქტი რადღირს რომ მის დიდ ოჯახში 20-ზე მეტი უმაღლეს განათლებულია. შვილთაშვილები, რომლებიც ამჟამად მოსწავლეები და სტუდენტები არიან კიდევ უფრო გაზრდიან ამ რაოდენობას.

ხვავრიელი, ბარაქიანი შემოდგომა უდგას ბატონ ვახტანგს. საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის, ღვანლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოების, საზოგადოებრივი კავშირის „მარეთის“, ფერიის საჯარო სკოლისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გამართულ საიუბილეო საღამოებზე ინტელიგენციის წარმომადგენლები, კოლეგები, მისი აღზრდილები, აჭარის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე ლადო მგალობლიშვილი, პოეტები შოთა ზოიძე და ემენ დავითაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ქეთი დევაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი ნევრესტან დიდმანიძე და სხვები გამსაკუთრებულად მოეფერნენ და მოესიყვარულნენ ღვანლმოსილ პედაგოგსა და მოძღვარს. უსურვეს კვლავაც დიდხანს იღვანოს მომავლის ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდისა და საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გორბი 1 2015

---

მალხაზ ფალავას  
პირადი ციფრული  
ბიბლიოთეკა

2015

---

[malkhaz.pagava@mail.ru](mailto:malkhaz.pagava@mail.ru)